

370.

ISSN 0132-599 X

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

გნებობა



5

1986



მწერთა კავშირი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კოლტიკური ჟურნალი

წილი № 62-0

№ 5

მაისი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

მხატვრული სიტყვის ოსტატთა დიდი ფორუმი 3

პროზა, პოეზია

თეიმურაზ ჯანვალაშვილი — ხსოვნის წიგნიდან	9
ალუა არაგული — ლექსები	29
ალექსანდრე გივიტაშვილი — ლექსები	31
დავით ვეფლუაძე — ლექსები	32
ზურაბ კახიანიძე — ოლიან შოქრთი, შოთხობა.	35
ანდრე პავლაშვილი — ლექსები	62
გრიგოლ ჯუღუანიძე — ლექსები	64
ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები	67
ვივი მალულაძე — რამეთუ იყოდა ზარზმა, რომანი, გაგრძელება	69

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შოთა გავრუშიძე — მრავალსახეობა ბილიტრისტისა	124
ვახტანგ ბერიძე — ბიოგრაფიული რევიზიონი	131
სერგო ჯორჯანიძე — ანდრია ბინაშვილი	136
მზარ კვიციანიშვილი — ეპითეტი აკაკის პოეზიაში, გაგრძელება.	146

მეცნიერება

მარინა ჩხარტიანი — „ფრიად სარწმუნო ბააზრი“	161
--	-----

წიგნების მიმოხილვა

დავით შოთოშვილი — „ამბავს რად ირით სვინასა“	167
ნოდარ შოთიაშვილი — წიგნი ლეჩხუმის ეთნოგრაფიაზე	171

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშველი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
შიაშვილი, ბ. დონანაშვილი, ა. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეგანიძე,
ე. მაღრაძე, ლ. მრალაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. წულუიშვილი, ი. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მღვივანი)
რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



მხატვრული სიტყვის ოსტატთა დიდი ფორუმი

სკკპ ოცდამეშვიდე ყრილობამ ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა მწერლობის დიდ ოჯახს, ანუ, როგორც მას ხატოვნად უწოდებენ, სოციალისტური იდეოლოგიის შუალედური რგოლს; ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგების ასეთ შეფასებაში მთელი სისრულით არის მოცემული საბჭოთა პრესის, კერძოდ კი მხატვრული სიტყვის სოციალური მნიშვნელობა, მისი მაღალქმედითუნარიანობა, მილიონობით ადამიანის მსოფლმხედველობაზე ცხოველი ზემოქმედების უნარი.

ამ „შუალედურობაში“ იგულისხმება ჩვენი მხატვრული ლიტერატურის უზენაესი მისია, რომ მთელი საზოგადოების ყურამდე მიიტანოს სკკპ პოლიტიკის ჭუმანური არსი, სამომავლო მიზანდასახულობანი, ამოცანები და ჩანაფიქრები; მისი კულტურულ-ესთეტიკური და მორალურ-ზნეობრივი დანიშნულება კვლავაც ადამაღლოს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი სამყარო.

ლიტერატურა და ხელოვნება „ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის საქმეს უნდა ემსახურებოდეს, მილიონობით ადამიანის სიხარულისა და შთაგონების წყაროს უნდა წარმოადგენდეს, მათ ნებას, გრძნობებსა და აზრებს გამოხატავდეს, აქტიურად უწყობდეს ხელს მათს იდეურ გამდიდრებას და ზნეობრივ აღზრდას“ — ნათქვამია სკკპ პროგრამაში.

და მართლაც, უველა დიდ საქმეს, ახალ ჩანაფიქრსა და წამოწყებას მწერლის მაღლიანმა სიტყვამაც უნდა აუბას მხარი, სათანადოდ გააშუქოს იგი, სამწეოვე გამოიტანოს, ფართო მსჯელობის საგნად აქციოს, რათა მთელმა საზოგადოებამ, ხალხის უფართოესმა ფენებმა გაიზიაროს, გულთან მიიტანოს მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსი, ჩვენი ქვეყნის სახალხო მებრუნების სფეროში მიმდინარე ექსპერიმენტების დანიშნულება და პათოსი, მათი საერთო-სახალხო მნიშვნელობა, თორემ ამ წამოწყებათა შინაარსი დაკარგავს სათანადო ცხოველმყოფელობას, ვეღარ ბოვებს საყოველთაო მორალურ, პრაქტიკულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ხელოვნება, ლიტერატურა, მწერლობა, პუბლიცისტიკა ის შეუცვლელი თანაშემწე და ინტერპრეტატორია, რომელიც ახალი იდეის, ახალი ჩანაფიქრის განხორციელებასა და ხორცშეხმას მებრუნებს, ოპტიმალურ ფსიქოლოგიურ და მორალურ ინფრასტრუქტურას ბქმნის მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობა, მისი მოწინავე რაზმი ყოველთვის სახელოვნად ასრულებდა თავის მისიას — მხარში ედგა პარტიასა და ხალხს სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებლის სულიერ და ფსიქოლოგიურ ფორმირებაში, ხალხის მასებში სოციალისტური ზნეობისა და მორალის განმტკიცების საქმეში.

ბაქ. სსრ კ. მარჭისი
საბ. საბ. ინსტუტ.
გიგლიოთმაძე

ისევე, როგორც ადრე, ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ქართულ კულტურულ რაღათა რომანებსა და პოეტურ ქმნილებებში, დრამატურგიულ ნაწარმოებებში, ცისტურ ნაწარმოებებში, ჩვენი გამოჩენილი სიტყვის ოსტატთა მხატვრულ ნიმუშებში მთელი სისხვით არის ასახული ის ყოველისმომცველი სულიერი და ფსიქოლოგიური ძვრები, მასების მორალურ-ზნეობრივი და სულიერ-ესთეტიკური მეტამორფოზა, სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის ზრდა, სოციალისტური მსოფლმხედველობის დონისა და მოქალაქეობრივი პათოსის ამბლდების პროცესი, რასაც ადგილი აქვს ჩვენი საზოგადოების წიაღში განსაკუთრებით ამ ბოლო წლების მანძილზე.

ახალი ადამიანის, თანამედროვე გმირის ფორმირების მხატვრული ასახვა მეტად რთულ და საპატიო მოვალეობას წარმოადგენდა ყოველთვის, კიდევ უფრო გართულდა იგი ამჟამად, ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში, დამახული საერთაშორისო ურთიერთობების ვითარებაში, როცა მხატვრულ სიტყვას კიდევ მეტი ელვარება და ქმედითუნარიანობა უნდა მიანიჭოს ხელოვნება.

თანამედროვე გმირის პრობლემა მრავალ სხვა ფაქტორსაც მოიცავს, პირველ რიგში მწერლის საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებისადმი ერთგულებას, უშუალო მიმართებას მასებთან, მის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, შემოქმედლის კლასობრივ მსოფლმხედველობას.

ასე რომ სოციალისტური ხელოვნება ჩვენი მწერლობის წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს. აქედან იღებს სათავეს საბჭოთა ლიტერატურის კრეშმარიტად ჰუმანური ხასიათი, მისი საყოველთაო აღიარება, მსოფლიო სახელი. საბჭოთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებაზე მძლავრი ზემოქმედების წყაროებია „ცხოვრების სიმართლის, სოციალიზმისა და კომუნისმის იდეალების ერთგულება, ჰუმანიზმი და ოპტიმიზმი, ხალხთან მჭიდრო კავშირი“ — ვკითხულობთ სკკპ პროგრამაში.

„სადაც პასუხისმგებლობა დიდია, იქ უკუგება მეტია, შედეგი თვალსაჩინოა“ — ეს ეკონომიკის ელემენტარული კანონი მშენებრად ესადაგება შემოქმედებითი დარგის ჩვენეულ კანონზომიერებასაც, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

სკკპ XXVII ყრილობამ კვლავ მოუწოდა ჩვენს მწერლობას ხალხის მასებთან მჭიდრო ურთიერთობის, ადამიანების გასახარებისა და სატკივარის გულთან ახლოს შიტანისაკენ:

„ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი გეზია ხალხის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება, სოციალისტური სინამდვილის მართალი და მალამხატვრული ასახვა, ახლის, მოწინავეს შთაგონებული და ნათელი გახსნა და ყოველივე იმის მგზნებარე მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპი, მასში ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრული ასახვის თამამი ნოვატორობა შერწყმულია სამამულო და მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან.“ — ვკითხულობთ სკკპ პროგრამაში.

სკკპ XXVII ყრილობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ პრინციპულად ახალი შეფასება მიეცა მრავალ სათუო მოვლენას, ნეგატიურ გადმონაშთს, წარსულის დრომოქმულ პრაქტიკას, რითაც ბოლო დრომდე იყო გადატვირთული ჩვენი ყოფა-ცხოვრების მრავალი უბანი, ასევე კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებიც. მაგალითად, მკაცრად იქნა დაგმოხილი აღწევებულობა, პარადული ტონი, ფუჭსიტყვაობა, მამებლობა, მავანთა საქმიანობის განდიდების საეჭვო პრაქტიკა. მწერლობას მოუწოდეს სითამამისაკენ, მეტი პრინციპულობისაკენ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მწვავე საკითხების პირუთვნელი განსჯისაკენ, აქვე გამახვილებული იქნა ყურადღება ადამიანისშიერი ფაქტორების მნიშვნელობაზე.

ჭერ კიდევ არსებული მთელი რიგი ხარვეზები აკნინებდა მხატვრულ ლიტერატურას, ლახავდა მის პრესტიჟს, აუბრალოებდა და ამცირებდა მის მნიშვნელობას. ზიანს აუყენებდა მწერლისა და ხელოვანის ავტორიტეტს, მთლიანად სახელმწიფო ინტერესებს... ანელებდა სოციალისტური იდეოლოგიის ცხოველყოფელობას.

ამ ყრილობაზევე აღინიშნა, რომ მაღალმხატვრულ მწერლურ სიტყვას მეტი და მეტი გავლენის მოხდენა ძალუძს ადამიანებზე, მათს მსოფლმხედველობაზე. ეს კი აძლიერებს „კულტურის ოსტატთა პასუხისმგებლობას შემოქმედების იდეური მიმართულებისათვის, მათი ნაწარმოებების ზემოქმედების მხატვრული ძალისათვის“.

ქართველი მწერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათს შემოქმედებას აქტიური პათოსი არასოდეს მოჰკლებია. ისინი ამჟამადაც ხელხვაიანად ხვდებიან თავიანთ მეათე ყრილობას. საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობიდან მოყოლებული დღემდე ჩვენს რესპუბლიკაში მრავალ ახალ სამეურნეო-საწარმოო წამოწყებასა და ექსპერიმენტს ჩაეყარა საფუძველი. ბევრმა მათგანმა საკავშირო აღიარებაც მოიპოვა. მრავალი პრობლემა ჭერ კიდევ ელოდება თავის გადაწყვეტას, მრავალზე კი მიტანილია იერიში. აღსანიშნავია ქართველი მწერლების აქტიური მონაწილეობა ამ გარდაქმნებში, ამ ექსპერიმენტების „იდეურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის“, მათი არსისა და მნიშვნელობის მხატვრული განზოგადების საქმეში. მრავალ ეროვნულ პრობლემაზე გაამახვილა ამ წლების მანძილზე ქართულმა მწერლობამ ყურადღება, დაიწერა ბევრი საინტერესო ნაწარმოები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა:

კოლხეთის ჭაობების პრობლემა;

სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული ექსპერიმენტები (აბაშის, ფოთის, გარდაბნის მაგალითებზე).

საწარმოო და საკადრო პოლიტიკის საკითხები (დიმიტროვის ქარხნის მაგალითზე).

ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-დემოკრაფიული ვითარება.

უკუპროცესი ანუ დაბრუნება სოფლად, ჩვენი მთიანეთის აღორძინება (თუშეთის, ხევსურეთის, ასევე სოფლების — უდაბნოსა და ჭერემის მაგალითზე).

ახალმშენებლობანი (მარაბდა — ახალქალაქის რკინიგზა, ენგურშესისა და თინვალშესის მშენებლობანი, ამიერკავკასიის საულელტეხილო-საავტომობილო

გვირახის მშენებლობა, თბილისის ძველი უბნების რესტავრაცია და ვინ მოს-
თვლის, რამდენი კიდევ სხვა...

ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლავთ, რომ ამ საქმიანობაში ერთმანეთის
მხარდამხარ იღვწოდნენ ჩვენი მწერლობის სხვადასხვა თაობის წარმო-
მადგენელი, გამოჩენილი სიტყვის ოსტატები და ასევე დამწყები მწერლები,
ახალბედები. არც ერთი მათგანი ძალ-ღონეს არ იშურებდა რათა რომანებში,
მოთხრობებსა და ლექსებში თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში უოვლისმომ-
ცველად აესახა აღმშენებლობის რესპუბლიკური პანორამა, განწმენდისა და
ქვეყნად სიმართლის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ის პათოსი, რომელსაც
ტონს აძლევდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

ავიღოთ, მაგალითად, რესპუბლიკაში არსებული არასაბარბიელო დემო-
კრაფიული ვითარების პრობლემა, რასაც ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგე-
ბო თათბირი და მრავალი ღონისძიება მიუძღვნა. მან მოუწოდა სიტყვის ოს-
ტატებს, რომ ფართო კამპანია გაეჩაღებინათ ვითარების გამოსასწორებლად.
მართლაც და ერთიანად დაირაჯა ჩვენი მწერლობა, დიდმა და პატარამ ყვე-
ლამ გაიღო თავისი წვლილი ამ მიმართებით.

დაიწერა საინტერესო წიგნები და წერილები, სადაც მოცემულია არგუ-
მენტირებული მინიშნება, მხურვალე მოწოდება ერის გამრავლების აუცილე-
ბლობისადმი. მართლაც და, ამ მიმართებით ჩვენი აქტიურობის დონე დიდ-
ხანს დარჩება მთავარ სასინჯ ქვად, უმკაცრეს კრიტერიუმად ეროვნული
იდუალებისათვის ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი მიმართების მოწაიკა
მარტო ზემოთჩამოთვლილი სფეროებით როდი ამოიწურება. ცხოვ-
რება უოველდღიურად ახალ და ახალ ამოცანებს აუენებს ჩვენს წინაშე და ისი-
ნი თავისი არსითა და ხასიათით ძირეულად განსხვავდებიან გუშინდელისა-
გან. ასეთი გახლავთ ცხოვრებისეული კანონზომიერება — დღეს მიღწეული
ხვალ უკვე აღარ გვაქმავთფილებს, შესაბამისად უნდა განაახლო მომთხოვნე-
ლობის კრიტერიუმები, დროის კვალობაზე უნდა გადაახლისო ისინი, თო-
რემ ყველა სხვა შემთხვევაში უკან ჩამოვრჩებით უამთამდინარების სრბოლ-
ვას, ცხოვრების რიტმს.

ამ და მრავალ სხვა საკითხზე იქნება პრინციპული საუბარი ქართველ
მწერალთა მეთე ყრილობაზე, სადაც მასშტაბურად აისახება საქართველოს
კომპარტიისა და სკკპ XXVII ყრილობების გადაწყვეტილებანი, ის ამოცანე-
ბი, რომელიც აქ დაუსახებს ჩვენს ლიტერატურას, ზოგადად სოციალისტური
კულტურის მესვეურთ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგახსენდეს
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩო-
ვის ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვები:

„მდიდარი ტრადიციები მოსდგამთ ჩვენს შემოქმედებით კავშირებს, მნი-
შვნელოვანია მათი როლი ბელოვებისა და საერთოდ მთელი საზოგადოების
ცხოვრებაში, მაგრამ აქაც ცვლილებებია საჭირო. მათი მუშაობის მთავარი
შედეგი განიწომება არა რეზოლუციებითა და სხდომებით, არამედ ნიჭიერი,
ორიგინალური, საზოგადოებისათვის საჭირო წიგნებით, ფილმებით, სპექტაკ-
ლებით, სურათებითა და მუსიკალური ნაწარმოებებით, რომლებსაც ძალუძთ
გამდიდრონ ხალხის სულიერი ცხოვრება“.

მართლაც რომ ფუძემდებლური სიტყვებია. დღეს, როცა იმპერიალისტური ბანაკის ძალმომრეობამ თავის აპოთეოზს მიაღწია და გაიზარდა ქვეყნად ატომური ომის საფრთხე, დაიძაბა ვითარება, თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა, წინა პლანზე წამოიწია პრაქტიკული ფაქტორების მნიშვნელობამ. ფუჭსიტყვაობა და ენალაქარდიანობა ამ საქმეში სიკეთეს ვერ მოიტანს. არანაკლებ საზიანოა იგი შემოქმედებით უბანზე. როგორც ეკონომისტები იტყვიან — დღის წესრიგში დადგა უკუგების პრობლემა. ყველა საქმეს თავისი უკუგება უნდა ახლდეს, მათ შორის ლიტერატურასაც. სხვანაირად ჩვენი სახალხო მეთურნეობის დაჩქარებისა და ინტენსიფიკაციის გლობალური ამოცანა ვერ გადაიჭრება, ხალხის კეთილდღეობა ვერ გაუმჯობესდება. სოციალური და კულტურული ამოცანები ვერ გადაწყდება. ამ საქმეში კი თავისი სიტყვა უნდა თქვას ქართულმა მწერლობამაც. მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის ეს „დაჩქარება“ და „ინტენსიფიკაცია“, ალბათ, პირველ რიგში, გულისხმობს პატიოსან, ალაღმართალ დამოკიდებულებას მიწოდობილი საქმისადმი, მაღალ პროფესიონალიზმს. ხელოვანის პასუხისმგებლობას, რათა მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვიტოს მის წინაშე დასმული მხატვრული და კულტურული ამოცანები, შექმნას და დახატოს საზოგადოებრივი ინტერესებით დამუხტული თანამედროვე გმირის პორტრეტი.

ეს „დაჩქარება“ და „ინტენსიფიკაცია“ მწერლობაში გულისხმობს ასევე ჩვენი კლასიკოსების, მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი მიღწევების გათვალისწინებას, ისტორიულ მონაპოვართა განვითარებას, დახვეწას, ახალ სიმაღლეზე აყვანას. ბრძოლას ბუნდოვანებასთან, შემოქმედებით უნიათობასთან, უსაგნო მელანქოლიასთან, მოჩვენებით ლიტერატურულ მაღალფარდოვნებასთან, პესიმიზმურ განწყობილებებთან. იგი გულისხმობს მხარდაჭერას ახალ-ახალი შემოქმედებითი ფორმებისა და საშუალებების ძიებისადმი. და არა მარტო კლასიკური და საბჭოური მონაპოვრების გაღრმავებას, მთელი მსოფლიო ცივილიზაციის საუკეთესო მემკვიდრეობის პატივისცემას, მის შესწავლას და განზოგადებას, მდიდარი გამოცდილების გაზიარებას, საბოლოო ჯამში კი სწრაფვას ახალ-ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპურობად.

ამაში მდგომარეობს სწორედ ჩვენი სოციალისტური წყობილების უპირატესობა, საბჭოთა ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი მემკვიდრეობითობის პრინციპის თავისებურება, სადაც ხელოვნებისა და ლიტერატურის მარმონიული განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყანა ყველაზე წიგნიერია მთელს მსოფლიოში. საბჭოთა სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებები თარგმნილია თითქმის ყველა ენაზე. უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო მოვლენა, რომ დღითიდღე, უფრო და უფრო პოპულარული ხდება ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები საზღვარგარეთ, რაზეც მეტყველებს ის დიდი მოთხოვნილება, რასაც სხვადასხვა ქვეყნის საგამომცემლო ფირმები იჩენენ ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანისა და გამოცემისადმი.

და კვლავ მიზეზი ამ დაინტერესებისა უნდა ვეძებოთ ჩვენი მწერლობის მასაზრდოებელ ფენებში, მის ხალხურობასა და მაღალიდებურობაში. და ასევე ქართველი კაცის განსაკუთრებულ მიმართებაში „ადგილის დედისადმი“, სამშობლოსადმი, მისი აწმყოსა და მომავლისადმი, იმ ინტერესების წრისადმი, რომლითაც გარემოსილია მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი. ყველა ამ წა-

რმატების მთავარი მიზეზთა-მიზეზი კი გახლავთ ჩვენებური ადამიანის მაღალ-ნიჭიერება, მისთვის მართლაც რომ დვთით ბოძებული რომანტიული, ჯანსაღი ადამიანურ-ჰუმანური იდეალები და კაცთმოყვრული მსოფლმხედველობა.

თავიანთ მეთე ურილობაზე ქართველი მწერლები პირუთვნელად, ობიექტურად, ანალიტიკურად შეაფასებენ განვლილ ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებებს, მწერალთა კავშირის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს, დასახვევ ახალ ამოცანებს, კიდევ უფრო სრულყოფენ მწერლობის საზოგადოებრივ-ეროვნული ამოცანების განხორციელების საქმეში ეფექტური და ქმედითი მონაწილეობის მექანიზმს, იბრძობენ თავიანთი რიგების მეტი მონოლოთიურობისა და ერთიანობისათვის, საერთო მიზნებისადმი დარაწმუნლობისათვის. რესპუბლიკაში მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის სტიმულირებისა და კეთილისმყოფელი პირობების შესაქმნელად. მხატვრული სიტყვისათვის მეტი ელვარებისა და ძალისხმევის მისანიჭებლად...

ქართველ მწერალთა დიდ ოჯახს შეუძლია მის წინაშე თანამედროვეობის მიერ წამოჭრილი ამოცანების წარმატებით გადაჭრა.



თეიმურაზ ჯანაულაშვილი

ხსოვნის ფიგნიდან

გერმანია, 1945. მაისი — ივლისი

მეგანე კარვების ძალაში

ჩვენი პოლკი ტყეში ჩადგმული კარვებს ჭალაქში განლაგდა.

მთელი ძალით სუნთქავს მაისი. მთელი ძალით სუნთქავს და ღონივრად აქნევს უხილავ ფუნჯებს — სიმწვანეს ამუქებს. სიცისფრეს ამკვეთრებს, გათამამებულ წითელ ფერებს აყვირებს ველური ყვავილების ფურცლებზე. ტყის ბილიკების გასწვრივ ფერადქოლგებიანი სოკოები გამოჰყავს სასეირნოდ, წიწვოვანთა კენწეროებს ჭორფლივით აყრის დამორცხვებელი სიმწვანით შეფერილ მარცვლებს. ხვალ-ზეგ ზაფხულის მზის ხელისგულზე გირჩებად რომ წამოიზრდებიან.

ჩვეულებრივი, არასაომარი ვითარების შესაფერისი მეომრული ცხოვრებით ვცხოვრობთ. დილის ექვს საათზე ვდგებით. ვარჯიშისა და საუზმის მერე სამეცადინოდ მივდივართ ოცეულებად თუ ასეულებად დაწყობილები. სადილის შემდეგ ისევ ვმეცადინეობთ. ვახშმის მერე კი ჩვენი ტყე აღილინდება, ამღერდება. ათასნაირ ამბებს ჰყვება, იცინის. ხარხარებს, უსტვენს, კვნესის და ბოლოს დღშილს მიეცემა.

დედამწაზე ჩვენთვის უკვე წარმოუდგენელი და ძნელშესაგუებელი სიმშვიდე დამკვიდრებულა.

სულში კი არ იქნა და არ ჩადგა ჩახმახივით შემართული ტყვილის ქარიშხალი, ოღონდ იგი გამარჯვების სიხარულის ღონიერმა ლახქერმა ვარდისფერ ბურუსში გაახვია და სადღაც სულის კუნძულში მიაყენა. და როცა მწვანე კარვებში გულაღმა მყოლიარენი ჩვენს თავთან პირისპირ ვრჩებით, ის ტყვილები ვარდისფერი ბურუსიდან გამოდიან და აღარ გვაძინებენ.

ყველა ჩვენგანს ხომ შინ თავისი სატკივარი ელოდება, ზოგს მცირე, ზოგს დიდი. ომის კლანჭგაუტრავი, შორეულ ზურგშიაც კი, არც კაცი დარჩენილა და არც სახლ-კარი, არც აყვანი და არც კუბო. იმ უმოწყალო კლანჭს სულიც ჩაუსისხლიანებია და ხორციც.

ვინ იცის, რამდენი დროა საჭირო, სული დენთის კვამლისაგან რომ დაიწმინდოს და გონება — ეს-ეს არის ფრთადაკეცილი ომის კომპარული ხილვებისაგან...

დიახ, გამარჯვებასაც ახლავს თურმე თავისი სადარღელიცა და საწუხარიც, საფიქრალიცა და საზრუნავიც...

და ალბათ უფრო გაგვიჭირდებოდა, მეცადინეობები რომ არ დაეწესებინათ. თუცა პირველ დღეებში ამ ამბავს არც თუ ხალისით შეეხვდი. ვფიქრობ-

ასხდა, მაგრამ თავი დაიმორჩილა. ორ-შაბათის მეცადინეობისათვის კვირა საღამოს მომიტანე კონსპექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ნულარ დამემდურებო, მითხრა მოგუდული ხმით და წავიდა.

ორშაბათიც ხვალაა. მაიორს ამ საღამოს უნდა ვეახლო კონსპექტით.

უზივარ ნაძვის ძირში და იმ კონსპექტის დაწერაზე ვფიქრობ. ვფიქრობ, მაგრამ ხელი ვერ შემიტოკებია კალმის ასაღებად. თითქოს ვილაყამ ერთმანეთს წებოთი მიმიწება თითები.

ბატალიონის შტაბიდან მოსული მაკაროვი წამადგა თავზე.

— იქ შენს სახელზე მოსული წერილი ვნახე და წამოვიღე, — მითხრა, წერილი გადმოძეცა და გვერდით ჩამომიჭდა.

ჩემი სკოლელი ძმა დურმიშხან გზირიშვილი მწერდა საგარეჯოდან. ომის დამთავრებას და ცოცხლად გადარჩენას მილოცავდა, შინ კეთილად დაბრუნებას მისურვებდა. ათასნაირ რაღაცეებსაც მწერდა, ხან ხუმრობდა, ხან სერიოზულობდა. წერილი უსაშველოდ გრძელ, უხაზო ქაღალზე იყო დაწერილი.

— ვინ გწერს? — მკითხა მაკაროვმა.

— ჩემი სოფლიდან მწერს ამხანაგი, — ეუთხარო ნახევრად საგარეჯოში მყოფმა და უცებ მთელი არსებით იმ გერმანულ ტყეში დავბრუნდი. — სერგეი, ძვირფასო, ეს წერილი ხომ შენ მომიტანე. მითხარი, ხომ შენ მომიტანე?

— მერე რა გინდა, მავით რომ სთქვა? — განცვიფრებით შემეხშიანა მაკაროვი.

— ის რომ ეს ამბავი არ დაგავიწყდეს! — შევეძახე სერგეის და რაც ძალი და ღონე მქონდა გავიჭეცი.

რამდენიმე წუთის შემდეგ რუდენკოს კარავში ვიყავი.

— ამხანაგო მაიორო, — სიძვივით გაჭიმულმა მოვახსენე საწოლზე ჩამოქცდარ რუდენკოს, — მიხდა ყველაფერზე დიდი ბოდიში მოგიხადოთ და პა-

ტიება გთხოვოთ. აქამდე, უბრალოდ, ჩემი თავისა მრცხვენოდა და ვერ უბნებოდი. საქმე ის ანუხსაროქწერულ სულ ენახე წერა მიჭირს, ძალიან მიჭირს, მაგრამ რაკი კონსპექტის დაწერა აუცილებელია, იქნებ ნება დამართოთ, ქართულ ენაზე დაწვერო. ის ხომ ძირითადად მარტო მე უნდა გამოვიყენო. მეცადინეობის ჩატარების დროს თუ რამე დამავიწყდება, უცებ ჩავხედავ და ყველაფერი ისე აეწყო, რაგორც თქვენ ვაგებარდებოთ.

რუდენკო ჩაფიქრდა. წამოდგა. გაიარ-გამოიარა და უცებ მკითხა:

— მე როგორღა გავიგებ, შიგ რა ეწერება. მისი სისწორე და წარმართულობა ხომ მე უნდა შევამოწმო?

— ქართულად დაწერილს მევე გითარგმნით ზეპირად. თუ რამ შესასწორებელი ან დასამატებელი იქნება, თქვენს თვალწინვე შევასწორებ და ჩავამატებ. დასაბრკოლებელი არაფერი გვექნება.

ისევე ჩაფიქრდა, ისევე გაიარ-გამოიარა და ბოლოს თანხმობა განმიცხადა. და მე მაშინვე ჭიბიდან ვიძრე ეს-ეს არის მიღებული დურმიშხანის წერილი.

— თქვენი გონიერებისა და კაიკაცობის ამბავი რომ ვიცოდი, ზვალინდელი მეცადინეობის კონსპექტი უკვე შევადგინე და მოგიტანეთ კიდეც დასამტკიცებლად.

მაიორი გაკვირვებით ჩააცქერდა ოკრო-ბოკროდ ნაჯღან სტრიქონებს, წერილი ხან წაღმა შეატრიალა, ხან უკუღმა, ეს როგორი ნაწერი გქონიათ ქართულელბსო, მითხრა და უკან მომაწოდა, წაიკითხე და მითარგმნეო. თვალი სტრიქონთა უღელს შევუბი და ენა მოვიქავე. მაიორმა ორიოდ შენიშვნა მოძეცა, რაც წერილის ბოლოში მივაწერე. ამის შემდეგ რუდენკომ წერილი გამომართვა ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში ირიბად წააწერა: „**Утверждаю. Майор Руденко**“. დამტკიცებული კონსპექტი დამიბრუნა და მითხრა:

— ხვალ მეცადინეობაზე აღარ და-

გესწრები. სხვებიცა მყავს მისახედი. აბა, შენ იცი!

რუდენკოს კარვიდან გამოვედი. მაკაროვი იქვე დამხვდა, სადაც დავტოვე. რა ჰქენიო, დაინტერესდა. კონსპექტი დავამტკიცებინე-მეთქი, სიცილით ვუთხარი და რუდენკოს მიერ რეზოლუციადადებული ღურძინიანის წერილი ვუჩვენე.

მთელ ბატალიონს მოედო ჩემი ოინის ამბავი. ხოლო როცა ამ ამბავმა რუდენკომდე მიაღწია, მასაც გაუცინია და ბატალიონის მეთაურისთვის, პოლკოვნიკ მუქასავეისთვის უთქვამს:

— როცა რეზოლუციას ვუდებდი, მაშინვე ვიცოდი, რომ ის ყმაწვილი ჩემს გაცურებას ლამობდა. არ დავწყვიტე გული. ისიც გაიცინებს და ჩვენც გაციინებთ-მეთქი. გაციინებას მაინც ლამის გადაჩვეულები ვართ.

რუდენკომ მაჯობა. მან ამით თავისი ადამიანურობა დაამტკიცა, მე კი ნამუსში ჩამავლო.

მორიგი მეცადინეობისათვის მე უკვე რუსულ ენაზე დაწერილი კონსპექტით ვეახელი თავჩაღუნული.

— ახლა ბოდინების მოხდა არ დაიწყო, — წყენანერევი ხმით მითხრა შაიორმა. — მომატყუე? — ალალი იყოს! დღეის მერე კონსპექტების დაწერისგან განთავისუფლებ. მეცადინეობებზე კი, როცა საშუალება მექნება, დაგესწრები ხოლმე.

ასათი ზაცლოვაც ზეიძლება მოხდეს

თითქმის ყოველკვირა იდებდა წერილებს. და მერე როგორ წერილებს! — საგულდაგულოდ დაწერილს, დაწერილს კი არა, დახატულს და კონვერტში ჩადებულს, მაშინ როცა ყველახი სამკუთხად გაეცილ ქალაღის ფურცლებს ვიღებდით. სად იყო კონვერტები!

„ჩემო ერთადერთო საყვარელო ლეონია!“ — ასე იწყებოდა ყველა წერილი. ეტყობა, ამ სიტყვების ასოთა

კონტურებს ჯერ ფანქრით მოხზავდა და მერე ფერადი ძაფებით ამოჭატავდა ხოლმე. როგორც წესი, მისი წერილი სამი სიტყვა მწვანე ან ცისფერი ძაფით იყო ხოლმე ამოჭარგული, ხოლო მეოთხე — ბრღელიაღა წითლით.

— სკოლის მერხზე შევიყვარეთ ერთმანეთი, — მეუბნებოდა ლეონიდი. — ის იყო სკოლა დავამთავრეთ, რომ ომიც დაიწყო. მე ჯარში წამოვედი, ნადიამ კი იქვე, ნეიაში, შეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

ლეონიდი წერილს რომ მიიღებდა, ჯერ თვითონ წაიკითხავდა და მერე მე გადმომაწვდიდა.

— აი ნახე, პოეტო, როგორი წერილების დაწერა შეუძლიათ შეყვარებულებს.

არცა ცდებოდა. გულშიჩამწვდომად, თბილად და მთრთოლვარედ იყო დაწერილი ყოველი სტრიქონი. ასეთ სტრიქონებს მხოლოდ ჰეშმარიტი სიყვარული თუ დააწერინებს ადამიანს.

— რა ვქნა, ასე მგრძნობიარედ და ლამაზად რომ არ შემიძლია წერა, — გულწრფელად წუხდა და განიცდიდა ჩემი მეგობარი.

წერილები კი მოდიოდა და მოდიოდა. თითქმის ყოველკვირა მოდიოდა. ან ქალაღ-კონვერტს საღ შოულობდა, ან ფერად ძაფებს, საღ პოულობდა ამდენ დროსა და ამდენ ათრთოლებულ სიტყვას...

ასე ყოფილა ჩემ მიერ ლეონიდის გაცნობამდე და ასე იყო ჩვენი ერთად ყოფნის გრძელი რვა თვის მანძილზე.

ერთხელ, სანდომირის პლაცდარმზე თავდაცვაში დგომის დღეებში ნადიას მეც შევეხვინანე. როგორც მისი გულის რჩეულის ერთგული მეგობარი, თუმცა მან ჩემზე უკვე ბევრი რამ იცოდა ლეონიდის წერილებით. იმანაც არ დაიყოვნა პასუხი. შემადლობებოდა ლეონიდის წრფელი მეგობრობისათვის, მთხოვდა, გაეფრთხილებოდი მისი „პირველი და საბოლოო სიყვარულის“ სიციხლესა და ჯანმრთელობას.

ლეონიდი ნადიას ყველა წერილს ინა-

ხადა. მის საველე ჩანთას უკვე შესამჩნევი მუცელი გაეკეთებინა.

ამ წერილების მწვერვალთა მწვერვალი მაინც გამარჯვების დღეს — ცხრა მაისს დაწერილი ბარათი იყო. გადარჩენილი და გამარჯვებული სიყვარულის საგალობლად ქდერდა, მოახლოებული და უეჭველი შეხვედრის ზეიმად ზიშნიშებდა ყოველი სიტყვა და ყოველი სტრიქონი. სულ სხვა ელფერი დაპყრავდა ფერადი ძაფებით ამოქარგულ პირველ მისასალმებელ სიტყვებსაც — „ჩემო საყვარელო ერთადერთო ლეონია!“ ფერები უკვე სიტყვებს შორის კი არა, ასობებს შორის მონაცვლეობდნენ.

...იმ დღეს საუზმის მერე შევიარე პოლკის შტაბში. ფოსტა პირველად აქ მოჰქონდათ ხოლმე. ჩემს სახელზე არაფერი იყო. წერილების გორაკიდან კონვერტის კუთხეს გამოეყო თავი. ნადიას წერილი იქნება-მეთქი, კიფიქრე და ყურში ჩავავლე ხელი. ვუძანა გამიმართლა.

ლეონიდი ჩვენი კარვის წინ ფიჭვის ხეზე ზურგმიბჯენილი იჯდა და წერილს წერდა. რა თქმა უნდა, ნადიას წერდა.

— სდექ, ამხანაგო ლეიტენანტო! — შევძახე მისვლისთანავე. — ეს წერილი წაიკითხე და მერე უფრო მგრძნობიარედ დაწერ.

მიმიხედა რა წერილიც იქნებოდა. გახარებული წამოხტა. მერე იმავე ხის ძირში მიჯდა და კონვერტი გახსნა. მეც მის შორიასლო ჩამოვყექი.

ვეყურებ და თვალს არ ვუჭერებ. როგორც კი პირველ სტრიქონს შეავლო თვალი, სახიდან ღიმილი გაუქრა. ჯერ აწითლდა, მერე გაფითრდა. ოფლი გამოაყარა.

ალბათ რამე უბედურება მოხდა. ნადია და ლეონიდის დედა ხომ ერთ პატარა ქალაქში, ერთ უბანში ცხოვრობენ. მინდა ვკითხო, რამ აგაფორიაქა-მეთქი და ენა ველარ მომიბრუნებია.

ლეონიდი წერილს ბოლომდე გაფაციცებით ჩაჰყვა და ფიჭვს უღონოდ მიეყრდნო ზურგით.

ახლა კი ველარ მოვითმინე და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი.

პასუხად წერილი გადმომიგდო წავიკითხეო.

ისევ ძველებურად ამოქარგული სიტყვები: „ჩემო ერთადერთო საყვარელო“ და... არა, თვალი მატყუებს, ნამდვილად თვალი მატყუებს, მომდევნო სიტყვაზე ლამის მეთედ გადავატარე გაღმასებული მზერის გუთანი, ათქვრევე, თითებით კი არა, მუშტით მოვიფშვნიტე ორივე თვალი და მაინც მეოთხე სიტყვა ლეონიად ვერ ამოვიკითხე. მის მაგივრად ვანია წერია. „ჩემო ერთადერთო საყვარელო ვანია!“

და ამ მისალმებას მოსდევდა ისეთივე თბილი და ყრუანტლისმომგვრელი სტრიქონები, როგორც იმ წერილებში, სადაც ვანიას ნაცვლად ლეონია ეწერა. წერილში მხოლოდ ჩვენთვის უცნობი ერთი ახალი ეპიზოდი იყო: ავტორი აღრესატს ეფიციებოდა, არასოდეს დაევიწყებ შენთან ერთად გატარებულ იმ ჯადოსნურ საღამოსო.

დიდხანს იჯდა ლეონიდი უსიტყვოდ და გაუნძრევლად. ბოლოს წამოდგა, თუ მძა ხარ, ამ ამბავს ნუ გამიხმაურებო, მითხრა, კარავში შევიდა და საწოლზე პირქვე დაეშო.

— ლეონიდ, — ვეუბნები მეგობარს.

— ახლა შენ ის წარმოიდგინე, ის ვიღაც ვანია თავისი მისამართით მიღებულ წერილს რომ გახსნის და ფერადი ძაფებით ამოქარგულ პირველ სტრიქონს რომ წაიკითხავს — „ჩემო ერთადერთო ლეონია!“ მაგ შენ ჰკვიან ნადიას შენთანაც და იმასთანაც ერთდროულად დაუწერია წერილები.

იმავე დღეს ნეიაში წავიდა ჩემი მოკლე წერილი: „ერთადერთო საყვარელო ნადია! როგორც თქვენი ბოლო წერილით დადასტურდა, თქვენ ძალზე ფართო და ბევრისდამტყევი გული გქონიათ. ამიტომ ვთავაზობთ ჩემს შეყვარებას. მოკითხვა გადაეცით ვახიას, ოღონდ ჩემთვის გამოსაგზავნი წერილი მისთვის განკუთვნილ კონვერტში არ ჩაღოთ.“

ლეონიდა წერილის ზედა მარცხენა კუთხეს წითელი მელნით გარდიგარდ-მო მიაწერა: „თანახმა ვარ!“.

იმ დღის მერე ჩვენი მისამართით — „საველე ფოსტა T-410“ ნადის წერილი აღარ მოსულა.

მინაწერი. გაწვილებული სიყვარულის ამბავი ლეონიდს ოცდაათი წლის შემდეგ შევახსენე. სამხიარულოდ შევახსენე, ცოტას გავიციანებთ-მეთქი. პირიქით კი გამომივიდა — კაცს ხასიათი გაუფუჭდა. ის ამბავი თურმე ისევ ტყვილად ჰქონოდა ჩარჩენილი. უცებ ვეღარც შევჩერდი და ვკითხე: შინ დაბრუნების შემდეგ ხომ არ შეხვედრიხარ-მეთქი იმ ქალს.

— როგორ არ შეხვედრივარ. ჩვენ ხომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. სამი თუ ოთხი ქმარი გამოიცვალა და ახლაც გასათხოვარია. ისე კი, რომ იცოდე, ახლაც პირს მარიდებს. რა ვიცი, იქნებ ერცხვინება კიდევც...

სოფელი ბნის პირას

კვირადღობით ვისვენებთ. ტანსაცმელს ვირეცხავთ და ვითოვებთ, აწყვეტილ თუ მორღვეულ დიღებსა და დღემებს ვაკერებთ, ტანს ვიბანთ, თმებში მაკრატელს ვაჭიკჭიკებთ და ლოყებს სამართებელს ვაოვივინებთ. იმედოვანი და უმუქარო დღეებში ვრცლად და გულიანად იწერება წერილები საყვარელ ადამიანებთან. იწელება ბიანი, მღეროვანი მგალობელი ბიჭები, ხმელი წიწვებით მორბილებული მიწის ზედაპირზე დახტიან აცეკვებული ჩექმები.

და ყველა ჩვენგანის ყოველ შეტოკებაში, ყოველ თვალისახელაში თუ ამოსუნთქვაში ხანძრის გამჩენ ნაპერწკლებს აკვესებს სამშობლოში დაბრუნების წყურვილი, შინძისვლის წყურვილი, ის ყველაზე დიდი წყურვილი, ომის გრძელ გზაზე ჩვენი გულისა და გონების შორეულ კუბჭულეებში რომ მიმალულიყო და თავს ძალზე იშვიათად თუ შეგვახსენებდა ხოლმე. ის თურმე ამ დღეებს, მშვიდობის დღე-

ებს ელოდებოდა, რათა ჩრდილიდან გამოსულიყო და ძალზე ატყუებული აბრიალებულიყო.

გნებლინი თქვენ

კარვების ქალაქში ვეღარ ვეტყვი. უჩექმებო და უსამხრეებო ცხოვრების სიახლოვე მომწყურებია. კერძო-მოდგმული ღუმლით ასუნთქებული კერის სურნელი მომნატრებია, ოცნებად მქცევია ქალის გაღიშების დანახვა და ბავშვის ქლურტულის გაგონება.

ეს მონატრება ვანსაკუთრებით კვირადღეებში მისუსხავს სულს, ახლად-ჩამომდგარი ზაფხულის „უსაქმო“ დღეებში.

...იმ კვირადღეს სადილის შემდეგ დასავლეთისაკენ მიმავალ ერთ-ერთ ბილიკს დავადექი ალაღბედზე. სადაც მიმიყვანს, მიმიყვანს. ვახშობამდე დიდი დროა.

უკვე კარგა მანძილით გავცდი კარვების ქალაქს.

ესა უცებ საელქეჭო ღრუბლები შეესია. ქექა-ქუხილმა ელვა ელვას და აძგერა. ყველაზე დიდი ფიჭვის ტანს ავეკარი. წიწვების მკვრივმა ქსოვილმა მოქივლებულ წყალს ვერ გაუძლო. ძირისძირობამდე დავევიდი.

ქარიც ამოვარდა — ეკლებიანი მჩხვლეტავი ქარი, ერთმანეთს შეაღეწა სველი ხეები, ცაში აიჭრა, ღრუბლები დაარბია და ძუძუებჩამოწურულები ატმალ მიმოფანტა.

კანკალატანილმა ტანსაცმელი სხეულზევე ჩამოვიწურე და ისევ ბილიკს დავადექი.

ტყე დამთავრდა. ჩემს წინ სოფელი გამოჩნდა. ერთი სული მაქვს, სადმე შევიდე, ოდნავ მაინც შევთბე და გავშრე. პირველივე სახლის ეზოში შევდივარ და კარზე ვაკაკუნებ. კარს არავინ აღებს. სხეული მიგრძობს, რომ ფანჯრიდან ვილაც მიყურებს, — შეა ხნის ქალია. ხელის ქნევით მანიშნებს, რომ კარები არ გაიღება.

მეორე სახლს მივადექი, მესამეს, მეოთხეს... და უცებ ქუჩიდანვე შევნიშნე ოდნავ კარმოდებული სახლი. ღია კარზე მივაკაკუნე. მოხუცი კაცი გამოჩნ-

და. თუ შეიძლება შემოვიდეთ-მეთქი, ვუთხარი. გთხოვთ, მითხრა და წინ გამიძღვა. ტალანის ხელმძღვანელ პირველ ოთახშივე შემოვიყვანა. ღუმელი მზიარულად ღუმულებდა. ღუმელის წინ ორი ახალგაზრდა ქალი იჯდა. კარტოფილს ფეკენინენ.

შეცბენ და მხედვლები.

შეცბები სტუმარიც. გამარჯობის თქმის მტვი ვერაფერი მოვახერხე. ღუმელს ავეკარი და მივეფიცე. მოხუცმა კაცმა ჩაიმუხლა. მღუმარენი ერთმანეთს ჩუმრუხად ვათვლიერებთ.

მინც რა ყოფილა ენის უცოდინრობა!

და ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე ენის შეტოკება:

— მე ქართველი ვარ, სტუდენტი.

ახალგაზრდა ქალმა, დახას მარცხენა ხელით რომ ამუშავებდა, თავი ასწია. ნათელჩამდგარი მხერა დამაბჯინა და სამაღსამი სიტყვა ამოთქვა:

— Georgien? Elbrus? Stalin? —

საქართველო? იალბუზი? სტალინი?

თავი დაეუქნე გახარებულმა, თითქოს ერთდროულად ვყოფილიყავი საქართველოც, იალბუზიც და სტალინიც.

საოცარი სითბო ჩადგა ჩვენს შორის.

ოთახში დედაბერიც შემოფარფატდა და მოხუც კაცს მიუჭდა გვერდით. ჩემი სხეულიდან ადენილი ორთქლი თანდათან გაილია. ფანჯრიდან მაცქერალ მზეს შევატყე, რომ უკვე მოლონიერებულოყო. უნდა წავსულიყავი, დაღამებამდე უნდა მივიდე ნაწილში, თორემ მერე ტყის ბილიკებზე გზას ვეღარ გავიგნებ.

ღუმელს მოვიცილდი, ქუდი დავიხურე და დამშვიდობება დავაპირე.

ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში კარტოფილი უკვე ქოთქოთებდა.

— ნუ აჩქარდებით, — შეუბნება ცაცია გოგო. კარტოფილი უკვე ძალე მოიხარება. დაგვეწვიეთ. უპურობაზე კი ბოდიშს მოგიხდით. პურის გემო ჩვენ უკვე დავიწყებული გვაქვს.

უარიც და მადლობაც ერთდროულად ვუთხარი.

კარის ზღურბლთან მისულმა, როგორც შეშეძლო, ისე ვუთხარი, რომ მეორე კვირისთვის შემოვივლიდი და ვნახავდი.

ქალებმა ეზოს ჰიშკრამდე მიმაცილეს.

მეორე კვირას მე და სმირნოვი ვესტუმრეთ ჩემს ნაცნობ გერმანელებს. თან თეთრი პურის მთელი ბუხანკა მივიყოლეთ. ნახევარი ლიტრი არაყიც მივიტანეთ და ხორცის კონსერვიც. კარი დედაბერმა გაგვიღო. მის გვერდშივე იდგა ის ახალგაზრდა ქალი, კარტოფილს მარცხენა ხელით რომ ფეკენინდა. მოხუცს სიტყვის თქმაც არ აცალა, მობრძანდითო, წამოიძახა და სასტუმრო ოთახში შეგძღვდა. მალე იმ ოთახში მეორე ახალგაზრდა ქალიცა და მოხუცი კაციც შემოვიდნენ.

ოთახში შესულებმა ქალაღში საგულდაგულოდ შეხვეული ჩვენი ძღვენი რომ გავხსენით და მაგიდაზე პურის ბუხანკა დაედეთ, ოთხივენი მოცელილებივით დაეშენენ სკამებზე, პირჯვარი გადაიწერეს და ერთდროულად წამოიძახეს:

— Brot?

ალბათ მათი თვალი იმ პურის გარდა ვერაფერს ხედავდა.

სუფრა ჩვენი მიტანილი ძღვენით გაიწყო.

მათ დღეს კარტოფილიც აღარ ჰქონდათ.

გერმანელები პურის ჰირველ ნაჭრებს საოცარი მოკრძალებით ეამბორნენ და მე მათს თვალეში გამოყოფილი ცრემლებიც დავლანდე.

და ისევ ეს წყვეული ენის უცოდინრობა!

ის კი გავიგეთ, რომ ამ სოფელს თანვალდი რქმევია, რომ ეს მოხუცები ამ ქალების შშობლები ყოფილან, ხოლო ეს ქალები — დები: ფანა და თრაუთე.

ჩვენ რუსულად ვსაუბრობთ, მასპინძლები — გერმანულად, ერთმანეთისა ძალზე ცოტა რამ გვესმის, მაგრამ მინც ვსაუბრობთ და წარმოიდგინეთ, ვიცინით კიდევ.

ქალები არაყს ცოტ-ცოტას წრუტავენ, ბერიკაცი კი ლამის მხარს გვისწორებს. უცებ ზეზე დგება თრაუთე. საოცარი გარდასახვის მოწმენი ვხდებით — ამ ლამაზ ქალს სახე ეღრიცება, ცალ ფეხი უმოკლდება, დამოკლებულ ფეხზე მოუსვენრად ცქმუტავს, წინ გამოწვდილ მარჯვენა ხელის მტევანს ცივბიანივით ახტუნავენს და გაურკვეველი სქესის ადამიანის ხმაზე ყფს და წკმუტუნებს.

გებელს — ფაშიზმის იდეოლოგიურ მესვეურს ანსახიერებს.

დაიღალა. სახეზე ოფლის წვეთები გამოასხნდა. ხმა ჩაეხლიჩა. ვუყურებ და მეშინია, ვაი თუ თავისი ანგელოსური სახე ველარ დაიბრუნოს-მეთქი.

უცებ დაღუმდა, ნელ-ნელა დაიბრუნა თავისი სახე და იმ სახეზე აუწერელი ტკივილი აღებეჭდა.

— დაგვლუპეს, მთელი გერმანია დალუპეს წყეულებმა! — ნერვიულად წამოიძახა და დაჯდა. იმ დღეს აღარც თრაუთეს გასცინებია და არც სხვებს.

იმ საღამოს თქმული თრაუთეს ექვსი სიტყვა დამახსოვდა:

— Hitler — Rassa.

— Tschertschil — Kassa.

— Stalin — Massa.

— ჰიტლერი — რასა, ჩერჩილი — კასა, სტალინი — მასა.

სულ ექვსი სიტყვა! რაოდენ ამომწურავი და ყოველმხრივი დახასიათება მაშინდელი მსოფლიოს სამი მესვეურისა!

... სახლის სახურავებზე გამოკვეთილ კოპწია ოთახში პატარა მაგიდას ვუზივარ. წინ ქალაღი მიდევს და ლექსს ვწერ. უცებ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვიხედე. თავზე თრაუთე მადგას და თვალებად ქცეული, უკვე კარგად ჩამოგრძელებულ გადაშლილ-გადმოშლილ სტრიქონებს დაჰყურებს. რას წერო, მეკითხება გერმანულად არ შემიძლია ეუპასუხო. ბოლოს მსოფლიოს გამოჩენილი პოეტების გვარებს წარმოვთქვამ და ვეკითხები, აი ისინი რას აკეთებდნენ-მეთქი. იქამდე მივიყვანე,

რომ გერმანულად სიტყვა ლექსი ვათქმევინე. — ლექსებს წერდნენ მანამ გაიგო თრაუთემ, რომ მსმენელს ვუხდოდი ღალას. გაუხარდა, ძალზე გაუხარდა, მოულოდნელად ოდნავ წამღერებით წამოიწყო:

— Ich liebe, du liebst, er liebt.

მე მიყვარს! შენ გიყვარს! მას უყვარს! გაუთავებლად იმეორებს და მეც თუთიყუშოვით მამეორებინებს:

— Ich liebe, du liebst, er liebt.

... სოფლის დამშეული მოსახლეობისათვის კენკრეული ქცეულა არსობის პურად. კენკრის საკრეფად ენაც და თრაუთეც დადიან ტყეში. მათთან ყოფნის დროს მეც დავეყვები ტყეში.

იმ დღეს საშინლად მტკიოდა თავი. ტყეში შევედი თუ არა, პატარა ველობზე წამოვწევი. დებმა შეატყეს, კენკრის კრეფაში მხარში რომ ვერ ამოვუდგებოდი და მეკითხეს, რა მოგივიდაო. ხელი შუბლთან მივიტანე, მტკივა-მეთქი. თრაუთეს ეგონა, რომ მუზა მეწვია და მითხრა: კარგი, შენ აქ დარჩი და დაწერეო. რა მექნა, როგორ გამეგებინებინა, რომ მე თავი მტკიოდა. წამოვიწეი. ჩემს გვერდით ჩამომჯდარ თრაუთეს მკლავში ხელი წავავლე და იდაყვს ზემოთ გამეტებით ვუჩქმიტე. ჩემი საქციელით გაკვირვებულმა და ცოტა არ იყოს გულმოსულმა ქალმა იყვირა და მკლავი გამომტაცა — მეტკინაო, მითხრა საყვედურით. უკვე დაარხეინებულმა ხელი შუბლთან მივიტანე და მის მიერ თქმული სიტყვა გავიმეორე. დებმა ახლა კი გადაიკისკისეს, ერთი მარჯვნივ ჩამომიჯდა, მეორე — მარცხნივ და ამღერდნენ. რა საოცრად ტკბილად, გულში ჩამწვდომად მღეროდნენ. მათგან ვიგრძენი პირველად გერმანული ხალხური სიმღერების ღვთაებრიობა. სისხლი თბილად აჩქეფდა ძარღვებში, გავბრუვდი, დაემსუბუქდი, მეგონა, ზღაპრულმა ფრთებმა ამიტაცეს და საოცრების სამყაროში გამიტაცეს. მერე უკვე ბურანში შესულს რუსული მელოდია ჩამესმა. დები გერმანულ ენაზევე მღე-

როდნენ ცნობილ რუსულ სიმღერას „ვოლგა, ვოლგა“. მეორე დღეს ჩვენს კარვების ქალაქში დაიბადა ლექსის სტრუქტურები: „ქალები ტყეში კრეფდხენ ყვავილებს, ოდერზე მღეროდა ვოლგა“. იმ სიმღერებში ჩამძინებოდა. და როცა კენკრით ავსებულკალათებიანმა დებმა გამომაღვიძეს, არავითარ ტკივილს აღარ ვგრძნობდი და თვითონაც სიმღერად ვიყავი ქცეული. და, ამას გარდა, ჩემი სასაუბრო გერმანული ლექსიკონი გამდიდრებული იყო კიდევ ერთი გერმანული სიტყვით — ტკივილი.

ერთ დღეს ეკლესიაში გავყევი ოჯახს. ორლანთან თრაუთე დაქდა. თურმე ის იყო ამ ორლანოს შეუცვლელი დამკვრელი. ომის კოშმარიდან ეს-ეს არის გამოსული ადამიანები მორჩილად ისხდნენ მერხებთან, ლოცულობდნენ, პირვარს იწერდნენ და სიკეთეს შესთხოვდნენ ღმერთს. კართან ვიდექი ქუდმოხდილი, გულისტკივილით შევეყურებდი ჯოჯოხეთგამოვლილ ადამიანებს — ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს და ჩემს გულში მეც ელოცულობდი — მომავლის უომარ დღეებზე ელოცულობდი.

თანვალდში შესულს ყველაზე პირველი ის დედაკაცი მესალმებდა, ამ სოფელში პირველად მოსულს, წვიმით გალუმბულსა და სიცივისაგან აკანკალებულს სახლის კარი რომ არ გამოიღო. ქუჩაში იმის სახლის წინ ისე ვერ გავივლი, ეზოში მყარფმა თუ ფანჯრიდან თავგამოყოფილმა გულიანად რომ არ გადმომძახოს:

— Guten Tag, Herr Leutnant! —

ჩვენი ეს კეთილნაცნობობა თანვალდში ჩემი მეოთხედ თუ მეხუთედ მოსვლის მერე ჩაისახა. იმისი სახლის ქიშკართან იმ დღესაც ბავშვები თამაშობდნენ, ბავშვები კი თურმე მუდამ ბავშვებად რჩებიან, უზრუნველობასა და ონავრობას ვერც ტკივილი ავიწყებთ და ვერც შიმშილი. ჰოდა, ერთი ქრიაშული ჰქონდათ ატეხილი. ადრე შორიდანვე შემამჩნევდნენ თუ არა, თამაშობას სწყვეტდნენ, ქიშკარს იქით შელაგდებოდნენ და იქიდან ცნობისმოყ-

ვარობითა და მორიდებით, ალბათ შიშითაც, მანამდე მიყურებდნენ, ნეკლდე თვალს არ მივეფარებოდნენ. სწავლა ქიშკარს შიგნით შესვლა არავის უფიქრია, ქუჩაშივე დარჩნენ და დაეინებული მზერით მომაჩერდნენ. თავისდაუნებურად ტუჩებიც შეუტოვდათ. და როცა ორიოდ ნაბიჯით გავედი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ისინი მე კი არა, ჩემს ილღიაში ამოჩრდილ პურის ბუხანკას ჩაადნენ თავიანთი დაპყვითელი თვალებით. იმ პურს მზერას ვერ ამორებდნენ და ნერწყვი ახრჩობდათ. მაშინვე უკან შემოვბრუნდი, ქუჩის პირას ჩამოვკეკი, ბავშვები ირგვლივ შემოვისხი, პური მუხლებზე დავიდე და ჯიბიდან დანა ამოვიღე. ხუთივეს ჩამოვურიგე იმ ღამის გამომცხვარი სურნელოვანი პურის ნაჭრები.

— პური, პური! — ერთი კი წამოიძახეს და ყბები ამოიტენეს.

ნახევარი ბუხანკა დავუქერი ბავშვებს.

მოულოდნელად ჩამესმა ქალის ათროლებული ხმა:

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! ქიშკარში ის ქალი იდგა, წვიმით გალუმბულს კარი რომ არ გამოიღო.

იმ ბავშვთაგან ორნი მისი შვილიშვილები ყოფილიყვენ.

ჰოდა ახლა, იმ სახლის ეზოდან თუ ღია კარიდან (ის კარი ჩაკეტილი აღარც მინახავს) იმ ქუჩაზე ავიღის თუ ჩავლილს ლოცვასავით ჩამესმის იმ ქალის ხმა:

— Guten Tag, Herr Leutnant!

გამარჯობათ, ბატონო ლეიტენანტო!

— Auf Wiedersehen, Herr Leutnant! — ნახვამდის — ბატონო ლეიტენანტო!

იმ ქალის ხმას ყოველგვარად აძლევს ბანს ის ბავშვებიც, რომლებსთვისაც მუდამ ვცდილობდი, რაიმე სასუსნავი მქონოდა ჯიბეში.

იენისი ილეოდა. იმ კვირა დღეს მარტომ გავწეე თანვალდისაკენ. თრაუთეს სახლთან მიახლოებულმა სახურავის ოთახის სარკმელს შევაღე თვალი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. ინსტუტ.
ზინალოთეა

სარკმელთან თრაუთე იჯდა და გზისკენ იყურებოდა. დამინახა თუ არა, ადგილს მოსწყდა და ჭიშკართან შემომეგება.

— წავიდეთ, ეკლესიისკენ წავიდეთ!
— ისიც კი არ უთქვამს, რისთვის უნდა წავსულიყავით, ხელი ხელში ჩამავლო და გამიტაცა.

ლამის სირბილით შატარა ეკლესიამდე.

ეზოში საბარგო აეტომანქანა იდგა. რამდენიმე ჩვენი ჯარისკაცი მიწას თხრიდა.

ახლოს მივედი. მივესალმე ბიჭებს.

თებერვლის ბოლოს მათ აქ ოთხი თვისანთი თანამებრძოლი მიუბარებიათ მიწისათვის. ფიცხელი ბრძოლები ყოფილა და უბრალო ქვის დადებაც ვერ მოუხსრიათ.

— ძმათა სასაფლაოზე უნდა გადავასვენოთ ჩვენი დაღუპული ძმები, — მითხრეს გულისტკივილით.

და აი, ისინიც გამოჩნდნენ. გულამა იწვნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ, შინლებგაუხდლები და ქუდებმოუხდლები.

მანქანის ძარიდან ოთხი კუბო გადმოიღეს და შიგ ფრთხილად ჩაასვენეს ცხედრები.

ერთი თვის მერე ვნახე ის ძმათა სასაფლაო, უზარმაზარი სამკუთხედი, რომლის სამივე კუთხეშიც, ბეტონით ამოშენებულ პოსტამენტებზე, ბრძოლებში დაზიანებული ჩვენი სამი ტანკი იდგა. ყოველ დაღუპულს თავისი საფლავი ჰქონდა. ყოველ საფლავეზე ქვის ფილა იდო, რომელზეც იქ მწოლის გვარსახელი იყო ამოკვეთილი. აგურის ნამსხვრევებით მოხრეშილი ბილიკების გასწვრივ ცეცხლის ალივით ბრდღვიალა ყვავილები ქოთქოთებდნენ. რამდენიმე ათასი კაცი იწვა. და მე მათს შორის ამოვიკითხე გვარები ჩემი სამხედრო სასწავლებლის თანაქურსელებისა — აშოტ ბაღდასარიანისა, რომელმაც პარტიაში შესვლის რეკომენდაცია მომცა და გიგო შეწირულისა, უთქმელი და ალალი ჭაბუკისა, თავს ერთი ნახვითაც რომ დაგამახსოვრებინებდა.

შარშან სექტემბერში ბრძოლაში გასვლის წინ ექშუვში დავშორდი ერთმანეთს პირობადათქმულდნენ, რომ ერთმის შემდეგ ერთმანეთს შევხვდებოდით... დავაი, რომ თურმე ასეთი შეხვედრა გვეწერა...

სასაფლაოზე გერმანელი ქალები ფუს-ფუსებდნენ, უღიმილოები და გულდამდურებულები. ყვავილებს მიწას უფხვიერებდნენ, ახალდარგულებს წყალს უსხამდნენ, საფლავის ქვებს ნამიანი ჩერებით აპრიალებდნენ. იქნებ მათს შორის ის ქალიც იყო, რომლის ქმრის, ძმისა თუ შვილის ტყვიამაც განგმირა ჩემი მეგობრების გული...

იმ დღეს კი, ცოცხალმა თანამებრძოლებმა თანვალდის ეკლესიის ეზოში დაღუპულთა ცხედრები რომ ამოასვენეს, ჩემს გვერდით იდგა და ცხარე ცრემლებით იმდულრებოდა თრაუთე — ქალი, რომლის ძმაც საღაჯ რუსეთის მიწაში იწვა. და ეგებ ამ ქალს იმ წუთებში თვალწინ ედგა თავისი ძმაც — შინელჩამპალი და თვალებჩაშრეტილი...

მომდევნო კვირას უკვე გამოსამშვიდობებლად მივაკითხე თანვალდელ ნაცნობებს. ჯერ დალონდნენ, მერე საბეები მოიღიმილიანეს — კეთილად გველოს, საღად დაბრუნებოდე დედაშენსო.

კარგა მანძილზე გამაცილეს. ოთხივემ გამაცილა.

— სიყვარულზე დაწერე! არ დაგავიწყდეს, აუცილებლად დაწერე! — მომდევნა თრაუთეს ხმა.

— დაწერე! აუცილებლად დაწერე! ლექსს შენზეც დაწერე, თრაუთე, გულით დაწერე!

დები თავზევით აწვდილ თავშლებს მანამდე აფრიალებდნენ, ვიდრე ტყეში შესულმა გზამ წიწვნარის ტევრში არ გამაუჩინარა.

მაგრამ თურმე ერთხელ კიდევ, მართალია სულ რამდენიმე წუთით, მაგრამ მაინც უნდა შევხვდე თრაუთეს...

რომელ მანქანას იწებებთ? აბრჩიეთ!

ჩვენი პოლკი თავის არსებობას სწყვეტს.

ჩანშიშესულები შინ დაბრუნებისათვის ემზადებიან.

ახალგაზრდებს სხვადასხვა ქალაქში ანაწილებენ.

მე და გიორგი ჩაჩხუნაშვილი ამჟამადც ერთად მოვხვდით — სადღაც ბრესლაუს დასავლეთით განლაგებულ საარტილერიო ნაწილში გაგვგზავნენ.

სათითაოდ გადავკოცნე ჩემი ოცეულის ბიჭები, დავემშვიდობე სმირნოვს, მაკაროვს, ჩვენი ასეულის მეთაურებს. თურმე რაც არ უნდა გულშაგარი ვაჟკაცი იყო, ასეთი დამშვიდობების დროს გული მაინც აგიჩვილდება და თვალზე მოწოლილი ცრემლი თუ ძალით არ მი-აბრუნე უკან, შეგარცხვენს კიდევ.

ღილით მანქანით წასულები საღამოს უკვე ახალი დანიშნულების ადგილზე ვიყავით. ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში, ძველ გერმანულ ყაზარმაში განლაგებულიყო საარტილერიო პოლკი, რომლის ერთ-ერთი ასეულიც იმავე საღამოს ჩავიბარე.

ჩემი იქ ყოფნის მესამე თუ მეოთხე საღამო იყო. ქუჩაში გამოვედი, ვახშამადე ცოტას მაინც გავისიერებ-მეთქი.

ნებიერი ნაბიჯით მივდეგ ტროტუარს. ქუჩაში თითქმის სულ სამხედროები მიდი-მოდიან. სამოქალაქო პირს იშვიათად, ძალზე იშვიათად თუ მოჰკრავ თვალს. მოსახლეობა ნელ-ნელა უბრუნდება მიტოვებულ კერებს.

საოცრად თბილი და ალერსიანი საღამოა.

ფიქრში წასული ნებიერი ნაბიჯით მივდეგ ტროტუარს.

უკვე მარჯვენა მხრიდან ვილაც დამეტაკა, ისე დამეტაკა, ალბათ წავეიქცეოდაი კიდევ, რომ ღონივრად მოხვეულ მკლავებში არ აღმოვჩენილიყავი. მოვიხედე. თრაუთე! იქნებ მეჩვენება? არა, ის არის, ის, გზის მტკვრით წამწა-

მებდამძიმებელი, დალილი. მის გვერდით სხვა გერმანელი ქალიც ედგას, თრაუთეზე გაცილებით უფროსი.

გამახსენდა. თანვალდში რამდენჯერმე მითხრა, ბრესლაუში სახლი გვაქვს, ომში დაღუპული ძმის სახლიო. მეც იქვე ვსწავლობდი და დაუცოლშვილებელი ძმის სახლში ვცხოვრობდიო.

ოდერთან ჩვენი ჯარების მისვლის დღეებში ჰიტლერელებმა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასავლეთში გახიზნეს. თრაუთე თავისი შამის კერას დაჰბრუნებია თახვალდში.

და დღეს ის იმ სახლის მოსახლულე-ბლად გამოპყოლია თანვალდშივე შეხიზნულ ბრესლაულელ ქალს, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა.

მიდიოდა თრაუთე და არ იცოდა, გადაურჩა თუ არა ის სახლი ომს.

ბრესლაუდმე შევიდიოდე კილომეტრი კიდევ იყო გასავლელი.

როგორ მინდოდა გავყოლოდი, თავის სახლამდე მიმეცილებინა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო. ქალები ორიოდე კილომეტრზე გავაცილე. გამომშვიდობებისას თრაუთეს ვადაშლილი უბის წიგნაკი გავუწოდე, მისამართი ჩამიწერე, ხვალ ვინახულებ-მეთქი. ფანქრით ჩაწერა მისამართი: თაუნციეშტრასე, № 124.

მეორე დღეს დილიდანვე დავადექი ბრესლაუს გზას. ველოსიპედით წავედი, მაგრამ ქალაქში შესულს სულ თავბედი მაწყვევლინა იმ ველოსიპედმა ნანგრევებით ჩახერგილ ქუჩებში ფეხითაც ჭირდა სიარული. ბევრი ვიტრიალე და როგორც იქნა თაუნციეშტრასეზე გავედი. ქუჩის სახელი დაუნგრევლად დარჩენილი ერთი კედლის ნაგლეჯზე ამოვიკითხე. შემდეგ ნანგრევზე თვალი მოვკარი ციფრს 120-ს. აქ სადღაც ახლოს უნდა მდგარიყო თრაუთეს ძმის სახლი. სახლები კი აღარ-სადაა. არც არავინ არის, რომ რაიმე ვკითხო. ადამიანს ვინ ჩივის, ძაღლისა და კატის ჭაჭანებაც არ არის.

ქუჩის პირიდან კარგა მოშორებით,

ნანგრევთა კუნძულებში ერთსართულიანი გრძელი შენობა შევნიშნე. ეტყობა, საცხოვრებლად არ უნდა იყოს განკუთვნილი, მაგრამ რაკი დანგრეული არ არის, შეიძლება შიგ ვინმე ვნახო. ნანგრევების გორაკები გადავიარე და იმ შენობას მივადექი. კარი კი არა, ვეება დარკინული ალაყათი ება მომცროსარკმლებიან, ბრტყელი სახურავით გადახურულ შენობას.

ალაყათის წინ, ნანგრევებში ხანში შესული, ავადმყოფურად გასუქებული კაცი იჯდა. დამინახა თუ არა, ზეზე წამოდგა. მივესალმე და მთელი გულმოდგინებით დავუწყე ჩემი მისვლის მიზეზის ახსნა. ლაპარაკის დროს თვალს არ შეაცილებდა, გულდასმით მისმენდა, მაგრამ მის გამოცარიელებულ თვალებში ვერაფერი რეაგირება ვერ შევნიშნე. თავიდან დავიწყე, ენით, თვალით, სახით, ხელებით ვუბნებდი, რომ ამა და ამ ნომრის სახლში გუშინ ორი ქალი უნდა მოსულყო. ის სახლი უკვე აღარ არსებობს. და რადგან ახლომახლო ეს ერთადერთი შენობაა გადარჩენილი, იქნებ აქ თავშესაფარი ითხოვეს, ან რაიმე იკითხეს, მით უშეტვს, რომ ისინი უკვე დაღამების ეამს უნდა მოსულიყვნენ.

გერმანელს უცებ თვალებში შექიჩა უღდა.

— Bitte schön, Herr Offizier! — მითხრა და შენობისკენ შებრუნდა. გამიხარდა, როგორც იქნა სათქმელი გავაგებინე და ალბათ თრაუტეს ასავალდასავალსაც გავიგებ-მეთქი.

გერმანელმა ალაყათის მსგავსი კარი გამოაღო და შიგ შემიძღვა. იმ საოცრად გრძელი შენობის ორივე მხარეს ერთმანეთის გვერდ-გვერდ მსუბუქი ავტომანქანები იყო ჩამწყობებული.

კაცმა ხელი იმ მანქანებისკენ გაიშვირა და მითხრა:

— ინებეთ! რომელი მანქანაც გნებავდეთ, აირჩიეთ.

— მანქანას კი არა, ადამიანს ვეძებ, ქალს ვეძებ! — ლამის ვუყვირე საზეიმო პოზაში მდგარ მანქანების განმგე-

ბელს. მარჯვენა ხელი მოწვევით ჩავიქნიე და იმედგადააწურული გარკვე გამოვედი.

ქალაქის გარეუბნამდე ძლივს გამოვალწიე ზურგზე მოკიდებული ველოსიპედით.

მეორე დღეს აღმოსავლეთისაკენ გაიწეულა ჩვენი საარტილერიო ნაწილი, რომლის ერთ-ერთ ოცეულსაც ამ სტრატეგიების ავტორი მოუძღვოდა. ფორანზე ეწყო მთელი მისი ქონება — ცეცხლით კალთებგატრუსული შინელი და ტყავის მომცრო ჩანთა სათადარიგო საცვლებითა და ხალათ-შარკლით, სელოვნების შედევრთა რეპროდუქციებით — ღია ბარაფებით და ქრელსარჩულიანი კონვერტებით.

პოლონეთის გაყვლით ფეხით ვბრუნდებოდით სამშობლოში.

პოლონეთი. 1945. ივლისი-აგვისტო

ქალაქის ქალაქი

უკვე რამდენიმე დღეა, რაც აღმოსავლეთისაკენ მომავალ გზებს მოვდევთ.

ჩვენი დღიური „ულუფა“ ოცე-ოცდახუთი კილომეტრია.

ივლისის თაკარა მზით ოფლდადენილები დაღლას არცა ვგრძნობთ — ყოველი მეტრი და ყოველი კილომეტრი, ყოველი წუთი და ყოველი დღე სამშობლოს გვაახლოვებს.

მოცემენტებულ გზატკეცილებზე ნებიერად მორახრახებენ ფორნები. პირსახეზე და ტანსაცმელზე უხვად შეფრქვეულ მტვერს საღამოობით ვიყრევინებთ და ლამის გასათევად ხან ღია ცის ქვეშ, ხან გერმანელთა მიერ მიტოვებული სახლების ჭერქვეშ ვჩერდებით.

დღეს გადმოვკვეთეთ ხაზი, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბრამდე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, პოლონეთ-გერმანიის საზღვრად იყო მიჩნეული.

უკვე პოლონეთში ვართ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ნაცისტებს „გერმა-

ნულ მიწებად“ ჰქონდათ გამოცხადებული.

რომელიც პატარა ქალაქში შევიდით.

გზატყეცილი ქალაქის გულზე გადის. ორ-სამსართულიან სახლებს შორის გაწოლილ გზატყეცილზე გაიწეა ჩვენი კოლონა.

გზატყეცილის ორივე მხრიდან დედის მამებარი ფუტკრის გუნდებივით მოგვესიგნენ და მოგვაცხრნენ ქალები, მხოლოდ ქალები, და თითქმის ყველანი ახალგაზრდა ქალები — სეველიანებიც და გაზარებულიებიც, თვალცრემლიანებიც და სახემცინარებიც.

- გამარჯობათ, ჩვენებურებო!
- პოლტავეიდან ხომ არავინ არის?
- როსტოველებო, შეშეხმთან!
- კურსკელებს ვეძებ, კურსკელებს!
- რომელი ხარ მინსკელი?
- ნუთუ კიშინოვიდან არავინ არის? ყვირიან, ხელებს იქნევენ, კოლონის აღმა-დაღმა დაბრძან.

გერმანელებისაგან მიტოვებული და ჭერჭერობით პოლონელებით დაუსახლებელი ქალაქი გზატყეცილის ორივე მხარეს ლელავს, ხმაურობს, ყვირის რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, მოლდავეურ ენებზე, ქალის ხმით ყვირის და ხმაურობს, ტირის და იციანის.

ჩვენი კოლონიდანაც ელვასავით გაენთა შექაბილები:

- პოლტაველი აქა ვარ, აქ!
- როსტოველს ვინ კითხულობს, აქეთ წამოვიდეს!
- კიშინოვში არ ვცხოვრობ, მაგრამ მოლდაველი ვარ!
- ვინ ეძებს მინსკელს?

და არის ზევენა, კოცნა, ცრემლი... ასე მხოლოდ დიდი ხნის უნახავი და ძალზე აბლობელი ადამიანები ზედებიან ერთმანეთს.

და იმ წამსვე თავიანთ გვარ-სახელებს ეუბნებიან, ქალაქის უბანსა და ქუჩას ეკითხებიან, საერთო ნაცნობებს ეძიებენ.

უმრავლესობამ მაინც ვერ იპოვა თანაქალაქელი თუ თანასოფლეელი.

თვალეზად ქცეული ქალები ყველა ჩვენგანს თავიდან ფეხამდე ათვალიერებენ.

ერთის თვალეზი მე ჩამენთო. იქნებ ვინმეს მიმამსგავსა კიდევ...

ეს ქალი ოდესღეს ეძებს.

— რა ვქნა, დაია, ქართველი ვარ, საქართველოდან. ოდესაში არცა ვყოფილვარ, — ვეუბნები დაბნეული.

— მაინც ჩვენებური ხარ, ჩემი თანამემამულე ხარ, ლეიტენანტო! — ვეუბნება. ჩემი მხრები ახალგაზრდა ქალის მკლავებში ექცევა და ლოყას ცხელი ტუჩები მიწვავს და ვიდრე შეტოკებას მოვასწრებდი, ნახვამდის, ოჯახს მშვიდობით დაუბრუნდიო, მეუბნება და გზას განაგრძობს. და მე ისევ ჩამესმის მისი ცრემლნარევი ხმა:

— ნუთუ ოდესიდან არავინა ხართ?

ის პატარა ქალაქი გერმანულ ფაშისტთა მიერ გერმანიაში ძალით გარეკილი, მონური შრომისათვის განწირული და ჩვენი ჯარებისაგან განთავისუფლებული, სამშობლოში მიმავალი ქალების თავშესაყარ ადგილად ქცეულა. ტრანსპორტი ვერ აუღის მოზღვავებული ადამიანების გადაყვანას. და ის ქალები მოუთმენლად ელოდებიან თავიანთი გამგზავრების რიგს.

მათ სახეებზე ტყვილი იკითხება. ჭოჭოხეთურად მძიმე და დამამკირებელი მონობისაგან მიყენებული ტყვილი, რომელიც ალბათ მთელი სიცოცხლის გზაზე გაჰყვებათ.

და იმ ტყვილთან ერთად, გასაოცრად დიდი სიხარულიც იკითხება — ისინი ხომ მეორედ დაბრუნდნენ!

ნაბიჯმენებულნი ჩვენი კოლონა ქალაქიდან გადის და აღმოსავლეთისაკენ აგრძელებს გზას.

სიგარეტების გახედიველი

ისევ ქალაქი. პატარა პოლონური ქალაქი.

ქალაქის ქუჩებში ლამის ერთ საათს არ ჩათავებულა ჩვენი მწყობრის ნაკადი, ადამიანებისა და ცხენ-ფორნების

ახმაურებულ ტალღებად რომ მოედინებოდა.

მე ჩემს ასეულს მოვეუძლოდი წინ.

ქუჩის პირებზე ქალები და ბავშვები გამოფენილიყვნენ. გულლიად გვიღობოდნენ და ხელებს გვიქნევდნენ.

ქალაქის ცენტრში ქუჩის ორივე მხარეს ეიტრინებამოცარიელებული მაღაზიების რიგები იყო ჩამწყვრივებული. მათ უმრავლესობას კარზე ბოქლომები ედო.

ერთ-ერთი გამოკეტილი მაღაზიის წინ პოლონელი ყმაწვილი იჭდა. გვერდით ყავარჩნები ეწყო, წინ — სიგარეტებისა და ტარიანი პაპიროსების კოლოფები. ალბათ მათი ვაჭრობით ირჩენდა თავს ის ცალფეხა ბიჭი. სიგარეტებსა და პაპიროსებს კი მაშინ ოქროს ფასი ედო, არც იშოვებოდა.

მწყობრიდან გამოვედი და იმ ბიჭისკენ გადავეხვიე. ბიჭს ასზლოტიანი გავუწოდე და იმ თანხის პაპიროსების მოცემა ვთხოვე.

ხეიბარმა ისე შემომხედა, თითქოს რაიმე დანაშაული ჩამედინოს.

— თქვენ მოგყიდოთ პაპიროსი? თქვენ გამოგართვათ ფული? — წამოიძახა, პაპიროსის კოლოფებს ორივე ხელით დასწვდა და გამოიმწოდა. მე რე მის წინ გაშლილ ტილოზე ჩემს მიერ დადებულ ასზლოტიანს დაავლო ხელი, ცალ ფეხზე წამოხტა და ფულე ძალით ჩამიტენა გულის ჯიბეში — თქვენგან ფულს როგორ ავიღებ, თქვენ ხომ ჩემი სამშობლო გაანთავისუფლეთო.

პაპიროსები ჯიბეში ჩავიწყე, იმ ყმაწვილს ისევ წინ დავუდე ასზლოტიანი და მწყობრისაკენ შევეტრიალდი. ბიჭმა მარცხენა ილღის ქვეშ ყავარჩენი შეიშენა, თავისუფალი მარჯვენა ხელი პარკში ჩაწყობილ კოლოფებს დასტაცა და უკან გამომედევნა.

— პან ოფიცერ, თუ ამ ფულს უკან არ აიღებთ, თქვენ არც პოლონეთი გვეარბიათ და არც პოლონელები! — გულფიცხად მითხრა, პარკი ყავარჩენ-შედგმულ მარცხენა ხელში გადაიტანა

და ასზლოტიანი ისევ გულის ჯიბეში ჩამიტენა.

და ვიდრე რაიმეს ვეტყუდი, ჯამბუკი შიმავალი მწყობრის გვერდით დადგა, პარკს პირი მოხსნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა აყვირა:

— აიღეთ, კისაც გინდათ, აიღეთ, ძმებო. გააბოლეთ და შეირგეთ!

ცალ ფეხზე მოქანავე ახალგაზრდა ჩვენს ბიჭებს კოლოფობით თუ ცალობით ძალით ხეჩებდა სიგარეტებსა და პაპიროსებს.

და როგორი გახარებული სახე ჰქონდა იმ ჯამბუკ ხეიბარს, რომელიც სიგარეტებისა და პაპიროსების ვაჭრობით ირჩენდა თავს...

სინანული

შებინდების წინ გაისმა ბრძანება:

— შეჩერდით!

გზატყეცილის ორივე მხარეს ტყე გასდევდა, ტანაყრილ წიწვანთა ტყე.

პირით გზის მარცხენა მხარეს შეგბრუნდი და ისევე შეველით წიწვნარში. გზატყეცილიდან რაღაც ასიოდე მეტრზე განვლაგდით.

გზის მარჯვენა მხარეზე ჩვენზე წინ მომავალი რომელიღაც სამხედრო ნაწილი დაბინავებულიყო.

საველე სამზარეულოს ქვაბებში ჩამჩები ახმაურდნენ.

ვივახშმეთ.

საძინებელი ადგილების პოვნაც არ გაგვეჭირებია — რბილი იყო გამხმარი წიწვებით მოფენილი მიწის ზედაპირი. ლეი-საბნებზე დარდასაც არ შევუწუხებივართ, უიმათოდ ყინებშიც ვიძინებდით. ახლა კი ივღისი იღგა.

წეკო ავახროლოთ, მცირე ხანს წავიყებდეთ და ძილის თადარიგს შევეუდქეთ. ცაზე მზის პირველი სხივების აკიანთებისთანავე უნდა ავდგეთ, რომ რამდენიმე საათს მინც სიგრილეში მოვასწროთ სიარული.

ვინ მხარეთეძოზე მიწვა, ვინ პირქვე გაიშოტა, ვინ — გულაღმა.

თავკეშ საველე ჩანთა ამოვიღე და ფიჭვის ძირში მივწეკი გულაღმა.

მივწეკი, მაგრამ ვაი იმ მიწოლას... უსაშველოდ აზმუვლდა და აზუზუნდა ტყის გრილი სიბნელე. ის ზუზუნი კოლოების ფრთებით მომაცხრა ხელებსა და სახე-პირზე. მომაცხრა და უმოწყალოდ დამიწყო სუსხვა.

სიბნელეში ვამოდიან კოლოები, სინათლეს ერიდებიან, ემალებიან.

გულარძო, ბორბოტ და გესლიან კაცს მაგონებს ეს წყვეული მწერი — ასეთი კაცი სულს გიძარცვავს და გულში ბალღამს გიტოვებს, კოლოს სისხლი მოაქვს და სხეულში შხამს, მტკივნეულ და სისხლისამღვრევ საწამლავს გიტოვებს. და ისინი, ორივენი, გაურბიან სინათლეს!

ჩემს ახლომახლო მწოლი, ბურანში წასული თუ უკვე ჩაძინებული ბიჭებიც შფოთავენ, ვინ სახეში შემოიკრავს ხელს, ვინ შამფურით ტრიალებს და გამეტებით იგინება.

დავიღალე კოლოების მოგერიებით. ხელები და სახე-პირი შემომიშუბდა.

ვერა, ვერ გავუძლებ!

ადგომა და გზატკეცილზე გასვლა გადაწყვიტე. ფორნიდან შინელს ავიღებ და სახეზე წავიფარებ-მეთქი. ფორნები გზატკეცილის პირზე გვეყავა.

გზატკეცილის პირზე გასულმა მის მეორე მხარეს, ტყეში კოცონი შევნიშნე. სამინ უსხდნენ კოცონს და საუბრობდნენ.

ხელი ტოტებისაგან დანთებული კოცონი გასათბობად არ დასჭირდებოდათ, ალბათ ისინიც კოლოებისაგან არიან შეწუხებულები და შათს მოსაგერიებლად დანათეს ცეცხლი.

იმ კოცონისკენ ავიღე გეზი. გზატკეცილი გადავჭერი და ტყეში შევედი. დამხვდურებს მივესალმე და კოცონს მივეუქეკი. კოცონთან მსხდარნი თავიანთ ოჯახებზე, და-ძმებზე, ცოლ-შვილზე მოუთხორობდნენ ერთმანეთს.

— მე კი არავინ მელოდება... — მწუხარედ თქვა სერჟანტის სამხრებიანიმა. — მამა სამოქალაქო ომში დაიღუპა.

დღეაჩემს, ომის წინ რომ გარდაიცვალა, მარტო მე დავრჩი. ომში წამოიხურა. მა შინ ცოლი და თორმეტი წლის გოგონა დავტოვე. ორმოცდაორში მთელი ჩვენი სოფელი გადაუწვავთ ფაშისტებს და ლამის ყველანი ამოუხოცავეთ. ჩემს მეუღლეს თურმე მის თვალწინვე მოუჯლეს შვილი და მერე შვილს დააჯლეს. იმ ჯოჯობეთს ვადაარჩენილმა კარის მეზობელმა მომწერა.

ხმაირებული სერჟანტი დადუმდა და ცეცხლს ჩააცქერდა. მუგუზლებით უღვიოდა თვალები. მერე ჩაბნელებულ სივრცეს ჩააშტერდა და თქვა: — ჰოდა, სამშობლოში კი ვბრუნდები, მაგრამ სად წავიდე, ვისთან წავიდე, არ ვიცი...

— როგორ თუ სად წახვიდე! — მიაცხრა მის გვერდით მჭდარი ზემდეგი. — ქვეყანა დიდია. კეთილი ადამიანებიც ბევრნი არიან. მიდექ-მოდექი და ახალი ოჯახი შექმენი.

— ეპ, ჩემო ძმარ, ნუ გავიწყდება, რომ უკვე ორმოცდამეცხრე წელიწადში გადავდექი. მოვესწრები-ლა რამეს?

— აი, იმ ქალთან წადი, ყოველდღე რომ გწერდა წერილებს, — ჩაეშველა ახალგაზრდა რიგითი ჯარისკაცი.

— ის ქალი კი არა, თერამეტი წლის გოგოა, ოცდაათი წლით ჩემზე უმცროსი!

— რა ვიცი, — ხმა დაიდბლა რიგითმა, — ერთხელ, წერილს რო სწერდი, თვალი ჩავკარი, ლამაზად კი ამოგეპარგნა სიტყვები: ჩემო სიყვარულო, ათასჯერ გკოცნო.

— მეც სწორედ მაგას ვნანობ. ვნანობ და ვლანძღვ ჩემს თავს, რამ ამა-ცუნტრუკა და გამატუტუტუკა ამხელა კაცი, რათ გავაბრეყვე ის უცოდველი არსება, ის ანგელოზით გოგო, ამ ბეზრეკმა გაგიყებამდე რომ შევაყვარე თავი და გულისფანქვალით რომ ელოდება ჩემს ჩასვლას.

— კი, მაგრამ როგორ მოხდა ეს ამბავი, — ჩავერიე დამხვდურთა საუბარში.

— მოხდა, როგორღაც მოხდა, ჩემი

მიწენით მოხდა დასასჯელი ვარ, სახარობელაზე ასაყვანი.. და მან წამოიწყა:

— ცხრაასორმოცდასამის იანვარში, ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლების დროს, ერთ საღამოს ამანათი, გადმომცეს. ციმბირიდან იყო გამოგზავნილი, ნოვოსიბირსკის ოლქიდან. შიგ ხელთათმანებთან, წინდებთან და თბილ საცვლებთან ერთად ლამაზი ხელით ნაწერი ბარათიც იყო.

„უცნობო მებრძოლო, დაე, ჩემმა მოქსოვილმა წინდებმა და ხელთათმანებმა სიცივეში გაგათბოს, დაე, ამ პერანგმა ტყვიისაგან დაიფაროს შენი გული! ძვირფასო მებრძოლო, ეს წინდები და ხელთათმანები ჩემი პირველი ნახელავია, დედაჩემმა მასწავლა ქსოვა. დედა და მე კოლმეურნეობაში ვმუშაობთ. მამა ფრონტზე მყავს. მალე გაანადგურეთ შტერი! გთხოვთ ჩემი საჩუქრის მიღება წერილით დამიდასტუროთ“. ასე ეწერა ბარათში. იმავე ღამეს დაეწერე პასუხი. ჩემს პასუხს მისი პასუხი მოჰყვა. ლამაზად ასხმულ სტრიქონებში შტრედით ელურტულებდა ის გოგო, მემადლობებოდა, მეფერებოდა. იმასაც მწერდა, რამდენი წლისა ხარ, შემატყობინეო. თბილი პასუხი დავუბრუნე, მაგრამ ჩემს წლოვანებაზე არაფერი მივწერე.

ის გოგო ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც თავისი წერილებით გულს მითბობდა, რაღაც გამოუთქმელ შეგებას და სიხარულს ვპოვებდი მის სტრიქონებში და აკურატულად ვპასუხობდი. არც საალერსო სიტყვებს ვზოგავდი. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გამიმეორა კითხვა, რამდენი წლისა ხარო. არ ვიცი, რა ეშმაკი ჩამიჭდა სულში, მივწერე ოცდაერთი წლისა ვარ-მეთქი. მერე სურათის გაგზავნაც მთხოვა, ერთხელ მთხოვა, მეორედ, მესამედ. სულში ჩამჯდარმა ეშმაკმა ისევე გამაბრძოლა — გრიშა ზოტოვს, ჩემი ათეულის ოცდაერთი წლის ლამაზ ჯარისკაცს ვთხოვე თავისი ფოტოსურათი, იმ დღეებში დივიზიის ფოტოკორესპონდენტმა რომ გაიხალღო. იმ სურათს სამახსოვრო წარ-

წერა გავუკეთე და ლენას გავუგზავნე ციმბირში.

გრიშა ზოტოვი ეახსენე. შვილივით მიყვარდა და შვილივით ვუფრთხილდებოდი იმ მამაც ბიჭს. ვაი, რომ ბოლომდე ვერ გავუფრთხილდი. ცხრაასორმოცდასამის შემოდგომაზე დაიღუპა.

ლენას სწორედ გრიშას ფოტოსურათიდან მომღიმარი ბიჭი უყვარს და ის ბიჭი მე ვგონივარ. ისიც მინდა იცოდეთ, რომ ლენას წერილებმა, მისმა სიყვარულმაც გადამარჩინეს და გადამატანინეს ყველა გაჭირვება. იმ სიყვარულით ვიყოჩაღე, ომის გზებზე შეურცხვენლად ვატარე მეომრის სახელი.

გრიშა რომ ახლა ცოცხალი იყოს, დავუჩოქებდი, ფეხისგულებს დავუკოცნიდი და ისე ვთხოვდი, რომ ლენასთან წასულიყო. იმ ბიჭს შეყვარებული მაინც არ ჰყავდა. იმასაც ვპირდებოდი, მე უნდა დაგაქორწინო-მეთქი.

სერჟანტმა ღრმად მოქაჩა გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკო. ერთხანს იყუჩა და მერე თავჩაქინდრულმა განაგრძო:

— გერმანიიდან წამოსვლის წინა დღეებში მივიღე ლენას ბოლო წერილი. რო იცოდეთ რა მოუთმენლად ელოდება თავის ოცდასამი წლის საქმროს. კონვერტში მისი დედის წერილიც იყო, ისიც ელოდება სასიძოს. მივწერე — ისევე ვიცრუე! — არ ვიცი, დემობილიზაცია როდის მომიწევს-მეთქი. მალე მისამართიც შემეცვლება და ვიდრე ჩემგან წერილს არ მიიღებ, არ მომწერო-მეთქი. და აი ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა, რით და როგორ გამოვისყიდო ჩემი დანაშაული. იქნებ თქვენ მაინც მიჩინოთ რამე...

— მაგ დანაშაულს ვერაფრით ვერ გამოისყიდი, სერჟანტო, — თვალი თვალში გავუყარე ჩემს წინ მჯდომს, კოცონის ალით აბრჭყვიანებული დიდების სამი ორდენი რომ მოუჩანდა მკერდზე. — შემსუბუქება კი შეგიძლია. მისწერე, გულწრფელად აუხსენი ყველაფერი, ნულა დასტანჯავ იმ გოგოს შენი

წერალებისა და შენი ჩასვლის მოლოდინით.

ზემდეგმაც და რიგითმაც მხარი ამიბეს.

— არ ვიცი, მაინც არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ის კი ვიცი, რომ ეს სინანული სიცოცხლის ბოლო დღემდე დამტანჯავს.

ფიქვის ხმელი ტოტები ჩაინავლა. უალო კოცონი გაღვივდა ცის აღმოსავლეთ კაბადონზე.

მაიდანეკი

ქალაქ ლუბლინზე ნაშუადღევს გამოვიარეთ.

სისხლსავსედ სუნთქავდა ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი ჯარების მიერ ერთი წლის წინათ განთავისუფლებული ქალაქი, სადაც ვარშების განთავისუფლებამდე ჯერ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ხოლო შემდეგ პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა მუშაობდა.

შესასვენებლად ლუბლინის აღმოსავლეთ გარეუბანში შევჩერდით.

საერთოდ პოლონეთში დასახლებულ პუნქტებში ლამისთვის ვერიდებოდით, მოსახლეობის შეწყობა არ გვინდოდა. ამჯერად გარეუბნის გვერდით გაშლილ ველზე დავბანაკდით.

გაგებული მქონდა, რომ ლუბლინის ახლოს მდებარეობდა მაიდანეკი, რომელიც ფაშისტებმა ევროპის ერთ-ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს. დაღამებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და სიკვდილის იმ ბანაკის მონახულება გადავწყვიტე. მახლობლად მდგარ სახლს მივადექი და კარზე მივაკაკუნე. ხანშიშესული კაცი გამოვიდა. მაიდანეკის ზღა მიმასწავლე-მეთქი, ვთხოვე. მე თვითონ გამოგყვებიო, მითხრა.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე მაიდანეკში ვიყავით.

უზარმაზარ ტერიტორიას რამდენიმე რიგად ერტყა მაღალი ეკლიანი მავთულხლართები.

— ამ მავთულხლართებში მაღალი

ძაბვის ელექტროდენი იყო ჩართული, — ამისნა პანმა სტანისლავემ

მავთულხლართების ირგვლივ ლამის ერთმანეთის მიყოლებით საყარაულო კოშკები იყო ჩამწყობებული.

ბანაკის ტერიტორიაზე შევედით.

და მე მაშინ არ ვიცოდი, რომ მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე ხუთი წლის განმავლობაში მილიონნახევარი კაცი და ქალი შეიყვანეს და არცერთი მათგანი აღარ გამოსულა იმ ეკლიანი მავთულხლართების გარეთ. ყველანი დაწვეს! რომ მაიდანეკს გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში არსებულ სიკვდილის ბანაკთა შორის მეორე ადგილი ეჭირა მსხვერპლთა რიცხვის მიხედვით. პირველ ადგილზე ოსვენციმბეჰეზინკას ბანაკი იყო, სადაც ოთხ მილიონზე მეტი ტყვე და პატიმარი მიიყვანეს და რომლის მსხვერპლთა რიცხვმაც ოთხ მილიონს გადააჭარბა.

გაზეთებში უკვე წაიკითხული მქონდა წერილები ფაშისტთა მიერ მაიდანეკში ჩადენილ გაუგონარ ბოროტებაზე, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა თუ ასეთი მხეცობის ჩადენა შეეძლო ადამიანს.

ბარბაროსი. ველური. ვანდალი. ვამპირი...

კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე უბოროტესი მხეცობის ჩამდენის მრავალი ეპითეტი, მხეცობის გამოხატველი მრავალი სიტყვა შეაქმნა. და ვაი რომ ეს სიტყვები მეოცე საუკუნის შუა წლებში მოძველებულიყვნენ და მიახლოვებითაც ველარ გამოხატავდნენ იმას, რაც ნაცისტებმა ჩაიდინეს. ამისთვის რაღაც ახალი სიტყვის გამოგონება საჭირო.

ენაჩავარდნილი დავიბიჯებდი და გულში ჭოჭოხეთის კუპრჩაღვრილი შეყურებდი, ბეტონის მაგილებს, რომლებზეც თმებგადაპარსულ, ოქროს კბილებდამპრობილ, გაშიშვლებულ ადამიანებს აწვენდნენ;

— მაგილების ზემოთ ბეტონისავე კერში დაკიდებულ უროებს, მაგიდაზე

გულაღა დაწვინილთ შუბლში რომ ურტყამდნენ ვონდასაკარგავად:

— განიერ კედლებში დატანებულ ელექტროლუმებს, რომლებშიც გრძნობადაკარგულ ადამიანთა სხეულებს სწვავდნენ;

— ზვინებად დამდგარ ქალის თმებს, ფაშიატი ჭალათები ლეიბების დასამზადებლად, რომ იყენებდნენ;

— ადამიანის ბოლომდე დაუწველ ივლებშერეული ნაცრის გორაკებს (ნაცრის სასუქად იყენებდნენ);

— ტანსაცმლისა და ფეხსაცმელების გორებს, ჭალათები დასჯის წინ რომ ხდიდნენ თავიანთ სამსხვერპლოებს.

და იმავე დროს გონების თვალთ ვხედავდი:

— მომწამლაი გზებით გაგუღული შიშველი ადამიანების სხეულებს სანის დასამზადებლად რომ იყენებდნენ;

— კანგადამძვრალ სხეულებს (კანი-საგან აბაუერებს აშხადებდნენ).

...ტყვეთა ბარაკებს ისე ჩავუარეთ, ბანაკიდანაც ისე გამოვედით, არცერთს ხმა არ ამოგვილია. უკან მიმავალ გზასაც უხმოდ დავადექით.

პან სტანისლავის სახლს რომ გავუწვორდით, უცებ მისმა ხმამ გამომარკვია უემური ფიქრებიდან: შემობრძანდით, ვახშამზე დამეწვიეთო.

უელში რა ლუქმა ჩამივიდოდა...

— მცირე ხნით ეზოში მაინც ჩამოვსხდეთ, — არ მომეშვა მასპინძელი.

ჩამოვსხედით.

პანმა სტანისლავემ ოკუპაციის მძიმე წლები გაიხსენა. და როცა ისევ მიიღანეკზე ჩამოვარდა სიტყვა, მითხრა:

— თურმე ყველაზე მძიმე სუნი ადამიანის ცეცხლმოკიდებულ ხორცსა ჰქონია. ის სუნი ჩემს სახლამდეც აღწევდა და სუნთქვას გვიხუთავდა. პირველ ხანებში არც ვიცოდით, რის სუნი იყო. ბანაკის სიახლოვეს არავის აკარებდნენ. არც ბანაკიდან იყო ვინმე გამომსვლელი.

პან სტანისლავეს გამოვემშვიდობე, ჩემს ასეულში დავბრუნდი და უვახშ-

მებელი წამოვწექი მწვანიანზე. სულ რაღაც რამდენიმე წუთით ჩამოვლიმა იმ ლამეს. და ის რამდენიმე წუთიც არ იყო ჩემთვის მშვიდი. დამელანდა: ცეცხლის ალიდან ადამიანის გატანჯული თვალები იუტრებოდნენ და რაღაც არა-ადამიანური ხმით ყვიროდნენ. თვალები ყვიროდნენ! ამ ყვირილმა მაშინვე ზეზე წამომახტუნა.

როგორ ღაპრნი უსაათოდ

ის იყო მოშუადღევდა, რომ რომელი-ღაც ქალაქის მისადგომებთან შეეჩერდით. გაავებული სიციხე ჩინჩხლებსა ჰყრიდა და გზისპირა ქალას შევაფარეთ თავი.

მტვერი ჩამოვიბერტყე, წვერი მოვიპარე, ვისადილე, ჩემი ასეულის ფორნიდან ველოსიპედი გადმოვიღე, შეეკექი და ქალაქისკენ გავემურე. გავიგებ, რა ქალაქია, გავუვლ-გამოვუვლო, დავათვალაიერებ და უკან დავბრუნდები.

გამძლე და მაგარი ველოსიპედი იყო. ომის დამთავრების მეორე თუ მესამე დღეს გზის პირას ზეზე მიყუდებული ვნახე. უბატრონოდ მიეტოვებინა ვილაქას. ამ ლაშქრობის დროს კი ძალზე იშვიათად ვიყენებდი. გრძელ, მრავალასეულ კილომეტრიან გზას ფეხით მოვღევდით.

ნება-ნება მიმყავს ველოსიპედი. პატარა, კოპწია ქალაქი ყოფილა და რადომი რქმევია.

ქალაქის მეორე ბოლომდე გავედი და მერე უკან გამოვბრუნდი.

ქალაქის ცენტრში შემოსულს წინ ერთი ახალგაზრდა პოლონელი გადამიღა.

შეეჩერდი.

შეყოვნებისათვის ბოდიში მომიხადა და მითხრა:

— ძალიან გთხოვთ, ეგ საათი მომიცილოთ.

მაჯაზე პატარა ოქროცურვილი საათი მეკეთა.

პოლონელ ახალგაზრდას გაკვირვებით შევხედე.

— იცით? ამ საღამოს ექორწინდები, საცოლისათვის არავითარი საჩუქარი არა მაქვს. ქალაქის მალაზიებში ვერაფერს იყიდი. უარს ნუ მეტყვი, რამდენსაც დამიფასებთ, მოგცემთ.

სხვა საათი არა მაქვს-მეთქი, ვუთხარი შეყვამანებულმა.

— უმორჩილესად გთხოვთ! — მუდარით სავსე თვალებით შემომხედდა ახალგაზრდა კაცმა.

გავტყდი.

— ოღონდ ეგ ზღოტები ჭიბეში ჩაიდე. ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამოიყიდა, — ვუთხარი და მაჯიდან საათი მოვიხსენი. — საჩუქრად გაძლევ, ფეშქაშად გქონდეს.

საათი გავუწოდე. გახარებული კაცი თვალებს არ უჭერებდა. ფულს ძალით მაჩერებდა. და, როცა დაატყო, რომ არაფერი გამოუვიდოდა მითხრა:

— მაშინ ერთი წუთით ჩემს ჰერქვეშ შემოდით. — ხელი ქუჩისპირზე მდგარ ორსართულიანი სახლისაკენ გაიშვირა. — ერთი ჰიქით მაინც დამილოცეთ მომავალი ოჯახი.

მადლობა ვუთხარი. უკვე ბინდებოდა და შეყვანება არ შემეძლო.

— რაკი აგრეთა, აქ დამიცადეთ, ერთი წუთით დამიცადეთ. ჩემს ზოსიას გამოვიყვან მადლობის სათქმელად.

ახალგაზრდა ადგილს მოსწყდა.

და ის უმალვე გამოვარდა სახლიდან.

— წელან შეგნებულად მოგატყუეთ. სიმართლე რომ მეთქვა, ალბათ არ დამიცდიდით. აი ამ სამაგონით დაგვლოცეთ თქვენს მეგობრებთან ერთად, — მითხრა და ორი ლიტრიანი ბოთლი გამომიწოდა.

ამაზე კი უარი ვეღარ ვუთხარი. ბოთლები გამოვართვი. ბედნიერები იყავით-მეთქი, ბეჭზე ხელი დავკარი და გზა გვაგვარძელე.

რადომის ახლოს ატეხილ ქალაში ამხანაგებთან ერთად დავლოცე ამ ქალაქს შემატებული ახალი ოჯახი.

მშვიდობით, პოლონეთში

კოკისპირულმა წვიმამ შეგვისწრო ქალაქ ხელმთან მიახლოვებულთ.

ამ ქალაქის მისადგომებთან უნდა შევჩერებულყავით მეორე დღამდე. ღია ცის ქვეშ ღამის სათევად შეჩერება კი უკვე შეუძლებელი იყო — ერთიანად გალუმბულები ვიყავით და მიწაც გემრიელად იყო დაფოვებული.

ინეგქალაქის გარეუბანში უნდა გვეძია თავშესაფარი.

სოფლური ხატები მიმოფანტულიყო გარეუბანში. ეზოებში ფარდულები იდგა. იმ ფარდულებში დავებინავდით მათივე პატრონების შეთავაზებით.

უკანაქველი ღამისთევალა გველოდა პოლონეთში. სულ რაღაც შევიდიოდე კილომეტრი გვაშორებდა მდინარე ბუგს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს, რომელზეც ხვალ დილით უნდა გადასულიყავით.

ვახშობის უამი დადგა. ჯარისკაცურ კარდალებში კოვზები აჩხაკუნდნენ.

— ლეიტენანტო, — მითხრა ჩემმა მოადგილემ, — პატროსანი კაცი ამ დღეს ასი გრამით მაინც აღნიშნავდა. ხვალ დილას ხომ უკვე სამშობლოში უნდა ვიყოთ. აბა, ღრმად ჩაისუნთქე — ნიავს მშობლიური მიწის სურნელი მოაქვს.

მართალი იყო ნიკოლოზ კაშკინი.

— რაკი აგრეთა, ჩვენს მეზაიანეს დაუძახე.

ასეულში გვეყავდა ასეთი კაცი — ბაიანის კარგი დამკერელი და, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი იყო, საოცრად მოხერხებული რიგითი ჯარისკაცი ფედია პროხოტინკო. გაუჩენელს გააჩენდა.

ფედიას ორიოდ დღის წინ მიღებულ იქნა ხელფასიდან სამი ასლოტიანი გავუწოდე.

— წადი, გაიკითხე, სამაგონი ექნება ვინმეს და იყიდე.

ფედია წელში გაიჭიმა.

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო!

უკვე ბინდდებოდა, ფედია რომ დაბრუნდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, სამაგონიანი ოჯახი კი ვნახე, მაგრამ სამაგონი არ მომიყვდეს.

— ფული ხომ არ იცოტავებს!

— არა, ფასიც არ უთქვამთ. მითხრეს, ის შენი მეთაური მოიყვანე, თუ გინდათ სხვაც გამოიყოლე და ერთად ვივანშმოთო, ცოტა საქმელსაც თუ მოიტანთ და ჩვენს სუფრას წაამატებთ, კარგს იზამთო.

მითხრა და მაშინვე ბაიანს დასტაცა ხელი.

ფედია მე და კაშკინს წინ გაგვიძღვა და ერთ პატარა ეზოიან ხატასთან მიგვიყვანა.

ეზოს კართან ხანში შესული კაცი შემოგვხვდა. მობრძანდითო, შეგვიპატრონა.

ოჯახში იმ კაცის გარდა ოთხნი იყვნენ — მისი მუხლზე და სამი ქალიშვილი.

კაცმა მაგიდაზე ლიტრიაანი შემოდგა.

ფული ამოვიღე. იწყინა.

— ფულის მოცემა როგორ იფიქრეთ? თქვენგან ისედაც დიდადა ვართ დაეღებული. ეს ჩემი ნაბოლარა გოგო, ჩემი მიხალინა ხომ თქვენ დამიბრუნეთ. ლამის ექვსი წლის უნახავი გოგო დამიბრუნეთ. ფაშისტებს გერმანიაში ჰყავდათ წაყვანილი და მონასავით ამუშავებდნენ. თქვენ რომ არა, შვილის უნახავად ჩაეკვდებოდნენ.

მასპინძელთა კარტოფილიან წვნიანსა და ორიოდ ნაგლეჯ პურს ჩვენი მიტანილი ძეხვი, მშრალად მოხარშული ხორცი და თეთრი ბუხანკა შეემატა.

პოლონეთი ვადღეგრძელებთ.

საბჭოთა კავშირი გვიდღეგრძელებს. მასპინძლების სადღეგრძელო შეესვით.

მათ ჩვენი სადღეგრძელო დალიეს.

კარგაბანს შევრჩით სუფრას.

ასეულში დაბრუნებულებმა გათენების მოლოდინში ძლივს ჩავიძინეთ.

გათენდა კიდევ ზაფხულის მოკლე ღამე.

სამშობლოში დაბრუნების დილა გათენდა!

სამშობლოში დაბრუნების დილა!

მწყობრად დაწყებული ჩვენი ასეული პოლკის მწყობრში ჩადგა.

სამწყობრო ნაბიჯით და მქუხარე სიმღერებით გავყვეით ქალაქ ხელმის ქუჩებს.

რა ხალისიანად, რა გამეტებით ვურტყამდით ფეხს სიმღერებდა და ქრუანტლად ქცეულები, მიწაზე მოარულ ფრინველებდა ქცეულები!

ქალაქს გავცდით და გზატკეცილზე გავედით.

საცაა მვიადგებით მდინარე ბუგს — სამშობლოს საზღვარს.

შორიდანვე გამოჩნდა მდინარეზე გადაღებული ხიდის შუაში აღმართული თალი. თალზე ჩვენი სამშობლოს დროშა ფრიალებს. სამშობლოში დაბრუნებას გვილოცავს თალზე გადაჭიმულ წითელ მატრიაზე გაკეთებული წარწერა.

ასეულს სამწყობრო ნაბიჯით მივუძღვებო. ასე გამართულად, ასე ამაყად არსად არასოდეს არ გამოვილა. აი უკვე ფეხი შევდგი ხიდზე, რომლის შუა ნაწილიდანაც ჩემი სამშობლო იწყება. მარჯვენა ხელი ქუდთან მიმაქვს და ლარივით დაჭიმული მივაბიჯებ.

ჩვენს სიმღერას უერთდება ხიდის მეორე ბოლოში, გზის პირას მდგარი სასულე ორკესტრის საზეიმოდ მოგუგუნე მუსიკა.

ხიდი ნახევრდება.

— მშვიდობით, პოლონეთო!

კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი და...

ხიდის მეორე ნახევარი იწყება.

სამშობლო იწყება!

საათის ისარი დილის რვა საათსა და ოც წუთს უჩვენებს.

კალენდრის ფურცელს 1945 წლის 8 აგვისტო აწერია.

კადრილი

შენ სული გქონდა ისე კეთილი,
როგორც ყვავილი, მზე და მშვიდობა,—
სხვა სივრცეებში გადაკვეთილი
ქუხდა ლანჭერი და წყალდიდობა.

და მიჩუმებულ ტევრებში ბალის
ფოთლების ჩრდილით გადაბურულში,—
წყებად ნათიბი ეწყო ზამბახი
და გარიყრაჟის იდგა ბურუსი.

ცა იყო მკაცრი, იყო მეწყერი, —
მთები მორთული ღრუბლის
ტალავრით, —
და აფროდიტას მაცდური ყელი
პირისპირ იდგა როგორც მტარვალი...

ყაყაჩოს მკვეთრად უჩანდა ხალი,
უცხოვდ ელავდა ზეცის კიდური, —
ნათიბში კრთოდა ამურის ხმალი,
თვალეებში ვნება ჩამობინდული.

სხვა სივრცეებით გადალობილი
იყო ლანჭერი და წყალდიდობა, —
და ვით გრძნობათა ნაზი დობილი
ბალი ზამბახებს დაემშვიდობა.

ახლა ცარიელ ბალის ტევრებში
მწუხრის ჩრდილებით გადაბურულში,—
მიმოდის ცივი წვიმების თქეში
და შემოდგომის თეთრი ბურუსი.

ქარმა წაიღო ფოთლები ქვიშის,
ქარმა მოყარა ნეშო ქედებად, —
ტყვილით მოკვდა — ტყვილის შიში,
დარჩა მიზანი და მოქმედება.

ალარ მოგხედავს ნუთუ განგება,
ბალს არ მოგირთავს ტვერი ზამბახის?...
და ნუთუ მართლა დაგეკარგება
გულუბრყვილობა ბავშვური სახის?...

ისე ძველია დღეს ეგ ჭრილობა,
ისე შორია და ახლობელი; —
როგორც ვნებათა უნაპირობა,
როგორც ზღაპარი მოუთხრობელი.

გულისთქმას ბოლო არ უჩანს გულში,—
არც სიყვარულში,—სიყვარულს ზღვარი:
იფიანდაზებს მზე სიყვარულში,
ინიაღვარებს მზის ნიაღვარი...

შენ სული გქონდა როგორც ზღაპარი
და სიყმაწვილე მოსანატრელი, —
ანგელოსების თავშესაფარი,
უფაქიზესი — თოვლის ფანტელი...

შორი დღეებით გადაკვეთილი
მეწყდა ლანჭერი და წყალდიდობა...
სული კი დარჩა მაინც კეთილი,
როგორც ყვავილი, მზე და მშვიდობა...

ციკლიდან — „ტოლხას ლექსები“

ეროვნული
ნიშნისთვის

• • •

ტოლხამ თქვა, — ესე ამბავი
ჩემგან ნათქვამი გჯეროდეს,
ისე სიმღერას ნუ იტყვი,
თუ გული არა მღეროდეს.
განგების აუგს ნუ იტყვი,
თუ კაცი არა გშველოდეს.
საშენოდ ზეცას ნუ იტყვი,
თუ მიწა არა შენობდეს.
თავს ნუ დაიციემ ქვეყანას,
რაც უნდა სწუხდე, ხელობდე.
მართალში ტყუილს ნუ გარევე,
თუნდაც სიკვდილი გელოდეს.
მელობას მაინც ნუ იზამ, —
რომ ვთქვათ და, — ვერა მგელობდე...
ვერც ბჭქენად სჩანდე იქნება,
იქნება ვერცა ქველობდე,
ვერ ჭირითობდე, ვერ ქროდე
და ვერცა მინდორველობდე, —
მაგით რა მოხდა, — სოფელი
ჭრელია, უნდა ჭრელობდეს, —
ერთს ატირებდეს, — მეორეს
პირზე ღიმილი სჩენოდეს.
ხან წვიმდეს, ხან კი მზის შუქი
ცის კიდეს მოჩანჩქერობდეს.
ვიტყვი და ესე ამბავი

ჩემგან ნათქვამი გჯეროდეს, —
ხელთ ნუ აიღებ, ნურასდროს.
რაც არ გშვენიო რომ — გვეროდეს.
იმაღ ნუ დაუწყებ ჩემებას, —
ვინც თვითონ არა გჩემობდეს.
ნურც იმით აბჯარს აიყრი
ხმალი რო ვერა მჭრელობდეს.
ნურც დაუწყუნებ გულისთქმას
კაცი რო ვერა მჭეერობდეს, —
ვინ იცის, — შიგრა უღუღოდეს, —
ან საქმეს რა ახელობდეს.
კოჭლის სიკოჭლეს ნუ იტყვი,
თვითაც თუ არა ჰველობდე...
ღიაღვე ლამაზს ნუ იტყვი,
თუგინდაც მთვარეს ჰფერობდეს, —
ნამუსის ლეჩაქ-მანდილი
ერთიც თუ არა შეენოდეს.
თოვლი თეთრია, — ნუ იტყვი,
თვალს გჭრიდეს, — ბროლისფერობდეს.
თეთრია, მაგრამ თოვლია, —
რა იცი, — რაზე ჰვენოდეს...
ტოლხა ვარ, შეთეკაური,
ნათქვამი ჩემი გჯეროდეს, —
ისე სიმღერას ნუ იტყვი,
თუ გული არა მღეროდეს.

ალექსანდრე გიგიტაშვილი

თოვლი

დღეს ისე მტკივა ეს ფანტელები,
თითქოს მარიამს ცრემლი ცვიოდეს
და ლოცვადქმნილი შენი ხელები
ჩემს სულზე შევბად გარდმოდიოდეს.

მე ძველებურად მტკივა დღეები,
შენი სიცილი, შენი მცდელობა,
შენი დღეები, ნატვრის ხეები
და ერთ დროს კარგი უდარდელობა.

• • •

მთებზე ლამე ჩამომწვარა
1907 წლისა,
შენი თავი ვინ მომგვარა
სევდით მეფის ირაკლისა.

ვინაც სევდა მწარე ძოვა,
ხართუთისა თუ ანწლისა,
ვინაც მთებში იათ თოვა
ვერ ნახა და ისაკლისა.

და სიმწარე ვით ზეხილი
გაღეღილი, გაღეღილი,
საოკრება დგას ეზოში —
სარკე დინგით გატეხილი.

დავით მჭედლური

უცხო ნახატი

სველდებოდა მსუყვე
 გაზაფხულის წვიმით,
 ენთებოდა ლურჯად
 ალვისხეთა მწკრივი.

ქარსაცავი ზოლი
 და ბალები ვაშლის,
 უმიზეზო ბოლი
 როგორც ბოლის ასლი.

ყველაფერი ჩანდა
 ვით ნახატი... ნახატს

არც მხატვარი ჰყავდა,
 არც ხელწერა იჩნდა.

მუდამ ასე ზდება,
 ვილაც ანონიმი
 ნაცნობ სურათს ხატავს
 დასველებულს წვიმით.

ქართლის ფერით ავსებს
 და სტილს იცავს მკაცრად,
 სად მუხრანის გზაზე
 ჩანს სოფლების აცმა.

იგედის ლექსი

ლამდებოდა, თენდებოდა,
 წლები გვემატებოდა,
 შენი მცველი თხელდებოდა,
 კართან მტერი დგებოდა.

ჩადიოდა მზე ნიადაგ
 ბნელეთს ეჯარებოდა,
 ზეცა პატარავდებოდა,
 ვარსკვლავები ქრებოდა.

დრო ყეფდა და ავგულობდა,
 აფთარს ედარებოდა,

ზღვა წვეთობით იღვოდა
 ტოტზე კვირტი ხმებოდა.

დღესაც უამი შენს ცხოვრებას
 უყეფს როგორც აფთარი
 მაგრამ ჭერ არ მოგვიშლია
 მომავლისთვის თვალთვალი.

ოცნება და გახელება
 გულში ცეცხლის დანთება,
 ...და იცვლება დღე და ღამე
 — თენდება და ლამდება.

ნავიდა კვამლი

წავიდა კვამლი, უბე ცარგვალის
 აავსო, მიწას თავე დაუკრა,

და სამუდამოდ დასაკარგავი
 უკანასკნელად გაგვესაუბრა.

წავიდა კვამლი, და თითქოს მიწას
და ჩვენს ცხოვრებას მოაკლდა უცებ
რაღაც ნაცნობი ანდა ნაწილი
და დაგვიტოვა ნალექი გულზე.

ის მოდიოდა მუდამ ცეცხლიდან
ცეცხლის ხმაური მოჰქონდა მსხრებლით,
ზოგჯერ მინდვრიდან, ზოგჯერ
ბოსტნიდან
ანდა ბუბრების მკვარტილიან ხერელით.

კვამლს ახლდა რაღაც ძველი, ნაცნობი
და მომხიბლავი ლურჯი სიმკრთალე,
სითბო, სურნელი და სიმყუდროვე
და ვნებიანი სისველე თვალის.

ამოხდა კვამლი, წავიდა კვამლი,
უცხო ცასთან და უცხო ღრუბლებთან,
და დარჩა ჩვენი უკვამლო ყოფა,
ღუმს ცეცხლიც, აღარ გვესაუბრება.

ქვიშისფარი ღვინო

რა იმალება ქვიშისფერ ქალის
ყრუ სიმშვიდეში ამ შემოდგომით,
გზად მირაკუნობს ეული ძვალი
როსმე უკვალოდ გამქრალი ტომის.

რა იმალება ამ ქვიშისფერი
მდინარის სვლაში მიღმიერ ყოვლის,
წელს ქვიშისფერი მიჰყვება წელი
და კიდევ ერთხელ იქნება თოვლი.

რა იმალება ამ განძარცული
და ქვიშისფერი ტყეების ტევრში,

ქვიშისფერ გზებით ბევრნი მოსულახ,
არ აგერიოს მოყვარე მტერში.

არ აგერიოს ცრემლებში ცრემლი
არ აგერიოს ლექსებში ლექსი,
ცრემლიც და მიწაც, სისხლიც და
ფერფლიც

ჩვენი ყოველთვის ერჩევა სხვებში.

არ აგერიოს წყლულებში წყლული,
არ აგერიოს თასებში თასი,
და მოფრენილი თოვლში ქალწული
ქვიშისფერ სახლის დედოფლად დასვი.

• • •

რა თქმა უნდა —
შენ ის არა ხარ, ვისაც ვეძებდი,
მაგრამ მეც ჩემი სოფლის შვილი ვარ
და მეც ვისწავლე როგორ ვიცხოვრო,
და აი ახლა ყურში გაფრქვევ
მხურვალე ჩურჩულს:
— შენა ხარ შენ, ვისაც ვეძებდი...

წყალი და ცაცხლი

წყალმა და ცეცხლმა გამომკვება,
როცა დედამ ობლად დამაგდო,
და აი, ახლა ხან ერთის საწყისი

მძლავრობს ჩემში, ხანაც მეორის,
ამა რა გითხრათ — არც ადვილია
ასე ცხოვრება.

ღამეული ხმები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამეს ხმების აშეება უყვარს,
დღისით რომ არ ისმის,
ღამით ის ხმები
თავისუფლად დანავარდობენ.

მათგან ზოგი
მხოლოდ შენთვისაა გასაგები,
ზოგი ყველასთვის.

ზოგი ქარს მოაქვს,
ზოგი მეზობლის
ბინის კედლებიდან ჟონავს,
ზოგი კოსმოსიდანაა შემოჭრილი
და ყველას ესმის.

მაგრამ ფშავის ტყეებში
გამკვივანი ჭოტის ხმა
მხოლოდ შენ გესმის.

წიფლოვანებში ნადირის
ღამეული შარი-შურიც
მხოლოდ შენ გესმის.

მიტოვებულ სასაფლაოზე
ბალახის მოთქმაც
მხოლოდ შენ გესმის.

ნასახლარებში ღამის მწერებზე
მონადირე ქვეწარმავლით
დამუხტული ჰარის ხმაც
მხოლოდ შენ გესმის.

მათ ამ ქალაქში,
სხვა ვერავინ,
სხვა ვერავინ,
სხვა ვერავინ ვერ გაიგონებს.

ოლიან ქორჟი

მოთხრობა

— რუსიკო, ჩემო უშობელო!.. —
რაგარია, კუხლია? — წამოიძახა, თვა-
ლებთან ახლომიტანილი ფურცელი ბა-
ნქოს ქალღალღვით მოიქნია, წერილი კი-
სერი დაიგრძელა და მდულარეგამოვ-
ლილ, პლასტმასის ფოლაქებივით ნაც-
რისფერი თვალებით დაჟინებით ჩამა-
ცქერდა. თვალს აკლდა, მაგრამ სათვა-
ლე ჭირის დღესავით სძულდა, წერის
დროს თუ ხმარობდა მხოლოდ. სათვა-
ლეს სიბერის ოთახის კუქრუტანებს
ეძახდა. იგი მაშინ 1949 წელს, ოცდა-
ათს გადაცილებული იქნებოდა, მე კი
თერამეტი წლისაც არ ვიყავი, წიგნებზე
სულს ვლევდი, ბევრსაც ვკითხოვდით
და თვალისმომკრელი მისი ბიბლიოთე-
კის გამო ხშირად დავდიოდი ოლიან
ქორეთან.

— „უშობელი“ არ მომწონს! — გა-
დაჭრით ვუთხარი, — რომელ ქალს
ესიამოვნება ძროხის შვილთან შედა-
რება? შესმის — ირემი, შველი... თუ
გახსოვს, რუსთაველი ქალს ვეფხვსაც
ადარებს.

— კუხლია, — წარბები აზიდა ოლი-
ან ქორემა, — ხომ არ გავიწყდება,
რომ, მე, ზურაბ კონონის ძე ქორჟო-
ლიანს, თბილისის სახელმწიფო უნივე-
რსიტეტი მაქვს დამთავრებული, თანაც
ფილოსოფიის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის ხსენებაზე უსიამოდ

გამაყრყოლა. მაშინ ახლადშექმნილ
უქრნალისტიკის ფაკულტეტზე ვაბარე-
ბდი მისაღებ გამოცდებს; ქართულ წე-
რაში ოთხიანი მივიღე, ზეპირში — ხუ-
თიანი; მერე საანგარიშოდან გაყრილი
კოქებივით იკლო ჩემმა ნიშნებმა და სა-
ბოლოოდ ორი ქულა დამაკლდა. დედა
ქალაქს დავემშვიდობე და კუდამოძუე-
ბული დავუბრუნდი თაისს.

ზურაბმა უნივერსიტეტი ათიოდე
წლის წინ დაამთავრა, მაგრამ სად იყო
და სად არა, ტვინის ანთებამ გამოუქ-
როლა და პრაქტიკული საქმიანობისა-
თვის უძლური შეიქნა. ფილოსოფიის
სიყვარული, წიგნებისადმი ტრფიალი
წყველმა ავადმყოფობამ ვერ შეურყია
და იგი უცნაურ ფილოსოფიურ თხზუ-
ლებებს წერდა. ისე ბუნდოვნად ხლა-
რთავდა, ჩემთვის უცნობი ტერმინები-
თა და გამოთქმებით დატვირთულ მის
ნაშრომებს ნახევარს ვერ ვუგებდი; მა-
გრამ ამ კაცს ისეთი მიმზიდველი ძალა,
მგვარი დიდი და კეთილი გული ჰქო-
ნდა, სიამოვნებით ვუსმენდი და იმ
წლებში დღე არ იყო, ერთმანეთი არ
გვენახა. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, თა-
ვის თხზულებებს ნამდვილი სახელისა
და გვარის მაგივრად „ოლიან ქორეს“
აწერდა, ლექსებსაც. ფსევდონიმი გვა-
რის — ქორჟოლიანის შუაზე გაყოფი-

თა და ნაწილების გადაადგილებით მიიღო. ყველა ოლიან ჟორჯს ეძახდა.

— ვიცი, ოლიან, — გავუცინე, — ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრე, სამეცნიერო ხარისხზე მუშაობასაც შეუდექი, მაგრამ... მერე ხელი შეგეშალა.

— ჰოდა, მე ძალიან მომწონს გამოთქმა „რუსიკო, ჩემო უშობელო!“ აღმოჩენადაც მიმაჩნია. აბა ისაა უკეთესი, ჭალს ირემს, შველს, ქურციკს რომ ადარებენ? ბოლოს და ბოლოს დასახელებული არსებები თავიანთი ბუნებრიობითა და შინაგანი ფიზიოლოგიით გარეულ ცხოველებს წარმოადგენენ; სხვათაშორის, ძუძუმწოვრების კლასს მიეკუთვნებიან. თუმცა, ულამაზოებს ვერ დაარქმევ, მაგრამ, თუ ბიჭი ხარ, მოსაფერებლად შეიჩვიე. უშობელი რითაა, ყმწვილო, მათზე ნაკლები. ისიც ძუძუმწოვრებს ეკუთვნის, ძროხის შვილი უძახე შენ! დიდრონ-დიდრონი, ლამაზი თვალეები, წინდისჩხირებივით გრძელი წამწამები, სალუქი შებლი; ნიკორა თუა, მით უკეთესი და უმწვენიერესი. ისეთი ნაზი კისერი აქვს, გინდა, სულ მკერდში გავედეს ჩახუტებულნი. თანაც მის მიჩვევას რა უნდა? ბევრი არაფერი — „ფუჩი, ფუჩი!“ — მიუალერსე და ხელად შენკენ გამოიწვდენს სალუქ დრუნჩს. აი, ამაშია იხ ნატურა, — წაულათინურა, მერე ჭართულად დაუმატა: — არსი საგნისა. ისიც უნდა იცოდე, კუხლია, ერარე ჰუმანუმ ესტ! — შეეცდომა ადამიანის თვისებაა... მაგრამ მე არ ვცდები.

— თავს დამარცხებულად ვცნობ, ოლიან ჟორჯ; წამიკითხე რუსიკოსადმი მიწერილი ბარათი.

„რუსიკო, ჩემო უშობელო, — ხელახლა წამოიწყო ოლიან ჟორჯმა, — ეს მერამდენე ბარათი იქნება, შენკენ რომ უნდა გამოვაფრინო ამურის ისარივით, თან ჩემი აგზნებული გულის ნაწილი გამოვატანო. არ არსებობს სიტყვა, რომელმაც ის გრძნობა დაიტოოს და გამოხატოს, რაც ჩემს ქებასხელა მკერდში დღუს... გუშინ კოპლებიან კაბაში რომ დაგინახე, ვიფიქრე, რაც მე შენზე ოცნებაში ცრემლი დამიღე-

რია, ყველა შენს კაბაზე დაფრქვეულა და წინწკლებად გადაქცეულა-მეთქი... ოხ, ცრემლი, ცრემლი! რა შიშვენიერე ვაყაყის საქმეა ცრემლი! მაგრამ, რომ არ გადმოიღვაროს, თვალებს დაგიღულრავს, დაგწვავს, დაგაბრმავებს... ჰოდა, თვალისჩინი რომ დაგვარგო, შენ როგორ დაგინახო მერე — ვიქნები წყვილიადას ანუ კრონოსსა შიგან ჩაფლული და ჩაძირული, ვითარცა სხეული უცხო რამ. შენ თუ არ დაგინახე, თავს ერთ დღესაც აღარ ვიცოცხლები.. რა ვქნა, რუსიკო? თუ გინდა, დედაშენს ყოველდღე დაუჩეხავე შეშას, პურზე გავეგზავნები. თუ გინდა, ყვავილებს მოვრწყვაე შენს ეზოში... თუ გინდა, სახლზე კრამიტებს გადაგიბრუნებ... რუ-სი-კოო!

შენ თაისის ცისკარი ხარ, რუსიკო,
შანათობლად აღმომხდარი, რუსიკო.
მარადიული საყვარელით
შენი
ოლიან ჟორჯი

ჩელი წ. 9 გიორგობისთვე“.

ბევრი რამ ეონავდა მის ბარათში ლიმილისმომგვრელი, მაგრამ ოლიან ჟორჯი ტრფილის ხასიათზე იყო და რა ჰქონდა დასაცინი.

ნაღვლიანად ვუსმენდი და ცრემლებიც რომ მომდგომოდა, არ გამიკვირდებოდა.

ბარათი ოთხად გავეცა, კონვერტში პიწკად ჩადო, გულის ჭიბეში უკრა თავი და თქვა:

— ესეც ასე! — ცოტა ხნის მერე ისევე მკითხა, — რავარია, კუხლია?

— კარგია, ოლიან ჟორჯ, ქვეს გააპობს! — მოვუწონე.

— დიდი გული გაქვს, კუხლია, ახლა, შენ რომ ხარ, ასეთები ცოტახი არიან. ახლა, ჩემო ბიჭო, ჰომო ჰომინი ლუპეს ესტ! ადამიანი ადამიანისათვის მგელია. — თვალეები ჭერს მიაპყრო, წაბლისფერთმიანი, გაჩინჯილებული, მრგვალად მოყვანილი თავი შეარხია და ნაღვლიანად ისე ჩაილაპარაკა, თითქოს, მე კი არა, ვილაცას, სხვენზე მყოფს,

უთხრა, — რად გინდა მერე, ამნაირები დამიწერია!

— გულს ნუ გაიტეხ, ოლიან ქორაძე, უბეველად მიაღწევ მიზანს! — გავაძხენევე.

— მიზანი? მიზანი, ყმაწვილო, უხილავია, ხელშეუხებელი აბსტრაქციაა. ვერ მოეფერები, ვერ შეეხები, ვერ ხედავ. მიზანი გაუმადლარი გულის სწრაფვაა. აბ ინიტო ნულუმ, სეპერ ნულუმ! არარაისგან არ იქნების არარაიცა! ო, რომაელო ვაეებო, რამდენი გენიოსი ბუღობდა თქვენში. მიზანი, ჩემო კუხლია, კარიერისტების, პატივმოყვარე, ყოყოჩა ადამიანების სუბსტანციაა. მიზანი შეკუმშული ეფემერული ნისლია, რომ გგონია, აგერ მიეწვდები, ხელს წაავალებო, კვამლივით ქრება. არ მითხრა ახლა, უმიზნო კაცი არაარობაო. ხომ ვიყავით ერთ დროს არაარობა? ვიყავით! გვქონდა რაიმე მიზანი? არ გვქონდა! მერე ემბრიონში ჩავისახეთ. გაგვანდა რაიმე მიზანი? არ გაგვანდა! ამქვეყნად მოვედით, თვალი გავახილეთ, ვრცელი და დიდებული სამყარო ვიხილეთ და რაღა მიზნებს ვებოტინებთ! გაიხსენე ემპედოკლე აკრაგანტელი: „მწარედ ვტიროდი და ვქვითინებდი, როცა სამყარო უჩვეულო მე დავინახე“...

ბევრჯერ ვყოფილვარ ოლიან ქორაძის ამგვარი „ფილოსოფიური მსჯელობის“ მოწმე, მაგრამ ყოველთვის მის ერთგულ მსმენელად ვრჩებოდი.

— ამტკიცებ, რომ შენ მიზანი არ გქონია? — ვკითხვ ოლიანს.

— დიახაც!

— კარგად დაუკვირდი?

— რასაც ვამბობ, ახლა ხომ არ მომსვლია თავში, ხანგრძლივი დაკვირვების რეზულტატია. ისტორიული მეთოდის გამოვიყენე ამ საქმეში. გარეშე ვინმე რომ გვისმენდეს, შენზე იტყვოდა: ეს ყმაწვილი ოლიან ქორაძის ფილოსოფიურ სამყაროში ჩაუხედავი კაცი ყოფილაო. კუხლია, ბიჭო, ნუ იტყვი მაგას, ხალხს ნუ გავაცინებთ.

— მაშ, რუსიკო მიზანი არ ყოფილა!

— დავუსვი მწვავე შეკითხვა.

— როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო!

— ვთხოვთ, ამიხსნათ! ^{ერკონიული} _{მოთმენება}

— სიამოვნებით, მოთმენება იქნება ეს და ძალიან შორიდან დაიწვიებ. ვეცდები, შემთხვევათა მიზეზები ნათლად ავიხსნათ. საერთოდ, პრაგმატიზმი ჩემი აზროვნების ძირითადი თვისებაა. მაშ, ასე, სამყაროში უამრავი გალაქტიკაა ყოველ გალაქტიკაში აურაცხელი ვარსკვლავია — გავარჯარებული აირისაგან შემდგარი თვითმნათი ციური სხეული; მართო ჩვენს გალაქტიკაში მათი რიცხვი 100 მილიარდს აღარაბებს. შეუიარაღებელი თვალით ცის ორივე ნახევარსფეროზე უმთავრო ლამით მხოლოდ 5 ათასამდე ვარსკვლავის დანახვა შეიძლება. მზეც — დედამიწასთან ყველაზე ახლო მყოფი ვარსკვლავია. მხოლოდ შედარებითი სიახლოვე განასხვავებს ასე მკვეთრად ვარსკვლავებისაგან მის სახესა და ბრწყინვალეობას. მზე ანათებს დედამიწას. ანათებს და, თანაც, ათბობს, ასულდგმულებს, დედამიწის სიციცხლეს კვებავს, ანაყოფიერებს. დიდება შენდა, ჰელიოს! დედამიწაზე უამრავი ქვეყანა და კუთხეა; ყველაზე მშვენიერი — საქართველოა. მას მერე სახელად მზიანეთი ეწოდება. საქართველოში ბევრი ქალაქი და სოფელია. ყველაზე ლამაზი ჩვენი თაისია — კოლხეთის ძველი დედაქალაქი. თაისში ბევრი ლამაზი ქალია, მათ შორის, ვფიცავარ, ჰელიოსს, ყველაზე მშვენიერი და მომხიბვლელი რუსიკოა. რუსიკო ანათებს თაისს, თაისი — საქართველოს ანუ მზიანეთს, საქართველო — დედამიწას... — აქ ოლიან ქორაძე შეყოვნდა.

— დედამიწა? — ვკითხვ და ვიფიქრე ახლა კი გაუწყვიტემ აზრთა დინება-მეთქი.

— დედამიწა? — ირონიულად ჩაიციხა ოლიან ქორაძე, — ალბათ ფიქრობ, ჩავეკერიო. ო, ემპედოკლე, აღსდექ მკვედრეთითა და დატუქსე ეს ყმაწვილი, ასეთი ვულგარული განზრახვისათვის! ვერა, კუხლია!... დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, თავს უტრავს დიდებულ მნათობს და მადლობას ეუბ-

ნება ქვეყნად რუსიკოს გაჩენისათვის. ო, რუსიკო, რუსიკო, ჰელიოს უნდა გერქვას შენი ანდა — ციური... ასეა, ყმაწვილო, აბა! ეს შეიძლება სპორადული შემთხვევა იყოს, მაგრამ რეალურია. მე ძირითადად სპენსერის თეორიის მიმდევარი ვარ, მაგრამ ჩემი აზროვნებისთვის არც მისტიციზმია უცხო. ვცდილობ, ადამიანის გონებისთვის მიუწევდომელი საიდუმლოების განკვერტას სულის განსპეტაკებით, ზნეობრივი ამაღლებით, ხორციელ მიდრეკილებათა ჩაქრობით, აღფრთოვანებით. ეს თვისებები უმრავლესობისთვის სასაცილოა. შენ ჯერ კიდევ ვერ სწვდები სიცოცხლის არსს, სამყაროს მოძრაობაზე, მის ძალებზე ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვს. შენ ჯერ არ წაგვიტოხავს ემპედოკლეს ფილოსოფიური პოემა „განწყმედანი“. დიდი ხანი არაა, რაც მის თარგმანს შევუღდექი. აი, ავამეტყველებ ქართულად და განივრცობა აზრისა შენისა თელსაწიერი. და გახარებული შევძახებ მამინ: „ფიატ ლუქს! — იყავნ ნათელი!“ მანამდე კი გავიგონე: შენ ჩემი მეგობარი ხარ, მაგრამ უნდა იცოდე, პლატონი მეგობარია, მაგრამ ჰემმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია! — ეს ბოლო შეგონება ალტკინებითა და ქედმაღლურად წარმოსთქვა, გაიარ-გამოიარა და ქურჩაში ჩაელილი მოწყენილი ბიჭივით ჩაილიღინა:

გაზახული წავიდა —
ნაირ-ნაირ ფერებით,
ჩემო შეყვარებულო,
როდის მომიფერები.
მალე მოვა ზამთარიც,
დასკვნებთან ვარდები...
ჩემო შეყვარებულო,
როდის შეგიფერავდები.

2

ოლიან ქორეი ნახევრადანგრეულ ეკლესიას ჰგავდა, გუმბათჩამორღვეულს, კედლებდაშლილს, თანაც აგერაგერ ჩუქურთმიანი სვეტები რომ შეჩენია. ნანგრევებზე ეტყობოდა, ერთ

ღროს მწყობრად ნაშენი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, მოზაიკით მოჭიქული თუ არა, სასიამოდ მოხატული გუმბათით, მის თალებქვეშ ერთ ღროს გალობაც რომ ისმოდა და ფსალმუნებშიც, მრევლიც რომ ჰყავდა და მნათეც... ხანდახან უთავბოლოდ დაყრილი ხავს-მოღებული ლოდების დარანებიდან თევზივით გამოხსლტებოდა მრავალი წლის წინათ იქ გადაძალული დვინი, ჯერ კიდევ ზეზე მდგარ კედლებზე ჩამავალი მზის აღმაცერი სხივი ვაცრეცილ ფრესკას წამიერად გაანათებდა და კარგა ხნის წინ სამრეკლოს მოწყვეტილი ზარის ხმაც მოგვეყურებოდათ. თუმცა დიდ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლს არ წარმოადგენდა, მაგრამ მის შემხედვარეს გული გიტკინებოდათ; ყველაზე მწარე ის იყო, ნანგრევებდა ქცეულ ნაგებობას აღდგენა რომ არ ეწერა.

ფხადგმულ ნანგრევივით დადიოდა. გზადგზა, დროთა განმავლობაში, გადანგრეული კედლებიდან თითო ქვა უცურდებოდა, აგერაგერ სასწაულად შემორჩენილი ბათქაშიც მოსცვივოდა და ორმოც წლამდე მიღწეული ოლიან ქორეი სამოცს გადაცილებული გეგონებოდათ. გულს იოლად არავის გაულებდა, არც ვინმეს მოაბეზრებდა თავს, ხალხში მორცხვად იყო, თავის აზრებს არავის მოახვევდა. მართლაცდა დანგრეულ ეკლესიასავით გულჩათხრობილი იყო. მე ვიყავი ამ ნანგრევის გულშემატკივარი, მის ჩამოქცეულ კედლებთან მოსაუბრე; დღისით — ზარის შემომკრელი მნათე და ღამით — მთვარის შუქზე მის ჩრდილში მოფარფატე ღამურაც.

მიკვირდა, ეს გულჩათხრობილი, უკვე ნანგრევად ქცეული, მაგრამ ფილოსოფიური ცოდნის ქვესკნელში გამოვლილი, ჩემზე ბევრად უფროსი კაცი, რას პოულობდა ჩემთან საერთოს. წიგნებს კი ვკითხოლობდი, მაგრამ ოლიან ქორეის წიგნის თაროებს რომ აუფელ-ჩამოფეულიდი, ტანში ერთუანტელი დამივილიდა. ისეთ ავტორებზე, ისეთ წიგნებზე იცოდა საუბარი, აქამდე რომ

არ გამეგონა. ბევრ რამეს ვერ ვგებულობდი მისი ლაპარაკიდან თუ მსჯელობიდან, მით უმეტეს, როცა აურევდა და საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს შემომამარებდა; და მაინც მონუსხულივით ვუსმენდი: ხშირად მის ბიბლიოთეკაში შუალამეც წამოგვდგომია თავს. მკაცრიც იყო და გულჩველიც, ყურადღებიანიც და ხელაქნეულიც, დამჯერეცა და ჭიუტიც, მოსიყვარულეცა და გულცივიც. ხშირად ისე გადაშიშლიდა გულს, ერთ მცირე კუნძულსაც არ დაიტოვებდა შოჩრდილულს, ზოგჯერ, ზღარბივით ბუძგში ჩაიკეტებოდა და ბასრ ეკლებს მოგიშვერდა. ასეთ დროს უმჯობესი იყო გახრიდებოდი, თორემ არ დაგზოვავდა, მიკარებისთანავე დაგჩხვლელტა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, აშკარად ეტყობოდა, ერთგულ მოწაფესავით, უფრო მეტიც, უმცროს ძმასავით ვუყვარდი.

გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი ისე დადიოდა, თითქოს მთელი ქვეყნის სიმძიმე მას აწვა კისერზე. მთელი ქვეყნის ტვირთი რად უნდოდა, საკუთარიც ყოფნიდა.

მამამისი განათლებული და მთელს საქართველოში ცნობილი სპეციალისტი — ექსპერტ-გეოლოგი იყო. უშალღესი სასწავლებელი ვარშავაში ჰქონდა დამთავრებული და თავის საქმეში თავისსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ბადალი არ ჰყავდა. ათეული წლების განმავლობაში ქართული შიშის ქანებისა და მინერალების ისეთი კოლექცია დაეგროვებია, რომელიც გნებავთ, მუზეუმს დაამშვენებდა.

ერთხელ კი არა, ვინ იცის რამდენჯერ მიეუყვანივარ შემინულ კარადებში გაწყობილ თავის ულამაზეს კოლექციასთან და არასოდეს მომწყენია მათი თვალღერება. ვუყურებდი და ქანებისა და მინერალების ნატეხები საქართველოს მინიატურულ კლდეებსა და ჭიუხებს მაგონებდა.

კონონ ლუკიჩი (ყველა ასე ეძახდა და ჩვენც ასე მოვიქცეთ) სახეგაბრწყინებული ტრიალებდა საკუთარი ხელით

წლობით შეგროვილ განძთან და თითქოს ცოცხალ არსებებს ეფერებოდა, რსიანად მიხსნიდა:

— ეს რკინის მინერალია, კუხლია, შავი მაგნეტიტი. რკინის მადნებიდან ყველაზე ლამაზი ჰემატიტია. დააკვირდი, როგორ სისხლივით წითელია; ბერძნულად „ჰემატიკოს“ — სისხლიან ნიშნავს. ეს, სადაფისებურად რომ ელავს, სიდერიტია. რკინის მადანი მრავლადაა საქართველოში. ძველი ბერძენი მწერლები ხშირად მოგვითხრობენ ძველი ქართველი ტომების — ხალიბების შესახებ, რომლებიც რკინის წარმოების დიდი ოსტატები ყოფილან.

ძველ ბერძენთა ნაწერები, რა თქმა უნდა, წაკითხული არ მქონდა და რაც ვიცოდი, იმას ვიტყვოდი:

იბერიელთა სოფელი... მადალ-მადალი ცხენები.

ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.

პირველყოფილი სამკედლო — გრდემლი და ურო ძლიერი,

ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელები.

— კარგია, კუხლია, ლადოს ლექსები ზეპირად რომ იცი, მაგრამ, — თვალს მოჭუტავდა და ისე გადმომხედავდა, — დროა, უკვე ბერძენი მწერლების წიგნებიც იკითხო. — მერე ისევ თავის განძს მიუბრუნდებოდა, — ესენი სპილენძის შემცველი მინერალებია: სპილენძის ალმადანი, ანუ ქალკოპირიტი, კუპრიტი, მალაქიტი. სპილენძი პირველად გამოიყენა ადამიანმა სამკაულადაც და იარაღადაც. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ენეოლითის, ანუ სპილენძ-ქვის ხანი.

საათობით რომ ელაპარაკნა მათზე, არ მოსწყინდებოდა და არც მსმენელი დარჩებოდა უკმაყოფილო. რა არ ეწყო კარადებში: კვარცის ნატეხი, რომელშიც თვითნაზადი ოქრო ბრწყინავდა; პირიტის, ბარიტის, აპატიტის კრისტალები; დოლომიტის, მთის ბროლის, კვარციტის, ამეთვისტოს, თეთრი და

ნაცრისფერი, ყავისფერი და მოწითალო კაყის, გიშერის, ოპალის, ობსიდიანის, მარმარილოს, გრანიტის სხვადასხვა ზომის, ფერისა და მოყვანილობის ნატეხები. კინოფარის წინწყლებით მოფენილი თევზის ფორმის ნატეხი კალმას ჰგავდა; სერპენტინისა — დამალ ხეს მოდებულ სოკოვან ლიქენს, მანგანუმის პიროლუზიტი — კექისის ნაქერს, კალციტი და აქატი — ზღვის ლოკოკინების ნიჟარებს. თვალს იტაცებდა მრავალი ფერის მარმარილოს კვადრატები. მთის ბროლის მოზრდილი ნატეხი მართლაცდა ერთად შექმულ სალი კლდეების მინიატურულ მანეტს წარმოადგენდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო და ხალხს ქამარი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი. მიუხედავად ამისა, კონონ უორ-ჟოლიანის ოჯახში ნორმალური სადღევახშამი კეთდებოდა. თუ სუფრასთან წავესწრებოდი, ჩემი გამშვები ვინ იყო. მატერიალურად არ უჭირდა, მაგრამ დარდმა გატეხა კაცი. უფროსი ვაჟი — სამხედრო ინჟინერი, ომის დამთავრების დღეს დაიღუპა ბერლინში, მერე უმცროსი ვაჟის ავადმყოფობა წამოეწია და უშველებელი ტყავის პორტფელით სამსახურებრივ დოკუმენტებთან ერთად მაგარ სასმელსაც დაატარებდა. არ უავადმყოფებია, ისე წავიდა ამქვეყნიდან — სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, ქუჩაში ჩაიკეცა და იქვე გავდა.

ოლიან უორჯის დედა, აგრაფინა, ფუფუნებაში ნაცხოვრები ქალი იყო, მაგრამ გაჭირვებამ და უბედურებამ კარგი ცხოვრება დააიწყა. მისი ერთადერთი საზრუნავი ოლიან უორჯი გახდა. თავს ევლებოდა, საჭმელს პატარა ბავშვივით აძალუბდა, არც ჩაცმა-დახურვის აკლებდა. თვითონ ოლიან უორჯი მდიდრულ ტანსაცმელს არაფრად დაგიდევდათ, მაგრამ სისუფთავე უყვარდა. ძველებურ ყაიდაზე გახამებულ საყელოს ატარებდა და როგორც კი აცივდებოდა, ტყავის ხელთათმანებს აღარ იცილებდა. წვიმიან ამინდში იმოდენა ქოლგას მოიმარჯვებდა, მის ქვეშ პატა-

რა სუფრა გაიშლებოდა. თანსურ ქარწვიმაში ამ ქოლგით რომ დაეინახებოდი, ვფიქრობდი, თუ დროზე ხელი არ გაუშვია, ქარი ცაში აიტაცებს-მეთქი.

ქოსა არ ეთქმოდა, მაგრამ მთელი თვე რომ არ გაეპარსა, ღინღლივით თუ დაინდებოდა წვერ-ულვაში. მიუხედავად ამისა, კვირაში ორჯერ დადიოდა პარიკმახერთან და გაპარსული, ნაოჭებით დაღარული ლოყები ვაშლის ჩირბივით უჩანდა.

კონონ ლუქიას შავი დღისთვის ცოტა ფულიც ჰქონდა გადანახული. რად გინდათ მერე! მანეთი რომ მანეთია, ის აღარ შემორჩათ. გასვენების ხარჯებმა, სასაფლაომ, ორმოცმა, წლისთავმა მთელი დანაზოგი თანხა ჩაყლაპა და დედა-შვილი თვიდან თვემდე ოჯახის უფროსის გამო დანიშნული პენსიით გადიოდა.

ოლიან უორჯს სამსახური, და საერთოდ, შრომა არ შეეძლო. თუმცა შამის ამხანაგებმა ფოსტალიონობა გაუხერხეს თავისისავე უბანში; ორი თუ სამი თვე დაათრევდა ეურნალ-გაზეთებით საესე ჩანთას. ყველა ოჯახში მზიარულად და კეთილად იღებდნენ, უმასპინძლებდნენ, ხან არაყს, ხან ღვინოს, ზოგჯერ კონიაკსაც გამოუტანდნენ და სასმელს, მანამდე პირს რომ არ აკარებდა, გაეჩვივა, გაუტეხა და მასპინძლის შემოთავაზებას აღარ ელოდებოდა, თვითონვე მოითხოვდა: „მასპინძელო, თავი დამალოცვინეო!“ სხვა მხრივ პატიოსანი და მოკრძალებული იყო. როცა ადრესატს პენსიას, ფულისგზავნილებას, სასიხარულო წერილს ან დეპეშას მიუტანდა, კაი ფეხისა ხარო და მანეთიანს გაუწოდებდნენ. იუკადრისებდა და ბუზღუნით გაეცლებოდა იქაურობას.

ორი თუ სამი თვე იმუშავა ფოსტალიონად, ჩანთის თრევა ველარ შევქელიო.

ფოსტალიონობას თავი მიანება, მაგრამ თითო-ოროლა ჭიქის გადაკვრა ჩვევად დარჩა. მთვრალს ვერასოდეს ნახავდით, ოდნავ შეფაკლულ ლოყებზე და ავზნებულ ლაპარაკზე თუ შეატყობდით, გადაკრულში რომ იყო. ასეთ

დროს ალაგ-ალაგ შესძახებდა: „შენ გიგალობ, ბახუსო!“

მერე და მერე მათი ოჯახიდან ძვირფასმა ნივთებმა (აგრაფინას ნაშთივი მოვერცხლილი დანა-ჩანგალი, ძველბურთი ლამპა, თუთიის სამურაბე ტაშტი, ბროლის ვაზები, ლუკაია ბაბუას ნაქონი ნაბადი და ქამარ-ხანჯალი, ყანწები) ფეხი აიდგეს და თანდათანობით საკომისიო მალაზიაში გადაინაცვლეს; უცხოდ მოხატულმა ხალიჩებმა ფრთები გამოისხეს და სხვათა ბინების კედლებს შეაფრინდნენ.

წიგნებისთვის ხელი არ უხლიათ.

რა წიგნს არ წააწყდებოდით ოლიან შორეის ბიბლიოთეკაში: კედლის გასწვრივ გაკიმულ გლაქულ თაროებზე კობხად იყო ჩალაგებული კობონის ნაქონი სპეციალური ლიტერატურა გეოლოგიის დარგისა. ჩემს ყმაწვილკაცობაში პირველად აქ ვნახე ისეთი საოცარი წიგნები, როგორცაა 1909 წელს სანკ-უეტერბურგში დასტამბული ბრემის სამტომეული, მოოქროვილ ყლებში ჩასმული რანკეს „აღამიანი“, შტანდფესის „პეპლების ცხოვრება“, რატელის „მიწა და სიცოცხლე“, ედგარ პოს „არაჩვეულებრივი მოთბრობები“, აკადემიკოს იანუელის „უკეთესი მომავლის საძებნელად“ და ავტორი აღარ მახსოვს — „მამაკაცი და ქალი“. ცალკე იყო ჩამწკრივებული ჟურნალ „ვობროსი ფილოსოფიი“-ს ათი წლის ყველა ნომერი. აქვე ვიგონებ ქართულ ენაზე დიდი ხნის წინათ დასტამბულ წიგნებს: ავგუსტ ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“, „ქართველი ქალები“, ერკმან შატრიანის „გლეხკაცის ისტორია“, იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.

როცა ძვირფასი ნივთებისაგან მათი ბინა დიკალა, უფრო გამოჩნდა კონონ ლუკიჩის იშვიათი კოლექციისა და წიგნების სილამაზე და სიღიაღვე. ქანებისა და მინერალების კოლექციაში გვარიანი თანხა შეაძლიეს—არაო, კონონ ლუკიჩის ხსოვნა ფულზე უფრო ძვირად გვიღირსო. წიგნებს ოლიან შორეი გასაყიდად გაიმეტებდა კი არა, ლუ-

კმას მოიკლებდა და თუ სადმე კარგ წიგნს წააწყდებოდა, ჯიბეს გადმოიბრუნებდა და მაინც შეიძინდა.

ოლიან შორეის დედა აგრაფინა, როგორც ვთქვით, ფუფუნებაში ნაცხოვრები ქალი გახლდათ. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ბევრი საზრუნავი გაუჩნდა, დიდი ჯაფა დააწვა და მალე მოტყდა. ისე დაჩაჩანაცდა, ოლიან შორეის საცელების გარეცხვაც უჭირდა. ბოლო დროს გულმავიწყობაც დასჩემდა.

ერთ დღეს ასეთ საუბარს წავესწავით:

— მოგეყვანა, ბიჭო, ბარემ, ი ქალი, ა?! — უჩიჩინებდა ვაჟს.

— ვინ ქალი, დედაჩემო, რას მეუბნები? — გაწიწმბტდა ოლიან შორეი.

— ვითომ არ იცი? — თვალი ჩაუკრა აგრაფინამ.

— რა ვიცი მე, არაფერი არ ვიცი! — ხელები გაშალა ოლიანმა.

— ვინცა გყავს, ბიჭო... — და ხმადბლა შეაპარა, — შე-ყვა-რე-ბუ-ლი.

— გადაირიე, დედაჩემო! — იყვირა ოლიან შორემა.

— რა ვიცი, მეზობლები მეუბნებიან, შეყვარებული ჰყავსო, მასთან ბიჭიც შეეძინაო.

— მაგათ ვუჩვენებ სერის! — განრისხდა ოლიანი, — საჭორიკანო შემოელიათ და ახლა მე ამომიჩემეს ხომ?

— მართალი თუა, შვილო, გამიხარდება, მოგეყვანა ბარემ... ჩემი ნაშვითი ყველაფერი მისი იქნება... მარჯვე ქალი თუა, შენც მოგივლის და მეც. სანამ შემძლია, ხელს წაუფერავ საქმეში. მე რო რამე დამემართოს, ვინა შენი პატრონი და მომვლელი.

— კარგი, გაჩუმდი, დედაჩემო! ტუტუცი მეზობლები გყავს და მაგათ რაიმე დაეჭვრება? გატუსურაკებენ და მერტე არაფერი...

— შენ მაინც მოთხარი, კუბლია, ჰყავს ჩემს ბიჭს შეყვარებული? — მკითხა აგრაფინა ბიცოლამ.

— არა მგონია! — ორკოფულად ვთქვი და ვინანე.

— შენც კაი ხვითო ხარი! — მეცა

ოლიან ქორეი და საკინძეში ხელი ჩამავლო.

— ხუმრობენ მეზობლები, აგრაფინა ბიცოლა! — გამოვასწორე ჩემი ნათქვამი.

— თუ ჰყავს, კარგია, და თუ არა ჰყავს, მოიყვანოს ვინმე. რა უშლის ხელს? ჩემი მამამთილის ნაქონ ნაბადს, ვერცხლის ქამარ-ხანჯალს გაეყიდით და ქორწილსაც გადავიხდით. შენ მაყრობა არ ავცდებ, კუხლია. რაის ამხანაგები ხართ, ბოლოსდაბოლოს გაურჩევთ ვინმე.

— სწორს ამბობს დედაშენი! — მივუბრუნდი ოლიან ქორეს.

— რაღა დროის ჩემი ცოლია, კუხლია? მოგცლიათ ერთი! ქალზე თავის დროზე არ მიფიქრია და ახლა ორმოცდაათს რომ ვუახლოვდები, ვინღა წამომყვება.

— წამოგყვება, შვილო, წამოგყვება. სახლ-კარი კაი გაქვს და განათლება. ფილოსოფიის ფაკულტეტს ასე იოლად კი ვერ ამთავრებენ. მებუფრები? მალე დისერტაციას დაიცავ, დღე და ღამეს რო ათენებ, ი ნაშრომებსაც გამოცემ და მაიკო შუბლაძის ქალი რომ გაცოცხლდეს, ისიც არ გეტყვის უარს ცოლობაზე. ქალს მეტი რა უნდა. ცოლ-შვილი რო გეყოლება, მუშაობასაც დაიწყებ და იოლად გაიტანთ თავს.

— ეს მაიკო შუბლაძე სად გაახსენდა, ა? — ხელები ვაშალა ოლიან ქორემა.

— ეჰ, რა იცი, ბიჭო, შენ. ჩემს ქალიშვილობაში მაიკო შუბლაძეს რო ახსენებდნენ, ვაჟკაცებს ელეთმელეთი მოსდიოდათ. ქუჩაში რო ჩაივლიდა, თამარ მეფე გეგონებოდა. ჩემმა კონონმა პირველად რომ მაკოცა, ყურში ჩამიჩურჩულა, მაიკო შუბლაძეს ჰგავხარო. უთხარი რამე, კუხლია, ხომ წამომყვება ერთი კაი ქალი? — ხვეწნით გადმომხედა აგრაფინა ბიცოლამ, — ჩემი არაფერი ესმის და იქნებ შენი გაიგონოს!

ორ ცეცხლშუა ვიდექი: აქეთ აგრაფინა ბიცოლას მუდარით სავსე გამო-

ხედვა მწვავდა, იქით — ოლიან ქორეი თვალებიდან ნაკვერცხლებს [ქრთდი].

საერთოდ, ოლიან ქორემა [ქრთდი] ნათან გვერდით გავლილი არ მინახავს. უნივერსიტეტში სწავლისას ვერაფერს გეტყვით, იმ დროს შორიახლოდან ვიცნობდი; როცა დაბრუნდა და ავადმყოფობა გადაიტანა, მაშინ დავეახლოვდით. ქალის სახელს ვერ უხსენებდით. ეზოში ან შუშაბანდში დედამისთან სამასლაათოდ მოსულ მეზობელ ქალებს რომ წააწყდებოდა, თავს მოწყალებით დაუქნევდა, უბრაღ ჩაუვლიდა და ისე გავცლებოდა, თითქოს კეთროვანები ყოფილიყვნენ. მეზობელ ქალებთან ასეთი ურთიერთობა ჰქონდა და სხვებს ხომ საღმთიაც არ იცნობდა.

მეზობლები ხშირად უკუიწინებდნენ: — ოლიან, ქალი რატომ არ მოგყავს?

— მეტი საქმე კი არა მაქვს? — ხელს აიჭნევდა და ნაბიჯს აუჩქარებდა.

— ბერდები, ოლიან!

— სიბერე კაცის ბუნებრივი თვისებაა.

— ქორე, ქორწილი ჩვენზე იყოს!

— ქორწილი კი არა, მეყვე პრასი არ გინდათ?

დედასა და შვილს შორის დაძაბული ვიდექი და აგრაფინა ბიცოლამ რომ მოთხრა, ჩემი არაფერი ესმის, იქნებ შენი გაიგონოსო, აღარ ვიცოდი, რა მეტქვა. მერე შემატყო, უხერხულ მდგომარეობაში რომ ვიყავ ჩავარდნილი და მარტო დაგვეტოვა. მაშინ კი ვაგებდემ და გკითხე: „ოლიან ქორე, კარგი, ცოლის მოყვანა არ გსურს, მაგრამ ქალზე, საერთოდ, როგორც ფილოსოფიის საგანზე, რა შეხედულებისა ხარ-მეთქი“.

გაოცებით შემომხედა:

— შენგან არ მიკვირს, კუხლია? მეგონა, ჩემს მეზობლებზე მეტი ჰქუა გქონდა! — ზურგზე ხელები დაიწყე, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე წინ ამყად დამიდგა და მკვახედ თქვა:

ბავშვივით მიკვირს მთავრის ამოსვლა, გათანგული ვარ მზის არტახებით;

სამყაროს ბელი ვილამ ამოხსნას —
მე თუ ქალების ჰკუას აყვება.

ამის შემდეგ ამ საკითხზე მასთან
კრინტი აღარ დამიძრავს.

მალე ოლიან ეორეის თავზე მეტი გა-
სკდა — აგრადინა ბიცოლა იმქვეყ-
ნად გაემგზავრა. და სწორედ მაშინ,
როცა მარტო დარჩა ღუნიაზე, იმ მალ-
ვალაკმა ამურმა გულში ისარი სტყო-
რცხა და მისი ისედაც აწრიალებული
სული ახალი ჭირით ააფორიაქა.

3

წიგნები...

წიგნები იყვნენ ოლიან ეორეის ძვი-
რფასი სატრფოები.

ზოგთან ორი ან სამღლიანი სასიყვა-
რულო ქსელი ჰქონდა გაბმული; კბილს
უსინჯავდა, ჩხრეკდა, მის შინაარსსა და
ხასიათს ალღოს უღებდა. მისდამი
ტრფიალი როცა ხანმოკლე აღმოჩნდებო-
და, კი არ მოისროდა, თაროზე ად-
გილს სათუთად მოუჩენდა და იშვიათად
თუ მიაკითხავდა მითოვებულ „სატრ-
ფოს“.

ზოგს თვეობით დასტრიალებდა თავს,
ყოველ გვერდს ეფერებოდა, ელაცი-
კებოდა, გლუვ ყდაზე კოცნიდა და
მთელი ამ ხნის განმავლობაში მისით
ცხოვრობდა. ახალ „სატრფოსადმი“
ალტაცებასა და სიყვარულს იმითაც გა-
მონატავდა, რომ მკერდში იკრავდა და
ხშირად ლოგინშიც იწვენდა.

ტრფიალით ეინს რომ მოიკლავდა,
მორჩევდა, მეც წამეკითხა. თუ წიგნი
ქართულად იყო დაწერილი, იცოცხლე-
თქვა, ვეცემოდი და ორ-სამ ღამეს მას-
თან გავათევდი. რუსულად დაწერილ
„მსუბუქ სატრფოსთან“ ცოტა-ცოტას
ვკახირობდი, ვწვალობდი და რაიმეს თუ
დავცინცლავდი, იმითაც კმაყოფილი
ვიყავი. რაც შეეხებოდა ფილოსოფიურ
მბიძე „სატრფოებს“, გავურბოდი და
მაშინ კი ოლიან ეორეი საყელოში
ხელს ჩამავლებდა: „დროა, კუხლია,
ასეთი წიგნებიც იკითხო, თავი ბავშვი
ხომ არ გგონია, შენი ხნისა რომ ვიყა-

ვი, მაშინ უფრო მეტს ვკითხულობდი/
ვიდრე ახლაო!“

ოლიან ეორეი ხელთათმანეტირით
იცვლიდა „სატრფოებს“, მაგრამ იყო
წიგნები, რომელთა სიყვარული არას-
დროს განელებია: ეან ეაკ რუსოს „ეი-
ული ანუ ახალი ელოზა“ (ალბის
მთისძირა პატარა ქალაქში მოსახლე
ორი მიჯნურის წერილები) — რუსულ
ენაზე; იოსებ იმედიაშვილის უცხო სი-
ტყვეთა ლექსიკონი, გომპერცის «Гре-
ческие мыслители», ემპედოკლეს პოე-
ძის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი
დენი დიდროს „რამოს ძმისწული“,
1906 წელს კიევში გამოცემული გ. ია-
კუბანისის «Эмпедокл: философ, врач,
чародей», ემპედოკლეს პოემები —
ბი — ნატურფილოსოფიური „ბუნების
შესახებ“ და რელიგიურ-ესხატოლოგი-
ური „განწმედანი“ (რუსულ და ძველ
ბერძნულ ენებზე). ბერძნულ ენაზეო?
ვითომ იცოდა ოლიან ეორემა ძველი
ბერძნული? ალბათ იცოდა.

ეან ეაკ რუსოზე მაშინ ბუნდოვანი
წარმოდგენა მქონდა. რუსულად მკი-
რე მოცულობის იოლად გასაგებ წიგ-
ნებს ვკითხულობდი და როცა მის შა-
გიდაზე დაზვინული ათასგვერდიანი
„ეიული“ გადაეფურცლე, შემეშინდა,
მისი წაკითხვა ჩემს ძალას აღემატებო-
და.

„ეიული“ სულ საწერ მაგიდაზე ედო,
ვიცოდი, ქართულად თარგმნიდა.

ოლიან ეორეი საკუთარ პატარ-პატა-
რა ფილოსოფიურ თხზულებებსა და
ლექსებს ყოველთვის მიკითხავდა; მეც
ერთგულად ვუსმენდი, ზოგჯერ შევეკა-
მათებოდი კიდევაც და ალტაცებული
იყო, ჩემი ნათქვამიდან თუ რაიმე მოე-
წონებოდა.

— ყოჩაღ, კუხლია, — შესძახებდა
გახარებული, — ჩემი თხზულების არსს
ჰეშმარითად ჩასწვდი. არაა შენი საქ-
მე, ყმაწვილო, ეურნალისტიკა, არც ფი-
ლოლოგიური მიხსენო! ნოსკე თე იპ-
სუში — იცან თავი შენი! შენ ფილო-
სოფიის ფაკულტეტზე უნდა შეხვიდი!
მორჩა და გათავდა!

როგორც ვთქვი, საკუთარ ლექსებ-

საც მიკითხავდა, რუსოს თარგმანს რატომღაც არ მაცნობდა. არა და სული მიმდიოდა, რა ეწერა იმ ჯადოსნურ წიგნში. როცა ამაზე სიტყვას ჩამოვუვადებდი, მეტყობდა: „ნუ ჩქარობ, კუხლია, ერთი წელი მოვითმინოთ, ამასობაში დავძლევ და დავამთავრებ, იქნებ ცალკე წიგნადაც გამოვცე, მერე დაჯექი და რამდენიც გინდა, იკითხეო“...

წიგნების განათხოვრება ჰირივით სძულდა. თუ ვინმესთან დიდ ხათრში ჩავარდებოდა და იძულებული იყო წიგნი გაცეცა, ამ საქმისთვის განკუთვნილ რვეულში ჩაიწერდა:

1. კუხლიამ წაიღო „წითელი და შავი“.

2. ზურაბ კირტავას გავატანე „შაგრენის ტყავი“.

3. კუხლიამ მოიტანა „წითელი და შავი“.

4. კუხლიამ წაიღო „რამოს ძმისწული“.

5. ლულუნამ გამომტყუა «Мужчина и женщина»-ს ორივე ტომი.

6. კუხლიამ დაიბრუნა „რამოს ძმისწული“.

7. ზ. კირტავამ მოიტანა „შაგრენის ტყავი“.

8. 2 თვე გავიდა და ლულუნია წიგნებს არ მიბრუნებს.

ზურაბ კირტავას, მის მეზობელს, უფრო ჩემი ხათრით ატანდა წიგნებს — ჩემი თანაკლასელი იყო კირტავა და იმიტომ.

ლულუნია ოლიან ეორჯის დეიდაშვილი გაზღდათ. წიგნების დაბრუნება რომ დაუგვიანა, ადგა და შინ მიუხტა:

— რა თავს იგდებ, ყმაწვილო, — შეუტია, — აგერ სამი თვე გავიდა და წიგნების დაბრუნება აღარ უნდა იფიქრო? კიდევ მომადგები და რასაც წაიღებ, იმასაც ვნახავთ!

— უჰ, რა მოგივიდა, კონონიჩ ხომ არ შეგეცამ?! —

— არ იკმება თორემ, ხელს არ დააკლებდი.

— მე კი გადავავალიერე, მაგრამ, აგერ, რუსიკომ მთხოვა, ჩემი მეზობე-

ლი რომაა, მასწავლებელი... გუშინ ნახა ეს წიგნები ჩემთან და უფიქრე ერთი-ორი კვირით ვათხოვებ-მეთქი.

— მეტი საქმე კი არა მაქვს, — გაბრაზდა ოლიან ეორჯი, — არ ვიცი შენნი რუსიკო! — წიგნებს ხელი დასტაცა და ილიაში ამოიღო. — რაც გინახავს, ველარ ნახავ!

— უჰ, მოიცა, ბიჭო, რამ შეგშალა. იცი, რა გითხრა, კონონიჩ, რუსიკო ისეთი ლამაზი ქალია!..

— არ ვიცი მე ლამაზი ქალი! — სიტყვა შეაწყვეტინა.

— ისეთი ლამაზი ქალია, რომ განახა, შეიძლება ანუქო კიდევაც.

— მეტი საქმე არა მაქვს? არ ვიცი მე ლამაზი ქალი; ქალი-ქალია!

— თუ არ იცი, მე თუ ლულუნია ვარ, გაგაგებინებ! — მიამახა კიბეზე ჩამავალ ოლიან ეორჯს და ფართო მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა.

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა.

ოლიან ეორჯი თავისი ახალი ფილოსოფიური თხზულების ნაწყვეტს მიკითხავდა:

„შეგრძნება აიძულებს სულს გამოვიდეს თავის თავიდან, აძლევს რა მას ბუნდოვან წარმოდგენას გარედან მიზეზისა, რომელიც მოქმედებს მასზე, რადგან შეგრძნება იგივე არანებისმოერი პერცეპციებია. სული, რამდენადაც ის შეიგრძნობს, პასიურია, ის ეშორჩილება მოქმედებას; მაშასადამე, მის გარეშე არის ქმედითი ძალა. ვინ იქნება ამ ქმედით ძალად? ჭკუასთან ახლოა, მივიღოთ ის მოქმედების შესაბამის ძალად და ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა მოქმედებას სხვადასხვა მიზეზი შეესაბამება, რომ შეგრძნებები მიზეზებით იწარმოება, იმდენივე სხვადასხვა მიზეზით, როგორც თვით შეგრძნებანი. ამ პრინციპის თანახმად, სინათლის მიზეზი უნდა იყოს სხვაანაირი, ვიდრე ცეცხლის მიზეზი; ის რაც იწყებს ჩემში ყავისფერის შეგრძნებას, არ უნდა იყოს იმავედ, რაც მე მაძლევს იისფერის შეგრძნებას.“

ვინაიდან ჩვენი შეგრძნებები იგივე

პერცეპციებია, უწვრილეს განუსხვავებელ მოძრაობათა უსასრულო რიცხვის წარმომადგენლები, ბუნებრივია, რომ მათთან მოაქვთ სხეულის ნათელი ან ბუნდოვანი წარმოდგენა, მოძრაობის წარმოდგენისაგან განუყოფელი, და რამდენადაც მატერია ამ მოძრაობათა მიერაა მოქმედებაში მოყვანილი, ჩვენ მას ვსთვლით ჩვენი შეგრძნების მიზეზად და იმავე დროს მათ ობიექტად...“

ამ დროს ვილაც შუშაბანდში ბრახუნით შემოვიდა და კარზე დააკაკუხა. სანამ კარი გაიღებოდა, გულში რალაც უსიამო ექვმა გამეკნწლა, გოხება ამემღვრა: რასაც ოლიან ქორეი მიკითხავდა, ნაცნობად მომეჩვენა, თითქოს სადღაც მქონდა გაგონილი, თითქოს რომელიღაც წიგნში წამეკითხა. უცებ გოხება გამინათდა და კინალამ ვიყვირე: „დენი დიდრო!“ მისი „რამოს ძმისწული“ ერთი თვის წინ მქონდა წაკითხული და ოლიან ქორეის ეს ახალი თხზულება ამ წიგნის რომელიღაც ადგილს მივამგებავ...

კარი გაიღო და ლულუნია შემოივტიმა, თან ომახიანად შესძახა:

— ოლიან, ქორე, დამხვდი, თუ ვაქაცი ხარ! ოო, მარტო არ ყოფილხარ!.. გამარჯობა, კუხლია! არც მე გეგოხობთ, მარტო, ლამაზ ქალთან ერთად მოვედი. მობრძანდით, ქალბატონო რუსიკო! — მოიპატიეთა კართან მორცხვად მდგარი ქალი და თანაც მაჯაში ხელი ჩაავლო.

შემოვიდა და გაოცებისგან პირი დავაღე, თავიდან ოლიან ქორეის თხზულების ნაწყვეტიც გამომიფრინდა და დენი დიდროც. მართლაც ლამაზი ქალი იყო. საშუალო ტანის, ოდნავ მსუქანი, თვალისმომჭრელად თეთრმა ხელებმა და ყელმა სანთლებივით შემომანათეს. პატარა, ჩამოქნილი ცხვირი და შავი თვალ-წარბი ხატავდა რუსიკოს. ქალღებში ბევრად ვერ ვერკვეოდი, მაგრამ მშინვე მოვიხიბლე მისი დანახვით. ოთახი რალაც დამათრობელი სურნელით აივსო — აი, ტყისპირას რომ იცის გაზაფხულზე. ლულუნისა როხროხი რომ არა, მის ბაგეთაგან წარმოდენილ წყაროს ლიკლიკსაც გავიგონებდით.

— გამარჯობათ! — თქვა ქალმა და მართლაც ნაკადულის აკორდად გაისმა მისგან თქმული ეს ერთადერთი სიტყვა.

— ეუპ, გაინძერ, კონონიჩ, მშვენიერი კამპანია შეიკრება და წიგნებს უქახ რომ კონიაკი ვაქვს გადამალული, მაგიდაზე ჩამოვდგი.

ოლიან ქორეი ლულუნისა როხროხს არც უსმენდა; გაფითრებული, გახევებული იდგა და ქალს ისე მისჩერებოდა, წამწამებს არ ახამხამებდა.

ლულუნამ წიგნის თაროებს აუარჩამოუარა. ნესტოები უთრთოდა; რომ მეგონა, რომელიღაც წიგნს ეძებდა, უცებ ალტაცებით შესძახა:

— აი, ესეც! — მეხუთე თაროზე რანკეს „ადამიანის“ მეორე ტომი გადმოსწია და კონიაკის ბოთლი გამოაპარა. — მოდი ჩემთან, ლამაზო! შოდი, მოდი, ბიძიასთან და არ მითხრა ყუყუე ვარ დასულიყო. — გადმოიღო და მალა ასწია, — ვაშა, ორი თითის დადება აკლია. — ბოთლი პატარა მრგვალ მაგიდაზე ბრახუნით დადგა.

ოლიან ქორეი გონს მოეგო. ოთახში გაფანტული სკამები აახრივინა, მაგიდას შემოუწყო, პატარა სირჩებიც მოიტანა და ამის მერე, რალაცნაირად დაგულდული, შეშინებული, არაბუნებრივი ხმა აღმოხდა მკერდიდან:

— მობრძანდით! დაბრძანდით!

— რუსიკო ნიკოლაძე, — წარმოგვიდგინა ლულუნამ ქალი, — ჩემი საუკეთესო მეზობელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. წიგნების გიყი და კითხვისგან თვალუბამოღამებული. შესახებდავად როგორიცაა, საკუთარი თვლით ხედავთ, — თანში ჩამოვარდნილი ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავია... ოლიან ქორეს ენა აქვს დაბმული, შენ რას იტყვი, კუხლია?

— მეე? — ვიკითხე და ენა მუცელში ჩამივარდა.

— ჰო, კარგი, ნურაფერს იტყვით, ისედაც გატყობთ, მოგეწონათ... — განაგრძო ლულუნამ, — ჯერ სადა ხართ, საუბარს რომ წამოიწყებებს, მერე იმასაც ნახავთ, როგორი ინტელექტისა და გულის ქალია. დაბრძანდი, რუსიკო. —

ეს კუხლია, სასტუმრო ბიჭი, ჩემი დეიდაშვილის უმცროსი მეგობარი და ნიჭიერი მოწაფე. გავამხელ და — ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერს. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ქალმა გადმოხედა, ალერსიანად გამოიღმა და ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა. ფეხზე კი წამოვხტი, მაგრამ რა შექნა, არ ვიცოდი. წიგნებში მქონდა წაითხული, ქალს ხელზე ემთხვევიან მამაკაცები. ვერ გავხედე. ვერც ხელის გაწოდება მოვახერხე და ისე ვიდგე, როგორც სოფლელი ბიჭი ბაღერინის წინაშე.

— მიყვარს ლექსები, — თქვა ქალმა და ნიკაძევე ხელი მომიტათუნა.

სახეზე წამოვწითლდი და გვერდზე გავდგე.

— ეს ზურაბ ქორეოლიანია, თავად ოლიან ქორეი, ფილოსოფიის მატლი და ფართო მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობი პირველი კლასის პოეტი.

ქალი ოლიან ქორეისავე გაემართა. მსუბუქად მიაბიჯებდა, თითქოს ფეხშიშველა უოფილიყო. თან თვალში შეცა, ისე მიდიოდა, ვითომ ვილაცას თურაღაცას ეპარებო...

ის კი, სკამის საზურგეს ორივე ხელით დაყრდნობილი ოლიან ქორეი, ფეხს არ იცვლიდა, თითქოს ეშინოდა, სკამს რომ მოეცილდებოდა, წაიქცევო. ქალი რომ მიუახლოვდა, წელში გასწორდა, გოროზად, თანაც, ცოტა არ იყოს, უქმეხად დადგა; მისი თვალები თითქოს ამბობდნენ: კი, ლამაზი ქალი ბრძანდებით, მომხიბვლელად მიახლოვდებით, მაგრამ, ხომ არ გნებათ, დაფეთებული მოგვარდეთ, თეთრი და სალუქი ხელი გამოგტაცოთ და ზედ დიდი ხნის მონატრებულევით გემთხვიოთ.

რუსიკო მის გამეხებულ მზერას არ შეეპუა, ახლოს მივიდა, ოლიან ქორემა ნაბიჯიც რომ არ გადმოდგა, სკამის საზურგეზე ჩაფრენილ მის მარჯვენას ქათქათა ხელისგული დაადო და ქრუანტელისმომგვრელი ხმით უთხრა:

— თქვენზე იმდენი რამ მსმენია...

მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, ო, ოლიან ქორე, ოლიან ქორე, ხმამაღლა დეთ, ხელი მაინც ჩამომართეთ.

ოლიან ქორე წარბიც არ შეუხვრია. ხელები უფრო მგარად მოუჭირა სკამის საზურგებს და რომ მეგონა, უქმეხად იტყოდა რაიმეს; თართოლვანეპარულ, გაბზარული ხმით ამოვიგინა:

— ოპ!

— ლუ-ლუ-ნი, — დამარცვლა ქალმა, — უთხარით თქვენს დეიდაშვილს, ქალი რომ თავის ფეხით მივა მამაკაცის გასაცნობად, ასე არ ხედებთან.

— არა უშავს, რუსიკო, ვაპატიოთ, ვაპატიოთ! ცოტა არ იყოს, გამოუცდელია, განყენებულმა ფილოსოფიამ შეაღუნა მჩქეფარება მისი სისხლისა... — ლულუნა მსახიობობდა, თანაც კონიას ასხამდა ჭიქებში, — მაგრამ და მაგრამ მაქვს იმედი, რომ ელვარება შენი თვალებისა, სითბო სუნთქვისა შენისა მაქარივით ამჩქეფარებს ჩვენს პოეტსა და ფილოსოფოსს! კუხლია, — მომიბრუნდა მე, — დასაყოლებლად ვერაფერს ვაახერხებ? მეტი თუ არაფერი, მსხალი მაინც მოკრიფე, ბიჭო!

ოთახიდან გავედი. სამზარეულოში, არეულ-დარეულ ჯამ-ჭურჭელსა და კობსერებში ალუბლის მურაბის გაუხსნელი ქილა ვიპოვე, აგრაფინა ბიცოლას მოდულელები. ლამაზებიცა და პატარა კოვზებიც გამოქებენ და მათ გავუტანე. მერე გაებრუნდი, ქამარზე ტილოს ჩანთა ცალი სახელურით შევიბი და მსხლის ხეზე ავცოცდი.

გულაბი ახლადშეყვითლებული იყო და როცა ხილს ვკრეფდი, ოლიან ქორეის ბაბუა ლუკაია გამახსენდა. ოთხმოც წელს გადაცილებული ლუკაია ბაბუა შექანდა და როცა მოუვლიდა, ამ მსხლის ხეზე ხის კიბეს მიიდგამდა, აბობლდებოდა, ტოტებს ლაწალუწს აუტეხავდა და თან გაჰყვიროდა:

— ლუკაია ვარ ქორეოლიანი, ლუკაია! პირველ მსოფლიო ომში შინის ზარს ვცემდი მოწინააღმდეგეებს. წმინდა გიორგის ჯვარი მაქვს მიღებული. — მკერდზე ხელს მოისვამდა, — არ მკითხოთ, რატომ არ გიკეთიაო. რატომ

არ მიკეთია და არ მაკეთებინებენ, და-
კარგავო. დავკარგავ და არაფერი მო-
თხრათ, თორემ ამ ხეს ძირიანად მოვ-
თხრი და თავზე დაგამხოვთ. — შერე
ბებრული ხრინწიანი ხმით სიმღერას
მიაყოლებდა: „ეს ქვეყანა პროფავში-
რის ხილია, ჩემბერლენი ფეხებზედაც
მკილია“.

— ჩამოდი ძირს, შე ლუკაია ლაბა-
ხუა, არ ჩამოვარდი! — შეუწყყებოდა
ოლიან ეორეი.

— ვინაა, ბიჭო, შენი ლაბახუა? —
იყვირებდა ლუკაია. ტოტების მტერე-
ვას შეწყვეტდა, ცალი ხელით ტოტს
მაგრად მოჭიდებოდა, მეორეს მოიჩრ-
დილებდა და თვალბმობუტული ჩა-
მოსძახებდა, — ლაბახუაცა ხარ და ბა-
ბახუაც. მე ლუკაია ვარ ეორეოლიანი,
პირველი მსოფლიო ომის მონაწილე,
წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი. ჩემ-
ბერლენიცი ფეხებზედაც მკილია!

— ჩამოდი, ბაბუა, — შეეხვეწებოდა
ოლიან ეორეი, — ტოტი რომ მოგტყ-
დეს, სად გაეამხილოთ, ოთხმოცი წლის
მოხუცი მსხლიდან ჩამოვარდა და კისე-
რი მოიტეხაო.

— ოჰო, ოლიან ეორეს ვახლავარ,
გვარის გამყიდველს! კისერი შენ გაქვს
მოსატეხი, შე ჩიტირეკია, შენა. შე წი-
გნების მატლო, გამოგატეხინა ხო ფი-
ლოსოფიამ. სახელი და გვარი რო გა-
მოიცივალე, რავა, ჭკუა მოგემატა თუ?
ნამუსი გაქვს შენ? სახელოვან ბაბუსას
— წმინდა გიორგის კავალერს კისრის
მოტეხას უქადი? ვერ მოგართვეს! უფ-
რო მალლა ავალ ახლა და მსდიე შერე
კენწეროზე. — ერთი ტოტით კიდევ
აინაცვლებდა, ცხვირზე ცერს მიიღებ-
და, თითებს გაპარჭყავდა და ოლიან
ეორეს დაჰკეთინებდა: — ყიყლიყო,
ოლიან ეორე! პლებანოვ! ბეკონ! შო-
პენჰაურ! ემბედოკლე! — ამ ბოლო ფი-
ლოსოფოსის გვარს ტუტუტურად დაა-
მთავრებდა და ისევ ასტეხავდა ტოტე-
ბის მტერევას. — არ დამიწყოთ ახლა,
რას ჩადიხარო, ეს ხე ჩემი დარგულია
და რასაც მინდა იმას ვუხამს..

საწყალი ლუკაია ბაბუა მართლაც ამ

მსხლის ხიდან ჩამოვარდა და სული გა-
ნუტევა.

მეზობლებმა თქვეს, ეს ხე უნდა მოი-
იკრასო, მაგრამ კონონ ^{ს. ლუკერმაძე}
არაო, მისი დარგულია და იღგეს მა-
მანემის სახელებო.

ახლაც მახსოვს, კუბოში ჩასვენებულ
ლუკაია ბაბუსა მკერდზე წმინდა გიო-
რგის ჯვარი უბრწყინავდა, კონონ ლუ-
კისს ხელები დამჭყვდეული ჰქონდა,
აჭრაფინა ბიკოლას თმები გაეშალა,
ოლიან ეორეი კი პატარა ბიჭივით
ზღუტუნებდა.

გულაბი მსხლით საცეს სინით ოთახ-
ში რომ შევედი, მაგიდას უსხდნენ. ეტ-
ყობოდათ, ორ-ორი ჭიქის დაღევა უა-
ვე მოესწროთ.

ლულუნია ჩვეულებისამებრ როხრო-
ხობდა:

— ეუჰ! ღმერთი სამობითაა, — ჭი-
ქები ისევ შეავსო, — დედა ღვთისა,
მამა ღვთისა და ძე ხორციელი. რაო,
ოლიან ეორე, რას ჩაფიქრებულხარ! —
ოლიან ეორეი შეკრთა და თავი შორ-
ცხვად ასწია. — იმ ყოვლისმცოდნე
ბერძნებს უთვალავი ღმერთი რომ ჰყა-
ვდათ, ჭკუაზე იყვნენ?..

— არ გაბედო, — უცნაურად გაც-
ხარდა ოლიან ეორეი, — ბერძნების
აუგად ხსენება არ გაბედო, ისინი სა-
ხელდიდნი და გონიერნი იყვნენ!

— არა, ოლიან, — უკან დიხხია ლუ-
ლუნამ, — მე იმის თქმა მინდოდა, რომ
მე — ლულუნია ეგერიშვილმა აღმოვა-
ჩინე, დავადგინე და ყველა ფილოსო-
ფოსის გასაგონად ვამტკიცებ: ამქვეყ-
ნად, და თუ გნებავთ იმქვეყნადაც, ბერ-
ძნები ჰადესს რომ ეძახიან, ერთადერ-
თი ღმერთი... აბა რომელია თუ მიხე-
დებით? დავიწყოთ ყველაზე უმცრო-
სიდან. რას იტყვი, კუხლია?

მე მხრები ავიჩიე:

— როგორ გითხრა, ლულუ ბიძია, ამ-
ბობენ, ერთადერთი ღმერთი ამქვეყა-
ნაზე დედააო... მაგრამ დაბეჯითებით
ვერ ვიტყვი, რადგანაც მე ოთხი წლის
ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა და
არ მახსოვს...

— ეუჰ, რა თქმა უნდა, ცდები, ჭა-

ბუკო! ამ კითხვაში პიროვნება არ იგულისხმება. თანაც დედისთვის ჯერ ღმერთი არავის უწოდებია. დედა, ჭაბუკო, გასაღმერეთებელია. ჯერ გამოუცდელი ყმაწვილი ხარ და შენგან ზუსტ პასუხს არც მოველოდი.

— რას გვეტყვის ფილოსოფოსი?! — ლულუნამ ოლიან ეორეისკენ გაიშვირა ხელი.

ოლიან ეორეს ლოყები შეფაკლოდა და რუსიკოს ხელების მოძრაობას გაფაციკებით ადევნებდა თვალს.

— არ არის ღმერთი ამქვეყნად, გარდა ემპედოკლე აკრაგანტელისა! — წამოიძახა ოლიანმა.

— ერთხელ მოგახსენეთ, ცალკეულ პიროვნებას არ ვგულისხმობ-მეთქი. ემპედოკლე რაც არ უნდა დიდი ფილოსოფოსი იყოს, ღმერთად ვერ ვაღიარებთ.

— ეპ, ლულუნ, ლულუნ, ჩემი დეიდაშვილი არ იყო მაინც, ცალი თვალითაც არ ჩაგხედავს ემპედოკლე აკრაგანტელის პოემებში. აი რას ამბობს „განწმენდანში“: „მე ვარ უკვდავი ღმერთი ახლა, მოკვდავ ადამის ძეთა შორის აღარ ებოგინობ“...

— აქ წინააღმდეგობასთან გვაქვს ადგილი. — საჩვენებელი თითი გააჩნია ლულუნამ.

— კონტრარია კონტრარეს კურახტურ! — იყო ოლიან ეორეის პასუხი.

— გაღმოგვიქართულეთ, თუ შეიძლება! — თავაზიანად მიმართა ლულუნამ.

— წინააღმდეგი წინააღმდეგით იკურნება! — დაიმახსოვრე!

— შორს შევიქერით. შენი ჯერია, რუსიკო?

რუსიკოს ალუბლის მურაბის წვენი-საგან ტუჩები ისე ასწითლებოდა, სისხლიან იარას მიუგავდა; კონიაკით ბანგამდგარ თვალებს ეშმაკურად აციმციმებდა, თითქოს ამბობდა, კარგადაც ვიცი და რად შეკითხები, მაგას ჯობია, საღლეგრძელო თქვიო.

და თქვა ლულუნ საღლეგრძელო.

— ეს ერთადერთი ღმერთი სიყვარულია და გაუმარჯოს სიყვარულს!..

და იმ დღეს ორი სასწაული მოხდა ოლიან ეორეის ცხოვრებაში. პირველი: ქალის თანდასწრებით წაიკითხა ლექსი:

კოსმოგონიურ ნისლის არილში
მე დაინახე სახე შემერთალო...
ან ამქვეყნიდან ცაში გამოშვით,
ან მომიტანეთ ღრუბლის ბალიში,
რომ მასხედ დავდო დაიღლი თავი
და სამუდამოდ დავხტუო თვალი.

მეორე: თავის სიცოცხლეში პირველად გაასაჩუქრა წიგნი. «Мужчина и женщина»-ს ორივე ტომი თაროდან გამოიღო და ათრთოლებული ხელით წააწერა:

„სახსოვრად რუსიკოს — ქალს, რომელსაც წიგნს ვჩუქნი“.

ოლიან ეორეი

მოწიწებით გადასცა და თქვა:

— რომის იმპერატორმა ტიტუს ლივიუსმა, როცა მთელ დღეს ერთი კეთილი საქმეც ვერ გააკეთა, წამოიძახა: „ღიემ პერდიდი!“ ის სახელდიდი რომაელი ჩემს ადგილზე რომ იყოს ამჟამად, არაფრისდიდებით არ იტყოდა, დღე დავკარგეო.

4

— კუხლია, — გამომიცხადა ერთ დღეს ოლიან ეორემა, — დროა, ღრმად ჩაუფიქრდე ცხოვრების ფილოსოფიას. ფილოსოფიის ცოდნის გარეშე ძაან გაგიჭირდება ამქვეყნად. კი, პოეზია დიდი რამ არის, სიბრძნეც არის შიგ და სილაშხვეც, მაგრამ ფილოსოფია სამყაროს მოვლენების განჭვრეტის უპირველესი და უტყუარი საშუალებაა. როცა არსებულ ფილოსოფიურ ცოდნას შეითვისებ და დაეუფლები, ამის შემდეგ ახალ საფეხურზე უნდა აინაცვლო — შექმნა საკუთარი ფილოსოფიური სამყარო. და, როცა შექმნი ასეთ დიდებულ სამყაროს, ჩასწვდები მოვლენათა აზრსა და შენებურად შეიცნობ ციურ სხეულთა მოძრაობის საიდუმლოებას, მაშინ ყველაზე მაღალ

საფეხურზე ახვალ, დადგები უკვდავთა შორის და ამაყად გადმოხედავ მოკვდავ ადამიანებს. ასეთი იყო ემპედოკლე აკრაგანტელი.

და თავისი მორიგი თხზულება წაძიკითხა:

„ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი ემპედოკლე, იმდენად თავისებური და ინდივიდუალურია, ბადალი არა ჰყავს თავის თანამედროვეებში. ზოგჯერ მასში ისეთ თავისებებს ხედავენ, რაც საერთოდ დამახასიათებელი არაა ელინელებისათვის. მისი შეხედულებანი არცერთ განყენებულ უსახო შეჯამებას არ ემორჩილება და ეწინააღმდეგება ყოველგვარ ლოგიკურ ერთნიშნა შეფასებას. იგი ამოვარდნილია ყოველგვარი წესებიდან, ამოვარდნილია და ვერცერთ ფილოსოფიურ სახეში ვერ თავსდება. მისი შეხედულებანი არ უთავსდება არც ერთ ზოგადად მიღებულ განსაზღვრებას. მასში ყველაფერი მოულოდნელი და უმაგალითოა, მისთვის უცხოა ყოველგვარი მსოფლმხედველობითი სტანდარტი. იგი ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსთა შორის ერთადერთი და შეუდარებელია. ემპედოკლე აკრაგანტელი ერთ-ერთი ამოუხსნელი და საიდუმლოებით მოცული ფილოსოფოსია. — ოლიანმა ნაწერზე დაბრინილი თავი მალა ასწია. — ხომ გვბუღობ, კუხლია? — მთავარია, ჩემი ნააზრვეი გაიგო და შეითვისო, თორემ ემპედოკლეს შესახებ ფილოსოფიურ ლექსიკონებში, თუნდაც ენციკლოპედიკაში ისეთი მცირე ცნობებია, სათითურში ჩაეტევა. თუმცა ის ელემენტარული ცნობებიც უნდა იცოდე, რაც იქ სწერია. თაროდან რომელიღაც წიგნი გადმოიღო და წაძიკითხა: — ემპედოკლე აკრაგანტელი ცხოვრობდა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით 490-430 წლებში. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე, დემოკრატიული პარტიის მეთაური. ემპედოკლე მატერიის შემადგენელ ნაწილებად თვლიდა 4 ელემენტს: მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს, ხოლო მამოძრავებელ ძალებად — სიყვა-

რულსა (მიზიდულობის ძალა) და მტრობას (უკუგდების ძალა); ემპედოკლის მეოხებით სამყაროს პერიოდულად ერთიანდება ან ელემენტებად იშლება. ემპედოკლეს მოძღვრების თანახმად, საგანთა მრავალფეროვნება აიხსნება ელემენტთა შეერთების სხვაობით და ფიზიკური სამყაროს ცვლილებანი დაიყვანება მათ გადაადგილებამდე. ემპედოკლე სწორად ხსნიდა ზოგიერთ იმდროისათვის გაუგებარ მოვლენას. მაგალითად, მზის დაბნელების მიზეზად მას მიაჩნდა მთვარის მოქცევა მზესა და დედამიწას შორის. მისივე აზრით, სინათლის სიჩქარე ისეთია, რომ მის მოძრაობას ვერ აღვიკვამთ თვალით და სხვ. ემპედოკლე არის ანტიკური პერიოდის ევოლუციონისტი; მას მიაჩნდა, რომ ცოცხალმა სამყარომ გაიარა განვითარების ბევრი ეტაპი და გადაარჩა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი სახეობანი. ადამიანმაც გაიარა განვითარების გარკვეული გზა“. — წიგნი გვერდზე გადადო და ხელები გაშალა. — ესაა და ეს. ახლა გავაგრძელოთ და მოუსმინე, როგორ ამოვხსენი მისი აზროვნების სიღრმეების საიდუმლონი და როგორ დაეხატე მისი სახე, როგორც ღმერთების ტოლი პოეტისა და ფილოსოფოსისა. — ასე და ამგვარად... (იქნებ თავი მოგაწყინეთ ოლიან ჟორჟის თხზულების გაცნობით, ამისათვის მოკრძალებულად გიხდით ბოდიშს. რაკვწნათ, ვფიქრობთ, ყველაფერი ეს საჭიროა მისი ხასიათისა და ბუნების განხილვისათვის, მისი პიროვნების დასახატავად. თანაც ჩემს სულში უკვე ეპქის მოზრდილი ჭია ფუთფუთებდა, რომელიც მღრღნიდა და მაწუხებდა. ბოლოს ეს ეპქი გამართლდა... თუმცა ამის წინასწარ გამხელა ინტერესს დაგვიკარგავთ ოლიან ჟორჟის მიმართ და იქნებ ბოლომდე არც ჩაიკითხოთ მისი ამბავი. ამიტომაც გულდასმით მოვუსმინოთ მის ამ თხზულებასა და სხვა ნაწერებს, რასახითაც არ უნდა მოვიყვანო ამ მოთხრობაში)... საბერძნეთი იცნობდა ბევრ კლასიკურად დამთავრებულ ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანებს,

რომლებმაც თავიანთი სკოლები შექმნეს. ამ „აზროვნების კლასიკოსებისათვის“ ფილოსოფია მარტოდენ თეორიაა, სუფთა გონებრივი მოქმედებაა, რომელიც მოწოდებულია აზრობრივად გახსნას ყოფიერების უკიდურესი, მიზეზობრივ-საწყისებრივი საფუძვლები. მათი ფილოსოფია თავისი მოცემულობით, უპირველეს ყოვლისა, სწავლებაა ყოფიერებაზე და მისი შეცნობის საშუალებებზე, ე. ი. ონტოლოგია და გნოსეოლოგია. სამყარო მათთვის ამოცანაა, ამიტომაც ისინი ყოფიერების მოქმედი მონაწილენი კი არ არიან, არამედ მოაზროვნე მჭვრეტელები. ქუჩა, მოედანი, თეატრი, არღვევენ მათ წონასწორობასა და სიმყუდროვეს. მათი ფილოსოფიური მოღვაწეობის ტიპური პროდუქტი — მანუსკრიპტი, წიგნი, აუთრთოლებლად აწონილი, ლოგიკურად გამოკოპიტებული ფილოსოფიური სიტყვაა. სიბრძნისადმი სიყვარულის ფილოსოფიიდან მათ მხოლოდ სიბრძნე, განყენებულ არსთა განყენებული ცოდნა შერჩათ; სიყვარული კი, როგორც მისწრაფება, როგორც ჭეშმარიტების უშუალო, ცოცხალი, მგრძნობიერად მოქმედი ფლობა, მიუღწეველია მათი ლოგიკური გონებისათვის. ამგვარი ფილოსოფიური ტიპი ბერძნული აზროვნების ყველაზე ადრეულ პერიოდში დაიბადა და არისტოტელეს სახით უკიდურესობამდე მივიდა.

მაგრამ ძველმა საბერძნეთმა იცის ფილოსოფოსები, რომლებიც ნორმებს, კანონებს, ჰარმონიულ საშუალოს ვერ იტანდნენ. სულის რომანტიკული, ფაუსტური მოუსვენრობა მათ დისჰარმონიულ სიღრმეებისავე და უკიდურესობისაკენ იზიდავს. მათთვის უცხოა მოწესრიგებული, სტატიურად კეთილმოწყობილი კოსმოსი — ისინი ქაოსის პირველყოფილ ხტონიკურად ბნელ, შემოქმედებითად ბრმა წიაღს მიელტვიახ. ცხოვრებაში და შემოქმედებაში ისინი მისწრაფვიან, მიადწიონ ადამიანურ შესაძლებლობათა საზღვრებს, მივიდნენ ადამიანის ბუნების განმსაზღვრელ ხაზამდე. ბოლოს და ბოლოს ისინი ადა-

მიანურ სამოსელში ველარ ეტევიან და ზედაშიანის როლის პრეტენზიებსაც ხადებენ, თითქოს ისინი გარესაყვარებებიდან ჩამოსული, გარებუნების არსებები ყოფილიყვნენ. ასეთი ფილოსოფოსები სიცოცხლეში ხმაურიან დიდებას აღწევენ, ჩრდილავენ აღიარებულ კანონმდებლებსა და გმირებს. მათ აღტაცებული თავყანისმცემლები დასდევენ და გაღმერთებამდე აპყავთ. მაგრამ ჰიკვდილის შემდეგ მათ იოლად ივიწყებენ. გადის დრო და მათდამი ინტერესი ისევ ღვივდება.

ასეთია ემპიდოკლე აკრაგანტელი, რომლისთვისაც აბსტრაქტული თეორია არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. ცოდნა-სიბრძნის მაგივრად მთელ მის არსებაზე მეფობს სიყვარული. იგი ხეობისყოფიანია, გამოკვეთილი და ინტენსიური ინდივიდუალობაა, მისთვის ცხოვრებისეული პოზიცია უფრო დამარწმუნებელია, ვიდრე ფილოსოფიური შედეგები. ამ ფილოსოფოსის მოაფლმხედველობის გასაგებად უნდა შეიგრძნო მისი პირადი ცხოვრება, რომელიც არსებითად ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ვაჟაკურ და პატიოსან შეტევაში მდგომარეობს. სიკვდილმა შეაჯამა მისი ფილოსოფია და ფილოსოფოსის სახელიც დაუშვკვირა.

ემპედოკლე აკრაგანტელი — სიცილიელი ფილოსოფოსი და პოეტი, პოლიტიკოსი და რელიგიური რეფორმატორი, მყურნალი და სასწაულმოქმედი, ენციკლოპედიისტი და რიტორი, ამჟამად ნაცლებად ცნობილია. თანამედროვე ლიტერატურაში იშვიათადაა მასზე ცნობები, პოპულარულია მისი სიკვდილი. მასზე შემორჩენილია გადმოცემა, რომ ოდესღაც, ძველ საბერძნეთში, ვიღაც ჰქუაზე შეშლილი, სახელად ემპედოკლე; პატივმოყვარეობის გამო სიცილიის ეტნის კრატერში ჩახტა და ცეცხლოვან ლავაში ჩაიწვა. მისგან მარტოდენ სპირენქის ფეხსაცმელი დარჩა, რომელიც ვულკანმა ამოფრქვევისას ამოისროლა.

აკრაგანტში მას, როგორც გამოჩენილ პიროვნებას, სტატუია დაუდგეს, მაგრამ სხვებისგან ერთი მოულოდნე-

ლ თვისებებით გამოირჩეოდა. ქანდაკება წარმოადგენდა ფილოსოფოსის გამოხატულებას დაფარული სახით. სკულპტორის ჩანაფიქრი ჭეშმარიტების წინააღმდეგ არ იყო მიმართული: არავის დაუნახავს ნამდვილი სახე ფილოსოფოსისა.

დიდებისა და ხალხზე ზემოქმედების თვალსაზრისით მის წინაშე, რომელიც გენებათ განთქმული ფილოსოფოსის სახე ფერმკრთალდება, მათ შორის სოკრატეც კი. ემპედოკლეს გამოჩენაზე ადამიანზე თავიანთი ღმერთები ავიწყდებოდათ. დიონისე ლაერტელის ცნობით, როდესაც იგი სიცილიის ქალაქ სელინუნტაში ჩავიდა, ხალხი მას მუხლებზე დაკეცილი შეხვდა. მას მთელი ელადა აღმერთებდა. ემპედოკლე ოლიმპიურ თამაშობებზე გამოცხადდა, როგორც მყურებელი, მსმენელი. მართოდენ გამოჩენით, სახით პუბლიკა მონუსხა. ყველამ დაივიწყა მომღერლები, მუსიკოსები, მუსტიკრივის მონაწილენი; მას თვალს არ აცილებდნენ. იგი იდგა, როგორც ოლიმპიური სიმაღლიდან ჩამოსული ღმერთი. მან თანამოქალაქეებს განუცხადა: „მე ვარ უკვდავი ღმერთი ახლა, მოკვდავ ადამის ძეთა შორის აღარ ებოვინობ“... რაგარია, კუხლია? — ოლიან ეორჟმა თხზულების კითხვა დაამთავრა, ნაწერი გვერდზე გადასდო და თვალები მოიფშვინიდა.

თავი მიბრუნდა, მაგრამ ბრძნული და დიდებულა-მეთქი.

— ჰოდა, იცოდე, — ამყად წარმოსთქვა ოლიანმა, — განსაზღვრული მაქვს ჭეშმარიტად ამაღლებული წიგნი დავწერო ემპედოკლეზე, მის ცხოვრებასა და ფილოსოფიაზე. რაც წავიკითხე, შესავალია. საერთოდ, ჩემი ჩანაფიქრი ექვსი თავისაგან იქნება შემდგარი:

თავი I — ფილოსოფოსი — ქურუმი მეწამულ ლაბადამი.

თავი II — იდეურ ტრადიციათა გზაჯვარედინზე. ქაოსი და კოსმოსის ჰარმონია.

თავი III — სამყარო, როგორც

სტიქიურ-ელემენტარული კონტინუმი. თავი IV — სამყარო, როგორც თეოგენეზი, კოსმოგენეზი, ანტროპოგენეზი.

თავი V — სულის ბედი სამყაროს პროცესში.

თავი VI — სოციალური იდეალი — უტოპია.

წიგნს დართული ექნება ემპედოკლეს პოემის „განწმედანის“ ფრაგმენტების ჩემეული თარგმანი. დღეს ვიკმაროთ და მომავალში ამ პოემის თარგმანსაც ვაგავნობ. ემპედოკლეს ეს ნაწარმოები უდიდესი ქმნილებაა და თუ როგორ გადმოვიღე ქართულ ენაზე შემდეგ განსაჯო.

მართლაც ორიოდე დღის შემდეგ წამიკითხა „განწმედანი“. აღფრთოვანებული დავრჩი, ემპედოკლეს სულის თანაზიარი ხარ-მეთქი. ეამა და დამორცხვა. შემდეგ მითხრა, როცა გამოვკვეყნებ, ამ თარგმანს შენ გიძღვნიო.

პოემა გადავწერე და სასოებით შევინახე.

5

მალე იაკუბანისის ემპედოკლე და ოლიან ეორჟის ფილოსოფიური ნაშრომი ემპედოკლეზე „განწმედანის“ თარგმანითურთ, რუსიკოსთან გადასახლდა. ამათ მიჰყვა «Греческие мысли», დრაიზერის თორმეტტომეული და რანკეს «Человек».

ოლიან ეორჟის „სატრფოები“ თანდათანობით ქრებოდნენ თაროებიდან. ზოგჯერ რუსიკო ესტუმრებოდა, ზოგჯერ ღულუნა მოდიოდა მისი სახელით და ბოლოს ოლიან ეორჟის მაგიდას მისი ორი ძვირფასი წიგნი შერჩა — ეან ეაკ რუსოს „ეიული ანუ ახალი ელოზა“ და იოსებ იმედაშვილის „შედგენილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.

ძველ „სატრფოებს“ უმტიკინეულოდ იცილებდა. მათგან განთავისუფლებულ ოლიან ეორჟის გულში სხვა რაღაც ცეცხლი ტრიალებდა და მისი სიმზურვალე და სინათლე თავს ვერ მალავდა, გარეთ გამოდიოდა. შეიცვალა კაცი. „დინგრეულ ეკლესიას“ თითქოს

უხილავმა სული შთაბერა, გამოცოცხლდა, დღისით გარე-გარე სიარულს მოუხშირა: დილიდან საღდაც გადაიკარგებოდა და შეღამებისას გამოჩნდებოდა. ღამ-ღამობით თავაულებლად წერდა, მაგრამ თავის ფილოსოფიურ თხზულებებს აღარ მაკითხებდა.

ერთხელ ვუსაყვედურე:

— ლალატს გამჩნევ, ოლიან ქორე!..

— ეს ლალატი საიდან გამოიგონე, კუხლია?

— აღარაფერს მაკითხებ.

— ჰოო?.. — ოლიან ქორემა კეფა მოიქეჭა, — ფილოსოფია ცოტა ხანს გვერდზე გადავდე, ქანრი გამოვიცვალე.

— შენ და ფილოსოფიის ლალატი?

— გამიკვირდა.

— რა დაიყინე ეს ლალატი. გაშიგე, ფილოსოფიურ თხზულებებს ცოტა ხნით შევეშვი და სხვა ხასიათის ნაწარმოებებს ვწერ... ნუ ჩქარობ, მაცალე, დადგება დრო და ყველაფერს წაგაკითხებ... აბა რას ვიზამ, კუხლია, შენ ჩემი ერთგული მოწაფეცა ხარ და მე-საიდუმლოც. ასე, ჩემო კუხლია... კოგიტო, ერგო, სუმ. — ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ. ესაა ძირითადი საფუძველი დეკარტეს ფილოსოფიისა...

და ერთ დღეს ოლიან ქორემა გული გადამიშალა.

— კუხლია, ბიჭო, — ღრმად ამოისუნთქა, — შენს გარდა არავის ეცოდინება ის.

— რა, ოლიან ქორე? — ვცქვიტიე ყურები.

— რასაც ახლა გეტყვი.

— სამარე ვარ, ოლიან ქორე.

— სამარე ჩვენს მტერს.

— თქვი, ბარემ! — ველარ მოვითმინე.

— ჯერ შემომფიცე! — თითი დაძიქნია.

— ლუკაია ბაბუას დარგულ გულამ მსხალს გეფიცები!

— ნუ თაღლითობ! — გამიწყრა.

— ჭმპედოკლეს სულს გეფიცები, კოსმოსში რომ დაჰქრის და ვარსკვლავებს მოსვენებას უქარგავს.

— საგმარისია! — ხელი ასწია ოლიან ქორემს.

— აბა თქვი!

— მე რუსიკო მიყვარს!

ეს სიტყვები ისეთი ნაზი ჩურჩულით თქვა, ვიფიქრე, ხომ არ მომესმა-მეთქი. რუსიკო ნამდვილად ახსენა, გამოკვეთილად გაისმა მისი სახელი. „მიყვარს“ ისე მიაფუჩეჩა, თუ ვერ გაიგონე, გუმანით უნდა მიხვდე, რისი თქმაც მინდოდაო. ამის მიხვედრა კი ოლიიკო. ეს თქვა თუ არა, სახეზე სიწითლემ გადაუარა, კვედა ტუჩი უთრთოდა და ჯიქურ რომ მივაშტერდი, მზერა მომარია, თუ გაიგონე — კარგია, თუ არადა — ამ სიტყვას მეორედ აღარ ვიტყვიო.

— ვაშა, ამურს! — წამოვიძახე გაბარებულმა.

— სიხარული ნაადრეგია, — შემაჩერა ოლიან ქორემა, — ვნახოთ, როგორ განვითარდება ეს სიტუაცია, თუ ექნება დიალექტიკური განვითარება და ლოგიკური დასასრული.

— კარგად დასრულდება, ოლიან ქორე, კარგად! — დავიმედე.

— ჯერ-ჯერობით მთავარი ისაა, შენ რომ მიყვარს.

— სიყვარული ისაა, მასაც თუ უყვარხარ...

— მასაც?! — გაუკვირდა ოლიან ქორეს.

— ეს არ ვიცი, მაგრამ იმას კი ვატყობ, რომ მგონი მოსწონხარ...

— საიდან მოიტანე ეს, კუხლია! — შეშფოთდა ოლიანი.

— აბა, რატომ მოუხშირა შენთან სიარულს?

ოლიან ქორემა თითქმის განახევრებულ წიგნის თაროებს ნაღვლიანად მოავლო მზერა და გულის ძარღვი ჩამწყვიტა, თანაც მიხვდნი რუსიკოს მასთან ზშირად სიარულის მიზნს.

— ეჰ, ჩემო კუხლია, ბედნიერი კაცი ხარ, ჯერ შენ სიყვარულისა რომ არაფერი იცი.

— ვიცი! — როყოოდ წამოვიძახე და ჩემი თავისვე შემრცხვა, — ვცრუობდიო.

— რა იცი, ბიჭო, შენ სიყვარულის, ღინღლი ახლა ამოგდის საულვაშზე. კინალამ ვთქვი, არც შენ გაქვს გადაგრებილი ულვაშები, ამ ხნის კაცი შენც ღინღლიანი ხარ-მეთქი. დავინდე, თავი შევიკავე, ეს კი ვუთხარი:

— არც შენ გაქვს მაგ საქმეში დიდი გამოცდილება, ოლიან.

— გაიხსენე ემპედოკლე: „ოდესღაც ვიყავ მე ჰაბუკი, ვიყავ ჭალწულიც, მზეთუნახავი, ვიყავ მცენარეც, ჩიტიც, თევზიც — უენო ზღვაში“. ჰოდა, ასე მგონია, როდესაც ჩიტი ვიყავი, მას შემდეგ მიყვარს რუსიკო.

— ვერ იტანს ქარიტა-სიყვარული მკაცრ ბედისწერის ძალაუფლებას.

— ყოჩაღ, ხშირად უნდა იკითხო ემპედოკლე აკრაგანტელი!

— გაუმხილე? — ვკითხე უეცრად.

— წუხელ მესამე წერილი დავუწერე.

— რა კარგია! — წაშოვიძახე ალტაცებით.

— გატყობ მოთმინება არ გყოფნის; აბა მისმინე. წინა წერილებს სხვა დროს წაგიკითხავ. ეს ახალი წერილია და ვფიქრობ, ეპისტოლარული ქანრის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩავთვალოთ შენ რას იტყვი, ვნახოთ. მაშ შევუდგეთ.

XXXVIII წერილი

რუსიკოსადმი

„არა, რუსიკო, ყოველდღე უნდა ვინახულო, — ისეთი კარგი იყავი გუშინ. სულ უფრო და უფრო ვემონები შენს ჯადო-თილისმას. ჩემს სიყვარულს ბედმა არგუნა მარად და მარად ძალმორჭმულობდეს და იზრდებოდეს. შენ ჩემთვისა ხარ ახალ-ახალ გრძნობათა უმრეტე წყარო, რომელთა გამო გაფიქრებაც კი აღარ შემეძლო. ო, რა საბარაკო საღამო იყო! როგორი წარმოუდგენელი სიამე არგუნე ჩემს გულს! რა გასაოცარი სევდა-ნაღველი! ოი, მწყალობელი გულის მკმუნვარებავე, შენ უფრო დამატებობელი და სასიამო ხარ, ვიდრე ყოველნაირი შვება და სიხარული, წრესგადასული მხიარულება, სა-

ნეტარო შექცევა და აღფრთოვანება, რომელთაც განიცდიან და... იგეგმებენ ბოხოქარი გულისტმით ცეცხლმოდებული შეყვარებულნი. გრძნობამორეულ განცხრომას მოკლებულო, მშვიდო და უმწყევლო სიამოვნებავე, არასოდეს, ო, არასოდეს არ აღმოიფხვრება ჩემი გულიდან შენი ცხოველი ხსოვნა!... ოი, ღმერთებო! შენ იმგვარ თავდავიწყებამდე მიმიყვან, როცა აღაძიანი უკვე შეწყვეტს ამით სიხარულის შეგრძნებას... და მეშინია, ბოლოს და ბოლოს, არ გავგიფდე. ასე მგონია, მოკვდავის კვალობაზე ნამეტნავად იგავმიუწვდომელი კმნილება ხარ. შენზე არ დავიჭრებელი ამქვეყნიური არსებება-მეთქი“...

გაოცებისაგან პირი დავაღე. „ეს რა სასწაულად მგრძნობიარე რამ დაუწყურია, — ვავიფიქრე, — იქნებ? იქნებ კი არა, მგონი სიყვარულმა განკურნება მოუტანა ჩვენს ოლიან ყორეს. აბა ასეთი ბარათი რამ დააწერინა. ნეტავ, თუ უპასუხა ჭალმა?“

ჩემს შეკითხვას არ დაელოდა.

— თუ ჰკუთთ იქნები, კუხლია, ერთ მის ბარათსაც წაგიკითხავ.

— ჰკუთთ ვიქნები, ემპედოკლეს სულს ვფიცავარ! — შევსძახე ხმაილოლა.

ოლიან ყორემა საწერი მაგიდის უჭრიდან რუსიკოს ბარათი ამოიღო.

„ჩემო სულისდგამე, — დაიწყო ჩურჩულით, — საყვარელო მეგობარო, ჩემი გული იზიარებს ყველა შენს გრძნობას, ოღონდ არაფერი მითხრა სიხარულზე იმ დროს, როცა აღაძიანები, ჩვენზე უფრო ღირსნი არიან ამ სიხარულისა, იტანჯებიან და ნაღვლობენ, და მეც უნებლიედ ვუსაყვედურებ ჩემს თავს იმ ამბავს, ბრალი მიმიძღვის მათ ტანჯვაში-მეთქი...“

ვიცი, როგორ აღრტყინდება შენი გული, მაგრამ ნათუ იმას ფიქრობ, რომ ჩემმა გულმა უკვე არ იწყო ჩივილი? მაგრამ მაინც ჩემსას დავიფინებ! უკეთუ სათნოება ფუჭი სიტყვა არაა, მაშინ მას მსხვერპლიც უნდა შევწიროთ, ჩემო მოყვარევე, სანაქებო მეგობარო,

ჩვენი გადადებული პაემანი კვლავ ათას-ჯერ შეიძლება შედგეს. რამდენიმე საამური საათი გაივლებდა ერთ წამს და მყისვე სამუდამოდ გაქრებოდა. უკეთუ შენს ხელთაა ორი შეყვარებულის, წესიერ ადამიანთა ბედნიერება, იფიქრე მომავალზე, რასაც განუშაადებ შენს თავს, მერწმუნე, მოყვასის გაბედნიერების შემთხვევა უფრო იშვიათად გვეძლევა, ვინემ ჩვენ ვფიქრობთ, და თუკი ხელიდან გაუშვებ ამ შემთხვევას, უკვე იმით დაიწყები, რომ მას ველად დაიბრუნებ და იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოიქცევი, ჩვენი გულის სიღრმეში სამარადისოდ დაისადგურებს ან თვითმკამყაფილების გრძნობა, ანდა — სინანული. მომიტევე, რომ ასე თავგამოდებით ჩაგვიდე ხელი საქმეს და ესოდენ განვაფრცე კჳუის დარიგება. ეს არ სჭირია წესიერ ადამიანს და ასგზის ნაკლებად — ჩემს მეგობარს, მშვენიერად ვიცი, როგორ გეჯავრება სოფლის სიამეთაღმი თავკერძული ლტოლვა, რაც მოყვასთა ტანჯვას ავიწყებს ადამიანებს. თავად გაიძახოდი ათასჯერ: ვაი მას, ვინც კაცთმოყვარეობის გულისთვის ერთ მშვენიერ დღეს თავის ლხენა-სიხარულს მსხვერპლად არ გაიღებსო“...

არაფერი მიკითხავს, ხმის ამოუღებლად ვუსმენდი და კითხვა რომ დაამთავრა, არც მაშინ დამიძრავს ეხა.

— სხვა წერილებსაც წაგიკითხავდხ, კუხლია, მაგრამ ამ ბოლო დროს თავის ტკივილები დამჩემდა და დამის თევას ველარ ვუძლებ. ამიტომ, მოდი, რუსიკოსადმი ჩემს მიერ მიწერილ ადრინდელ ბარათს გაგატან, შინ წაიკითხე, აზრი ხვალ მითხარი. ასლია, ცოტა ხაჩქარევი ხელითაა ნაწერი, მაგრამ შენ არ გაგიჭირდება მისი გარჩევა.

იმ ღამით რამდენიმეჯერ წაგიკითხე ოლიან ჟორეის ადრინდელი ბარათი და ცხელი ცრემლებიც მალერევიანა. აი ისიც:

III წერილი

ეროვნული
რუსიკოსადმირევიანი

„როცა ის იყო აღმებრა თქვენი ტრფიალი, აზრადაც არ მომსვლია რაგვარ ტანჯვა-წამებას ვუმზადებდი თავს. ჯერ მარტოოდენ უიმედო სიყვარული მიღებდა ბოლოს, მაგრამ გონებას ძაღედვა მისი თანდათან დაძლევა; მერე განვიცადე უფრო ძლიერი ვაი-ვაგლახი თქვენი გულქვაობის გამო; ახლა შემოპყრო უსაშველო სატანჯველმა, რადგან ვიცი, თქვენც იტანჯებით. ჰოი, რუსიკო! სიცოცხლეგამწარებული ვხედავ, რომ მოთქმანი ჩემი გულისა არღვევენ თქვენს მყუდროებას. ჯიუტად დუძხართ, მაგრამ გულის ფანქალით ვატყობ და ვხედები თქვენს იღუმალ მღელვარებას. მზერა მოგერუბლათ, ფიქრებმა დაგრეეს ხელი, თვალები მუდამყამს ძირსა გაქვთ დახრილი — გონებადაბნეული მხოლოდ ხამუშ-ხამუშ შემავლებთ თვალს; ღაწვთა დაყდაყფერი მიგზდიათ და უჩვეულოდ გაგფითრებიათ; შვებამ და ლხენამ ზურგი გაქციათ: საშინელი კაემანი შემსკვალავს თქვენს გულს; და მარტოოდენ უცვალებელი თვინიერება დააცხრობს თქვენს სულის მომშობ აბობოქრებას.

ვიცი და ვხედავ, რალაც რომ გაშფოთებთ: იქნებ, გრძნობათა ფორიაქი, ანდა ტანჯვათა ჩემთა სიძულვილი თუ სიბრაღული. ვშიშობ, ვაითუ მე ვარმეთქი თქვენი კმუნვის მიზეზი, და ეს შიში უფრო მეტად მაძრწუნებს და თავზარს მცემს, ვიდრე მახარებდეს იმედი, რასაც საკუთრად მივიჩნევდი, — ვინაიდან ან მე ვცდები, ანდა თქვენს ბედნიერებას უფრო ვაფასებ, ვიდრე ჩემს საკუთარს.

ნამდვილად კი, როცა ჩემს თავზე ვფიქრობ, ვხედები, რა ცუდად განმისჯია გული-მეთქი, და გხედავ, თუშცა მტრისმეტად გვიან, ვნებათა წუთიერი ალტკინება რომ მეგონა, ის გრძნობა ჩემი ხვედრი იქნება მთელ სიცოცხლეში და რაც უფრო მწუხარე და სევდიანი ბრძანდებით, იმდენად სუსტი ვარ ჩემს თავთან ბრძოლაში, არასოდეს,

ო, არასოდეს თვალთა თქვენთა ელვა-რებას, ლაწეთა თქვენთა ვარდშლილობას, გონების თქვენის სხივმდინარობას, თქვენი წინანდელი მომლხინარობის მთელ სიმშვენიერეს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი ზეგავლენა, რა დღემიც მაგდებს ახლა თქვენი მკმუნვარება. დამიჯერეთ, ოი, ლეთაებრივო რუსიკო, ნეტამც გაცოდინათ, ვითარი სახმილი შემომეგზნო გულს ამ გამტანჯველ კვირაში, მაშინ თავად შეძრწუნდებოდით კიდევ, ეს რაოდენი ტანჯვა მიმიყენებიაო. ამიერიდან აღარ მიწერია განკურნება და, დაბნედას მიწურვილი, ვგრძნობ, მხოლოდ სამარეში ჩაქრება ჩემი დამწველ-დამდაგველი ცეცხლი... იცოდეთ, ჩემი მგზნებარე და სპეტაკი სიყვარული, ჩემი დამდაგველი ცეცხლი არ ჩაქრება სამიღღეშიოდ, ესოდენ ღირსეული ქმნილების ტრფიალებით აღსავსე გული არასოდეს დაამცირებს თავს სხვა სიყვარულისათვის; დღეის ამას იქით მხოლოდ და მხოლოდ თქვენი და სათნოების ერთგული იქნება იგი და არასოდეს შებღალავს სხვაგვარი ცეცხლით საკურთხეველს, რომელიც რუსიკოს თავყანასაცემად იყო აღმართული“.

მალე ოლიან ჟორეის საწერი მაგიდიდან გაქრა რუსოცა და იოსებ იძედაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონიც. ასე რომ, ყველა „სატრფო“ გასწირა და მის არსებაში მარტოდენ ერთადერთი ნათელი — რუსიკოს ხატება იყო ანთებული.

შეთხლებულ თაროებზე, ზამთრის სუსხით მობუზული ყვავებივით ჩანდნენ შავყდიანი გეოლოგიური ხასიათის წიგნები, რომლებიც კონონ ლუქიჩის მერე არავის არ გადაუფურცლავს, და წაფერდებულ ხიმის ლობესავით ელაგა „ვოპროსი ფილოსოფიი“-ს კომპლექტები.

ერთ დღეს, როცა სქლად მტვერდადებულ დაცარიელებულ თაროებთან ნალვლიანად ვიდექი და ვცდილობდი გამეხსენებინა, რომელ თაროზე, რა ძვირფასი წიგნი იდო, ოლიან ჟორემა

მხარზე ხელი დამკრა და დანჯლილული ხმით თქვა:

— ნუ დარდობ, პაპენტ სუა ფატა ლიბელ! წიგნებსაც თავისი ხვედრი აქვს, კუხლია!

6

დღის სიკვდილის შემდეგ ოლიან ჟორეს მზრუნველი ხელი დააკლდა.

ტანსაცმელიც შემოაცვდა და კონონ ლუქიჩის ნახმარ ფეხსაცმელებსაც ქუსლები მოეღრიაცა.

უსუსური იყო პრაქტიკულ ცხოვრებაში, საკუთარი ხელით ერბო-კვერცხს ვერ შეწავდა, ღილს ვერ დაიკერებდა პერანგზე. არც ისეთი ვინმე ჰყავდა ახლობელ-ნათესავთაგან, კვირაში ერთხელ რომ შეეველო მასთან, რაღაც-რაღაცეები მოეწესრიგებინა. ლულუნია, მისი დეიდაშვილი, სათვალავში არ ჩაითვლებოდა — იგი ერთი თავჭეიფა კაცი იყო და ოლიან ჟორეისთვის მიიცილიდა კი არა, საკუთარ ოჯახშიაც სტუმარივით დადიოდა.

ისევ ორიოდ მაღლიანი მეზობელი იყო მისი მიმხედავი — ხან თბილკერძს მიუკითხავდნენ, ხან ღილს დაუკერებდნენ, ხან წინდებს დაუქმსავდნენ. ეს იყო და ეს. მის ჩაცმა-დაბურავზე, ზამთარში — სითბოზე და ზაფხულში — ჰაერის გამოცვლაზე ვინ იზრუნებდა.

მე უკვე ინსტიტუტი დავამთავრე, სამსახურშიც ჩავდექი, ცოლ-შვილსაც მოვეკიდე და ოლიან ჟორეთან ძველებურად ველარ დავდიოდი. იგიც ხანდახან მაკითხავდა სამსახურში.

შუა ზამთარი იდგა. სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი, გზად კუპატები, თონის პური, კომპოსტოს მწნილი, ორი ბოთლი „იმერული“ ვიყიდე, ქალაღის პარკში საგულდაგულოდ ჩაეაწყე და წულუკიძის ქუჩას ფეხით გავუყვიე.

უკვე ბინდებოდა, სასტუმრო „თბილისს“ რომ მივუახლოვდი. აქედან მარცხნივ ერისთავის ქუჩა იწყება და მასიოდე მეტრზე ჩემი სახლიც დგას, სადაც გაღულუნებული შეშის ლუმელი,

ზედ შემომდგარი ერთი ვედრო თბილი წყალი, პაერლუმელში გამომცხვარი ჭადი და ახალი ყურნალ-გაზეთები მელოდებოდა.

სასტუმროს გავუსწორდი, ერისთავის ქუჩაზე რომ უნდა გადამეხვია, მოულოდნელად გულმა სხვაგან გამიწია. აქედან ორასიოდე მეტრზე ოლიან ეორე ცხოვრობდა.

გრძნობებს არ უნდა აპყვეს ადამიანი, თორემ გულს უნდა დაუჯეროს. მეც ასე მოვიქეცი.

ოლიან ეორეს სახლი ქუჩის პირას იდგა. სადარბაზოდან არ შევსულვარ, ეზოში ჩავედი და პირველად რაც მეცა თვალში, ლუკაია ბაბუას გულაბი მსხალი იყო. იმ წელს დიდი ზამთარი იდგა, თოვლს ტოტები ჩამოებლია და ღობის ძირას ჩაეჩუმქრა. გაუკვალავ თოვლზე ადამიანის ნატერფალიც არ ჩანდა.

სახლს შემოვუარე, ოთხსაფეხურიან კიბეზე ფეხების ბაკუნით ავედი და თოვლშებუქულ კართან ხმამაღლა ჩაეხველე. ხმა არავინ გამცა. კარს შივაწექი, გაიღო. ძაბეადაცმული ოცდახუთსანთლიანი ელექტრონათურა ძლივს ანათებდა იქაურობას. კუთხეში ნათქურა ხრჩოლავდა, გამურულ ტაფაზე წამოდუღებულ მზესუმზირას ზეთში ჩაწყობილი თხელ-თხელი პურის ნაჭრები შიშხინებდა. ძველებურ, გატყავებულ სავარძელში ნავთქურისკენ ფეხებგამვერილი ოლიან ეორე ჩაფლულიყო, თავი გვერდზე გადაეგდო და ეძინა.

კარი ფრთხილად მივიხურე, პარკი მაგიდაზე დავდე, აბოლებულ ნათქურას დავუწიე და სკამის კიდეზე ფრთხილად ჩამოვჯექი, ვშიშობდი, მისთვის ძილი არ დამეფრთხო.

ოთახს თვალი მოვაგლე, ისევ ის დაცარიელებული წიგნის თაროები, კონონ ლუკიჩის მინერალებისა და ქანების ხელუხლებელი კოლექცია ძველებურ მუხის კარადაში. თუმცა წიგნის თაროები არც თუ ისე ცარიელი იყო — გეოლოგიურ შავყლიანი წიგნებისა და ფილოსოფიური ყურნალის კომპლექტების გვერდით კონიაკისა და არყის დაცლილი ბოთლები ეწყო, აგერ-

ეგერ ღვინის ბოთლებიც ჩანდა, რათქმა უნდა, ისინიც პაერლუმელში წერ მაგიდაზე დამტყურალი სველი რეველები, წვერმოტეხილი ფანქრები და გამშრალი სამელნე მიგვანიშნებდა — დიდი ხანია პატრონს მათთვის ხელი არ მიეკარებინა.

უცებ მუხის კარადის გვერდით ვილაც მომეჩვენა. ფეხბაკრფით დაიძრა და წიგნის თაროების წინ ზურგით დადგა. დმერთო ჩემო, კუხლია იყო! კუხლია: სალამომშვიდობისა, ბატონო ზურაბ!

მე: გაგიმარგოს კუხლია! აქ რამ მოგიყვანა, ბიჭო?

კუხლია: რაც შენ დამშორდი, მის მეორე აქედან ფეხი არ მომიცვლია.

მე: რას ამბობ, ბიჭო!

კუხლია: ჰო, დამიჯერე, ასეა!

მე: ასე მწყურალად რად შელაპარაკები.

კუხლია: მაქვს ამის მიზეზი, ბატონო ზურაბ!

მე: ბატონობით რატომ მომმართავ, ჩვენ ხომ ახლობლები ვართ.

კუხლია: ვიყავით.

მე: ჰო, სიყმაწვილეს კაცი ვერასოდეს დაიბრუნებს.

კუხლია: სწორია, მაგრამ ყმაწვილკაცობის სიწირფელე და უშუალობა მთლად არ უნდა დაკარგო.

მე: ჩემზე თუ ამბობ, რა საბაბით?

კუხლია: ამისთვის ილიან ეორეც კმარა.

მე: ოლიან...

კუხლია: გთხოვ, ნუ შემაწყვეტინებთ. ინსტიტუტი დამთავრე, ოჯახიც შექმენი, ჰამსახურში პატარა ქუფროსიც ხარ... ოლიან ეორე კი დაივიწყე.

მე: რატომ ამბობ მაგას, ოლიან ეორეთან არ დავდივარ? ყურადღებას არ ვაქცევ?

კუხლია: ხანდახან, დრო რომ მოგჩაჩება.

მე: ჰო, აღრე უფრო მოცლილი ვიყავი.

კუხლია: დაგავიწყდა? ყოველდღე დადიოდი, არც ამ ოჯახის გულუხვობა გაკლდა და არც ოლიან ეორესი ალე-

რსი. მის გარდა კუხლიას არავინ გეძახის. მაშინ ხომ გიყვარდა?

მე: ოლიან ეორეი ახლაც მიყვარს.

კუხლია: არ მყვარა. არც მაშინ გყვარებია. თურმე გჭირდებოდა...

მე: გაჩუმდი, კუხლია, როგორ შეკადრები...

კუხლია: მე შენი სიყმაწვილე ვარ და ყველაფერი დამეჭერება. ჰო, მოურიდებლად ვილაპარაკებ, გჭირდებოდა ოლიან ეორეი, მისი ცოდნა, მისი წიგნები, მისი „დანგრეული ეკლესიის“ კედლები გჭირდებოდა სულის მოსაბრუნებლად... შენ რუსიკოზე და ლულუნიაზე უარესი აღმოჩნდი... რუსიკოს მისი წიგნები ჰირდებოდა და გამოსტყუა კიდევაც, ლულუნიას — კონიაის ყლურწეა... და ახარებდა გულის ჭიას. შენ კი, შენ, ბატონო ზურაბ, მისი სულის თანაზიარი იყავი და სად წაიღე მისი ალალი სულის ნაწილი? ქარს გაატანე? სამსახურის საქმიან ქაღალდებში ჩამარხე? კახთა ლულს გადააყოლე?

მე: გაჩუმდი, კუხლია, ოლიან ეორემა არ გაიფიქროს!

კუხლია: ოლიან ეორემა ყველაფერი ეს ჩემზე კარგად იცის და რომ არაფერს გეუბნება, მართლა შტერი ხომ არ გგონია. იგი, როგორიც იყო, ისეთივე ბრძენი ფილოსოფოსია, იგივე თბილი გულის პოეტი და სიყვითთ სავსე აღამიანია. შენ კი მალლა-მალლა დაფრენ და დაგავიწყდა...

მე: ჩუმად, კუხლია, მგონი იღვიძებს?

კუხლია: დამამთავრებინე... დაგავიწყდა ემპედოკლე აკრაგანტელის ნათქვამი:

ფებოსის ფოთლებს — დაფნას ჯერ არსთავი არიდო.

შესაბრალისნო, უბედურად შესაბრალისნო, გეშინოდეთ, მშრალზე არ დარჩეთ.

კუხლიამ ხელი დამიქნია, გაქრა და ოლიან ეორემაც გაიღვიძა, თვალები მოიფშვინტა, სავარძელში გასწორდა, გამსკვალავი მზერა ჩამასო და მკითხა:

— ვის ელაპარაკებოდ, კუხლიე? შემეშინდა, ან მართლაც... ხმაძალდა ვლაპარაკობდი ჩემთვის და ან მან ჩემს თვალებში ჩემი ფიქრები ამოიკითხა გულთმისანივით.

7

დიდი ზამთარიც წავიდა და დათბა თუ არა, ოლიან ეორემა ჩემთან, სამსახურში სიარულს მოუხშორა.

კაბინეტს შემოაღებდა.

— გამარჯობა, კუხლია! — იტყოდა და ოთახში თუ არავინ იყო, დაჯდებოდა.

— ოლიან ეორეს გაუმარჯოს! — ეტყოდი, ფეხზე წამოვუდგებოდი, სკამს მასთან ახლოს მივაჩოჩებდი და კვითხავდი, — როგორა ხარ, თაისელო?

— როგორც მხედავ, კუხლია, — მხრებს საწყლად ასწევდა და მორცხვად დაუმატებდა, — ოთხი მანეთი გექნება... პენსიას რომ ავიღებ, დაგიბრუნებ.

უარს როგორ ვეტყოდი.

კვირაში ერთხელ მიინც მოდიოდა ოთხი მანეთის სათხოვნად და არასდროს გამიწბილებია, მაგრამ მიკვირდა, რატომ ოთხ მანეთს მთხოვდა და არა, ვთქვათ, ხუთ ან სამ მანეთს. ვერაფრით ამეხსნა და არც მიკითხავს.

„ვინ იცის, — ვფიქრობდი, 4 იქნებ მისთვის საკრალური რიცხვია და ხომ არ ჩავეძიები-მეთქი“.

ერთ დღეს თანხას მოუმატა.

— ექვსი მანეთი მიინდა, კუხლია, — მითხრა და საწყლად დაუმატა, — პენსიას რომ ავიღებ, დაგიბრუნებ.

ფულს არასდროს მიბრუნებდა, მაინც არ ვუკავებდი. მაგრამ ამჯერად ეს კი ვკითხე:

— რატომ ექვსი და არა ათი მანეთი, ოლიან ეორე. იქნებ წამლის შეძენა გინდა, იქნებ ვინმეს ვალი გაქვს? ჰა, ათი მანეთი, გამომართვი! თვის ბოლოს პენსიას რომ აიღებ, დამიბრუნებ, — ვუთხარი და ათი მანეთი გავუწოდე.

— არა, კუხლია, ექვსი მანეთი მჭირდება...

რას ვიზამდი, ექვსი მანეთი მივეცი.
— ჰო, პენსიამდე... მაგრამ იცოდ, კუხლია, არავითარი ვალი მე არა მაქვს... მე, შენს გარდა, ფული არავისთვის არ მითხოვია...

იმ დღეს, როცა ოლიან ქორეხს ფული მივეცი, თანამშრომლის ბიძის დასაფლავებაზე წავედი. ბოზოლა კაცი იყო მიცვალებული და უზღვავე ხალხი ირეოდა გასვენებაში. მისი სახლიდან ძელქვიანის სასაფლაომდე ყუნწში გადატეხილი მიხაკების ნაკადული გაიკლავნა და განსვენებულის კუბო როცა სასაფლაოს ალაყაფს ვასცდა, მის დამფასებლებს ხელში ისევ ასობით ეჭირათ წითელი და თეთრი მიხაკები.

როცა კუბოს სახურავზე გამეტებულად დაუშვეს მიწა, ხალხს მალეით გამოვეყვეცი, საფლავთა ლითონის ლობეებს შორის გველივით დაკლავნილ ბილიქს გავყვევი და სასაფლაოს მეორე, პატარა კოშკისაკენ გავეშურე. არ მინდოდა მთავარ განსავლელში ქელეხზე მიშპატეებულ განსვენებულის პირისუფლებს შევჩეხებოდი.

მზე ჩადიოდა და აღეანდრებით, გუნდის ხეებითა და ჭადრებით დაბურულ ძელქვიანაზე ბინდი წვებოდა, ბილიქზე გამოსული მაყელისა და კატაბარდის ტოტები შარვალზე მედებოდნენ და ნელა მივიკვლევდი გზას. ზოგან, საფლავებს შორის ისეთი ვიწრო გასასვლელი იყო, გვერდშექცევით გავდიოდი და ძალაუნებურად ვილაყის საფლავის პირისპირ აღმოვჩნდებოდი. ასეთ დროს გრანიტის ქვაზე ამოტვიფრული ან ფოტოზე გამოსახული გარდაცვალებულის სახე ისე შემომქეჩროდა, თითქოს მეუბნებოდა: რად მიიპარები, სად მიგჩქარება, მაინც აქა ხარ მოსასვლელიო.

ერთ საფლავთან ნაცნობი ფიგურა დავლანდე. ჩემკენ ზურგით იდგა, მაგრამ მაინც ვიცანი, ათასში გამოვიცნობდი — ოლიან ქორეხი იყო. ჩაყანგებულ ლითონის ლობეს მკლავებით გადაყრდნობოდა და თავი საფლავისკენ ჩაეჭინდრა. მისგლა დავაპირე, რომ მისი ყრუ ქვითინი მომესმინა და ვაგისუსე.

„დედა, — დაგუღულად მოთქვამდა ოლიან ქორეხი, — დაგიგვიანე მოჩაქურება, — უშენოდ დაგლახავდა შენი ზურიკო. დედა, ამ ხნის კაცი ვიყავი და მაინც ზურიკოს მეძახდი. შენ რომ მყოლოდი ცოცხალი, რა მიჭირდა. ახლა პერანგებს მეზობლები მირეცხვენ, საცვლებს — მე თვითონ. გამოსაცვალე ალარაფერი გამაჩნია და რაცა მაქვს, სანამ გაშრებოდეს, შარვლით ვწევიარ ლოგინში. შაპატიე, დედიკო, რუსიკოსთან კვირაში ერთხელ მიმაქვს მიხაკები, შენთან — ახლა ძლივს მოვახერხებდი, ძვირია, დედა, მიხაკი, ორი მანეთი ღირს ერთი ღერო; ვერც ამას მოვახერხებდი, კუხლიამ მომცა ფული და იმით ვიყიდე. კარგი ბიჭი დადგა კუხლია, ისეთ სამსახურშია, კარგ ხალხთან აქვს საქმე. ფული თავზე საყრელად არ აქვს, მაგრამ, როცა არ უნდა მივიდე, უნარს არ მეუბნება!... ყოველ პენსიაზე ვაპირებ გასტუმრებთან, მაგრამ ფული ვერასდროს გადავირჩინე. თვითონ ხომ არ გინდა კრინტი და ძრას ფულზე, ჩემი ვალი გაქვს ამდენი და ამდენიო... — უცებ ოლიან ქორეხს ხველება აუტყდა, შემობრუნდა, არ დამინახოს-მეთქი და ჭადარს მოვეფარე. არ შევეუმჩნევივარ, ლობეს აქეთ თავი ჩალუნა და ისე გააგრძელა ხველება. როცა ჩაწყნარდა, ისევ მიბრუნდა საფლავისკენ. — აქ სამი მიხაკია, სამივე შენ მოგიტანე, მაგრამ შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, ერთს კონონ ლუკიჩს მიუკითხავ და მეორეს — ლუკაია ბაბუას. ეჰ, მისი დარგული გულში სულ დამიმტვრია წლევეანდელმა ზამთარმა. კუხლიამ დაღეწილი ტოტები მიახერხა და ამ პირგაზაფხულზე ისევ ამოიყარა. მამაჩემის ნაქონი ფეხსაცმელები შემომერღეა, პალტო გამიცვდა და ამ ზამთარში ისე გავცივდი, აქამდე ვერ მოვიშორე ხველება... არ მითხრა ახლა, შალის წინდები რად არ გეცვაო, თბილი რძე დალიეო... ალარაა საჭირო... ვიცი, მეც მალე მოვკვდები და კიდევ კარგი, შენს გვერდით ერთი ადგილი რომაა ჩემთვის დარჩენილი... თორემ რა მეშველებოდა...“

მიხაკებით მოფენილ კუბოს მე, ღუ-
ლუნია და რამდენიმე მეზობელი მიე-
ყვებოდით. დედის გვერდით დავასაფ-
ლავეთ, ძელქვიანაზე. ოლიან ჟორჯის
უბრალო საფლავის ქვაზე ემპედოკლეს
სტრიქონი ამოვაკვეთინე:

„დამზობილთაგან ერთ-ერთი მე ვარ,
მე — ღმერთებისგან დევნილი და მო-
ხეტიალე“.

ღულუნიაშ, როგორც კანონიერმა მე-
მკვიდრემ, მალე მისი სახლ-კარი ში-
ყიდა და აღებული თანხის რესტორნე-
ბში დამღერებას შეუდგა.

რუსიკო?..

8

ცოტა ადრე მომივიდა რუსიკოს სახ-
ლთან მისვლა.

წინასწარ განვსაზღვრე: ჩემი სამუ-
შაო ოთახიდან ოთხი მანეთით რომ გა-
ვიდოდა, დაახლოებით, რა დროს მო-
ანდომებდა მწევანე ბაზრამდე მისვლას,
მემწვანელივითა რიგების ბოლოში მიხა-
კების ყიდვას და ცაცხვების ქუჩის აღ-
მართის ავლას. ოლიან ჟორჯის ზოზინა
სიარულის ამბავიც ვიცოდი და ჩემი
განგარიშებით თავის დროზე მივადე-
ქი რუსიკოს კოპწია ეზოს.

ეზოს უცხო კაცი მოადგაო, ბებერი
ნაგაზი ყვფით გამოექანა, გააგებით მო-
აწყდა ჭიშკარს და წინა თათებით
ფხოჰნა დაუწყაო. მიხაკები ზურგს უკან
დავმალე, თითქოს ისინი იყო ძაღლის
გალიზიანების მიზეზი, მერე ქოფაკს
დაღრეჯით გავხედე და ჭიშკარს მოე-
შორდი. ქუჩის მეორე მხარეს გადავე-
დი და ამ დროს იგი დაეინახე: აღმართს
ტანსრული ლამაზი ქალი მოუყვებოდა.
ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნა-
ნახი, მაგრამ მაშინვე ვიცანი — რუსი-
კო ნიკოლაძე იყო.

აღმართი ამოიარა, ჭიშკრისკენ გაე-
მართა და ადგილს მოეწყდა. „ეზოში
რომ ჩამასწროს, მისი ავი ძაღლის შემ-
ხედვარე, ნაბიჯსაც ველარ გადავდგამ!“
— გავიფიქრე და ქალს წინ გადავეუ-
დექი.

ძაღლს ჩემი მოძრაობა არ გამოაბი-
რებია და კინალამ ჭიშკარს ჩამოვდოე.
ქალი შეერთა, მაგრამ ძაღლი დატუ-
ქსა.

— გამარჯობა, რუსიკო!

— გაგიმარჯოთ!.. — თავიდან ფეხე-
ბამდე ამათვალისწინებდა და ატმის ყვავი-
ლისფრად შეღებილი ტუჩები ამოებ-
ურცა, — ვერ გიცანით... — თქვა ქა-
ლმა, მომცრო ტყავის ხელჩანთა ილ-
ლიაში ამოიღო და სავესე მკლავი ისე
მოუჭირა, თითქოს წართმევას ვუპირე-
ბდი.

— მე... მე... — ენა დამება, — შე-
რე ორად-ორი წითელი მიხაკი გამოეწო-
დე, — ზურაბმა გამოგიგზავნათ.

— ვინ ზურაბმა? — გაიკვირვა ქა-
ლმა.

— ზურაბ ჟორჯოლიანიშა.

„ზურაბ ჟორჯოლიანი... ზურაბ ჟო-
რჯოლიანი...“ — თავისთვის ჩაილაპა-
რაკა ქალმა, ტუჩები აიბზუა და მხრე-
ბი აიჩქინა.

— ოლიან ჟორჯმა!.. — ხმამაღლა
წამოვიძახე.

— ჰოო, ასე გეთქვათ. — გაიღიძა
რუსიკომ, მიხაკები ჩამომართვა და
იკითხა, — თქვენ, რატომ?

— მე მისი მეგობარი ვარ.

— თვითონ?..

— ვერ მოახერხა, ავადაა.

— ჰოო?!

— ვერ დგება.

— რას ამბობთ? საცოდავი ოლიან
ჟორჯი!

— ძალიან გებრალეხათ?

— რატომაც არა, ძველი ნაცნობები
ვართ...

— ნაცნობები?

— ჰო, დრო რომ მქონდეს... რომ
შემეძლოს... ვინახულეხები.

— მაგას რომ მოსწრებოდა, აქვეყ-
ნად ყველაზე ბედნიერი კაცი იქნებო-
და.

— რა თქვით? როგორ მოსწრებო-
დაო?

— ერთი კვირის წინ დავასაფლავეთ.

— რას ამბობთ? — შეერთა ქალი და

მიხაკები ინსტინქტურად მკერდზე მიიკრა.

— პოეტა ნოსკიდურ იტ ფიტ! — გამახსენდა ერთ დროს ოლიან ქორეის ნათქვამი.

— ჰაო, რაო?

— პოეტები იბადებიან და კვდებიან.

— ჰო, ლათინური გამოთქმა უნდა იყოს.

— დიახ, ქალბატონო! ოლიან ქორემა სიკვდილის წინ მთხოვა, მის მაგივრად ეს მიხაკები მომერთმია თქვენთვის...

ოლიან ქორეს სიკვდილის წინ არაფერი უთხოვია.

ვერც მთხოვდა — ტრაგიკულად და ამთავრა სიკოცხლე.

იმ დღეს მოწამეთისკენ მიმავალ გზაზე უნახავთ.

თაისის გარეუბანში — ქაბათაში, მოწამეთას მისვლამდე ორი საკირება — პატარა და დიდი. პატარა ძველთაძველია, დიდი — ახალი აშენებული.

საბრალო ოლიან ქორეი პატარა საკირეში გადამხტარა; ვილაცას დაუნახავს და ყვირილი აუტეხავს, საკირეში კაცი ჩავარდაო.

რკინის კაკვით გამოუთრევიათ. ეტნის ხახაში გადამხტარ ემპედოკლესავით სპილენძის ფესსაცმელები არ ეცმებოდა, მამამისის ნაქონ სქელლანჩიან ბათინკებს დატარებდა ზამთარ-ზაფხულ.

ეს საშინელი ამბავი დილით მომხდარა, თერთმეტ საათზე. მხოლოდ გვიან ღამით, საავადმყოფოში გაურკვევიათ მისი ვინაობა.

მე და ლულუნია საავადმყოფოში რომ მივვარდით, უკვე სულს ლაფავდა. დაჩქვნილ-დახრატულ თავ-პირზე ბლონდი ჰქონდა გადაფარებული. მის ძლივს შესამჩნევ რხევებზე ვატყობდით, რომ ჭერ კიდევ სუნთქავდა.

გამთენიისას გარდაიცვალა.

მისმა სულმა მზის ამოსვლისას დასტოვა მიწასთან გასწორებული სხეული და კოსმოსის შრეებს შეუერთდა.

და თუ რაიმე არსებობს იმქვეყნად, პირველ რიგში ემპედოკლე აკრავანტელის სულს მიეახლებოდა და შეჰლაღებდა: „ო, ემპედოკლე, დიდო გენი-

ავ, მოვედ შენთან შენი სულის თანაზიარი, შენ თუ კოსმოსში ეტნის კრატერით შემოგრიალდი, მე — ქაბათის საკირის ვიწრო ყელით შემოვალწიე!..“ ყველაფერ ამას იმ ქალს ვერ ვეტიყოდი...

— საბრალო ოლიან ქორეი... — ჩურჩულებდა რუსიკო, — იმდენი მიხაკები აქვს მოტანილი!...

— მთელ თქვენს ეზოს დაფარავდა. — დავამთავრე მისი სათქმელი.

— ჰო, — წყნარად თქვა ქალმა და განაგრძო, — აქ დამხვდებოდა, — „რუსიკო!“ — მეტყოდა, მიხაკებს გამომიწოდებდა. ზოგჯერ წერილსაც გადმომცემდა. ჰო, მის ხელში კონვერტი თრთოდა, ისე თრთოდა, ოთხკუთხა ქალაღდს კი არა, თითქოს, აქვე, ლობისძირას დაჭერილ თეთრ პეპელას მაწვდიდა... მერე მხრებში თავს ჩარგავდა, უბნოდ შებრუნდებოდა და ძუნძულით დაეშვებოდა თავდაღმართში... საბრალო ოლიან ქორეი!..

— გმადლობთ, ქალბატონო რუსიკო!

— მადლობას რატომ ამბობთ?

— რა ვიცი... ჩემს ადგილზე, ალბათ, ასე იტყოდა ოლიან ქორეი.

— სწორი ბრძანდებით... კარგად გცოდნიათ მისი ხასიათი.

— კარგად... კარგად ვიცოდი.

ვატყობდი, საუბრის ძაფი წყდებოდა. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, ქალიც უხერხულად იდგა და ვგრძნობდი, არ უნდოდა, პირველი გამომშვიდობებოდა. და უეცრად ისეთი რამ ვთქვი, რომელმაც ცოტა ხნით გააგრძელა ჩვენი ერთად ყოფნა.

— ოლიან ქორეს არ უთხოვია, მაგრამ... — ეზოში მდგარ მამლისბიძის ნალვლიანად გავხედე, — თუ გინდათ, კრამიტებს გადაგიბრუნებთ.

— რა თქვით? — შეტბა ქალი.

— ეტყობა, დიდი ხნის დაწყობილია და ხავსი ექნება მოდებული... —

— ჰოო, როგორც ჩანს, თქვენ მის მიერ გადმოცემული წერილის შინაარსიც გცოდნიათ. ამას კი არ მოველოდი!

— ზოგიერთის? — სევდიანად ვთქვი, — ყველას მაკითხებდა.

— მოიცა, მოიცა! — ქალმა ლოყაზე მსუბუქად შემოიკრა ხელი. — თქვენ მისი სეხნია ხომ არ ბრძანდებით?.. — პასუხს არ დაელოდა... — ბატონო ზურაბ... თქვენ ხომ?.. |

— კარგი, ქალბატონო რუსიკო, ნურაფერს დაუმატებთ... — შევჩერე ქალი.

— რატომ? რატომ? იმის თქმა მინდოდა... — მოულოდნელად შინაურულად მითხრა, — შენ კუხლია ხარ?

— დიახ, კუხლია ვახლავართ! — ხშირად ვახსენებდათ ბარათებში.

— ისევ თქვენობით თქვა.

— თქვენს წერილებსაც მიკითხავდა... — ვთქვი სინანულით.

— როგორ? — გაუკვირდა ქალს. — როგორ და... შორიახლო დაჯდებოდა, თქვენს წერილს წინ ხატივით დაიჭერდა... ისეთი ალტაცებითა და ალერსით კითხულობდა, სიხარულით მეცხრე ცაზე იყო ასული.

— რას ამბობთ?!. რას ამბობთ?!. — ლოყაზე თითები ჩამოისვა, — მისთვის არასდროს გამიგზავნია წერილი!... საცოდავი ოლიან ჟორჯი...

თვალეებზე ხელი ავიფარე, თითქოს ეს ქალი რაღაც მძიმე დანაშაულზე წავისწარი და მისი დანახვა აღარ მსურდა.

„საცოდავო, ოლიან ჟორჯე! ასე მეგონა, კარგად გიცნობდი, ასე მეგონა,

ყველა შენი საიდუმლო ვიცოდი... და, აგერ... შენ რომ აღარა ხარ ამქვეყნად, ასეთი რამ მითხრა ამ ქალმა... ალბათ, ბევრი სხვა ისეთი საიდუმლოც წაიღე იმქვეყნად, არავისთვის რომ არ გაგიმხელია“...

ხელები ჩამოვეუშვი და ქალს ცივად ვუთხარი:

— მშვიდობით!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა ქალმა, ჭიშკარი შეაღო, თან ძალი კუჩაში არ გაეპარდესო, სწრაფად მიიხურა და შეგნიდან ჩაეკეტა.

წლები გავიდა და, როცა ნიკა აგია შვილის მიერ თარგმნილი „ქიული“ გამოიცა ქართულად, მაშინ მივხვდი, რომ ოლიან ჟორჯი, ამ მოთხრობის დასაწყისში მოყვანილი ბარათის გამოკლებით, აზნაურის ქალიშვილის ქიული დეტანქისა და თავის მასწავლებლის სენ-პრეს სამიჯნურო წერილებს მიკითხავდა. ისიც გამახსენდა, როცა მის მიერ თარგმნილი ემპედოკლეს პოემის ფრაგმენტები გადავწერე, ბოლოში რაღაც თარიღი ჰქონდა მინაწერი. მაგრამ ისეთი მონდომებით გადაეშალა, წელი ვერ გავარჩიე. აშკარა იყო, ეს პოემა სტუდენტობის დროს ჰქონდა თარგმნილი და თავს მაჩვენებდა, დახე, კუხლია, ახლაც როგორ შემოქმედებით მუშაობას ვეწევიო.

Finita la comedia, ძვირფასო ოლიან ჟორჯე!

ანსორ აბულაშვილი

მზა — მოფრიალე დროვა

უცებ აღმომხდარ მზის ბრიალა სხივებს მიეწვდი თუ
 წითელი რაში ხელთ ვიპყარი ოქროს ალვირით.
 დედამიწაზე უნეტარეს სითბოდ დაღვრილი —
 ცაზე ფრიალებს ძლევამოსილ ბაირალივით.
 დღისგან ღამისთვის გაგზავნილი იგი ფირმანი,
 ღამის მძებნელი, გათოშლითა სულში მზირალი,
 ვის ბრუნვას მისდევს წუთისოფლის წაღმა ტრიალი, —
 ნუმც მოუშალოს ნურასოდეს ზღვისა და ხმელის
 მშვიდობიან ცას მისი დროშად ბრიალ-ფრიალი.

ოცნებით გამონმოგილი გაზაფხული

რაკი ახლა ასე მსურდა,
 თანაც — რაკი სიტყვა დამცდა,
 აღსაველიდან ამოშუქდა,
 ამოფრთხილ-ამონათდა.
 სახეს მელამუნა ნატვრა —
 მზის სხივი თუ თამარის თმა...

ისევ ისე ამომარტდა,
 ამოაპრილდამაისდა.
 სიზმრად როდი მომელანდა,
 თოვლ-ყინვაშიც ცხადად ჩანდა —
 მართლა ამოლერწმისტანდა,
 ამონესტანდარეჯანდა.

მარტოხელა დედის ალკომისთვის განკუთვნილი ლექსი

მარტოობის შენ ხარ შვილი,
 მარტოობას ჰყავხარ ცოლად,
 მაინც შუქი გადმოღვრილი
 ყველას გააწვდინე ტოლად.
 მარტოობის მეგობარი,
 მარტოობას ცრემლით ალტობ,
 დაიც მარტოობისა ხარ,
 მარტოობას ებრძვი მარტო.

ხშირად ღამით ძილგამფრთხალი,
 ძის საწოლთან შიშით მღგარი...
 ქარი სარკმელს ეხეთქება.
 გრგვინავს თებერვალის ქარი.
 სუსხიც თოვლ-ქარისა მუდამ
 გინდა შეილთან მზისფრად ხატო,
 მარტოობას წუთით თუნდაც
 არსად შეატოვე მარტო.

ქრის და გათენება შფოთავს,
ზამთრის გათენება ღვივის,
ბნელში ასხივოსნებს ოთახს
შენი სათნოების სხივი...

თუმცა გაცისკრდება დილაზე,
ქარ-ყინვასაც თუმც აქვს ბოლო...
მარტოობის შვილო, ფრთხილად,
ფრთხილად, მარტოობის ცოლო.

ბუხრისპირს ნაოცნეპარი

თუ შემოვლობე ჩემი ზაფხული,
ფრენა-უღურტული ჩემი ჩიტების,
ათასმიანი ჰიმნი შხაპუნის, —
უცხო მეჭლისზე გეპატიეები;
ნაკადულების სერპანტინების
მხრებზე იმსხვრიე მარგალიტები...
ჩემს ზაფხულს ორი კარი ებმება —
მაის-სექტემბრის ორი ჰიშკარი.
ორივეს კართან შეგეგებები
ძმა იქნები თუ ძმა-მოსისხარი.
გაგეფინება ხასხასა მოლი,

ენტება შუქი უცხო ჩირალდნის
და ივლისში რომ ისურვო თოვლი,
სივრცეებს თოვლით გადაგიბარდნი.
იქ არსებობის უფლებას ცრემლი
ალარა ჰკითხავს სუსხიან ღიმილს
და სიყვარულის ჩურჩულზე მწველი
ცრემლიც მოსწყდება მშვენიერ ივლისს.
ცაზეც ისეთ მზეს ავანთებ მდღლარს,
კაცს მარტოოდენ ხორცს არ
უთბობდეს...
ჩაეცქერ მიამიტ მხიარულ ბუხარს,
ეს ცეცხლი მაინც მე შეეუთვნოდეს...

• • •

ციკლიდან: „ფიროსმანი“

სიცოცხლე კაცის რად არის ფუქი,
თუ სხვისთვის მისი ძალუქს დათმობა...
ზოგს მილიონი ვარდიტაც უჭირს
ერთი გაყინულ გულის გათბობა.
სულში რომ შხამის ეონავდა წვეთი,
განგებამ მისთვის როდი იკმარა:
მას შეუყვარდა ამქვეყნად ერთი,
მაგრამ იმ ერთმა არ შეიყვარა!..

და მერმე იცის — უმწეო ცრემლით
არ განედღდება არასდროს ხმელი,
იცის — რატოა ყინულის „არა“
გულში მოხვედრილ ტყვიანზე ცხელი...

მეც მილიონ წელს, ცისკარო, მწვავედი,
პირველყოფილის ფერით მიმონე
და მილიონი სამსხვერპლო ვარდით
სიცოცხლეს გწირავ მემილიონედ!

— — —

გრიგოლ ავალუსიძე

• • •

ვინაც რომ სახლი ააგო
ოფლით და თავის მარჯვენით,
ის სახლს შენ ველარ მოგყიდის, —
ამაოდ გაისარჩები.

სუნთქვა და გულის ნაწილი
მიღებული აქვს იმდენი,
დაემუშტრები ტყუილად,
ვერაფრით ვერ მორიგდებით.

ასე გადარჩა მცხეთა და
ასე გადარჩა ვარძია,

შიში არა გვაქვს არაფრის,
შვილები თუ დაგვაცლიან.

ამიტომ ჭერი ამრავლეთ,
კედელს უმატეთ კედელი,
ქედი შეუდგით ქონგურებს,
შვილებო,
გაუხედნელი.

შვილებო,
ზილეთ აგური,
სული ჩაუდგით რიკულებს,
მამათა აშენებული
თქვენ საქართველო გიყურებთ!

იმერეთის რიონიდან

ცას ზღვისფერი ქუდი ხურავს,
მზე მაცხუნებს
გვარიანი,
იმერეთის რიონიდან

მენატრება დარიალი,
დარიალში როგორ წაველ
აქ ისეთი დარი არი.

სხვა კი არა...

ეს წვა როცა დასრულდება,
დავიბარო უნდა:
არც უგულოდ მყვარებია,
არც

უგულოდ მძულდა,
სხვა კი არა,
ჩემი გული
მატყუებდა მუდამ.



ქანდაკება

გლახაკი ვნახე,
 ხიდის კუთხეში იჯდა
 ლოცვად გაკრეფილი.
 გამოწვდილ ხელზე
 ვერცხლის ფულეები რომ უბრწყინავდა,
 ჩიტი დააფრინდა,
 გლახაკი შეკრთა და
 ჩიტთან ერთად გაირინდა —
 თითქოს ქანდაკებად გადაიქცა.

ამ სურათს
 დიდი ხნის წინათ,
 მუხრანის ხიდთან წავაწყდი,
 მერე,
 როცა ის ხიდი დაანგრის,
 რატომღაც მგონია
 ნგრევაში მოყვა გლახაკის ქანდაკება.

ახლა, ნატავ...

აღარსაით მეჩქარება,
 აღარსაით მიმელიან,
 მეთორმეტე სართულიდან.
 ვეფერები ივერიას.

მიუყვება
 მტკვარი მეტეხს,
 ეს მშვენება ვინ დაბადა,
 ძინავს ქალაქს,

მაგრამ ფხიზლობს
 გული
 ჩემი წინაპართა.

წინაპრებზე ისევ ფიქრით
 ღამე უნდა გავათენო,
 ახლა,
 ნეტავ
 მთაწმინდიდან
 როგორ მოსჩანს საქართველო?

მოლოდინი

კვდებოდა კაცი,
 მოილიეს ყველა წამლობა,
 ამოილია წვეთ-წვეთობით ყველა იმედი,
 და დაელოდა,
 დაელოდა სოფელი სიკვდილს.

ძაღვების ყმუილს ნებანება
 აყურადებდნენ,
 ცრემლიც გაიღეს,
 ქოთქოთიც და წამოტირებაც...

გააღეს კარი,
 მოიწიეს აქეთ და იქით, —
 დატოვეს ვიწრო შესასვლელი
 სიკვდილისათვის,

კვდებოდა კაცი,
 აღარ ჩანდა მაინც სიკვდილი.
 ღმერთი ახსენეს,
 უღელი და წყვილი ტაბიკი
 საწოლქვეშ ცოლმა შეუცურა
 ცრემლის ღვარღვარით, —

(რამეთუ ხორცი უღელია ცოდვილი
სულის
და უღელს ძალუძს სულის აშვება).

ვილაცამ ცხარე თანაგრძნობით კარებს
გახედა

და მოთმინებადაკარგულმა თქვა:
როდემდისო...

არავის ხმა არ გაუღია,
ეს იყო მხოლოდ,
აღვა პირველი დედაკაცი,
მიდგა საწოლთან,

დააყურადა,
მობრუნდა უკან
და სხვათაშორის
თავის სახლში ითხოვა წასვლა:

-- დაგტოვებთ,
ამას სულის ნაცელად ქვა უღევს ტახში,
ხმა მომაწვდინეთ,
თუ ღმერთი გწამთ,
როცა იქნება...

— როცა იქნება, აქ გავჩნდები! —

წარმოთქვა სხვაშეც
და იმ სხვას მშვიდად,
ფეხაკრებით გაყვა შემდეგი.
ლამით

ჭოტის ხმა

ამძაფრებდა სოფლის მოლოდინს...
დღისით კი ისევ —
მომაკვდავი სიკვდილს ებრძოდა
და კაცი ყველამ დაივიწყა.

ღმერთის ბრძანებით,
თუ საკუთარ ბედის განგებით
გადარჩა კაცი,
წამოდგა და კვლავ გაიარა...
ამ დაბადებას აღარ ერქვა
ბედნიერება, —

ყველამ,
უბედურს
შეაქცია სახე თავისი, —
დაუბრუნენ,
რაკი მოლოდინი აღარ გამართლდა,
— აკი წამლობა აღარ ჭრისო...
— როგორ გადარჩა?..
— როგორ ტყუილად დავიღამეთ
ყველამ თვალგბი?!

გადარჩა კაცი,
დარცხვნილი დარჩა სოფელთან...
სოფელი ველარ ეგუება ტყუილ
მოლოდინს...

შემოდგომის გაზაფხული

მე გეუბნები, გაზაფხულია,
შენ შემოდგომის ჭირხლზე მანიშნებ...
შენ ამბობ, აპრილს გადაუვლია,
მე ძლიერ ვაჩერებ ამტყდარ
ქარიშხლებს.

ტანას ხეობა თრიმლებით იწვის,
ბრდღვიალებს, განა გაძარცულია.
შემოდგომამაც აპრილი იცის
ეს — შემოდგომის გაზაფხულია.
ეს — მთის ფიქრია, განა ნისლია,
ზეცა ჯერ ისევ გასარკულია,
ჯერ ზომ სექტემბრის დასაწყისია,
განა ნოემბრის დასასრულია,
თუმცა მსუსხავი ქრიან სიონი,
მე გაზაფხულზე ფიქრში ვათენებ
და იმედოვით მოჩანს სიონი,
გაზაფხულებით მავსებს ატენი,
გზა-გზა ალღები ჰგვანან კელაპტრებს,
ხევ-ხევებს სწვდება ტანას ჩქაფუნი...
დასაწყისი აქვს ჭვეყნად ყველაფერს,
ჭვეყნად ყველაფერს აქვს გაზაფხული.

გენები

ჩაბუღებულო ჩემში გენებო,
ჩემო ღვიძლებო, განა გერებო,
გულიდან გულში ანაბგერებო,
რა ვიცი, იქნებ ბედნიერებო,
წინაპართაგან მონაბარებო,
ნაჩუქნო, განა მონაპარებო,

ოცნებებო და წარმოდგენებო,
გზებით დაღლილო ჩემო გენებო,
იარეთ ისე, როგორც გენებოთ,
გქონდეთ ჭრილობაც და ნატყენებიც
ძველი მესხების, არაგველების,
ოლონდ ქართული გერქვით გენები.

სამშობიარო სახლი



ამ სახლში მუდამ გაზაფხულია:
 თოვლი დნება და
 ენძელები იზადებიან,
 მზე ანათებს და
 ენძელები იზადებიან,
 ცა იხსნება და ენძელები იზადებიან.
 ამ სარკმლებიდან
 დღით და ღამით ისმის ტირილი,
 ტირიან მუდამ,
 თითო-თითოდ,
 გუნდ-გუნდად, ერთად,
 ტირიან ისე,
 უმიზეზოდ, ანდა მიზეზით,
 ტირიან, ანუ
 გაზაფხულის ხმაზე მღერიან
 სახლში, რომელიც
 ყვაეილებით სავსეა მუდამ.

ფუტკარი

აღბათ მთელი დღე
 ეს ფუტკარი ასე წვალობდა —
 ფანჯრის მინაზე
 გამწარებით ეძებდა იმ გზას,
 სიბნელიდან რომ გაიყვანდა
 აპრილის მზეში.

მადლობა უფალს,
 ფუტკრის ტანჯვა შემამჩნევინა,
 მისთვის ფანჯარა გამაღებინა
 და სიკვდილიდან
 სიცოცხლეში გამაშვებინა!

რამეთუ ეწოდა ზარზმა

რომანი

ნაწილი მეორე

თავი მეოთხე

პარეხის მონასტერში თითქმის არაფერი შეცვლილიყო, სერაპიონს ყველაფერი ისე დახვდა, როგორც დატოვა — იგივე კარიბჭე, იგივე ტაძარი, იგივე სამრეკლო. მხოლოდ ეს იყო, რომ ყველაფერი კიდევ უფრო დაძველებულიყო, გამუქებულიყო, დროის ნალექი შეეწოვა და შეესისხლხორცებინა, რის გამოც სითალზე და სინათლე კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდნენ ერთმანეთს. დროს არც ტაძრის შიდა მოხატულობა დაენდო — ანგელოზები, მოციქულები და წმინდანები შემკვარტლულიყვნენ, ალაგ-ალაგ სხეული და პირისახე დაბზაროდათ, თანაშეჭირვებულთა მსგავსად იმზირებოდნენ კედლებიდან. შეიძლება ყველაფერი ეს აღრეც ასე იყო და იგი ვერ ამჩნევდა, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება, ისე არ უჭრიდა თვალი, როგორც ახლა, როცა ნაკლსა და ზადს მარტო თვალთ კი არ ამჩნევდა, არამედ გუმანითაც გრძნობდა. ტაძარი რომ უკეთ ყოფილიყო განათებული, სინათლის მეტი წყარო რომ ჰქონოდა, შეიძლება

მოციქულებისა და წმინდანების სახეებზე კვლავაც არეკლილიყო ის ტკივილი და ტანჯვა, ნამდვილად რომ იწვინეს ცხოვრებაში, შეიძლება მათი თვალები უფრო ნათელი და ცოცხალი ყოფილიყო, მაგრამ ნახევარბნელში, სახლლების მკვარტლში და სიციწროვეში თითქმის აღარაფერს ირეკლავდნენ და ვერაფერს ხედავდნენ. შეიძლება არც უნდოდათ არაფრის დანახვა, შეეჩვივნენ ბნელსა და უმოძრაობას, აღარ მიაჩნდათ საკუთარი თავი გამორჩეულ და განუმეორებელ პიროვნებად, შეიძლება მათ სულში უკვე დაისადგურა იმ განურჩევლობამ და სიმარტოვემ, ხანდაზმულობას რომ მოაქვს აღრე თუ გვიან.

სერაპიონმა მხოლოდ მაშინ მოსწყყვითა მზერა კედლებს, როცა ნიაფორი მიუახლოვდა და იღუმალი გამომეტყველებით, ჩურჩულით უთხრა გამოწყვევითო. სერაპიონმა ძლივს იცნო იგი. თვალები რომ არა, მოჩვენება ეგონებოდა. ეს სიტყვაძუნწი ბერიგაცი მაშინაც ტაძრის მეთვალყურე იყო, როცა სერაპიონი პარეხის მონასტერში ცხოვრობდა, და ყველა წირვას ეს-

წრებოდა და ახლაც, მაგრამ მისინ მძიმედ, ღირსეულად დააბიჯებდა. მკაცრ სახეს კიდევ უფრო იმკაცრებდა და თუ რამეს იტყოდა, იტყოდა მოჭრილად, ყოველგვარი განმარტების გარეშე. ახლა კი მთლად დამკვნიარიყო, სახე დალაქიანებოდა, ბეჭებში მოზრილიყო და საცოდავად ჩიფჩიფებდა. უკბილო პირი ისე ჩაფარინოდა, რომ ლოყებიც კი ჩაეთრია. ნიაფორი კედლებზე გამოხატულ წმინდანებზე უფრო ხანდაზმული ჩანდა, მისი სახის ნაოჭებში არა მარტო მიხრწნილობა და უმწეობა ჩაბუდებულიყო, არამედ იმგვარი დრომოჭმულობაც, კვალს რომ აღარ იმჩნევს. პარების მონასტერს გადახალისება, განახლება, გაახალგაზრდავება სჭირდებოდა, იმგვარი სისხლის შესხაპუნება, გამხმარი ტოტების მოშორებისა და ახალი ყლორტების გამოღების უნარი რომ შესწევს.

მღვდელმთავრებს საკურთხეველში მოეყარათ თავი. გარდა მიტროპოლიტისა, მაგიდასთან ისხდნენ ოპიზის მონასტრის წინამძღვარი ლეონტი, ხანძის მონასტრის წინამძღვარი სტეფანოზი, ტბეთის მონასტრის წინამძღვარი მიქაელი, შავშეთის ეპისკოპოსი ახანია, არტაანის ეპისკოპოსი ევმენი, ტოსკარის მონასტრის წინამძღვარი საბა და სამცხის ეპისკოპოსი გიორგი. კრებას არ ესწრებოდა სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი ეპისკოპოსი და მონასტრის წინამძღვარი, მაგრამ ეტყობა საქმე, რომლის გარჩევასაც აპირებდნენ, არც ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ ყველასათვის მოეყარათ თავი, მეორეც ისინი, ვინც აქ შეყრილიყვნენ, ეკლესიის იმდენად დიდი მამები იყვნენ, ისეთი დიდი გავლენა ჰქონდათ მთელ საქართველოში, რომ მათ გადაწყვეტილებას ვერავინ აღუდგებოდა წინ, მათ სიტყვას ვერავინ გადავიდოდა. ყველაზე უხნესი მათ შორის ტბეთის მონასტრის წინამძღვარი მიქაელი იყო, ყველაზე მკაცრი და ურყევი დოგმატიკოსი არტაანის ეპისკოპოსი ევმენი. იგი რამდენიმე

წლის წინათ დაბრუნდა საბერძნეთიდან და აქაური მღვდელთმსახურება და ლეთისმეტყველება ნაკლები და შერყვნილი ეჩვენებოდა. ამის გამო ყველასა და ყველაფრის მიმართ სიმკაცრეს იჩენდა და არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რაღაც არ დაეგმო და ვილაციასათვის კანონიკური წესების დარღვევა არ დაებრალებინა. დიდად განათლებული და გონებაგახსნილი არც შავშეთის ეპისკოპოსი იყო, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის შემუშავება უჭირდა, მაგრამ თუ რამეს დაიჩემებდა და ჭკუაში დაუჭიდებოდა, მერე ვერაფერი გადააჭერებდა. ლეონტი და სტეფანოზი საეკლესიო ხელისუფლებას ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ, უპირველეს ყოვლისა მონასტრების გამრავლება-გამდიერებისათვის ზრუნავდნენ და თუ რამე სადაო საკითხი წამოიჭრებოდა, ყოველთვის მონასტრის სააარგებლოდ წყვეტდნენ. განახლებება მათ შორის ის იყო, რომ ლეონტი მსოფლიო ეკლესიასთან მჭიდრო კავშირს უჭერდა მხარს, სტეფანოზი კი მოითხოვდა, მსოფლიო ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის დაენებებინათ, თავად კი საქართველოს ეკლესიის აღდგენისა და ამაღლებისათვის შეეწყოთ ხელი. მიტროპოლიტსა და ტოსკარის მონასტრის წინამძღვარს სერაპიონი ნაკლებად იცნობდა და მათი მისდამი დამოკიდებულების განჭვრეტა ვარაუდითაც კი არ შეეძლო. ამ საკრებულოში სერაპიონი იერარქიული კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა, ყველას უფლება ჰქონდა, რაც უნდოდა, ის ეკითხა და პასუხი მოეთხოვა, რადგან თითოეული მათგანი ღვაწლმოსილი და წმინდანი ან ნეტარი იყო, ზოგს წინამძღვრის კვერთხი ეპყრა ხელთ, ზოგს კი ეპისკოპოსის ტახტი ეჭირა და ამიტომ იმას, ვინც ჯერ მხოლოდ მღვდლად იყო ნაყურთხი, პასუხი უნდა ეგო მათ წინაშე. მართალია, როცა აქ დაიბარეს, შემოუთვალეს, გვინდა ვიცოდეთ, როგორ მიდის მონასტრის მშენებლობის საქმე და რით შეგვიძლია დაგვხმა-

როთო, ირწმუნა და დაიგერა, მაგრამ ამისათვის ამდენი მღვდელმთავრის შეყრა საჭირო არ იყო, ეს თავყრილობა სასამართლოს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინოდის ჩვეულებრივ კრებას. საჩივრები და დაბეზღებები რომ არა, შეიძლება ეს კრება არც კი შემდგარიყო, არც კი დაინტერესებულყვნენ მისი მოღვაწეობით და საქმიანობით, სიმართლითა და სიმრუდით, მაგრამ ეტყობა მის წინააღმდეგ იმდენმა საჩივარმა მოიყარა თავი, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გარკვეულიყვნენ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ვინ უფრო მეტად სცოდავდა — სერაპიონი თუ მისი დამბეზღებლები.

სერაპიონი მხოლოდ მაშინ გაჩერდა მაგიდის წინ ბრალდებულებით, როცა ყველას ჩამოუარა და ხელზე ემთხვია. თითოეულ ხელს თავისებური სუნი ჰქონდა და ამ სუნის მიხედვით შეიძლებოდა მიმხვდარიყო კაცი, ვის რა ედო გუნებაში, ვინ როგორი ფეხით ადგა იმ დღეს, რა საფიქრალი და საზრუნავი გამოჰყვა თან. ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული მისი, უფრო სწორად მონასტრის მშენებლობის ბედი, მაგრამ ახლა მღვდელმთავართა განწყობილებას და წინასწარ აკვირებულ აზრს იგი კი არა, მამაზეციერი ვერ შეცვლიდა. ამიტომ სერაპიონმა მზერა პანდატივის ქვეშ გამოსახულ მაცხოვარზე გადაიტანა. მხატვარი რომ დიდი ოსტატი არ იყო, ამაზე ფერთა სიღარიბეც მეტყველებდა, სივრცის არაბუნებრივად გამოყენებაც და იმის ცდაც, რომ მხატვარმა განუმეორებელი, ყველასაგან განსხვავებული სახე კი არ შექმნა, არამედ ეცადა მაცხოვარი იმ მაცხოვართათვის დაემაგვანებინა, საქართველოში და წინააზიაში რომ იყო გავრცელებული. ეტყობა მას თვითონ არ მოეწონა საკუთარი ნახატი, ამიტომ მისი გაცოცხლება და ამეტყველება უცდია, მაგრამ რაც უფრო მეტი უჯახორია და უცოდვილია, მით უფრო მეტად ჩაუქრია აზელილი საღებავებით ნახატის სხივი და სახიერება.

— მამაო სერაპიონ, — დაიწყო პარების მონასტრის წინამძღვარმა მიქაელმა, როგორც მასპინძელმა და მთელი იმ საქმის წამომწყებმა, რის განხილვასაც ახლა აპირებდნენ, — ჩვენ აქ იმისათვის კი არ შევიყარენით, რომ საკუთარი ცოდვები დავივიწყოთ და ჩვენი სულიერი ძმა განვიკითხოთ, არამედ იმისათვის, რომ ვიცოდეთ სიმართლე, მოვისმინოთ შენგან, რა აბრკოლებს მონასტრის მშენებლობას და რით შეგვიძლია დაგვხმაროთ. მაგრამ სანამ საქმის განხილვას შევუდგებოდეთ, ზოგიერთ ჩვენს მღვდელმთავარს სურს დარწმუნდეს შენს სიქველესა და უცოდველობაში. ამიტომ პასუხი უნდა გასცე რამდენიმე კითხვას. ასე უფრო ადვილად მივაღწევთ თანხმობასა და ერთსულოვნებას.

— მე მზად ვახლავართ, უნეტარესო, — უპასუხა სერაპიონმა და მოეჩვენა, რომ წინამძღვრის ხმას ძველებური სიმტკიცე და ელერადობა აქლდა.

— მამაო სერაპიონ, მართალია, რომ თქვენ განიზრახეთ გუმბათი აამაღლოთ, ყელიანი გახადოთ და ამის გამო ტაძრის მშენებლობის დაწყება უზომოდ გაჭიანურდა? — ჰკითხა სერაპიონს მიტროპოლიტმა და წიგნი, წინ რომ ედო, შუაზე გადაშალა.

— მართალი ვახლავთ, თქვენო უწმინდესობა.

— მერედა გქონდათ კი ამის უფლება?

— მე დარწმუნებული ვარ, უწმინდესო და უნეტარესო მამანო, რომ ტაძარი, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, უფრო ნათელი, ჰაეროვანი და ტევადი იქნება.

— იქნება თუ არა, ამას დრო დაგვანახებებს, რატომ წინასწარ არ გვიჩვენეთ ტაძრის გეგმა, არ შეგვითანხმეთ?

— გეგმის ჩვენება და შეთანხმება ისედაც გაჭიანურებულ დროს კიდევ უფრო გააჭიანურებდა, თქვენო უწმინდესობა.

— თუ იმის იმედი არ გქონდათ, რომ ჩვენ დაგვითანხმებდით?

— მართალს ბრძანებთ, თქვენო უწ-

მინდესობავ, იმედი მართლაც არ მჭონდა.

— ჩვენ აქ ვიმსჯელებთ, მამაო სერაპიონ, და თქვენი საქციელი გფუმართლებელ თვითნებობად მივიჩნევთ. რას იტყვით ამაზე?

— ახლა არაფერს, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ როცა ტაძრის მშენებლობა დამთავრდება, იგი თვითონ გაგცემთ პასუხს.

— საკითხავი მე მეტი არაფერი მაქვს, — უთხრა მიტროპოლიტმა მიქაელს და გაშლილი წიგნი ისევ დახურა.

პარეხის მონასტრის მთავარ ტაძარში ახლაც, დღისით, მზისით, უამრავი სანთელი იწოდა და მიუხედავად ამისა, ბნელს მაინც ვერ ფანტავდა იმდენად, რომ თვალს შეება ეგრძნო, ცხადად, გარკვევით დაენახა არა მარტო მთლიანი გამოსახულებანი, არამედ მათი ნაკვეთებიც და უმნიშვნელო წვრილმანებიც, განთავისუფლებულიყო ტაძარი იმ ბურუსისაგან, სერაპიონს რომ თავისუფლებისა და სიახლის დამორგუნველად მიიჩნდა, იმ ჩრდილებისაგან, ჩარჩოებში რომ ამწყვედევდნენ და ხელს უშლიდნენ ხორცი შეესხა საკუთარი ჩანაფიქრისა და ნაოცნებარისათვის.

— მამაო სერაპიონ, — მოესმა ამ დროს ოპიზის მონასტრის წინამძღვრის ლეონტის ხმა, — მართალია, რომ თქვენ ბერს, მამა ილარიონს მისთვის შეუფერებელი საქმე დაავალეთ და თქვენი წინდაუხედაობის გამო იგი დილუპა?

— მართალია, თქვენო უნეტარესობავ.

— გაწევთ თუ არა მისი ცოდვა?

— დიახ, მაწევს.

— მერედა, რატომ დაიმძიმეთ ასეთი ცოდვით სული?

— სხვა გამოსავალი არ იყო, თქვენო უნეტარესობავ, მონები ხან აკვიონებდნენ ქვის მომტვრევას, ხანაც წუნს გვიგზავნიდნენ.

— თქვენ რომ ასე არ ჩქარობდეთ, მამაო სერაპიონ, არც მამა ილარიონის გაწირვა დაგჭირდებოდათ.

— შეიძლება, თქვენო უნეტარესობავ, მაგრამ ყველაფრის წინასწარ განსჯა და გათვალისწინება ვის შეუძლია. მე უსახსრობა და ცხოვრების ცვალებადობა მაჩქარებს და არა პატივმოყვარეობა.

სერაპიონს უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ თავი შეიკავა. ხომ ვერ მოუყვებოდა მღვდელმთავრებს, რაც თავს გადახდა და გადაიტანა, რამაც ცოდვილი და ბრალეული გახადა. სერაპიონს მხოლოდ ის აკვირებდა, რომ მათი სულიერი ძმობა, რასაც ხელი უნდა შეეწყო ქრისტიანობისა და მოყვასისადმი სიყვარულის სხვა მხარეებში გავრცელების, გაფურჩქვნისა და განმტკიცებისათვის, ახალი მონასტრების დამყვიდრებისა და გაძლიერებისათვის, მეტისმეტად იერარქიული ხდებოდა, უფროს-უმცროსობა სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა, და როცა ამას აზრთა სხვადასხვაობა და განხეთქილება ემატებოდა, უპირველეს ყოვლისა საქმე ფერხდებოდა, ჭიანჭურდებოდა და ზოგჯერ მარცხითაც კი მთავრდებოდა. მონასტერი ხომ ერთი კაცისათვის ან ვინმეს აღსაზევებლად არ შენდებოდა, იგი იქმნებოდა ქრისტესმიერი ძმების ღვაწლისა და სიქველის გასამრავლებლად.

სერაპიონს თვალი სადიაკვნოსაკენ გაექცა. ამ რვა წლის წინათ სწორედ აქ უთხრა ნეტარმა მიქაელმა, ანგელოსი გამომეცხადა და მაუწყა, ღვთის ნებით სამცხეში მონასტერი უნდა აშენდეს და ამისათვის ქვაბლიანის ხეობაში სერაპიონი და სხვა სულიერი ძმები უნდა მიავლინოო. მაშინ მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ძნელ საქმეს ჰკიდებდა ხელს, რამდენი მოულოდნელი განსაცდელი და ცოდვის დღე ელოდა წინ, მაგრამ მას შემდეგ იმდენი რამ შეიცვალა როგორც თვით მასში, ასევე მის ირგვლით, იმდენად ჩაითრია მშენებლობამ და ათასი ჭურის ხალხთან ურთიერთობამ, იმდენი რამ დაივიწყა და იმდენი რამ შეიძინა სამუდამოდ, რომ ახლა, როცა ეკლესიის დიდი მამა-

მების წინ იდგა, როცა მას ბრალდებებს უყენებდნენ და პასუხს თხოვდნენ, მის სულსა და გონებას მხოლოდ ერთი რამ ქენჯნიდა — რა ზღება ზარზმაში, კეთდება თუ არა უმისოდ რამე, მშვიდობიანობა სუფევდა მშენებლებს შორის თუ ისევ დაიწყო ჩხუბი და აყალ-მაყალი, რა გუნებაზეა, როგორ გრძობს თავს შუარტყელული, როგორ იქცევა ესნა ცივნარისძე, აღის თუ არა ისევ მონასტრის ეზოში?

— მამაო სერაპიონ, — მოესმა ამ დროს შავშეთის ეპისკოპოსის ანანიას ხმა, — მართალია, რომ თქვენ მამათა მონასტრის ერთ-ერთი კელიონი დიაცებს დაუთმეთ და ახლა ამ კელიონს დედათა მონასტერს უწოდებთ?

— მართალია, მღვდელთმოდვარო.

— ისიც მართალია, რომ თქვენს ვერეთ წოდებულ დედათა მონასტერში ვილაც ავაზაკის ხარჭა მოიყვანეთ?

— ესეც მართალია.

— რატომ ჰქენით ეს?

— იმ ახალგაზრდა ქალის სახლში დატოვება არ შეიძლებოდა, მე რომ არ მეხსნა, დაბელები ჩაქოლავდნენ. ასეთი რამ მეორე დღესვე შეიძლებოდა განმეორებულყო.

— მე რე როგორ ფიქრობთ, შესაწყნარებელია ყოველივე ეს?

— მე სხვა გამოსავალი ვერ ვნახე, მღვდელთმოდვარო.

— მამაო სერაპიონ, ჩვენამდე აქ ხმამ მოაღწია, რომ ის დიაცი, რომელიც ჩაქოლვას გადაარჩინეთ, თქვენს მამს, მამა იოანეს ყვარობსო.

— ამის შესახებ მე არაფერი მსმენია, მღვდელთმოდვარო, იოანეს მე ჩემს თავზე მეტად ვენდობი და იმას, ვინც ეს ხმა დაარბია, მხოლოდ ავიზარებებ ამოძრავებს, — უპასუხა შემცბარმა სერაპიონმა და ის დღე გაახსენდა, ესნა ცივნარისძე გაუჩერებლად რომ ელაპარაკებოდა იოანეს რაღაცას. ამ უადგილო და უსაფუძვლო კითხვამ ისე იმოქმედა მასზე, რომ გუნება მოეშხამა და ერთი წუთით გადავიწყდა კიდევ სად იყო და ვის ელაპარაკებოდა, რას ეკითხებოდნენ და რა უნდო-

დათ მისგან. ტვინი თითქოს გადაეტრია და მეხსიერებაში რაღაც ისეთი ფართხალებდა, რასაც არც თვეს დეკემბერს ვიხსენებდი და არც ისეთი მოხაზულობა, სიმყარეს რომ ანიჭებს საგნებს. მხოლოდ მოგვიანებით გამოიკვეთა ჭერნილაბი, შემდეგ კი ადამიანის ცოცხალი სახე, ანგელოზისებრი ნაკვთები იმ არსებისა, ორივე ფეხით რომ იდგა მიწაზე და არაფრით არ უნდოდა მოწყვეტოდა მიწას, ჩაეკლა გულში სიხარული და შეეცნო ტანჯვა, ტანჯვა თუ არა, იმგვარი მწუხარება მაინც, მწარედ რომ ჩაგაფიქრებს და დაგარწმუნებს, თუ რამდენად უვარგისია ეს ქვეყანა სიხარულისა და ბედნიერებისათვის. უფრო საოცარი ის იყო, რომ ეს სახე იკვეთებოდა იმ კედლების ფონზე, ჭერაც რომ არ იყვნენ ბოლომდე ამოყვანილნი, ჭერაც რომ იშრობდნენ ადამიანის ოფლს, ჭერაც რომ არ ამეტყველებულიყვნენ და გააცოცხლებულიყვნენ, მაგრამ ისე თხოვდნენ ანგელოზისებრი ნაკვთებით მორთვას, მის შესისხლხორცებას და საუკუნეობით შენახვას, როგორც დასრულებას, მაღალი გუმბათით დაგვირგვინებას, იმ არსებასავით დამშვენებას, მათ ფონზე რომ იკვეთებოდა. და უეცრად სერაპიონი შეაშინა იმ ზარმა, სრულიად მოულოდნელად, მისი ბუნებისა და სურვილის წინააღმდეგ რომ ჩამოყალიბდა ამღვრეულ გონებაში — ესნა ცივნარისძე წმინდანად ექცია და დამთავრებული ტაძრის ერთ-ერთ კედელზე გამოესახა.

— მამაო სერაპიონ, — დაიწყო ახლა არტანის ეპისკოპოსმა ევმენიმ, — მართალია, რომ თქვენ ლოცვა-კურთხევასა და ქადაგებას ხარაჩობებზე ბობღვა და სამშენებლო მასალისათვის სირბილი გირჩევნიათ, რომ ოსტატებთან და ხურობებთან უფრო ადვილად პოულობთ საერთო ენას, ვიდრე სულიერ მშებთან?

— ჩვენ იმდენი დრო არა გვაქვს, მღვდელთმოდვარო, რამდენიც იმათ, ვინც უკვე მონასტერშია მოკალათებული და მხოლოდ სულის ხსნისათვის იღწვის.

— ჯერ ერთი თქვენ არ გეკადრებთ ასე უდიერად მოხსენიება იმათი, ვინც მონასტერშია დაყუდებული და ღმერთს აღიღებს, მეორეც, რად გვინდა მონასტერი, თუ ლოცვა-კურთხევას გადავეჩვევით?

— ვისაც ჭეშმარიტად სწამს, მღვდელთმომღვარო, იგი ლოცვა-კურთხევას ვერ გადაეჩვევა, მონასტრებს კი ჩვენ იმისათვის ვაშენებთ, რომ ხალხს განათლება მოვეტანოთ, ხოლო მრევლს თანაგრძნობა ვასწავლოთ და არა შიში.

— ესე იგი, თქვენ არაფრად მიგაჩინათ ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, წირვა, ლოცვა, ქადაგება და ასე შემდეგ?

— მე ეს არ მითქვამს, მღვდელთმომღვარო, მე მხოლოდ ის მოგახსენებ, სანამ ტაძარს ვაშენებთ, შეიძლება ღვთისმსახურება ისე ზედმიწევნით ვერ აღვასრულოთ, როგორც ამას კანონი მოითხოვს და ამასი ის კი არ გვიშლის ხელს, რომ რწმენა გვაკლია, არამედ ჩვენი სიღარიბე, უსახსრობა და მუშახელის ნაკლებობა.

— სიღარიბე ქრისტიანული ეკლესიისათვის დამაბრკოლებელი არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება იყოს. თქვენ რომ საეკლესიო სარბიელზე მეტს იღვეოდეთ და მეტს ქადაგებდეთ, მაშაო სერაპიონ, არც ის დაგავიწყდებოდათ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანის ერთ-ერთი მოვალეობა — უმეცართა სწავლებაა.

— თქვენ იქნებ იმის მომხრე ხართ, მღვდელთმომღვარო, რომ სამცხეში ქრისტიანობა ცეცხლითა და მახვილით განვამტკიცოთ?

— მე ქადაგებისა და ლოცვა-კურთხევის აღსრულება მოვითხოვე და არა ცეცხლისა და მახვილის გამოყენება.

— მხოლოდ ქადაგებით რომ რწმენა განამტკიცო, ამისათვის მოთმინებაა საჭირო, მღვდელთმომღვარო, და მე აღარ მინდა აქ მაქხოვრის სიტყვები მოვიტანო.

— სხვათა შორის, ურიგო არ იქნება, მაშაო სერაპიონ, მოთმინება და თავმდაბლობა რომ საჭიროა, ზოგჯერ თქვენს თავსაც შეახსენოთ, ჩვენ აქ

იმისათვის კი არ მოგიწევით, რომ კვლავ გვასწავლოთ.

სერაპიონის

სერაპიონს ყველაზე მეტად მისწამებდნენ, რომ იმ სიტყვებში, მღვდელთმთავრები რომ წარმოთქვამდნენ, საქმე არ იყო, მათ მიღმა არაფერი ჩანდა ისეთი, გულს რომ მოხვედროდა. მონასტერი მისი პირშო იყო და არა მათი და ამიტომ, დიდადაც რომ მოედომებინათ, მაინც ვერ მიხვდებოდნენ, რა უშლიდა და რა უწყობდა ხელს მის მშენებლობას, რა აკლდა და რა ჭქონდა თავსაყრელად. მღვდელთმთავრებს მხოლოდ ის უნდოდათ, რომ არაფერი წამხდარიყო, დარღვეულიყო, გამრუდებულიყო და დაშავებულიყო, არაფერს გამოეწვია ღვთის ან კაცის რისხვა; არაფერი გასცდენოდა იმ ზღვარს, ჩვეულებრივი ცხოვრება რომ იტანს. ეს კი მათ სიბერეზე, სიფიზილეზე, ერთგვარ შინაგან გაქვავებაზე მეტყველებდა. თუ რას ნიშნავს ახალი მონასტრის აშენება, ზოგიერთ მღვდელთმთავარს საკუთარ ტყავზე ჭქონდა გამოცდილი და ნუთუ სიცოცხლეშივე დაავიწყდა ყველაფერი, უკვირდა სერაპიონს, ნუთუ არც ის გაჭირვება ახსოვს და არც ის მსხვერპლი, ამგვარი საქმე რომ მოითხოვს, ხოლო თუ ახსოვს, მაშინ რა მოხდა, რაღა მინდადამინც მისთვის მოიცალეს და თითქმის სასამართლოც კი მოუწყეს. იმათ შორის, რომელთაც მონასტერი აუშენებიათ, რითაა რომელიმე მათგანი მასზე წმინდა და უცოდველი, რომელს არ დაუშვია შეცდომა. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება უპყრიათ ხელთ, ან იქნებ იმიტომ ასამართლებენ, მან რომ უკეთესი ტაძრის აშენება მოინდომა, ვიდრე მათ უშენებიათ. თუმცა წინასწარ ვის შეუძლია იმის განსაზღვრა, უკეთესი იქნება თუ უარესი. ხომ შეიძლება ხელი მოეცაროს და ისე დამარცხდეს, რომ ველარასოდეს გაიმართოს წელში. სერაპიონი ფიქრებიდან არტანის ეპისკოპოსის ხმამ გამოარკვია.

— წმინდა და ნეტარო მამანო, — მიმართა მამა ევმენიმ სინოდის დანარჩენ წევრებს. — ჩვენ აქ დიდი გულის-

ყურითა და მოთმინებით მოეუსმინეთ მამა სერაპიონს, რომელსაც მონასტრის აშენება და მისი წინამძღვრობა ვანდეთ. იგი იმ დღიდან აღმოჩნდა რჩეულთა შორის, რა დღესაც ეს დიდი და საპატიო საქმე დაეკისრა, მაგრამ გაამართლა კი მან ჩვენი იმედები? სხვა რომ არაფერი მომზდარიყო, დასკვნის გამოსატანად ისიც საკმარისია, რაც აქ ითქვა და დადასტურდა. ღირსშესანიშნავი ჭერ არაფერი გაკეთებულა და მონებასა და ზურგებზე რომ არაფერი ვთქვათ, მონასტრის მშენებლობას უკვე შეეწირა ორი ღვაწლმოსილი ბერი, მამა მაკარი და მამა ილარიონი. მონასტერი ჭერ არ აშენებულა, ჭერ არ კურთხეულა და უკვე შეიბღალა და წაიბილწა იმით, მამათა მონასტრის ერთი კელიონი დიაცებს რომ დაეთმო და ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა ზღება ამჟამად იქ. ისეთი გუმბათის აშენება კი, რაზედაც აქ მამა სერაპიონი ლაპარაკობდა, ჩემის აზრით, ბავშვური ოცნების ნაყოფია და თუ შეგვარცხვენს, თორემ სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ამხელა წამოწყება წყალში ჩაგვეყრება. ასეთი გუმბათი ჭერ იმ ქვეყნებშიც კი არ შენდება, სადაც ეკლესიების მშენებლობა ჩვენზე ადრე დაიწყეს. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მონასტერში ან სულ არ სრულდება, ანდა ძალზე ნაკლებად ღვთისმსახურება. ეს კი არა მარტო მრევლის მიმართაა დიდი ცოდვა, არამედ ღვთის წინაშეც. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩია, რომ მამა სერაპიონი ხუროთმოძღვარი, მშენებელი უფროა, ვიდრე ბერი და ჩვენ დიდ ცოდვას ჩავიდნეთ, ასეთი კაცს თუ კვლავ ვანდობთ მონასტრის წინამძღვრობას.

ეპისკოპოსს ევმონის სიტყვას ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია სინოდის დანარჩენ წევრებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მაგრამ სერაპიონს მაინც მწარედ მოხვდა გულზე და არა იმიტომ, რომ შეურაცხვეს და დაამცირეს, დამცირებით იგი სხვა დროსაც დაუმცირებიათ, არამედ იმის გამო, რომ ყველაფერი უკულმა და უკუმარ-

თად იყო დანახული. დანახულად სწორედ იმას უთვლიდნენ, რაც მამა ევმონის მიმართ სიყვარულმა და მტყუალე გულმა ჩააღწინა. თუ ეპისკოპოსს ევმონს გულწრფელად სწამდა ის, რაც ითქვა, მაშინ სერაპიონს მიტევება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ თუ ღვარძლი ალაპარაკებდა, მაშინ იგი მისთვის არა მარტო სასულიერო პირი, ქრისტიანიც კი აღარ იყო. ყველაზე მეტად სერაპიონს მაინც ის ეწყინა, რომ გეგმას, რომელსაც ხორცის შესხმის მეტი არაფერი სჭირდებოდა, ბავშვური ოცნების ნაყოფი უწოდეს და არაფრად არ მიიჩნიეს ის უძილო ღამეები, თვეობით ტვინის ჰყლელა და ის ბრძოლა, რაც მან ამ გეგმის სინამდვილედ ქცევაში გადაიტანა. ახლა კი, როცა ტაძარი ხარაზობით იყო გარშემორტყმული, ან ისეთი უნდა აშენებულყო, როგორც გეგმა ითვლისწინებდა, ან საძირკვლიანად დაეგრიათ და ხელახლა დაეწყოთ მისი აგება. მას უამრავ ბრალდებებს უყენებდნენ და ტაძრის ბედი ახლა იმ აღამიანებზე იყო დამოკიდებული, რომელთაც გეგმის შედგენაში არც მონაწილეობა მიუღიათ და არც თვალთ უნახავთ. ნუთუ აქ ყველა ისე ფიქრობს, როგორც არტაანის ეპისკოპოსი ევმენი, ნუთუ მის წინააღმდეგ წინასწარ მოაწყეს შეთქმულება და ახლა გადაწყვეტილების გამოტანის მეტი აღარაფერი დარჩა, ნუთუ ზარზმის მონასტრის ტაძარი აღარ აშენდება, — ფიქრობდა სერაპიონი და შალის შავი ანაფორა შემბორკავი ეჩვენებოდა.

სერაპიონს ტაძრის მძიმე კარის ჭრიალი მოესმა, მაგრამ ვერ მიხვდა, ტაძრიდან გავიდა ვინმე თუ პირიქით, ტაძარში შემოვიდა. შეიძლება ეს ის ნიჟფორი იყო, მოჩვენებასავით რომ დაბორიალებდა ტაძარში. თუმცა ახლა ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაღაცის შეცვლა და წაღმა შემობრუნება მხოლოდ ციურ ძალას ან ციურ არსებას შეეძლო, მაგრამ მღვდელთმთავრები მასზე უფრო ახლოს იდგნენ ცასთან და სინოდის კრებაზე ასეთ რამეს არ დაუშვებდნენ.

ამიტომ არც თავის მართლება უცდია. სათქმელი მან უკვე თქვა, დანარჩენი კი იმაზე იყო დამოკიდებული, ვისაც მისი ბედის გადაწყვეტის უფლება ჰქონდა. კრება რომ უსასრულოდ არ გაქიანურებულიყო, სერაპიონმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მკლავები მკერდზე დაიკრია, თავი დახარა და იატაკს მხოლოდ მოთეთრო ძარღვები აჩნდა და ეს ძარღვები ქვის მჭიდრო, ნაცრისფერ ქსოვილს ხან რკალად ემჩნეოდა, ხან ტეხილ ხაზად, ხან ერთმანეთს შორდებოდნენ, ხანაც უახლოვდებოდნენ და ხაზთა ეს თავისებური, მაგრამ მაინც რალაციის გამოშატეული თამაში, მხოლოდ საკუთარ კანონსა და საკუთარ შესაბამისობას ემორჩილებოდა.

— უწმინდესო და უნეტარესო მამონო, — გაიხმა ამ დროს ტაძარში პარების მონასტრის წინამძღვრის, მიქაელის მკვეთრი ხმა და სანამ ლაპარაკს განაგრძობდა, ფეხზე წამოდგა, — ჩვენ აქ შეტისმეტად იოლად, დაუფიქრებლად ვწყვეტთ ისეთ საკითხებს, რომლებიც დიდ სიფრთხილესა და გონიერულ განსჯას მოითხოვენ. მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი მამა სერაპიონის ღვთისმოსაობაში, სისპეტავეში და კეთილსინდისიერებაში, მაგრამ ზოგიერთი სულიერი ძმისაგან განსხვავებით, დღეს იგი დიდ საქმეს უდგას სათავეში, მოქმედებს, იღვწის, მონასტრის აშენებს და ამ მძიმე ასპარეზზე უამრავ უკეთურებას, უგუნურ, უზნეო ადამიანებსა და დაბრკოლებებს აწყობდა, თითქმის ყოველდღე არჩევანის წინაშე დგას, რაღაც უნდა გადაწყვიტოს ან ისე, ან ასე და შეუძლებელია წინასწარ იცოდეს, რა შედეგს გამოიღებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება — სასურველს თუ არასასურველს. ასეთ შემთხვევებში მოკვდავი საკუთარი სინდისის, საკუთარი რწმენის მიხედვით მოქმედებს და თუ მაინც უშვებს შეცდომას, ეს იმიტომ, რომ ყოველდღე შეცდომელი მხოლოდ ღმერთია. ამიტომ ქვეშეშარიტი ქრისტიანი და მართლაც წა-

მებული ის კი არ არის, ვინც არ სცდებია, არამედ ის, ვინც ღვთის ნებას ასრულებს და მხოლოდ მოწყვასისათვის იღვწის. რომელი ჩვენგანი აარილებდა თავს იმ შეცდომებს, რომელთაც ახლა მამა სერაპიონს ვუკიყინებთ, რომელ ჩვენგანს გვიცხოვრია ამ ქვეყანაზე ისე, რომ მოსანანიებელი არაფერი გვქონია. ადამიანის ღვაწლზე, მისი საქმიანობის იმ შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ეკლესიისა და ქვეყნისათვის და არა იმის მიხედვით, შეძლო თუ არა საჭოკმანო ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მიღება. მამა სერაპიონს ჯერ ის უნდა დაეუფასოთ, რასაც მიაღწია, იმისათვის უნდა ვუთხრათ მადლობა, რაც ჩვენს თვალწინა და დასაბუთებას არ თხოულობს. ღვთისგან მიტოვებულ კუთხეში, უდაბურ ადგილას, მან უსახსროდ, ჩვენგან დაუხმარებლად ააშენა მონასტერი, დაუმეკიდრა მამული, მოუპოვა სახელი და პატივისცემა, ცრუმორწმუნენი აზიარა ქვეშეშარიტ რწმენას, გატყუებულნი სათნოებას და ახლა კაცს, ქვეშეშარიტ ქრისტიანს, რომელიც ყველაფერს გასცემს და არაფერს თხოულობს, ჩვენ აქ უსაფუძელო ბრალდებებს ვუყენებთ. ურწმუნოებაში ვადანაშაულებთ. მე აღრეც ამ აზრს ვადეკი და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ზარზმის მონასტრის აშენება, ისეთი ტაძრის აგება, რომლის საძირკველიც უკვე ჩაყრილია და აღარ ამოიყრება, მხოლოდ მამა სერაპიონს ხელეწიფება, ხოლო როცა ტაძარი დასრულდება და მონასტრის აკურთხებენ, ამ სიჭველეს მამა სერაპიონს ხალხიც დაუფასებს და ეკლესიაც. ჩვენ ერთ კაცს, იმ კაცს, რომელიც უამრავი სიძნელეების წინაშე დგას, შეცდომების დაშვებას ვუკიყინებთ, მაგრამ თუ რა ადვილია შეცდომის დაშვება და არა ერთი კაცის, არამედ მღვდელმთავართა დიდი კრებულის მიერაც კი, ამაზე ის მეტყველებს. რომ მამა სერაპიონი აქ მოვიწვიეთ და ყველაფერი ის მოვასმინინეთ, რაც მის ყურებს არ უნდა მოესმინა და მის მესიერებაში კვალი არ უნდა დაეტოვე-

ბინა. ამიტომ ახლა, თუ თქვენი ნებართვაც იქნება, ვთხოვთ მამა სერაპიონს დაგვეტოვოს და ჩვენს პასუხსა და გადაწყვეტილებას ხვალ მოვახსენებთ.

სერაპიონს შალის შავი ანაფორა კიდევ უფრო მძიმე და შემბორკავი მოეჩვენა, დაცხა, ოფლისაგან — სახე დაენამა. იგი არც იმისათვის იყო მზად, ეძიებინათ და არც იმისათვის; რომ ექოთ. ამიტომ დანამული ხელი დანამულ სახეზე ჩამოისვა და რატომღაც მოეშვა, მოღუნდა. მთელმა იმ კითხვა-პასუხმა, ურთიერთდაპირისპირებამ და ბოლოს მიქაელის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა მასა და მღვდელმთავრებს შორის ისეთი სიცარიელე შექმნა, რომ რამდენ ხანსაც არ უნდა მდგარიყო აქ, ამ სიცარიელეს მაინც ვერ ამოაქვებდა, ვერ შეცვლიდა, ვერ ამოძირკვავდა მესხიერებაში ჩაჭედოლ სიტყვებსა და ბგერებს. ამ სიცარიელეს კი დასაბამი იმ უნდობლობამ მისცა, თავიდან რომ გამოიჩინეს მის მიმართ. მას არ ესმოდა მღვდელმთავრების არც სახალხოდ გამოთქმული და არც ფარული აზრი, არ ესმოდა, რისთვის მოაწყეს ახელა კრება, რა ჰქონდათ გუნებაში და რას მოითხოვდნენ მისგან, რატომ იქცნენ გამოძიებლებად და მოსამართლეებად და ყოველივე ამან იმდენად დაახვიინა უკან, იმდენად დააშორა მღვდელმთავრებს, რომ მზე, ჰაერი და სივრცე მოენატრა. ამიტომ ერთი ოღო ჰქონდა, როდის გავიდოდა ტაძრიდან და როგორც კი ამის ნება დართეს, მაშინვე მდებლად დაუკრა თავი ყველას და ისე გაემართა კარებისაკენ, რომ უკან არც კი მოუხედავს.

მიქაელმა სერაპიონი მეორე დღეს იხმო. პარეზის მონასტრის წინამძღვარი ახლაც საღვთისმშობლის ელოდა და სახე ისეთივე სათნო და მოღიბარი ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა ღვთის სახელით მესხეთში მონასტრის აშენება დააკისრა. მაგრამ იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, სერაპიონმა ახლა იცოდა, რომ მასზე წინ მიქაელმა მისი ძმა, იოანე იხმო, დიდხანს ესაუბრა და სერაპიონს

ექვი არ ეპარებოდა, რომ მიქაელმა იოანე დაიყოლია, ეკისრა იმსახურებდა რულება, წინამძღვარს რომ წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს კი იმას ნიშნავდა, სანამ გიორგი მაწყვერელი ზარზმაში დედათა მონასტრზე და იოანეზე ჩამოუვდებდა ლაპარაკს, მიქაელთან უკვე ნასაუბრები და ნათათბირები იყო. სერაპიონს არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ მესხეთში მონასტრები მომრავლებულიყო, მაგრამ მხოლოდ ის არ მოსწონდა, ყველაფერი ეს რომ მის ზურგს უკან ხდებოდა. ეტყობა მას ჯერ კიდევ არ თვლიდნენ იმ კაცად, ვისაც საერთო საეკლესიო საქმეების წარმართვა შეუძლია და მხოლოდ იმითაა შეპყრობილი და შემოფარგლული, რასაც ქმნის და რის იქითაც არ იყურება. შეიძლება მასში მართლაც ბუღობდა ეს თვისება და იგი ვერასოდეს ვახდებოდა ეკლესიის ისეთი მამა, რომ საერთო საეკლესიო საქმეები განეგო.

— მამო სერაპიონ, — დაიწყო მიქაელმა ისე, თითქოს გუშინდელი კრება პირადად მისი მოწყობილი ყოფილიყო, — ახლა მობოდიშება გვიანაა, მაგრამ მაინც მინდა გითხრა, ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი გაუგებრობაც ხდება, როგორიც გუშინ მოხდა და ამგვარი რამ გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. ბოლოს გაუგებრობას და უსამართლობას მაინც გონიერებამ და სამართლიანობამ სძლია და საერთო გადაწყვეტილებით ისევ ზარზმაში უნდა დაბრუნდე, საქმეს მიხედო და მონასტრის მშენებლობა ბოლომდე მიიყვანო. მე თუ მანამდე ვიცოცხლე და ფეხზე დგომა შეეძელი, უთუოდ დავესწრები მონასტრის კურთხევას და ვიხილავ ტაძრის უკვე სალაპარაკოდ ქცეულ მალაყელიან გუმბათს.

— ღმერთმა მზეგარძელობა ნუ მოგაკლოთ, უნეტარესო, — უპასუხა სერაპიონმა და მრავალი წლის შემდეგ კვლავ იგარძნო ის სიმტკიცე, მიქაელი რომ სანდომიანი ღმირის უკან მალავდა.

— მამო სერაპიონ, რამდენადაც მე

ვიცი, ეპისკოპოსი გიორგი მაწყვერელი უკვე გელაპარაკა სამცხეში დედათა მონასტრის აშენების შესახებ. როგორ ფიქრობ, საჭიროა სამცხეში დედათა მონასტრის აშენება?

— დედათა მონასტრის აშენება საშური საქმეა, უნეტარესო.

— გიორგი, ცხადია, იმასაც გეტყვოდა, რომ ამ დიდ საქმეს შენს უმრწემეს ძმაზე, მამა იოანეზე უკეთ ვერავინ აღასრულებს.

— მითხრა.

— მერე?

სერაპიონმა იცოდა, საქმე რომ უკვე გადაწყვეტილი იყო, იოანეს რომ მანამდე დაადებინეს პირობა და ჩამოართვეს სიტყვა, სანამ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ და ახლა იმაზე ჩივილი, რომ უიოანოდ გაუჭირდება, რომ ძმა და სადღაც უცხო მხარეში გადასაგდებად, დასაქარგავად არ ემეტება, რომ აქამდე არ მიეცა საშუალება უმცროსი ძმისათვის ძმობა და სიყვარული ეგრძნობინებინა, თუ თვალთმაქცობა არა, წყლის ნაყვა მაინც იქნებოდა. მის ზურგს უკან მომხდარი ამბავი სავარაუდო რამე არ იყო, არამედ გადაწყვეტილი საქმე, სინამდვილე და ამიტომ უნდა შეჩვეოდა იმ აზრს, რომ ზარზმამში მარტოს მოუხლებოდა დაბრუნება.

— არ მინდოდა იოანეს გვერდიდან მოშორება, უნეტარესო, მაგრამ ახლა, როცა ეს საქმე გადაწყვეტილია, ჩემი დაყენება იოანეს შეურაცხყოფა იქნება და მეტი არაფერი, — უპასუხა სერაპიონმა.

მიქაელს გაელიმა.

— ყოველთვის მიხვედრილი, გონიერი კაცი იყავი, შვილო ჩემო, და მაღლობა ღმერთს, ეს თვისება რომ არ დაკარგე. ცხადია, გაჭირვების უამს ძმის გვერდიდან მოშორება ადვილი არაა, მაგრამ ჩვენი საერთო საქმისათვის ასე აჯობებს.

— გეთანხმებით, უნეტარესო, მხოლოდ ერთს ვთხოვთ, ორი ბერი მაინც გააყოლოთ იოანეს თან, პირველ ხანებში მარტოს გაუჭირდება.

— ამას რა თხოვნა უნდა, მამაო სე-

რაპიონ, ბერებსაც გაეყოლებ და ცოტაოდენ ვერცხლსაც გავატანე, ამდენს მაინც, საქმის დასაწყებად რომ ენომა გარდა ამისა, მას არც გიორგი მაწყვერელი დატოვებს უყურადღებოდ. ის კი არადა, შეიძლება იოანეს მეტი ვიმე და მხარდამჭერი აღმოუჩნდეს, ვიდრე შენ აღმოგაჩნდა, შვილო ჩემო. დრო იცვლება, ის, რის აღსრულებაც ამ ოციოდე წლის წინათ თითქმის შეუძლებელი იყო, დღეს გადადებამ აღარ ითმენს. და რადგან ჯერჯერობით ცოცხლები ვართ, უნდა ვიმოქმედოთ კიდევ. ხომ გაგიგონია: „სარწმუნოება უმოქმედოდ მკვდარ არს“.

— გაგიგონია, უნეტარესო, მაგრამ მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ის, რასაც ვქმნით, უმჯობესდება, ვითარდება.

— მართალია, შვილო ჩემო, მაგრამ განვითარება სწორხაზოვნად, შეუფერხებლად, ბრძოლისა და მსხვერპლის გარეშე არ ხდება. ადამიანებს უჭირთ იმის დათმობა, რაც უკვე შეუქმნიათ და იმის დაჯერება, რომ მომავალში რაიმე უკეთესს შექმნიან.

— ალბათ ამიტომაც კირს ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრა ხალხშიც და ცალკეულ ადამიანებშიც.

— ეს იმიტომ, შვილო ჩემო, რომ ცრუმორწმუნეობა უფრო ადვილი სატარებელია, ვიდრე რწმენა. რწმენა თავისუფლებაა, ცრუმორწმუნეობა კი სიბრძნეა და სიბეჩავე, და ამას არაფერი ეშველება, ასე იქნება ყოველთვის.

— ამიტომ არც ტვირთის შემსუბუქების იმედი უნდა გვქონდეს, უნეტარესო, არა?

— ვისაც ამის იმედი აქვს, ის ვერც ვერაფერს დაუდებს გულს და ვერც ვერაფერს ააშენებს. ტვირთი ის ძალაა, სულს რომ აწვება და უქმად არ გვაყენებს.

— მართლაც არ გვაყენებს, უნეტარესო, და ამიტომ ჩვენ აქ უქმად ყოფნას ისევ ის სჯობია, რომ გზას გავუდგეთ და საქმეს მივხედოთ. ვინ იცის, რა ხდება ზარზმამში.

— ჩემი თხოვნაა, მამაო სერაპიონ,

ის აღგილი, სადაც დედათა მონასტერი უნდა აშენდეს, შენც მოიხილო. აქედან გიორგი მაწყვერელსა და მამა იოანეს გაყევი, ზანავიდან ზარზმამდე კი არც ისე დიდი მანძილია.

— იოანე ზანავში დარჩება, უნეტარესო?

— ყველის ხეობაში, შეილო ჩემო, იოანეს ზარზმაში დაბრუნებას აზრი არა აქვს. ჯობია კაცი ერთბაშად მოწყვეტო შეჩვეულ გარემოს, ვიდრე აქეთ-იქით წანწალით გააწამო.

სერაპიონი მიხვდა იოანეს ზარზმაში ჩაშვება რომ არ უნდოდათ, ამიტომაც გზავნიდნენ პირდაპირ ზანავში და ამის მიზეზი მხოლოდ ის ხმები შეიძლებოდა ყოფილიყო, იოანესა და ესნა ცივნარისძის შესახებ რომ გაავრცელეს. ამ ხმების გავრცელებაში სერაპიონი თავის თავს უფრო აღანაშაულებდა, ვიდრე იოანეს. ჯერ ერთი, ესნა მან მოყვანა მონასტერში, მეორეც, ავად რომ არ გამხდარიყო, ესნას მონასტრის ეზოში ამორბენას იმთავითვე მოუღებდა ბოლოს. იოანე არ იყო ის კაცი, ჭალი რომ უხეშად მოეცილებინა თავიდან, უზრდელად შეეწყვეტინებინა ლაპარაკი, გაქცეოდა ან დამალვოდა. ის კი, რაზეც იგი მტკიცედ იდგა, გარედან არ ჩანდა. გარედან მხოლოდ ის ჩანდა, რომ მორცხვად ხრიდა თავს და წითლდებოდა. ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სეირის მოყვარულთა და ლაზნადარებისათვის, რომ უხამსი ხმები გაეგრცელებინათ. ასეთი რამის არდანახვა უცხო თვალმა არ იცის. იმ ხმებმა კი აქ, ზნეობის მოდარაჯეთა საკრებულოში, კიდევ უფრო საეჭვო და გაზვიადებული ხასიათი მიიღო. დამამშვიდებელი მხოლოდ ის ჩანდა, — და ეს მიქაელს სახეზეც ეწერა, — რომ პარენის მონასტრის წინამძღვარს იოანესათვის არაფერი უკითხავს, არაფერი უგრძობობინებია, ამჯობინა ტბილი სიტყვით მოეგო მისი გული, დაეჭრებინა იმაში, რომ იგი მას ღვთის ნების აღსასრულებლად გზავნიდა ზანავში. მიქაელმა იცოდა, სად რა ეთქვა, ვისთან როგორ მოქცეულიყო და სერაპი-

ონს ცოტათი შეშურდა კიდევ მისი ეს თვისება. იგი ვერასოდეს ვერ ახერხებდა ყოფილიყო იმდენად თავდაპირველი და მოქნილი, როგორც ამას გარემოება ან საქმე მოითხოვდა. ეს გრძობა რომ კიდევ უფრო არ გაღრმავებულიყო, სერაპიონი ფეხზე წამოდგა, მიქაელს, რომელმაც პირჯვარი გარდასახა, ხელზე ეამბორა და ისე გამოემშვიდობა, როგორც აღმზრდელ მამას. მიქაელს თუ რაღაცაში ეჭვი ეპარებოდა, ეს მისი ადამიანური ბუნების ბრალი უფრო იყო, ვიდრე შინაგანი მოთხოვნილება.

სანამ ტაძრიდან გავიდოდა, სერაპიონი ისევ შეეფეთა ნიჟორს, რომელიც საკურთხევლისაკენ მილასლასებდა. გარეთ მზიანი დარი იდგა, ცა ისეთი მაღალი იყო, რომ მის ქვეშ ყველაფერი — მთები, ბორცვები, შენობები, ხეები და ბუჩქები უფრო დაბალი ჩანდა, ვიდრე დილით, როცა მიწის პირი მსუბუქი ბურუსისაგან თავისუფლდებოდა. მონასტრის თავზე ორბი დანავარდობდა. სამთლიანი ჭიშკარი ღია იყო. ჯორზე ამხედრებული რომელიღაც მღვდელთმთავარი, რომელსაც რამდენიმე ხუცესი ახლდა თან, საკუთარ მონასტერში თუ ეპარქიაში ბრუნდებოდა. სერაპიონმა იგი ზურგიდან ვერ იცნო, მაგრამ რომ ეცნო კიდევ, მისი ყურადღება მასზე მაინც არ შეჩერდებოდა, რადგან სამყარო, გარს რომ ერტყა, იმდენად მიწიერი და ცდუნებით სავსე ჩანდა, რომ საკუთარი თავიდან გასვლა სახიფათო ეჩვენებოდა.

ის დღე მზადებაში გაატარეს. ხუთ კაცს ამხელა გზაზე ბევრი რამ სჭირდებოდა, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ახალი მონასტრის მშენებლობა უნდა წამოეწყოთ და ამის გათვალისწინება მხოლოდ სერაპიონსა და იოანეს შეეძლო, რადგან ეს გზა ერთხელ უკვე გავლილი ჰქონდათ. თავიანთი ჩრდილი მათ ყველგან თან დაჰყვებოდა და იხრებოდნენ თუ იმართებოდნენ, წინ იყურებოდნენ თუ უკან, აქ გატარებულ წლებს იგონებდნენ თუ იმის წარმოდგენას ცდილობდნენ. რაც ჯერ არ

არსებობდა და აწი უნდა შობილიყო, დროს თავიანთ წილ წუთებს მაინც სტაცებდნენ და როცა შესაღამოვდა, როცა ჩრდილები ჩამოცილდნენ და ერთ დიდ ჩრდილში გაითქვიფნენ, ბარგი მათ უკვე შეკრული ჰქონდათ და მზის ჩასვლას ისე უყურებდნენ, როგორც სულის წუთიერ ამღვრევას და ყოველივე იმის გამოძახილს, რაც იმ დღეს იწვნიეს და დაიმახსოვრეს. მათ გვერდით იდგა ის ორი ბერიც, დაუზარებლად რომ ეხმარებოდნენ და ზვალ დილით მათთან ერთად გაუდგებოდნენ გზას ზანავისაკენ. ერთს დომენტი ერქვა, მეორეს ონოფრე, ორივე ახალგაზრდა იყო, იოანეზე უმცროსი, თორემ უფროსი არაფრით არ იქნებოდნენ და ეს ახალგაზრდული ჯანი და ღონე მათ იმავე სამსხვერპლოზე მიჰქონდათ, რომელზედაც სერაპიონმა და იოანემ მოიტანეს. ამას დღის სინათლის ნამუსრევიც ადასტურებდა და ზმანებებით დამძიმებული, პირქუში ღამის ყოვლისმომცველი მღუმარებაც, რომელსაც სამყარო მანამდე ეყოლებოდა დატყვევებული, სანამ ცის კილურს კვლავ ნათელი არ მოეფინებოდა და მათ საწოლებიდან არ წამოყრია.

მონასტრიდან უთენია გავიდნენ. მათი გზა ერთი მონასტრიდან მეორემდე მიდიოდა. ამ გზას თავის წარსული, აწმყო და მომავალი ჰქონდა და ამიტომ ფიქრებს უფრო მიჰყვებოდნენ, ვიდრე მდინარის პირს ან ბილიკს. სერაპიონმა ბევრი იუარა, მაგრამ ჯორი მაინც მოართვეს, მაინც შესვეს ამ თვინიერ პირუტყვზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალგაზრდები მას უკვე ახალგაზრდად არ თვლიდნენ. ჯორზე იჭდა გიორგი მაწყურელიც, იოანე, დომენტი და ონოფრე კი ფეხით მოჰყვებოდნენ უკან და თან ორი დატვირთული ჯორი მოჰყავდათ, როცა თავზე ზაფხულის მცხუნეარე მზე წამოადგათ, ისინი უკვე ტყის პირამდე იყვნენ მოსულნი. აქედან ტყე-ტყე უნდა ევლოთ, მდინარემდე მიიღწიათ და შემდეგ მდინარეს სამცხის საზღვრებამდე აჰყოლოდნენ. აქ დაიხურებოდა ის კარი, საიდანაც

გამოვიდნენ, მაგრამ ერთი კარის ნაცვლად ორი უნდა გაღებულყოფილი და კლარჯეთიდან წამოღებულმა მკვლევარმა მგებლობა ამ ხუთ კაცს თან მიჰქონდათ სამცხეში, სადაც არ დაბადებულან, მაგრამ უნდა დამარხულიყვნენ, სადაც იმ ჯაჭვის ერთი ბოლო უნდა მიეტანათ, რომელიც გამოატანეს და რომლის გაწყვეტა მიუტევებელი ცოდვა, უსულგულობა და ღმერთთან და აღამიანთან კავშირის გაწყვეტა იქნებოდა. ისინი ერთმანეთს კი არ თანაუგრძნობდნენ, არამედ ერთ ჭაბანს ეწეოდნენ, ესმოდათ ერთმანეთის და ამიტომ ისე მიჰყვებოდნენ გზას. როგორც ჯარისკაცები, რომელთაც იციან, რომ ქვეყანა საფრთხეშია და მათგან დაცვა და მოვლა-პატრონობას მოითხოვს. ასე ერთსულოვნად, ასე ჯარისკაცებივით იარეს მთელი კვირა, გიორგი მაწყურელმა ისინი მოკლე გზებითაც კი ატარა და ბოლოს მიადგნენ იმ ხეობას, სადაც დედათა მონასტერი უნდა აშენებულიყო.

მთელი კვირა ჯორზე ყანყალმა და ტყე-ტყე სიარულმა სერაპიონი ისე დაღალა, რომ როცა ჯორიდან ჩამოხტა, ფეხები ეკეცებოდა, უფრო მეტად ჰქონდა დაბუყებული, ვიდრე ეს მუხლმოკვეცილად ლოცვის დროს იცის. მთის ფერდობი ტყით იყო დაფარული, მთის წინ დიდი, სამცხეში ყველასათვის ცნობილი დაბა ზანავი გართხმულიყო, ზანავში ძირითადად ხის მდაბიური დარბაზები იდგა, მაგრამ დაბის მოედანზე ქვის ორი მოზრდილი სახლი მოჩანდა და ქვით ნაგები უგუმბათო ბაზილიკაც. ზანავს შუაში პატარა, მაგრამ ჩქარი მდინარე ჩაუდიოდა და ამ მდინარეზე რამდენიმე ხის ხიდი იყო გადებული. წყალდიდობის ვამს მდინარეს ალბათ ეს ხიდები თან მიჰქონდა, მაგრამ ეტყობა ზანავის მკვიდრთ ასეთი ხიდების აგება უფრო ენერგებოდათ, ვიდრე აგურის თალოვანი ხიდებისა. მოპირდაპირე მთის ფერდობზე, რომელიც გაეჩეხათ და ახლა მწვანე ბალახი ბიძინებდა, საქონელი შეფენილიყო. მოშორებით ცხვრის ფარა ძოვდა ბა-

ლახს. აქედან ცხვრები თეთრ მატლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ოთხფეხა ცხოველებს. ხეობიდან გრილი ნიაფი უბერავდა. ჰაერი ისე მსუბუქი და სუფთა იყო, რომ მკვდარს გააცოცხლებდა. იქვე კლდიდან წყაროს წყალი გადმოსჩქვდა, აქაფებული მიექანებოდა დაღმართში. სერაპიონმა კინალამ ინანა, გიორგი ჩორჩანელს რომ არ დაუჯერა და აქ არ ააშენა მონასტერი, მაგრამ მანუგეშებელი ის იყო, რომ ეს ადგილი მონასტრის აშენების მაინც ვერ ასცდა და იოანე თავს არ შეირცხვენდა, ერთ-ერთ სანიმუშო მონასტერს ააშენებდა ამ სამოთხისებრ კუთხეში. სამცხე იცვლებოდა, ნათლებოდა, მონასტრებითა და ტაძრებით მდიდრდებოდა და საქართველოს ეკლესიის განმტკიცებასა და დაქსაქსული კუთხეების გაერთიანებაში მასაც მიუძღოდა მცირეოდენი წვლილი.

— მამაო სერაპიონ, როგორ მოგწონთ აქაურობა? — ჰკითხა სერაპიონს გიორგი მაწყვერელმა, რომელიც გვერდით ამოდგომოდა, ხეობას გადაჰყურებდა და ალბათ ისიც რაღაც იმდაგვარზე ფიქრობდა, რაზედაც სერაპიონი.

— დიდებული ადგილია, მღვდელთმოდღეარო.

— ამ ადგილს მას შემდეგ დავადგი თვალი, რაც აწყურის ეპისკოპოსად მაკურთხეს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი სურვილი ნეტარ მიქაელსაც გავანდე და თქვენც. არა მგონია, ახლაც ისევე გეთანაღრებოდეს გული, როგორც ზარხმაში, როცა გითხარით, ამ საქმეს მამა იოანეზე უკეთ ვერავინ უწინამძღვრებს მეთქი.

— საქვეყნო საქმისათვის რომ ბევრს შესტკიოდეს გული, მღვდელთმოდღეარო, იოანეს ასე ადვილად არ დაგიტმობდით, მაგრამ უმეტესობას გახედვაც არ უნდა იმისაკენ, რაც პირადად მას არ ეხება და ამიტომ იოანე იქ უნდა იღწვოდეს, სადაც უფრო საჭიროა.

— იოანეს დიდხანს დატოვება თქვენნი კალთის ქვეშ, მამაო სერაპიონ, დანაშაული იქნებოდა. იგი იმისთვისაა მოწოდებული, რომ იმოღვაწეოს და საკუ-

თარი კვალი დატოვოს ქვეყანაზე. უკეთესს სამოღვაწეო ასპარეზს კი, ვიდრე მონასტრის აშენებაა, კაცი იმყოფება იპოვის.

— მამული თუ ექნება დედათა მონასტერს, მღვდელთმოდღეარო?

— მთელი ეს მთა მონასტრის მამული იქნება.

— მოგიზომათ ვინმემ?

— ეს ხეობა მთავრის დის, ლატარის მამულია და ჩვენ ამაზე უკვე შეთანხმდით.

— იოანეს და მის თანმხლებ ბერებს ამ ტყეში დააგდებთ, მღვდელთმოდღეარო?

— არა, მამაო სერაპიონ, ზანავში საკმაოდ დიდი ეკლესიაა, იქვეა პატარა საფინოც, სანამ აქ საცხოვრებელს მოიწყობდნენ, იოანეს, დომენტის და ონოფრეს იქ შეუძლიათ ღამის გათევა.

ტყე, მათ ფეხებთან რომ იწყებოდა, მზის სხივებს მოშრიალე ფოთლებით ირეკლავდა და საკუთარ ჩრდილს თითქმის ხელუხლებლად ინახავდა, მათ აქ ყოფნას არ იმჩნევდა, არ წუხდა იმის გამო, რომ რამდენიმე წელიწადში თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გაიჩეხებოდა და მის წიაღში აშენდებოდა მონასტერი თავის დამხმარე ნაგებობებით, წამომართებოდა მაღალგუმბათიანი ტაძარი, რომელიც მთელ ამ ხეობაზე იბატონებდა და მისი ზარების გუგუნნი მთებსაც კი გადალახავდა. ამ მთისა და ტყის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მალე აქ ოფლი და სისხლი დაიღვრებოდა, გაითხრებოდა საძირკვლები, დაიტკეპნებოდა და მოიკირწყლებოდა გზები, გადიხნებოდა და გადაიბარებოდა ბალ-ბოსტნებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები, თავიანთ ცოდვებს აქ ამოიტანდნენ ისინი, ვისაც ბედმა უმუხთლა, ვინც ვაჭრილდა და გაუბედურდა, ვინც უპატრონოდ და უსახსროდ დარჩა, ვინც იგრძნო ამ ცხოვრების ამოება და აღამიანებთან სიახლოვეს მონაზვნად აღკვეცა და ძაღების ჩაცმა ამჯობინა. მიწიერ ცხოვრებას მოწყვეტილი სამუდამოდ დასახლდებოდნენ აქ და ლოცვითა და ვე-

დრებით, კენესითა და ოხვრით შეუღებოდნენ გზის ძიებას იმისაკენ, ვინც ეს მთა და ტყე შექმნა, გააცოცხლა, აამეტყველა, ვისაც ყველასი და ყველაფრის ესმის და იცის, რა ძნელია თავის დაღწევა სატანჯველისაგან. ასეთია ფასი იმისა, რაც ადამიანისათვის ყოველთვის დაფარულია, რაზედაც პასუხი არ არსებობს, რაც განუზომელი, არათანაფარდი, არათანაზომადია და ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არც ტაძრებისა და მონასტრების აშენება იქნებოდა აუცილებელი და არც სიწმინდე მონატრებოდა ადამიანს ისე, როგორც ენატრება.

სერაპიონმა გიორგი მიწყვერელს შეხედა, ეგონა შეეცვლებოდა ის გამომეტყველება, ორიოდ წუთის წინ რომ ჰქონდა, მაგრამ როცა დააწმუნდა, ეპისკოპოსის გამომეტყველებას არც შემატებოდა რამე და არც მოკლებოდა, თავი მიაბრუნა და შორიანლო გაჩერებულ იოანეს, დომენტისა და ონოფრეს შეავლო თვალი. ნათელმა დღემ, ფერთა სიუხვემ და ხეობის სილამაზემ მათ დაღლილობა გადააფიქვა, მზერა დაუამა და ამიტომ წარმოადგენა არ ჰქონდათ, რამ სიგრძე იქნებოდა დღე, აქ ამოსვლის შემდეგ რომ დაიწყო, რამდენ ჯაფას, ჭირთათმენას, ჭოჭმანსა და მძიმე არჩევანის წინ დგომას მოითხოვდა მათგან. ის, რასაც ისინი უყურებდნენ, მისატყუარი იყო და არა სინამდვილე. სინამდვილე თვალით დაუნახავი, მოუხელთებელი, რალაც ისეთია, რისგანაც არასოდეს არაფერი გრჩება ხელში, ხშირად იმის შეგრძნებაც კი არა, რომ მართლა არსებობს და თუ ამაში შენ თვითონ არ დააწმუნე საკუთარი თავი, სხვა ვერაფერს დაგარწმუნებს: ამიტომ ერთი წუთითაც არ უნდა მოწყდე, არ უნდა დაშორდე გამჩენს და მის საუფლოში, მისი კალთის ქვეშ უნდა ეძებო იმ, რასაც თვალით ვერ დაინახავ და გონებით ვერ მიწყებდი.

სერაპიონმა ჩოხის კალთები გაიწვორა, წელზე შემოკრული თოკი შემოიჭირა და წასასვლელად მოემზადა.

ვალი მოხდილი ჰქონდა, მიქაელს თხოვნა შეუსრულა, აქაურობა მიაჩინა და მიუხედავად იმისა, რომ იოანეს აქ ტოვებდა და ზარზმაში მარტო ბრუნდებოდა, მეტი დაყოვნება მინც აღარ შეიძლებოდა. მათი გზები გაიყარა და ახლა ის ჰაპანი, ერთად რომ ეწეოდნენ, მარტო მას დააწვა მხრებზე. იგი ამ ტვირთიანად შემობრუნდა, ჯერ ეპისკოპოსს გამოეთხოვა, შემდეგ დომენტისა და ონოფრეს და ბოლოს იოანეს წინ შეჩერდა.

— მშვიდობით, ძმაო, გამიჭირდება უშენობა, მაგრამ ღმერთმა ასე ინება და ჩვენ მის ნებას ვერ გადავალო.

იოანემ თავი ჩაქინდრა, მზერა დაებინდა.

— მშვიდობით, ძმაო სერაპიონ, მომიკითხე ყველა, ვინც გულით შევიყვარე, მე კი აქ თქვენთვის და მათთვის ვილოცებ.

სერაპიონი ერთი წამით შეყოვნდა, უნდოდა მოხვეოდა ძმას, ეგრძნო მისი ხორციელი არსებობა, მაგრამ შერცხვა, სწრაფად გაბრუნდა და ჯორი აღვირით გაიყოლია უკან. იგი რომ ზარზმაში გვარიანად შეცვლილი და უფრო დაბერებული ბრუნდებოდა, ეს მხოლოდ მაშინ იგრძნო, როცა დაღმართი ჩაათავა.

როდესაც სერაპიონი ზარზმის მონასტერს მიადგა, შუალამე უკვე გადასული იყო. მონასტერს ეძინა. ეზოში უზარმაზარი ჩრდილები თვლემდნენ. დაცარიელებული ხარაჩოები ჩონჩხის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სავსე მთვარე რომ არა, უხიფათოდ იგი ზარზმამდე ვერ მოაღწევდა. ფეხები გახევებული ჰქონდა. სხეული ქეასავით მძიმე ეჩვენებოდა, იმდენად დაღლილი იყო, რომ ტკივილსაც კი ვერ გრძნობდა. არა და ყველაფერი სტიკოდა — კუნთები, კიდურები, გულ-ღვიძლი. დაცარიელებულ თავში ერთი ცოცხალი აზრი არ ჰქაუნებდა. ჯორიდან რომ ჩამოვარდნილიყო, წამოდგომას ვეღარ შესძლებდა, თვალი რომ დაეხუჭა — ვეღარ გაახელდა. მონასტრის ეზო უსაშვე-

ლოდ დიდი მოეჩვენა, ჯორიდან მხოლოდ მაშინ ჩამობოძლდა, როცა კელიონამდე მიიღწია და სენაკამდე უფრო მიბოძლდა, ვიდრე მივიდა. სენაკაში ვიწრო სარკმლიდან მთვარის შუქი იჭრებოდა. ამიტომ სანთლის ანთება აღარ დასჭირვებია. მუხლებზე დაცემულს მხოლოდ ერთი ბუნდოვანი სურვილი აწვალებდა, ისე არ დაწოლილიყო, რომ ლოცვა არ წარმოეთქვა, მაგრამ აღარც ლოცვა გამოუვიდა და გაუხდელად მიეგდო საწოლზე. საკანში ცხელოდა, გარეთ ღამის თევას მიჩვეულს ცოტათი ეუცხოვა კიდევ საწოლის სირბილე. ეგონა მკვდარივით დაეძინებოდა, მაგრამ იმ ღამეს ათასი მოჩვენება ესტუმრა, ათასი რამ ჭიჭვნიდა და ქენჭნიდა და როცა გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ღრმა, ბნელი ჭურღმულიდან ამობობლდა. გული მძაფრად უცემდა, თვალები ეწვოდა, წამოდგომა უჭირდა, ერთხანს გაუნძრევლად იწვა, საკუთარი სხეულის ფეთქვას უგდებდა ყურს, შემდეგ კი თავს ძალა დაატანა, საწოლიდან წამოდგა და სარკმელთან მივიდა. ცა მოწმენდილი იყო, დილა ნათელი და ხალისიანი ჩანდა, მაგრამ მისთვის მაინც მძიმე და თალხი აღმოჩნდა.

როცა სატრაპეზომდე მიადგინა, დილის წირვა უკვე დამთავრებული იყო, ბერებს პურობაც მოემთავრებინათ და დაშლილიყვნენ, თავთავიანთ საქმეს შესდგომოდნენ. სატრაპეზოში დახვდა მხოლოდ მამა ეპიფანე, რომელიც მისი აქ არ ყოფნის დროს მონასტრის წინამძღვრობდა და არა მარტო ღვთისმსახურებას ეწეოდა, არამედ ყველა მის მოვალეობასაც ასრულებდა. ეპიფანე ძალღონით სავსე, დინჯი, ჰქუადამჭდარი კაცი იყო, უყვარდა ყაირათიანობა და წესრიგი, მონასტრის შინაგანაწესს თვითონაც ზედმიწევნით იცავდა და სხვებისაგანაც ამასვე მოითხოვდა. ერთი კარგი თვისება კიდევ ის ჰქონდა, რომ სულიერ ძმებს ერთმანეთისაგან არ არჩევდა, დაუმსახურებლად უპირატესობას არავის ანიჭებდა და თუ რამეში ცდებოდა, არა იმიტომ, რომ უსა-

მართლო და უგულსყურო იყო, არამედ ყოველდღიურ მოვლენებში ერთგულად ვერ უღებდა ალლოს და მომჩვენებინებდა ნამდვილისაგან განსხვავება უჭირდა. მის გონებაში მხოლოდ ის იდგამდა ფესვს ღრმად, რაც ცხადი და სარწმუნო იყო, ხოლო თუ რამე ეპქეს იწვევდა, ამ ეპქეს მანამდე უტრიალებდა ირგვლივ, სანამ კიდევ უფრო საეჭვოსა და ბუნდოვანს არ გახდიდა. სერაპიონს მხოლოდ ის არ მოსწონდა მისი, რომ კანონებს უფრო მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე ადამიანებს და როგორც სულიერ ძმებთან, ასევე მშენებლებთანაც საქმიანი ურთიერთობა უფრო ჰქონდა, ვიდრე ადამიანური. ერთი სიტყვით, თანაღმობა უფრო აკლდა, ვიდრე გულმოდგინეობა, რისთვისაც შეიძლება პატივს სცემდნენ, მაგრამ არ უყვარდათ. იგი არ იყო იმ გაქანების კაცი, დიდ საქმეს რომ დამოუყიდებლად გაძლოოდა.

სუფრა ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო ალაგებული, გრძელ მაგიდაზე აქა-იქ თიხის ჭამები და თასები, ხის კოვზები და საპურეები ეწყო, სკამები უწესრიგოდ ელაგა, შორეულ კუთხეში ხატებთან სანთლები ენთო. მისი აქ არყოფნის დროს თითქოს სატრაპეზოშიც კი შეცვლილიყო რაღაც, მაგრამ ახლა სერაპიონს არ ჰქონდა იმის თავი, რომ ყველაფერს დაკვირებოდა და ამ ცვლილებებისათვის მიეგნო. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სატრაპეზოში ორი მეტრაპეზე შემოვიდა და სუფრის ალაგება განაგრძეს.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით დაბრუნდით, მამაო სერაპიონ, როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა მამა ეპიფანემ და მხედველობიდან არ გამოპარვია, სერაპიონი რომ დაღლილი და გაწამებული იყო, — დაბრძანდით, ნამგზავრი ბრძანდებით და იქნებ ცოტა წაიხუმსოთ?

— თუ რამე გადაგრჩათ, უარს არ ვიტყვი, — უპასუხა სერაპიონმა და მაგიდის ბოლოს ჩამოჭდა.

მამა ეპიფანე მეტრაპეზებს მიუახლოვდა, რაღაც უთხრა, შემდეგ ხატებ-

თან მივიდა, სანთლები ჩააქრო და როცა წინამძღვრის პირისპირ ჩამოჯდა, სერაპიონს გულმა უგრძნო, რომ მამა ეპიტანემ რალაც იცოდა ისეთი, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა და მარტო მას კი არ ეხებოდა, არამედ მთელ მონასტერს.

— ჩემი აქ არ ყოფნის მანძილზე მონასტერში საგანგებო ხომ არაფერი მომხდარა, მამაო ეპიტანე? — ჰკითხა სერაპიონმა და საკუთარი ხმა თვითონვე არ მოეწონა.

— საგანგებო არაფერი, მამაო სერაპიონ.

— ტაძრის მშენებლობა ხომ არ დაუბრკოლებია რამეს?

— არა, მხოლოდ ერთი კირითხურო დაშავდა და ახლა წევს, ფეხზე არტახები აქვს დადებული.

— ფეხი მოიტეხა?

— თავის სისულელით, მამაო სერაპიონ.

მორჩილმა ხონჩით პური, ყველი, მხალი და ღვინო შემოიტანა სატრაპეზოში, სერაპიონს წინ დაუდგა და უხმოდ გაბრუნდა. პური ახალგამომცხვარი, სურნელოვანი იყო, ღვინო კი გამჭვირვალე და კამკამა. ღვინის დაყენება მესხებმა უკეთ იცოდნენ, ვიდრე კლარჯებმა. რაც ზანავიდან წამოვიდა, სერაპიონს პირში არაფერი ჩაუღვია და პურის სუნმა გააღიზიანა. ამიტომ სახელოები აიკაპიწა, ლოცვა წარმოთქვა და პური გატეხა. იგი ისევე უბრუნდებოდა იმ გარემოს, უმისოდ რომ რალაცას კარგავდა და იცვლებოდა, იმ ცხოვრებას, მთლიანად რომ ითრევდა და არა მარტო ცოდვებსა და მწუხარებას ავიწყებდა, არამედ საკუთარ თავსაც.

— რალაცის თქმა გინდათ, მამაო ეპიტანე, და თავს იკავებთ, შითხარით რა მოხდა? — უთხრა სერაპიონმა და ცოტათი რომ გაბალისებულიყო და მადანზე მოსულიყო, ღვინო დაისხა და დალია.

— ერთი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, მამაო სერაპიონ.

— რა უბედურება?

— სამცხის მთავარი, გიორგი ჩორჩანელი გარდაიცვალა, ღმერთმა მისი სული გაანათლოს და სასუფეველში დაუშვქვიდროს.

სერაპიონს ლუქმა ხელიდან გაუვარდა და ინანა, ღვინო რომ დალია. გიორგი მისთვის მარტო მთავარი კი არ იყო, არამედ თანამდგომი და თანამოზიარე. მის სიკვდილზე უფრო შეიძლება ის სწყენოდა, რომ ეთქვათ, მონასტერი დაინგრაო. მონასტერი არ დაინგრეულა, მაგრამ წაიქცა კაცი, ვინც მას იცავდა, მფარველობდა, მუნახელით, მასალითა და ჰირნახულით ამარაგებდა. ძნელი იყო იმ ცვლილებების გათვალისწინება, რაც შეიძლება გიორგის გარდაცვალებას მოჰყოლოდა. მთავარს მემკვიდრე არ ჩნებოდა, მასი დისწულები კი ახალგაზრდები, თავქარიანები, ომისა და გართობის მოყვარულნი იყვნენ და მათი მორაჭულება, მოთოკვა, ჭეშმარიტ გზაზე დაყენება გაჭირდებოდა. არა და გიორგი მაწყვერელის გარდა, ირგვლივ არავინ ჩანდა ისეთი, მისთვის რომ დახმარება და შემწეობა აღმოეჩინა. თუმცა დიდი იმედი არც აწყურის ეპისკოპოსისა უნდა ჰქონოდა, რადგან ერთი ეპარქიის სახსრები დანგრეული ეკლესიების აღდგენასაც კი ვერ აუღივდა. მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, თუ გიორგი მაწყვერელის თაოსნობით წამოწყებული დედათა მონასტრის მშენებლობა მალე დაიწყებოდა, მაშინ ზარზმა თითქმის უსახსროდ დარჩებოდა. მონასტერს ჯერ არც გასაყიდი ჰქონდა რამე და არც იმდენ ჰირნახულს იწევდა, რომ სურსათ-სანოვავით დახმარება არ დასჭირვებოდა. იგი და მისი სულიერი ძმები თითქმის მთელი წლის მანძილზე მარხულობდნენ, ყველაფერს იკლებდნენ — ტანსაცმელსაც, ჰირნახულსაც, საკმეველსაც და სანთელსაც. ამიერიდან კი გადასახანახვი და გამოსაზოგიც არაფერი ექნებოდათ. ჩორჩანელთა ციხე-დარბაზის კარი იხურებოდა, მიწა უნდა დაყროდა იმ კაცს, ვინც ხელი გამოუწოდა და შეივრდომა, მამული თავის ფეხით მოაზომინა და სარჩო-საბა-

დებელი გაუჩინა. გიორგი ჩორჩანელის სიკვდილი იმას ნიშნავდა, რომ ვერც იგი მოესწრებოდა ტაძრის აშენებას. ამოდ ჩაივლიდა მთელი მისი გარჯა და ლეაწლი, გაიფანტებოდა ხალხი, გავერანდებოდა სამშენებლო მასალა, დასკდებოდა კედლები და რამდენიმე წელიწადში აქაურობა ისეთივე უდაბნოდ იქცეოდა, როგორც მანამდე იყო.

— ხომ არ დაუმარხავთ მთავარი, მამაო ებიფანე? — ჰკითხა სერაპიონმა და ლუკმა აღარ ჩაუღვია პირში.

— არა, მამაო, გუშინწინ გარდაიცვალა, გუშინ ხუცესი ამოვიდა ერთი და იმან გვიამბო ყველაფერი.

— რა დამართნია უბედურს?

— კიბეზე ჩამოდიოდა თურმე, უეცრად შეტორტმანებულა, დაგორებულა და მიწამდე სული აღარ დაჰყოლია.

— რა თქვა ხუცესმა, სად მარხავენო?

— ჩორჩანელთა საგვარეულო ეკლესიის ეზოში.

— ცხონებულს აქ, ჩვენი მონასტრის ეზოში სურდა დამარხულიყო, მაგრამ ახლა მის ცხედარს, ჩვენ არავინ დაგვანებებს. რომ დაგვანებონ კიდევ, აწი მისი გადმოსვენება მიინც აღარ მოესწრება. ჯორები შეაჯზმინე და ექვსიოდე ბერი მოამზადე, მამაო ებიფანე. ნაშუადღევს ჩორჩანს გავემგზავრებით.

— მამა იოანე საღლაა, მამაო სერაპიონ?

— იოანე ზანავში დარჩა. დედათა მონასტრის აშენებას აპირებენ ზანავში და ამ საქმის აღსრულება იოანეს მიანდეს.

— დალილი ჩანხართ, მამაო სერაპიონ, დღეს ხუთშაბათია, მთავარს მხოლოდ შაბათს ასაფლავებენ, ხომ არ აჯობებდა, ხვალ დილით გამგზავრებულიყავით?

— არა, მამაო ებიფანე, მინდა ერთი ღამე მიინც გავუთიო კაცს, უკეთეს ხვედრს რომ იმსახურებდა, ვიდრე ხვდა წილად.

— კეთილი, მამაო სერაპიონ, ახლავე გავცემ განკარგულებას, თქვენ კი მამამდე დაისვენეთ.

სერაპიონი სატრაპეზოდან გავიდა და ტაძრისაკენ გაემართა. რა დაასწენებდა მანამდე, სანამ ტაძარს თვალს არ შეაკვლებდა, პირადად არ დაწმუნდებოდა, რა გაკეთდა და რა არა, სადამდე ამალდა კედლები, მომრუდბაზოვნდა თალები, როგორ მოჩუქურთმდა შეწყვილებული სარკმლები, როგორ იყო გათლილი ლავგარდნები და საცვარეები, შეიწმო თუ არა სვეტებმა კაპიტალები, რამდენი დრო დასჭირდებოდა კიდევ გუმბათქვეშა აფრების გამართვას, გუმბათის ოთხკუთხა საყრდენის შეკვრას. მალე სამრეკლოს მშენებლობაც უნდა დაწყებულიყო და არ უნდოდა ეს საქმე მთლიანად შუარტყელელისათვის მიენდო. მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა, სამრეკლო ტაძრის შესაფერისი უნდა ყოფილიყო და გეგმის შედგენის დროს შუარტყელელს მისი მოსაზრებებიც უნდა გაეთვალისწინებინა. მიწაზე რომ უფრო მაგრად მდგარიყო, ამისთვის საჭირო იყო ხარჩოებზეც დაეცდა ფეხი, ეგრძნო სიმაღლე, ის თვალსაწიერი, ირგვლივ რომ იშლებოდა. კვლავ შემოეშვა საკუთარ თავში ყოველდღიურობა, თვალი შეეგლო იმ სახეებისათვის, ტაძრის აშენებას რომ ილევდნენ ძალ-ლონეს, თვითონაც მიელო მონაწილეობა ადამიანური ქმედების ზნეობრივ წვრთნაში.

ყველაზე მეტად სერაპიონი იმან დაამშვიდა, ხარჩოებზე რომ ხალხი დაინახა და შუარტყელელს მოჰკრა თვალი. ჭვისმთლელები, კირითხუროები, ღურგლები და კალატოზები ისე ესალმებოდნენ, თითქმის განსაცდელს დააღწია თავი და შორეული, სასიფათო მოგზაურობიდან დაბრუნდა. ეტყობა იმის შესახებ, მას რომ რალაცაში ადანაშაულეობდნენ, აქაც დაირხა ხმები. მისმა დაბრუნებამ კი ეს ხმები გააქარწყლა: ახლა ისინიც კი უღიმოდნენ, მისგან რომ შორს ეკირათ თავი. მარცხი ყოველთვის ადვილი დასანახავია და ადამიანებს უფრო თიშავს, ვიდრე აახლოებს. ამიტომაც ესიაშოვნა იმათი ღიმილი, ვისაც შეიძლება იგი გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ამჭერად თანაუგრძნო-

ბდა. უყვარდა თუ სძულდათ, იგი მაინც მათი იყო, მათთან ერთად იღვწოდა და იხარჩებოდა, მათ გვერდით ცხოვრობდა და ცოდვილობდა, მათ ღიბინა და ჭირს იზიარებდა, ხელისუფლების გარდა, მათზე მეტი არაფერი გააჩნდა და თუ ისეთი არ იყო, ყველა რომ მალღიერი ჰყოლოდა, ალბათ იმიტომ, რომ ამგვარი რამ საერთოდ ცხოვრებაში არ ხდება და ეტყობა არცაა საჭირო. რა აღმოგხვრის ამქვეყნად შურს, ღვაძლსა და სხვების ათეალისწუნებას, რა მოუღებს ბოლოს უნდობლობას და უმადურობას. თუმცა ახლა მას ის კავშირი უფრო აინტერესებდა, კაცსა და ქვას შორის რომ მყარდება, ვიდრე აღამიანის პირველსახისაგან დაცილება. სამცხის ამ მივარდნილ კუთხეში მართო ტაძარი კი არ შენდებოდა, არამედ იქმნებოდა ქრისტიანობის საფუძველი, ქვაში იმერწებოდა მაცხოვრის მოძღვრება, რაც მალე სინამდვილის საბურველს ჩამოიშორებდა და იქცეოდა ზღაპრად, თქმულებად, რომელსაც ღონეც მოემატებოდა, სიწმინდეც და სინატიფეც და რაც უფრო დიდხანს იარსებებდა, მით უფრო განუმეორებელი, დასაფასებელი და მოსავლელი იქნებოდა, მით უფრო შეიწონებდა ხუროთმოძღვრის, მეჩუქურთმისა და მხატვრის შრომას; მით უფრო განამტკიცებდა სულის უხრწნად კავშირს ღმერთთან.

— ეს ჩუქურთმა შენ მოიგონე თუ გასწავლა ვინმემ, შვილო დოღია? — ჰკითხა სერაპიონმა ახალგაზრდა, მკლავმაგარ, შავგვრემან ქვისმკერელს, რომელიც აქ, ამ ტაძრის მშენებლობაზე დაოსტატდა და ახლა შემფასებელი კაცის თვალით დაჰყურებდა საკუთარ ნახევლაჯს.

— მე მგონი, მამაო, ასე გადაწული ჩუქურთმები უფრო თვალსაჩინო და მსუბუქია და ირიბად განლაგებულ სწორკუთხედებში ხაზებიც უკეთ იქსოვება.

— ამ ქვას რა დანიშნულება აქვს, შვილო დოღია?

— კარიბჭეებისა და სარკმელების საბირეები, მამაო.

— ხუროთმოძღვარს თუ მოეწონა შენი ნახელაი?

— ასეთი ქვა კიდევ ბევრი უნდა ვათალო.

— ქვისგან რამის გამოქანდაკება თუ შეგიძლია?

— მაინც რის, მამაო?

— თუნდაც ცხოველთა გამოსახულები.

— შემიძლია, მამაო.

— მაშინ შენ აქ საქმე ტაძრის დამთავრებამდე არ გამოგლევა, შვილო დოღია, მონასტრის კარიბჭე შენ უნდა მოაჩუქურთმო და მოაქანდაკო.

— ამ ხელებს სხვა რა საქმე აქვს, მამაო.

სერაპიონს ერთი წუთით გადაავიწყდა კიდევ გიორგი ჩორჩანელი რომ აღარ იყო ამქვეყნად. ამ ქვების მოპოვებას და გათლას რომ ხარჯი და მუშახელი სჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მისკენ მომავალ შუარტყელელს მოჰკრა თვალი. შუარტყელელს მზით დამწვარ სახეზე ნაოჭები მომატებოდა, ისე მოდიოდა, დამნაშავე ბავშვს რომ უახლოვდებოდა და სერაპიონმა იგრძნო, ერთადერთი კაცი, ვინც ღღეს მას არ გაუღიმებდა, შუარტყელელი იყო.

— გამარჯობათ, მამაო — მიესალმა შუარტყელელი სერაპიონს და პასუხის მოსასმენად რომ დრო არ დაეკარგა, განაგრძო, — თქვენ სწორედ მაშინ ხდებით ავად ან მაშინ იკარგებით, როცა აქ ყველაზე საჭირო ხართ.

სერაპიონი იმდენად კარგად იცნობდა შუარტყელელს, მის უხეშობას და უცხვირაპრობას, რომ არც გული მოსვლია და არც თავისთვის, შინაგანად ამღვრეულა. ის ურთიერთობა, რაც მათ შორის თავიდანვე დამყარდა, სიკვდილამდე არ შეიცვლებოდა. შუარტყელელი გულს იოხებდა, რაღაც სიამოვნებას პოულობდა იმაში, რომ მონასტრის წინამძღვარს, იმ კაცს, ვინც ამხელა ტვირთი ჩამოკიდა კისერზე, ასე ელაპარაკებოდა.

— რა მოხდა ასეთი, შვილო?

— ჯერ ერთი, უნდა გადაწყდეს, რით

ვხურავთ ტაძარს და ამ საქმეს დროზე უნდა მიხედვა, სახურავის დამზადება არა ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე კედლების ამოყვანა, მეორეც, სამრეკლოს გეგმა უკვე მზადაა, მაგრამ თქვენი აზირებულობის ამბავი რომ ვიცო, საძირკველი ვერ ჩამოყრია.

— შე ერთხელ უკვე ვთქვი, შვილო ჩემო, და კვლავ ვიმეორებ, ტაძარი გადაიხურება ქვით, რაც შეეხება სამრეკლოს გეგმას, კარგი გიქნია, რომ უჩემოდ არაფერი დაგიწყია. ვადმოიტანე შენი ნახაზები წიგნსაცავში და მალე მეც იქ მოვალ.

— ტაძარი თუ ქვით გადაიხურება, ჩვენ აღარც ტაძრის ასაშენებლად გვეყოფა მუშახელი და აღარც სახურავის დასამზადებლად, მამაო.

— ვიცო, შვილო ჩემო, მაგრამ ვერაფერში დაგეხმარები. შენ ჩემზე ადრე გაიგებდი, გიორგი ჩორჩანელი რომ გარდაიცვალა და შეიძლება უარეს დღეშიც ჩავცვივდეთ.

— რად უნდა მონასტრები და ტაძრები იმ ქვეყანას, სადაც ყველაფერი ერთი კაცის ყოფნა-არყოფნაზე დამოკიდებული, — ჩაიბუზღუნა შუარტყელელმა და საკუთარი სენაკისაკენ წავიდა.

სერაპიონს არ უნდოდა ისე შეხვედროდა ახალ დღეს, ისე შესდგომოდა საქმეს, რომ ხარაჩოებზე ფეხი არ და-

ედგა. მონასტრის ეზო ბილიკეიით დასერილი და დანაგვიანებული ჩვენი შიშის ზოლი, რომელსაც მზეს წამოდგომისადა თავზე, ფერს იცვლიდა, სილურჯეს კარგავდა და სიყვითლეს იძენდა. ფერს იცვლიდა ტაძრის მოპირკეთებული კედლებიც, უფრო ნათელი, უფრო სხივმფინიერი ხდებოდა, მაგრამ ამ სხივმფინიერებას სერაპიონის ფიქრებში ვერავითარი სიციხადე ვერ შეჰქონდა, ისევე განუქრებელი და გაუარკვეველი იყო მომავალი, როგორც სამცხის სამთავროს ბედი და სერაპიონმა არ იცოდა, რა ექნა, რა მოემოქმედებინა. თუმცა ახლა იმაზე თავის შტერვეას აზრი არ ჰქონდა. ჭერჭერობით ტაძარი შენდებოდა, ხალხი შრომობდა, დრო ბრუნავდა, არავითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ ხვალ, ზეგ, ერთი თვის ან ერთი წლის შემდეგ აქ ყველაფერი ჩაკვდებოდა და ბოლო მოეღებოდა არა მარტო მის ჯახირსა და წვალებას, არამედ დადასტურდებოდა ისიც, რომ კაცისა და ქვის კავშირი არ შედგა, არ იქცა მატთანედ ის, რასაც ადამიანის აზრი და ნებისყოფა შეეჭიდა. მაგრამ ეს მოხდებოდა ხვალ, ზეგ, ერთი თვის ან ერთი წლის შემდეგ. მანამდე კი შეეძლო მზერა იმაზე შეეჩერებინა, რასაც ხედავდა, რაც ჭერ კიდევ იქმნებოდა, მშენებდებოდა და თვალს ახარებდა.

თავი მხუთი

მას შემდეგ, რაც გიორგი ჩორჩანელი მიწას მიბარეს, რამდენიმე თვე გავიდა და ყველა იმ წვრილმანმა თუ მსხვილმანმა უსიამოვნებამ, გაუგებრობამ და ცრუმორწმუნეობამ, მოსალოდნელი რომ იყო, ცხადად იჩინა თავი, სამცხეს ჭერ კიდევ არ ჰყავდა მთავარი, გიორგი ჩორჩანელის ჭონება ჭერ კიდევ არ იყო დანაწილებული და დასაკუთრებული, მთავრის და, დისწულეები და ნათესავეები ჭერ მხოლოდ დავასა და მოცილეობას უნდებოდნენ. ამასობაში კი დრო გადიოდა, ზამთარი

კვლავ გაზაფხულმა შესცვალა და უსახსროდ დარჩენილი მონასტრის მშენებლობა შეწყდა. მართალია, მონასტრში ცხოვრება არ ჩამკვდარა, მაგრამ მოდუნდა, უხალისო, ულაზათო გახდა. არავინ იცოდა, რა ეკეთებინა, საქმე გამოსანახავი, გამოსაჩხრეკი იყო. შუარტყელელი ისეთი დადიოდა, თითქოს უმუხთლეს, მოადორეს, გაძარცვეს. ყოველდღე იმუქრებოდა, მივატოვებ აქაურობას და უკან არც კი მოვიხედავო, მაგრამ წასულით მაინც არსად მიდიოდა. ამის მიზეზი ალბათ ის იყო,

რომ ჯერ ერთი, ხანში შედიოდა და სი-
რბილისა და წანწალის თავი აღარ
ჰქონდა, მეორეც, არ ამტკიცებდა, თო-
რემ სერაპიონზე ნაკლებად არც ის იყო
შეპყრობილი იმ ტაძრის მშენებლო-
ბით, მის უსიხარულო ცხოვრებას რომ
გაამართლებდა. სამაგიეროდ მიდიოდ-
ნენ სხვები, ოსტატები, კალატოზები,
ხისა და ქვითხურაოები, სხვაგან შოუ-
ლობდნენ სამუშაოს და გუდა-ნაბადს
იკრავდნენ. ხელოსანთაგან მონასტერში
მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა, ისი-
ნი, ვინც აქ შეუდგა ღმერთს, მაგრამ
მათაც არ იცოდნენ, რა ეკეთებიანთ.
ის, რასაც ისინი საქმიანობდნენ, მხო-
ლოდ მომავალში თუ გამოადგებოდა.
სანამ სამთავროს მემკვიდრეობის საქმე
გაირკვეოდა, სერაპიონმა რამდენჯერმე
ჩამოუარა სამცხელ აზნაურებს, ერთ-
ხელ ეპისკოპოსსაც კი ეწვია აწყურში,
მაგრამ შემოწირულობანი იმდენად უმ-
ნიშვნელო იყო, რომ სათქმელადაც არ
ღირდა. წვიმებისა და თოვლისაგან ხა-
რაშოები გაშავდა, ძირს დაფენილი ფი-
ცრები ჩამოცვივდა, ტაძარს არავინ
ეკარებოდა და არც თვითონ ეკარებდა
ვინმეს, იდგა თავისთვის უცხო და გან-
ცალკევებული, დაუმთავრებელი და
თავმოუხმელი, გაუნათებელი და გაუ-
თბობელი და მის ბნელ წიაღში ბნელი
ძაღვები იდებდნენ ბინას, უბამსად რო-
კავდნენ, ბილწისიტყვაობდნენ, უმსგავ-
სოდ ხარხარებდნენ და ეს ხარხარი
ლამ-ლამობით სერაპიონს საკანშიც კი
ესმოდა. ეშმაკეულნი ედავებოდნენ და
ართმევდნენ იმას, რაც წმიდათაწმიდა
და ხელშეუხებელი იყო, რაც მასში
ცოცხალ არსებასავით შემოვიდა და
დამკვიდრდა, რაც გამოხსნას, შევლას,
დახმარებას სთხოვდა და იგი ვერაფ-
რით ეხმარებოდა, სიბნელისა და სინე-
სტისაგანაც კი ვერ იცავდა. ამიტომაც
მოუბშირა წირვა-ლოცვას, ქადაგებას,
მსურველთა ბერად აღკვეცას. ორმო-
ცამდე ბერი მასთან ერთად იჩოქებდა
სატრაპეზოში, მასთან ერთად ლოცუ-
ლობდა და ევედრებოდა ღმერთს, მიე-
ცა მათთვის იმდენი ძალა და სახსრები,
რომ დაემთავრებინათ მონასტრის მშე-

ნებლობა, მოუკლებლად შესდგომოდ-
ნენ ღვთის სამსახურს, ეზრუნათ ცოდ-
ვებისაგან გაწმენდისა და სულის სხსნი-
სათვის. დილის წირვა ზოგჯერ შეა-
დღემდე გრძელდებოდა, მაგრამ ლო-
დინს ისევე ლოდინი ცვლიდა და სერა-
პიონი დაუნახავად გრძნობდა, როგორ
ემატებოდა სახეზე ნაოჭები. მცირეო-
დენ ნუგეშს მხოლოდ ის გვრიდა, რომ
რამდენიმე ბერი წერა-კითხვაში გაიწა-
ფა და მის მიერ პარეხის მონასტრიდან
ჩამოტანილი ახალი საღვთისმეტყველო
წიგნების გადაწერას შეუდგნენ, ერთ-
ორ კაცს კი ხატწერის ნიჭი აღმოაჩნ-
და. მონასტერში ნაწერი და შეჭედო-
ლი ხატები ხელწერთაც განსხვავდე-
ბოდა სხვაგან ნაწერი ხატებისაგან და
მასალითაც. სამცხეში მოპოვებულ
ძვირფას ქვებს სხვა ფერი, სხვა ელ-
ვარება, სხვაგვარი წახნაგები ჰქონდა
და სხვაგვარ განლაგებასაც მოითხოვ-
და, შეიძლება წყლის, პერის ან თვით
მასალის ბრალი იყო, მაგრამ აქ შე-
ზავებულ საღვთავეებსაც სხვა ელფერი
დაპყრავდა, ვიდრე სხვა მონასტრებში
რომ ჰქონდა ნანახი. თუ ტაძარს დამ-
თავრება ეღირსებოდა, ამ ხატებს კან-
კელის მოსართავად გამოიყენებდა.
ყველაფერი, რაც კეთდებოდა, ტაძრი-
სათვის კეთდებოდა, მაგრამ თვით ტა-
ძარს არაფერი ემატებოდა. უტაძრო
მონასტერი დაუმთავრებელ წიგნს ჰგა-
ვდა. ასე მდორედ, უმოქმედოდ, უღიმ-
ლამოდ გადიოდა დღეები, რასაც გა-
ზაფხულის კოკისპირული წვიმები კი-
დევე უფრო ანესტიანებდა და ამუ-
ჭებდა.

სწორედ ერთ ასეთ წვიმიან ამინდში
ამოვიდა მონასტერში ესნა ცივნარის-
ძე, სერაპიონის ნახვა მოითხოვა და და-
იყინა, აღსარება მაქვს სათქმელი და
წინამძღვრის მეტს ვერავის ვეტყვიო.
სერაპიონმა იგი წიგნსაცავში მიიღო.
ესნა რაღაცით შეპყრობილი, დასედი-
ანებული, დაქალებული ჩანდა, მაგრამ
ისე დაქალებული კი არა, ასაკის მომა-
ტებამ რომ იცის, არამედ შინაგანად
შეძრული და ამ შეძერის შედეგად ერ-
თი აზრით, ერთი მიზნით განმსჭვალუ-

ლი. ქალის მთელი არსება რაღაც ისეთს შეეპყრო, რაც გალავანივით შემორტყმოდა ირგვლივ და დაეტყვევებინა, ჩიბში მოექცია. ამაზე მისი მშვენიერი სახის სიფერმკრთალები მეტყველებდა და თვალბში ჩაბუდებული მკუმუნვარებაც. სერაპიონმა გამოცდილებით არ იცოდა, მაგრამ გუშანით გრძობდა, რომ ამ დღემდე ქალი მხოლოდ სიყვარულს, მხოლოდ ვნებათაღელვას შეეძლო მიეყვანა და შეშფოთდა, არაფრით არ უნდოდა, მის მონასტერში რამე ღვთის საწინააღმდეგო საქმე, ან იმგვარი უბედურება დატრიბულიყო, ქვეყანას რომ სალაპარაკოდ ექნებოდა. არადა ესა ციენარისძეს თუ კარგად არა, იმდენად მაინც იცნობდა, მისი კეთილგონიერებისა და მოწყვების იმედი რომ ჰქონოდა. ეს ქალი იმისათვის იყო გაჩენილი, თავი დაედებოდა და სხვებისთვისაც უსიამოვნება, ტკივილი და უბედურება მოეტანა.

— რა მოხდა, შვილო ჩემო, რა ცოდვა გაწევს ისეთი, რომ აღსარების სათქმელად ამ აედარში აქ ამოხვედი? — ჰკითხა სერაპიონმა და სველი მოსასხამის მოხდა რომ არ შეეთავაზებინა, თვალი მოარიდა.

— ცოდვებზე მერე ვილაპარაკოთ, მამაო, მანამდე კი მითხარით სად არის იოანე?

— იოანეს ადგილსამყოფელი მონასტერში ყველამ იცის და ნუთუ შეხთვის არაფერი უთქვამთ?

— მითხარეს, მამაო, მაგრამ მოჭორილივით, მე კი დანამდვილებით მინდა ვიცოდე და ამას მხოლოდ თქვენგან შევიტყობ.

- რა გინდა იცოდე?
- სად არის იოანე.
- იოანე ზანავშია.
- რა უნდა ზანავში?
- დედათა მონასტერს აშენებს.
- ნუთუ იოანეს მეტი ვერავინ ნახეს იქ გასაგზავნად?
- იოანეს იმტომ დაავალეს ეს საქმე, შვილო ჩემო, რომ ხუროთმოძღვრებაში ერკვევა, მონასტრის აშენების

გამოცდილება აქვს და გამრჩე, კეთილსინდისიერი და ღვთისშემოსილი ექვცია.

— თუ განგებ მოაშორეს აქაურობას? — იოანეს აქედან გაშვება არც მე მინდოდა, შვილო ჩემო, რაც არ უნდა იყოს, თანშეზრდილი ძმაა ჩემი, მაგრამ ისინი, ვინც იოანეს ეს საქმე დაავალეს, ჩემზე ღვაწლმოსილნი არიან.

სერაპიონი რომ არ ტყუოდა, ეს ესნა ციენარისძემ ქალური გუშანით იგრძნო და ჩაფიქრდა. იგი მართლაც ჩიბში იყო მომწყვდეული და გამოსავალს ეძებდა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ისეთ გამოსავალს, მისი მიზნების შესაბამისი რომ იქნებოდა, მაგრამ ვერ პოულობდა და ამის გამო საკუთარ გულს ასკდებოდა. ალბათ ისიც ესმოდა, რომ გულისთქმას უმოკმედოდ, უბრძოლველად ვერ აღინაულებდა. არა და ეს ბრძოლა უნდა გაემართა მტრის სამფლობელოში, იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც მას ცოდვილად თვლიდნენ და უნდობლობას უცხადებდნენ. ამიტომ მარტოს უნდა გამოელო ხელი, თანამდგომი და თანამებრძოლი არავინ ეყოლებოდა. მის ბრძოლას კიდევ ის ართულებდა, რომ უნდა შეზნოდა არა ერთსა და ორ კაცს, არამედ მთელ მონასტერს, მთელ ეკლესიას, იმ ძალას, უკან დახევა და დათმობა რომ არ იცის, იმ ზნეობრივ კანონებს, თავის ნებაზე რომ არავის აპარპაშებს და საბრძოლველად განწყობილი არც კი დაფიქრებულა, ეყოფოდა თუ არა ამის ძალა. ესნას უნდოდა ერთი ნახტომით გადავლებოდა თავზე უფსკრულს, რომელიც მიზანს აშორებდა, მაგრამ ეს უფსკრული იმდენად ფართო, ღრმა და ბნელი იყო, რომ შეეძლო უკვალოდ შთაენთქა. მიუხედავად ამისა, ნახტომისათვის მაინც ემზადებოდა, ემზადებოდა ფარულად, გაუხმაურებლად, ყველა ქალური ხერხის გამოყენებით.

— მითხარით, მამაო სერაპიონ, მე რომ მონასტრიდან წასვლა მოვიწოდო-მო, ძალით დამაკავებთ? — ჰკითხა ესნა ციენარისძემ და მიუხედავად იმისა, რომ მოსასხამიდან ჩამოწურული წყა-

ლი იატაკზე იღვრებოდა, დაბლა არ დაუხედავს.

— ძალით ვინ დაგაკავებს, შვილო ჩემო, მაგრამ სად უნდა წახვიდე?

— თუნდაც ზანავეში.

— რა გინდა ზანავეში?

— მინდა იოანესთან ვიყო ახლოს.

— ვისთან?

— იოანესთან.

სერაპიონი ჯერ შეტბა, შემდეგ კი აიძვრა, გაბრაზდა, განრისხდა კიდეც და წონასწორობა რომ არ დაეკარგა, ჯიბიდან კრილოსანი ამოიღო. ეს ქალი ან სულელად თვლიდა, ანდა ბოროტად იყენებდა იმას, რომ სიკვდილისაგან იხსნა და მონასტერში მოიყვანა. რამდენ უსიამოვნებას გადაეყარა მის გამო, რამდენი რამ აიწიწ-დაიწიწა. ამ ქალში იყო რაღაც სატანისეული. სხვაგვარად არც მისი სილამაზის ახსნა შეიძლებოდა და ამიტომ არ უნდოდა, რომ ეს სატანისეული ძალა იოანეს შესჩენოდა, ექენჯნა, ეწვალეზინა. იოანეს ისედაც დიდი საქმე აწვა მხრებზე და ზედმეტი ტვირთი არაფერად არ სჭირდებოდა. ამ ქალის ზანავეში დასახლებას შეიძლება საბედისწერო არაფერი მოჰყვებოდა, მაგრამ იოანეს რომ ცხოვრება და მოღვაწეობა გაურთულდებოდა, ამას მტკიცება არ უნდოდა.

— ახლა მითხარი, რა გავქვს გუნებაში, რისთვის დაეძებ იოანეს, რა უნდა აკეთო ზანავეში? — ჰკითხა სერაპიონმა ისე, რომ ხმა არ აუმაღლებია და წარბები არ გაუხსნია.

— მიყვარს, მამაო, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და მის უნახავად ვერ გამოძლია.

სერაპიონი შეკრთა და ისეთი ფერი დაედო, თითქოს სილა გააწნესო.

— რას ამბობ, დიაცო, ბერად აღკვეცილი კაცის შეყვარება ვის გაუგონია.

— შემიყვარდა, მამაო, შემიყვარდა და ახლა თუ გინდათ მომკალით.

— შე შენი მსაჯული არა ვარ, შენს საქციელს ღმერთი განსჯის, მაგრამ როდის დაუახლოვდი ასე, როდის მოასწარი შეყვარება.

— არ დაეახლოვებია, მამაო, სულ

ორ-სამჯერ თუ დაველაპარაკე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. სიყვარული ისე შემოვიდა ჩემში, რომ ზოგჯერ მახრჩობს კიდეც.

— შენ ახლა, არც ისე უწლოვანი ხარ, არ იცოდე, რომ იოანეს არც ქალთან დაახლოების უფლება აქვს და არც მისი ცოლად შერთვის, — უთხრა სერაპიონმა და საკუთარი ვარაუდი სარწმუნოც მოეჩვენა და უსაფუძვლოც.

— ვიცი, მამაო, მაგრამ მე უკეთური ზრახვები არ მამოძრავებს, ჩემთვის ისიც საკმარისი იქნება, შორიდან მაინც რომ მოვკრა თვალი ზანდახან.

სერაპიონი ოდნავ მოღობა, ამ თავაწყვეტილ გოგოს დაუფასა ის, რომ მას გამოუტყდა, მას გადაუშალა გული და არა ვინმე სხვისა, მაგრამ ეს გულახდილობა თუ ართულებდა საქმეს, თორემ ვერაფრით აიოლებდა. ამ ქალის ზანავეში გამოჩენა სარწმუნოს გახდიდა იმ ხმებს, ზარზმაში რომ დაარჩიეს და იოანეს უმწიკვლო სახელს უთუოდ ჩირქს მოსცებდა, რასაც სიკვდილამდე ველარ ჩამოირეცხავდა. გარდა ამისა, სერაპიონი არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ესნა ცივზარისძე იოანეს შორიდან დანახვით დაკმაყოფილდებოდა, არ დაუწყებდა დევნას, არ გადაუდგებოდა გზაზე, არ ეცდებოდა გამოეყენებინა მთელი თავისი ეშხი და მომხიბვლელობა. ბოლოს და ბოლოს იოანეც კაცი იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი, რომელსაც ესნასავით მშვენიერი არსება არსად ენახა და თუ ანგელოზებიც ცდებოდნ და ემზობიან, რა გასაკვირი იქნება, მიწიერი ადამიანი შეცდეს და დაემხოს.

— მართლა გულით გიყვარს იოანე?

— ჰკითხა სერაპიონმა და კრილოსანი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— აკი გითხარით, საკუთარ თავზე მეტად.

— თუ ასეა, მაშინ შენ იოანეს სულის ხსნით უფრო უნდა იყო დაინტერესებული, ვიდრე წარწყმედი.

— მამაო, განა ჩემს სულს არ სჭირდება ხსნა, განა თქვენ, თქვენ და იოა-

ნეს არ შეგაწუხებთ სინდისი, მე რომ სულწაწყმედილი დავრჩე?

— სათნოების გზაზე დადგომას და ღვთითშემოსვას შენ აქ არავინ გიკრძალავს, შვილო ჩემო.

— განა ზანავში არ შეიძლება სათნოების გზაზე დადგომა და თვითთმომოსევა, მამაო?

— ყოველი ქეშმარიტად მორწმუნე ადამიანი ცდუნებას უნდა ერიდებოდეს, შვილო ჩემო. იოანეს ისედაც დიდი ტვირთი აწევს მხარებზე და ჩვენ უფლება არა გვაქვს, ეს ტვირთი კიდევ უფრო დავუძიმოთ.

— მე რით უნდა დავუძიმო, მამაო, მეც ხომ ადამიანის შვილი ვარ და კეთილი საქმის ჩადენა მეც შემიძლია.

— იმისათვის რომ კეთილი საქმე უკეთურად არ იქცეს, უნდა იცოდე, შვილო ჩემო, რაა სიკეთე და რა არა.

— მე ამაში სიკვდილამდე ვერ გავერკვევი, მამაო.

სერაპიონს უნდოდა აეხსნა ამ დაუდგრომელი დიაკონათვის, რომ მხეცს, მასში რომ გაიღვიძა, გაღიზიანება კი არ სჭირდებოდა, არამედ მოთოკვა, დათრგუნვა, მაგრამ გადაიფიქრა. სულერთია, მაინც ვერაფერს შეაგონებდა. ესნა ცივნარისძე, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ იოანეს კი არ შეარცხვენდა და გააწვალებდა, არამედ ძალას შემატებდა, გაახალისებდა, გაათამამებდა. მთელ თავის ახალგაზრდობას, სილამაზეს, გულს, სიყვარულს მსხვერპლად მიუტანდა და ამით სხვებისაგან გამოარჩევდა; აამალლებდა, დაამშვენებდა. შეიძლება ქალის დანიშნულება მართლაც ეს არის ამქვეყანაზე და ესნა ცივნარისძეც სწორედ იქითკენ ისწრაფოდა, საითაც თავისი ქალური ბუნება უხმობდა, მაგრამ მას არ ესმოდა, რომ სერაპიონი და იოანე ამქვეყნიური ბედნიერების მოსაპოვებლად კი არ იღვწოდნენ, არამედ შარადისობის დასამკვიდრებლად. ისინი სულით იყვნენ დაკავშირებულნი ღმერთთან და არა ხორკით. ამის გაგება კი, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა ქალს, რომელსაც ღმერთი კი არ უყვარდა, არამედ კაცი და

ბედნიერებას მიწაზე ეძებდა და არა ცაში.

— როგორ გგონია, შვილო ჩემო, ის ავაზაკი, საფრთხეში რომ ჩაგაგდო, ზანავში ვერ მოგაგნებს? — ჰკითხა სერაპიონმა და ის ღღე რომ არ გახსენებოდა, წვიმის ხმაურს მიუგდო ყური.

— აქაც მომაგნო, მამაო.

— რას ამბობ, შვილო!

— მონასტერს უვლის ირგვლივ და ერთხელ გზაზეც კი გადამიდგა.

— რისთვის, რა უნდოდა?

— ჯერ ამბავი გამომკითხა, შემდეგ კი მითხრა, აქედან გავიქცეთ, აფხაზთა სამეფოში გადავიდეთ, საბლ-კარი ვიყიდოთ და ერთად დავსახლდეთ.

— შენ რა უპასუხე?

— შორს დავიჭირე, მამაო, მას შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში იოანე შემოვიდა, არავის დანახვა და არავისთან ლაპარაკი არ მინდა.

— ხომ არ დამუქრებია?

— არა, არ დამუქრებია, მაგრამ ისე მიყურებდა და ისეთი ფერი ედო, რომ ჯობდა დამუქრებოდა.

— შენს გარდა თუ იცის ეს ამბავი ვინმემ?

— არა, მამაო, არავისთვის არაფერი მითქვამს.

— როგორ ფიქრობ, შვილო, მარტო უვლის მონასტერს ირგვლივ, თუ თავის ბრბოც ახლავს თან?

— მის გარდა მე არავისთვის მომიკრავს თვალი, რატომღაც მგონია, მამაო, რომ მარტო იყო.

— შეგეშინდა?

— არც იმდენად, მამაო.

— იქნებ ამიტომ გარბიხარ ზანავში, შვილო ჩემო?

— არა, მამაო, აქ მე უფრო დაცული ვარ საფრთხისაგან, ვიდრე ზანავში ვიქნები.

ესნას ნაამბობმა სერაპიონი არანაკლებ შეაშფოთა, ვიდრე მისმა აღსარებაამ. ავაზაკთა ბრბოს მართლაც შეეძლო მონასტერს თავს დასხმოდა, ესნა გაეტაცა და კელიონიც აეოხრებინა. შეუიარაღებელ ბერებს გაუჭირდებოდათ წინააღმდეგობა გაეწიათ მოძალადეები-

სათვის. დედანი ხომ მონასტრის გაღვინის გარეთ ცხოვრობდნენ და უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყვნენ. ერთი ბნელი ღამე სრულიად საქმარისი იყო იმისათვის, რომ დედათა კელიონში ცოლდა დატრიალებულიყო. საქმეს კიდევ ის ართულებდა, რომ ვერ ეტყოდა ბერებს, მონასტრიდან ქალის გატაცებას აპირებენ და დარაჯად დაუდევითო. რომ ეთქვა კიდევ, ბერებისაგან ძვირადღებულ რაზმს ხომ არ ჩამოაყალიბებდა. არა და სამცხეს მთავარი არ ჰყავდა, შინააშლილობამ ავაზაკთა ბრბოები გაათამამა, ბოლო დროს დაბებზე თავდასხმასაც კი არ ერიდებოდნენ. ამას წინათ იმ დაბას დაესხნენ თავს, სადაც მშენებლები ცხოვრობდნენ, საქონელი გარეკეს და ტყეს შეაფარეს თავი. დაბელები ისე იყვნენ გაცეცხლებული, რომელიმე მათგანი რომ შეეპყროთ, ცოცხლად გაგლეჯდნენ. ამიტომაც ჩააგდო ესნა ცივნარისძის ნაამბობმა სერაპიონი საგონებელში. არ იცოდა, რა გზას დადგომოდა, რა ხერხით დაეცვა დედათა კელიონი ავაზაკებისაგან, ესნა ესნა ცივნარისძე მოტაცებისაგან, მაგრამ მის ზანავეში გაშვებას მაინც ის ერჩია, რომ ზარზმაში დარჩენილიყო. ამასობაში რამეს მოიფიქრებდა, თავდაცვის რაღაც საშუალებას გამონახავდა. ღმერთი მასთან იყო და ასე ადვილად არ გაათელინებდა მოძალადეებს.

— აი, რა, შვილო, ჯერჯერობით ნუ აყვები გულისთქმას, ნუ გგონია, რომ ის, რაც გადაწყვიტე, ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა და უკეთესი არ არსებობს. ზანავეში გაქცევა ყოველთვის მოეწონება. თუ ჩემი მცირეოდენი პატივისცემა გაქვს, შეიცადე მცირე ხანს, დაიოკე გრძნობები, იქნებ ყველაფერი ისე მოგვარდეს, რომ არც იოანეს შეეშალოს ხელი საქმეში და არც შენ ჩავარდე ისეთ დღეში, საგოდებლად გაგიხდეს წუთისოფელი. ღმერთი დიდი და მოწყალე, შვილო ჩემო, და ნუ ამჩატდები, ნუ იქმნ იმას, რომ იმედგაცრუებამ, მარცხმა და ხელმოცარვამ თავიც შეგაძლოს და სხვებიც. შენ

ჯერ იმ შეცდომისა და ცოდვის შედეგებისაგან ვერ დაგისხნია თავი, ურთხელ რომ ჩაიღინე, შენი სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია და ამიტომ ამოიგდე გულიდან კანდიერება, ერთხანს მაინც ნუ მიატოვებ ზარზმას. შენი დაცვა, შენს უსაფრთხოებაზე ზრუნვა აქ უფრო ადვილია და მანამდე ნუ გადადგამ საბედისწერო ნაბიჯს, სანამ არ გაუწინებელდება ის საშიშროება, მონასტრის ირგვლივ რომ დაძრწის. ახლა კი წადი, დაშვიდდი და მენდე, შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს და ამალამ შენს თავს ღმერთს შეგავედრებ.

ესნა ცივნარისძე უხმოდ წამოიგდა, სველ მოსასხამში ისე გაეხვია, თითქოს სინესტეს საერთოდ არ გრძნობსო და წიგნსაცავიდან გავიდა. მისი სხეულის სინატიფეს მოსასხამიც კი ვერ ფარავდა.

სერაპიონი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, ქუთუთოებსაც კი არ ახამხამებდა, შემდეგ წამოიგდა, სარკმელთან მივიდა და მონასტრის ეზოს გახედა. გარეთ წვიმდა. ხარაჩოებით გარშემორტყმულ ტაძარს ნისლი დასწოლოდა, უფრო შორეული, უფრო განმარტოებული ჩანდა. ხეივანებს, რომელთა გაშენებასაც რამდენიმე კაცმა ნებაყოფლობით მოჰკიდა ხელი, ეზო დაეხაზა, ნაკვეთებად დაეყო, რაღაც ისეთით გაემდიდრებინა, რაც ამ მხარეს აკლდა. მღვიმესთან ნატები ქვა მიეზიდათ, ამ ქვებით მღვიმის თალი და გვერდები უნდა მოეპირკეთებინათ. წყარო უკვე ღარში მოჩუჩხუხებდა და მღვიმეს სიგრილესა და იმგვარ სინესტეს ანიჭებდა, შეუვალობას რომ მატებს იღუმალებას. ეს იყო სერაპიონის სამყარო, აქ იყრიდა თავს ყველაფერი, რაც მას ღმერთთანაც აკავშირებდა და მოწასთანაც და არ უნდოდა ამ სამყაროდან გასვლა, იმ ჯანაურებაში შეხეტიალება, სისხლის დაუღვრელად რომ ვერ დააღწევ თავს, მაგრამ აღარც იმათი უყურადღებოდ დატოვება შეეძლო, მას რომ დაუჭერეს, მონასტრის რომ დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება, განსაკუთრებით ესნა ცივნარისძისა, რომელსაც

მხსნელად, მოძღვრად და სულიერ მამად მიიჩნდა, სწამდა მისი, ენდობოდა პირადად მას და მისი სულიერი და უფრო იყო, ვიდრე იმ ავაზაქის ხასა, საბოლოოდ რომ ამოივლო ესნამ გულიდან.

რაც უფრო მეტ ძალას იკრებდა გაზაფხული, მით უფრო უმჯობესდებოდა ამინდი, მით უფრო სწრაფად შრებოდა მიწა. ასეთი დღეების ხელიდან გაშვება დანაშაული იყო და სერაპიონს უმძაფრებოდა კიდევ ბრალეულობის გრძნობა, მაგრამ ამინდის გაუმჯობესებას განძი და დანგი არ მოჰქონდა. ხეცბი, გაძარცვლნი და განმარტობულნი რომ იღვნენ მთელი ზამთრის მანძილზე, ისე სწრაფად შეიმოსნენ ნორჩი, ხასხასა სიმწვანით, რომ სერაპიონს ერთგვარი შურის გრძნობაც კი აღედგრა გულში. ბუნება შეუმჩნევლად, სწრაფად აკეთებდა თავის საქმეს, იგი კი აგერ რამდენი წელია მუხლმომხრებლად, თვალმოუხუჭავად შრომობდა, ჯახირობდა, ცოდვილობდა და მაინც ვერ ჩააცვა პერანგი ტაძარს, ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდე. ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებდა იმას, თუ რა ძლევამოსილი იყო გამჩენი და რა არარა, უმადრუკი და უძლური ადამიანი. ამიტომ იკრუნჩხებოდა ბნელსა და ბნელს შორის, ამიტომაც ვერ წყდებოდა მიწას, ვერ გაურბოდა სინამდვილეს, ვერ ახერხებდა მძიმე მასალის შემსუბუქებას და განატიფებას. თუ რამე ეძლეოდა, მხოლოდ მძიმე შრომის, ოფლისა და სისხლის ფასად, მაგრამ ზოგჯერ ოფლიც და სისხლიც ამაოდ იღვრებოდა და ის, რაც დიდი ვაივაგადაბით მაღლა აიტანა, თავზე ენგრეოდა.

სერაპიონი ისე იჭდა ტაძრის წინ ნამორზე, როგორც დარაჯი, რომელიც რალაც ისეთს იცავდა, რასაც ვერ გაძარცვავდნენ, ვერ გაიტაცებდნენ, მაგრამ შეეძლოთ შეებლალათ, წაეწყმი-

დათ. ამიტომ მისი ფიქრები, რა დიდი წრეც არ უნდა მოეხატათ, რა შორსაც არ უნდა გაურბიყვნენ, ისე ტაძარსა და მის დარაჯს უბრუნდებოდნენ. ასე იყო ყოველდღე და ზოგჯერ სერაპიონი ამაში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ხომ არ შეიპყრო ეშმაკმა და ხომ არ გაუკუღმართდა ისე, რომ დროსთან შეჭიდების სურვილმა, ბედის გამოცდის ეინმა, იმ უმგვანო გრძნობამ შეიპყრო, კაცს რომ თავს ავიწყებინებს და ცრუ იმედებს უღვივებს. რატომ ჩქარობდა ასე, რატომ უნდოდა ათი წლის საქმე ერთ წელიწადში გაეკეთებინა, რატომ ვერ იტანდა მოცდენასა და დაყოვნებას? მას ხომ არავინ არაფერს აძალებდა, არავინ აჩქარებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი მოუსვენრობა და დროსთან ჭიდილით გამოწვეული შემფოთება თვით მისგან მომდინარეობდა. ნუთუ ისე დაეცა, ისე აპყვა წაგება-მოგების ცვალებადობას, ისე შეეჩვია სიხარულისა და მწუხარების განცდას, ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამარჯვებასა და დამარცხებას, რომ სხვაგვარად ცხოვრება, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შეეძლო.

ამ ფიქრებში იყო სერაპიონი, როცა მონასტრის ეზოში შემოვიდა გაბრიელ გარბანელი, რომელსაც თან მოჰყვებოდა ის კაცი, მარნის მშენებლობაზე რომ მუშაობდა გასულ წელს და სერაპიონს ნაცნობი მოეჩვენა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად ნახა. ამას წინათ გარბანელმა უთხრა, ის კაცი ამ რამდენიმე თვის წინათ სადღაც გაქრაო და ახლა გაუკვირდა ერთად მომავალნი რომ დაინახა. მარნის მშენებლობა და მოწყობა თითქმის დამთავრებული იყო, სერაპიონმა ისიც კი გაიფიქრა, გარბანელი ალბათ იმისათვის ამოვიდა, რომ საქმე გაუჩინოს და მისი ნიჭი და ის წლები, სიკვდილამდე რომ დარჩა, ბოლომდე გამოიყენოს, მაგრამ გარბანელს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ახალი ამბავი მოჰქონდა, რალაცის საუწყებლად უფრო მოდიოდა, ვიდრე სათხოვნელად. სერაპიონს კვლავ ნაცნობი მოეჩვენა ის კაცი, გარბანელს

1. დანგი — ძველ საქართველოში ფულის ერთეული იყო.

რომ ახლდა. ყველაზე მეტად თვალები არ ამღვებდნენ მოსვენებას, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად ენახა. აღარ იცოდა მეხსიერება ლალატობდა თუ თვალი ატყუებდა. რალაციით იმ ავაზაკთა მეთაურს ჰგავდა, სამცხეში მომავალთ რომ თავს დაესხა და ხელთუქმნელი ხატი რომ არა, ალბათ მისი ცხოვრების გზა იმ მინდორზე დამთავრდებოდა, მაგრამ იმ ავაზაკს თავდაჯერებული, თავხედური გამომეტყველება ჰქონდა, ამ კაცს კი რალაც აწვალეობდა, სულს უმღვრევდა, სხვებისაგან თიშავდა, მის გამოხედვაში უკიდურესობამდე მისული კაცის სასოწარკვეთილება უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გამოწვევა და კალნიერება. მდაბიურად ჩაცმულს თავი ისე ეჭირა, თითქოს შრომისა და ოფლისღვრისათვის უფრო იყო გაჩენილი, ვიდრე ბრძოლისა და სისხლისღვრისათვის და რადგან კაცის ასე გარდაქმნა სერაპიონს დაუჭერებელი ეჩვენა, აღარც ის ირწმუნა, რომ ეს კაცი ავაზაკთა იმ მეთაურს ჰგავდა.

— გამარჯობათ, მამაო სერაპიონ, — მიესალმა გარბანელი და რადგან ხელზე მთხვევა ისურვა, სერაპიონი ფეხზე წამოიღო.

— ღმერთმა გამარჯვება და სიკეთე ნუ მოგაკლოს, ძმაო გაბრიელ, — უპასუხა სერაპიონმა და იქვე დაყრილ ნამორზე მიუთითა, — დაბრძანდით, რასა იქმთ. მოათავეთ მარნის მოწყობა?

— როგორც იქნა, დაადგა საშველი, მამაო, წლებანდელ მოსავალს ისე დავაბინავებთ, რომ არაფერი გაუჭირდება.

გარბანელი და მისი თანამგზავრი ნამორებზე ჩამოსხდნენ. ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა, რასაც აღიდგებელი მდინარის ხმაური და შაშვების ჭახი არღვევდა. ზამთრობით იმდენი შაშვი და ჩხართვი იყრიდა მესხეთში თავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მათი ხორცი გამოუღეველად ჰქონდა. ტყეებშიც ბევრი იყო დათვი, მგელი, ფოცხვერი და მელა. ფრინველთა და ნადირთა ეს სიმრავლე არაბების შემოსევას და ქვეყნის აოხრებას მოჰყვა.

— ჩორჩანიდან თუ ისმის რამე, მა-

მაო სერაპიონ? — ჰკითხა გარბანელმა და თვალი შეავლო ტაძარს, რომლის კედლები უკვე ზემო სარკმელებს ასცდნებოდა.

— სანუგეშო არაფერი, ძმაო გაბრიელ. აქ რომ ვუხივარ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სულთმობრძავე ავადმყოფს ვდარაჯობ. შინააშლილობა ადვილად იწყება და ძნელად მთავრდება.

— ნუთუ გიორგი მაწყვერელი არაკითარ ზომებს არ მიმართავს?

— სისხლმოწყურებულთა დამოშმინება ეპისკოპოსს კი არა, ღმერთს უჭირს, ძმაო.

— ომი აქვთ ერთმანეთში?

— ჯერ არა, მაგრამ ექნებათ.

— ამ ტაძარს რომ ვუყურებ, მეც გული მეთუთქვება, მაგრამ არც ასე ჯდომა და ხელების გულზე დაკრეფა ვარგა, მამაო. საქმე თავისთავად წინ არ წაიწევს, თუ რამე გამოსავალი ვერ ვიპოვეთ.

— მე ამხე ფიქრში ვალამებ და ვათენებ, ძმაო გაბრიელ, მაგრამ ჯერჯერობით ხელჩასაკიდს ვერაფერს მივაგენი.

— მე აქ დღეს იმიტომ ამოვედი, რომ ერთი რამ მინდა შემოგთავაზოთ და თუ ეს საქმე თქვენც დაგიჯდებათ ქუჩაში, ის განძი ტაძრის მშენებლობას რამდენიმე წელიწადს მაინც ეყოფა, მამაო.

— რა განძზე მელაპარაკები, ძმაო გაბრიელ?

— აი, ამ კაცმა მიწაში დამარხულ განძს მიავნო და ჩვენს გაჭირვებას რომ ხელდას, თანახმაა ის განძი მონასტერს შემოსწიროს.

— ეს ამბავი რალაც ზღაპარს ჰგავს, ძმაო გაბრიელ.

— ზღაპრის სათქმელად მე აქ არ მოვიდოდი, მამაო.

სერაპიონმა კვლავ შეავლო თვალი იმ კაცს, მის მეხსიერებას რომ აწვალეობდა და ამ წვალეობას ბოლო არ ეღებოდა. შავი წვერი, ფერმკრთალი სახე, ანთებული თვალები — კი ჰქონდა ასეთი სახე იმ ავაზაკს, მაგრამ როდის იყო ავაზაკები გადამალულ განძს ასე იო-

ლად იმეტებდნენ და მონასტრებს სწირავდნენ. იგი რომ აქ რწმენას, მძიმე ცოდვების მონანიებისა და ხსნის იმედს მოეყვანა, მაშინ ეს გასაგები იქნებოდა, ასეთ რამეზე ქრისტიანების დევნის ხანაში ავანაგები კი არა, რომელი მხედართმთავრებიც კი მიდიოდნენ, მაგრამ ამ კაცს, არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ ქეშმარიტი რწმენის გზას დაადგა, განიმსჭვალა ლეთისმოსაობით, დაიბრუნა თავის პირველადი სახე. მას რაღაც ისეთი აწვალებდა, რასაც ღმერთთან კავშირი არ ჰქონდა, რაც პირადად მის შეურაცხყოფასთან, მარცხთან, რაღაც ისეთის დაკარგვასთან. იყო დაკავშირებული, ურომლისოდაც ცხოვრება უჭირდა. ამაზე არა მარტო მისი გულწათხრობილობა მეტყველებდა, არამედ ისიც, რომ მძიმე გადაწყვეტილების წინაშე იღგა და ამან ცოტათი გააადამიანურა, გააგულუხვა, ცხოვრების შემზარადი და შემადრწუნებელ ჭურღმულეებში ჩაახტა.

— რა გვარი ხარ, შვილო ჩემო? — ჰკითხა სერაპიონმა ნამორზე მორიდებით ჩამოქცადარ ნაცნობს თუ უცნობს და მისი ცხელი სუნთქვა იგრძნო.

— ქუაბელი, მამაო, — უპასუხა მან და სერაპიონმა მის ხმას ყური მიუგდო, მაგრამ ხმა არ ეცნაურა.

— რა გქვია?

— ქავთარ.

— ადრე თუ გინახივარ სადმე, შვილო ქავთარ?

— პირველად მაშინ გნახეთ, მარანში რომ მობრძანდით, მამაო.

— ქავთარ ქუაბელი ისეთი უძრავი, შეუვალი გამომეტყველების იყო, რომ მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, სიმხდალაც და სიმაჰაცეც, სიცრუეც და სიმართლაცეც, განძის პოვნაც და ნაპოვნის მონასტრისათვის შეწირვაც, სხვისი განძის გატაცებაც და სამელოდ გადამაღვა. მის სიტყვებში მოქმედებას მიჩვეული კაცის თავდაპირილობა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გულწრფელობა. ამიტომაც არ ეპარებოდა ეჭვი სერაპიონს, რომ განძი მართლაც არსებობდა სადღაც.

— სად წააწყდი განძს, შვილო?
— იმ დაბაში, მშენებლებმა რომ ცხოვრობენ.

— გასინჯე?

— გავსინჯე, მამაო.

— რა დევს შიგ, შვილო?

— ოქროს თლილი დრაჰენები, მამაო, რომელზედაც პირველ მეფეთა სახეები ამოტიფრული.

— შენს მეტმა არავინ იცის იმ განძის არსებობა?

— რომ იცოდნენ, ვინ დააყენებდა, მამაო.

სერაპიონს თვითონვე გაეცინა საკუთარ სულელურ კითხვაზე, მაგრამ ამ გაჭირვების უამს განძის პოვნა და მონასტრისათვის შემოწირვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საუკუჰმანოდაც კი გაუხდა საქმე. ვინ იცის, ვისია ის განძი, რაღა მიანიცდამიანიც ამ საეჭვო და უთქმელმა კაცმა მიაგნო, რომ გამოუჩნდეს პატრონი და ატეხოს ერთი აღიაროთი, მონასტრმა გამძარცვა, განძი მომპარა და მიითვისაო, მაშინ მას არა მარტო აქ არ დაედგომებოდა, არამედ ეკლესიიდანაც კი განკვეთდნენ და გააძევებდნენ. მართალია, გარბანელი პატროსანი კაცია და სხვაგვარად რომ ყოფილიყო საქმე, ქავთარ ქუაბელს აქ არ ამოიყვანდა, მაგრამ მას გარბანელის მოტყუება და მოლორებაც შეეძლო და მისიც. არადა თუ ის განძი უქმად დევს მიწაში და პატრონი მართლაც არა ჰყავს, ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება უგუნურობა იქნება და მეტი არაფერი, ფიქრობდა სერაპიონი, ფიქრობდა ციებ-ციხელებიანივით, რადგან იცოდა, რომ ახლა ყველაფერი მის სიტყვაზე იყო დამოკიდებული.

— შენ რას იტყვი, ძეო გაბრიელ, აქვს, მონასტერს იმის უფლება, რომ იმ განძს დაეპატრონოს და ტაძრის ასაშენებლად გამოიყენოს? — მიმართა სერაპიონმა გარბანელს და იგრძნო, რომ ამ საუკუჰმანო საკითხს გარბანელის სიტყვა უფრო გადაწყვეტდა, ვიდრე მისი.

— რატომაც არა, მამაო, თუ განძი უქმად დევს მიწაში და პატრონი არა ჰყავს.

— რატომ გგონია, რომ არა ჰყავს?

— მე გგონი, მამაო, განძი არაბების შემოსევამდე დაძალდა. დღეს ამ დაბაში არავენ ცხოვრობს ისეთი, ამდენი ქონება რომ ჰქონდეს, მაგრამ არაბების შემოსევამდე ამ ადგილას პატარა ქალაქი იყო, ქალაქში რამდენიმე ციხე-დარბაზიც კი იდგა და ათიოდე შეძლებული აზნაური და ვაჭარი ცხოვრობდა.

— ეგ აზრი სარწმუნო ჩანს, ძმაო გაბრიელ, მაგრამ შეგვიწინდობს კი ღმერთი ამგვარ საქციელს?

— ჩვენ არავის არაფერს ვართმევთ, მამაო. ის კაცი, ვინც ეს განძი დამარხა, უთუოდ აქაური, მესხი იყო და მისი განძი რომ შესხეთში მონასტრის აშენებას, ამ კუთხის აღორძინებას მოხმარდეს, ამას ღმერთი რატომ გვიწყენს?

— გული მე მაინც მეთანადრება, ძმაო გაბრიელ, არ მინდა მონასტერი რითმე შეიბღალოს ან წაიბილწოს, მაგრამ ახლა ჩვენ ისეთ დღეში ვართ, იმდენ რამეს ექმნება საფრთხე, ისე უპატრონოდ ვართ დაყრილნი, რომ ჯობია სული წავიწყებოდით, ვიდრე ის წახდეს, რაც ამ მხარეს ჩვენზე უფრო სჭირდება.

— მართალს ბრძანებთ, მამაო, რა მოსატანი ვართ ჩვენ იმ საღვთო და საქვეყნო საქმესთან, ურომლისოდაც სიბნელესა და უმეტრებას თავს ვერ დავალწევთ.

სერაპიონს მაინც ისეთი გრძობა ჰქონდა, რომ რაღაცაში ტყუევდებოდა, რაღაცას ვერ ითვალისწინებდა, რაღაცას სჩადიოდა ისეთს, რაც შემდეგ სანანებელი, სავალალო გაუხდებოდა. მაგრამ ახლა, როცა ამგვარი შემთხვევა ეძლეოდა, როცა ბედი თუ განგება ხელს უწყვიდდა, უკან დახევა ტაძრის ისლახი იქნებოდა. ტაძრის ისლახი კი იღვრის ეს ერჩია, რომ თვითონ დაზარალებულიყო და დასჯილიყო, მისთვის მოეკითხათ ის ცოდვები, რაც განძთან იყო დაკავშირებული, ოღონდ ტაძარს წასდგომოდა და შემატებოდა რამე.

— კი მაგრამ, ის განძი აქ ხომ უნდა მოიტანოს ვინმემ. როცა მონასტერს

რაიმეს სწირავენ, ან მოართმევენ ან უგზავნიან... — მიმართა სერაპიონმა უფრო გარბანელს, ვიდრე ქუაბელს.

— ეს ასეც მოხდება, მამაო, იმ განძს მე მოგართმევთ, — უპასუხა ქუაბარ ქუაბელმა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არ მიუმართავთ.

— როდის?

— დღეს, შეღამებისას.

ასეთმა უყოყმანო განცხადებამ სერაპიონი ცოტათი დაამშვიდა. ეს კაცი მატყუარა, ვერაგი და მთლად წამხდარი არ უნდა ყოფილიყო, თუკი განძს, მთელი სიცოცხლე რომ ეყოფოდა საცხოვრებლად და რის გაღებასაც არავინ აძალედა, ასე უშურველად სწირავდა მონასტერს. ეს მის ღვთისმოსაობაზე თუ არა, უანგარობაზე და ქველმოქმედებაზე მაინც მეტყველებდა. შეიძლება სხვაგან, რომელიმე სხვა საქმეში იგი წვრილმანი, მომჭირნე და ანგარიშიანი იყო, მაგრამ მონასტრის მიმართ საარაკო ხელგაშლილობას იჩენდა და სამაგიეროს არაფერს თხოულობდა. ამიტომაც აღარ დაუწყია სერაპიონს ყოყმანი. როგორც კი გადაწყვეტილება მიიღო, ფეხზე წამოდგა, გარბანელსა და ქუაბელს პირჯვარი გადასახა და უთხრა:

— თუ ეს საქმე კეთილი სურვილებითაა ნაკარნახევი და უბიწოა, ჩემს მაგიერად ღმერთი გადაგხდით სამაგიეროს, ის დაგიფასებთ ამაგს. ახლა კი წავალ და როგორც თქვენნი, ასევე საკუთარი სულის დასამშვიდებლად ვილოცებ.

სერაპიონმა ეგეტერს მიაშურა, ხატის წინ მუხლი მოიყარა და ლოცვას შეუდგა. ლოცულობდა დიდხანს, უნდოდა დაევიწყებინა ყველაფერი, რაც ცოდვებისა და უკეთურობისაკენ ექაჩებოდა, მაგრამ მაინც ვერ სწყნებოდა მიწას, ვერ იშორებდა თავიდან იმ ფიქრებს, მის შეგნებაში რომ არევედარევა შეჰქონდა. წინათგრძობაც ისეთი ჰქონდა, თითქოს რაღაც ისე არ ხდებოდა, როგორც უნდა ხდებოდეს, რაც ნათლისაგან იძარცვებოდა და ბნელით იმოსებოდა, სიმრუდესა და სიბილწეს იჩემებდა და სწორედ ამ

დროს მისი გონება დახშული და დაჩ-
ლუნგებული იყო, ცხადად ვერაფერს
ხედავდა, არ იცოდა, ვის ან რას აღდ-
გომოდა წინ, ვის ან რას გაფრთხილე-
ბოდა და გადაფარებოდა. მის სულში
კმუნევა და მწუხარება იკიდებდა ფეხს,
ამაოებისა და არარაობის გრძნობა თი-
თქმის მთლიანად აცარიელებდა და
სწორედ მაშინ ებინდებოდა გონება,
უჩლუნგდებოდა ალლო და აზრი, როცა
სიფხიზლე და გამჭრიახობა ზომამზე მე-
ტად სჭირდებოდა. სახიფათო ის კი არ
იყო, რომ მის ირგვლივ უამრავი წინაა-
ღმდეგობა, გადაუჭრელი საკითხები
და იღუმალეობა იყრიდა თავს, — ეს
ყოველთვის ასე იყო და სიკვდილამდე
ასე იქნებოდა, — არამედ ის, რომ ზო-
გჯერ მოვლენები ხელიდან უსხლტებო-
დნენ, თავის ნებაზე დათარეშობდნენ
და ისე მკაცრად ირახმებოდნენ მის წი-
ნაღმდეგ, ისეთ კვანძს კრავდნენ, რომ
მლის გამოხსნა შემდეგ უმსხვერპლოდ
და უსიხლოდ არ ხერხდებოდა.

— ღმერთო აღიღებულო, შიში და
ძრწოლა მომიხდა მე და დამფარა მე
ბნელმა, შემძრწუნდა ძვალნი ჩემი და
სული ჩემი შემძრწუნდა ფრიალ და აბ-
ლა გვედრები, მაცხონე მე ყოველთა
მდევართა ჩემთაგან და მიხსენ მე“, —
წარმოთქვა სერაპიონმა ისე, თითქოს
მის სულში ფეხმოკიდებული მკმუნევა-
რება აცლუნებდა, აგლახაკაევებდა, თავ-
საც ავიწყებდა და იმ მოვალეობასაც,
ღვთის წინაშე რომ იკისრა. მოვალეო-
ბის დაეიწყების უფლება კი მას ისევე
არ ჰქონდა, როგორც ღვთის სიყვარუ-
ლზე ხელის აღებისა, ან საკუთარი თა-
ვის მოკვლისა და ეს კიდევ უფრო ამ-
ძიმებდა იმ მკმუნევარებას, დროდადრო
მახრჩობელა გველივით რომ შემოხვე-
ოდა ყელზე და მოგუტდვას უპირებდა.
ამ დროს ერჩია საერთოდ წართმეოდა
გონი და თვალის ჩინი, მკვდარივით და-
ვარდნილიყო მიწაზე, ვიდრე ისე დაჩ-
ლუნგებულიყო და დამდაბლებულიყო,
როგორც კემშარიტებისაგან განძარ-
ცული შლეგი. ამ სულიერ სიდუხჭირეს
იგი რწმენის ნაკლებობას აბრალებდა
და არა საკუთარი ადამიანური ბუნე-

ბის ნაკლოვანებას და სწორედ ეს აე-
კვიანებდა და ქენჯნიდა მწარედ.
„ვიდრემდის უფალო დამეიწყებ მე
სრულიად, ვიდრემდის გარე მიიქცემ
პირსა შენსა ჩემგან, მომიტყევე ყოველი
ცოდვანი ჩემნი და ურვათა ჩემთაგან
გამომიყვანე მე“, — შეპალადა სერა-
პიონმა უფალს და რადგან გრძნობდა,
ლოცვა და ფიქრი ერთად არ გამოუვი-
დოდა, ფეხზე წამოდგა.

როცა სერაპიონი ეგეტერიდან გავი-
და და ტაძრისაკენ წალასლსდა, მზე
უკვე ჩადიოდა. დაგრძელებული ჩრდი-
ლები სიმკვეთრესა და სიმძინეს იძენ-
და და სიფერმკრთალეს კარგავდა. ჩა-
მუქებული მთების ლურჯ ზოლს უკან
დაეხია, კიდევ უფრო ვაბუნდოვანებუ-
ლიყო და გაგულგრილებულიყო. მსუ-
ბუქი ნისლი უკვე წყდებოდა მიწის
პირს, ნაცრისფერდებოდა და ნესტიო
იღვინებოდა. სერაპიონს ეგეტერიდან
მუხლების ტკივილთან ერთად თავის
ტკივილიც გამოჰყვა, ისეთი გრძნობა
ჰქონდა, თითქოს ნაგვემი და ნათრევი
იყო. თრგუნავდა ისიც, რასაც ირგვლივ
ხედავდა — ცარიელი ხარაჩოები და
მოწითალო ბურუსი, ყველაფერს რომ
ფერს უცვლიდა და ანაღელიანებდა.
მზის ჩასვლა ბედისწერის ბრუნვის
ჰგავდა, უცილობელ, გარდუვალ ბრუ-
ნვას, რასაც ვერსად გაეჭკევი. ტაძრის
წინ ნამორზე ჩამომჯდარი გარბანელი
სერაპიონმა მაშინ შენიშნა, როცა შო-
რიდან ადამიანების ყვირილი და ყაყა-
ნი მოესმა. ეტყობა გარბანელს ფეხი
არ მოუცვლია ადგილიდან. იჭდა და
ელოდა ქუაბელის დაბრუნებას. სერა-
პიონი ისე ჩამოქდა გარბანელის გვერ-
დით, თითქოს უზარმაზარი ტვირთი
მოჰქონდა თან.

— ისეთი ცუდი ვადევთ, მამაო სე-
რაპიონ, ან ფრედად გრძნობთ თავს, ან-
და რალაც შეგემთხვათ, — უთხრა გა-
რბანელმა.

სერაპიონს გარბანელის სიტყვებისა-
თვის ყურადღება არ მიუქცევია. მხო-
ლოდ ეს ჰკითხა:

— არ ჩანს ქუაბელი?

— ჯერ არა, მამაო.

— დაბის მხრიდან ყვირილი და ყაყანი ისმის. ნეტა რა ხდება?

— ყვირილი მეც შესმის, მამაო.

— წავიდეთ, გავხედოთ, რამე უბედურება ხომ არაა ჩვენს თავს.

სერაპიონი მძიმედ წამოადგა და, იქითკენ დაიძრა, სადაც მონასტრის გალავნისათვის კარიბჭეზე უნდა შეებოთ. გარბანელი უკან მიჰყვა. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ლიობს, მით უფრო ძლიერდებოდა ყვირილი და ყაყანი. ცხადი იყო, რომ ბრბო მონასტრისაკენ მოექანებოდა და ვიღაცას ემუქრებოდა, მის შეპყრობასა და გასრესას მოითხოვდა. მოსალოდნელმა საფრთხემ თუ უბედურებამ სერაპიონი გამოაცოცხლა, გონება გაუხსნა, ალღო გაუმახვილა. ახლა საკეთარ უგუნებობაზე და დამთხვეულობაზე ფიქრის დრო არ იყო. ვიღაცას შველა და დახმარება სჭირდებოდა და ეს დახმარება მისთვის მას უნდა აღმოეჩინა. სერაპიონმა ნაბიჯს აუჩქარა და სწორედ მაშინ, მონასტრიდან რომ უნდა გასულიყო, ეზოში შეშლილივით შემოვარდა ოფელში გაწურული, აქლოშინებული ქვეთარ ქუაბელი, რომელსაც ილიაში ფუთა ჰქონდა ამოჩრილი და ისე გავარდა ტაძრისაკენ, რომ სერაპიონი და გარბანელი არც კი დაუნახავს. სერაპიონი ერთი წუთით შემობრუნდა: ქანც-გაწყვეტილმა ქუაბელმა ტაძართან მიიზინა, ფუთა ერთ-ერთ ქვედა სარკმელში შეაგდო, თვითონ კი ტაძარს შემოუარა და გვერდითი კარიდან ტაძრის ქვაბულში გაუჩინარდა. ამასობაში მზე ჩავიდა, ქვეყანას ჩრდილი დაეპატრონა. სერაპიონი ოდნავ დამშვიდდა. ტაძრის ქვაბულში იმდენი საიდუმლო მისახვევ-მოსახვევები, ბაქნები და კრიბტები იყო, კაცის მონახვა ღამით კი არა, დღისითაც უსაშველოდ გაჭირდებოდა. ბრბოს ყვირილი და ყაყანი ბერებმაც გაიგონეს კელიონში და ლიობთან მოიზინეს. არაუინ იცოდა, რა ხდებოდა. ამ დროს მონასტრის ეზოს კეტებითა და ქვევებით შეიარაღებული გაავებული ბრბო მოაწყდა. სერაპიონმა არ იცოდა, დაინახეს თუ არა მათ ქუა-

ბელმა რომ მონასტრის ეზოში შემოიზინა, მაგრამ ყოყმანი აღარ დაუწყია და ბერებთან ერთად ბუბუქს წინ აღუდგა. მის დანახვაზე ბრბო შეჩერდა, მაგრამ არ დამცხრალა. სირბილმა, დევნამ და მსხვერპლის ხელიდან გაშვებამ კიდევ უფრო გააბოროტა ხალხი.

— ერნო და შვილო ჩემნო, რა მოხდა, ვის მოსდევთ, რამ გავაცხარათ ასე? — მიმართა სერაპიონმა ბრბოს, როცა ყაყანი ცოტათი ჩაცხრა.

სანამ ყველა ერთად გამოთქვამდა გულსწყრომას, სერაპიონმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ შემდეგ ბრბოს ერთი შუახნის, მსხვილნაკეთებიანი, სახედაძარღვეული მამაკაცი გამოეყო. მის გამოხედვაში სიმძიმე და შურისძიებით შეპყრობილი კაცის მრისხანება იგრძნობოდა. ხმა ძლიერი და მოუხეშავი ჰქონდა.

— აგვიკლეს ავაზაკებმა, მამაო, ამას წინათ საქონელი წაასხეს დაბიდან და ვერაფერი დავიბრუნეთ, დღეს კი ერთ-ერთი მათგანი კვლავ შემოგვებარა დაბაში, მაგრამ ვიცანით, გამოვედევნეთ, გვინდოდა შეგვეპყრო, ძვალი რბილად გავგეხადა, ისე მოგვექცია, სხვებსაც დაკარგოდით ძარცვის სურვილი, მაგრამ გამოგვექცა და თქვენს მონასტერს შეაფარა თავი.

სერაპიონი მიხვდა, კიდევ ერთი ცოდვით რომ უნდა დაემძიმებინა სული და ტყუილი ეთქვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. ახლა სიმართლის თქმა იგივე იქნებოდა, რომ ქვეთარ ქუაბელი საწამებლად და სასიკვდილოდ გაემეტებინა, რაც კიდევ უფრო დიდ ცოდვა იქნებოდა, ვიდრე ტყუილის თქმა.

— დარწმუნებული ხართ, რომ მონასტერს შემოაფარა თავი? — ჰკითხა სერაპიონმა მსხვილნაკეთებიან მამაკაცს.

— სხვაგან სად უნდა წასულიყო, მამაო, აქეთ გამოიქცა.

— მოგტაცათ ან მოგპარათ რამე?

— ვერ მოასწრო, მამაო, მაგრამ ავაზაკი და მტაცებელი რომაა, ვიცით.

სერაპიონი ისევ შეიპყრო ექვებმა.

კი ჰგავს და მართლაც ის ავაზაკი ხომ არაა, ჩვენც რომ დაგვესხა თავს, გაიფიქრა სერაპიონმა, მაგრამ ახლა დაეჭვებისა და ვარაუდის დრო არ იყო და ეს ფიქრი სწრაფად მოიშორა თავიდან. ბრბო რომ ცოტათი მაინც დაემშვიდებინა, სერაპიონი მის უკან გაჩერებულ ბერებს მიუბრუნდა და ყველას გასაგონად ჰკითხა:

— უცხო კაცს თუ მოჰკრა რომელიმე თქვენთაგანმა მონასტერში თვალი?

— არა, მამაო, — უპასუხა თითქმის ერთხმად ყველამ.

სერაპიონი ისევ ბრბოს მიუბრუნდა.

— არც მე მგონია, ავაზაკს რომ მონასტრისათვის შემოეფარებინოს თავი, მაგრამ ჩენი თუ არ გჭერთ, აგერ თქვენ და აგერ მონასტერი. ეძიეთ და იპოვეთ — უთხრა სერაპიონმა მათ და ისე ვადგა ვანზე, თითქოს მასაც ის უნდოდა, რომ დამნაშავე შეეპყროთ და დაესაჯათ. ამასობაში ჩამობნელდა კიდეც. უმთვარო ღამე იყო და უმშხალოდ ტაძრის ქვაბულში დამალულ კაცს კი არა, გზას ვერ იპოვიდა კაცი. დაბელებმა ერთხანს იდავეს, იყაყანეს, უწმარური სიტყვებით ააქოთეს იქაურობა, მაგრამ, რადგან, არც მამხალეები ჰქონდათ და ვერც მონასტერს გაუბედეს გაჩხრეკა, ხმა დაიდაბლეს და დაცხრნენ.

— ერთო და შეილნო ჩემნო, — მიმართა სერაპიონმა დაბელებს, — ის კაცი რომ შეგეპყროთ და მოგეკლათ, ცოდვით დამძიმებულნი დაბრუნდებით შინ, მაგრამ ღმერთმა მძიმე ცოდვა აგარიდათ, არ წაგაწყმედინათ სული, არ მოგაკვლევინათ კაცი, რომელსაც ამჭერად თქვენთვის არაფერი წაურთმევია და კიდეც უფრო გააზარებთ უფალს, თუ შინ დაბრუნდებით და ლოცვით მოიხიბებთ გულს.

— ავაზაკი კაცი კი არა, მხეცზე უარესია, მამაო, კიდეც ჩაგვივარდება ხელში და ცოცხლად გავაძრობთ ტყავს, — თქვა მუქარით მსხვილნაკეთებიანმა მამაკაცმა და ისე გაბრუნდა დაბისაკენ, სხვებისთვის არაფერი უთქვამს. ბრბო ნელნელა დაიშალა. სერაპიონი მანამდე

არ შემობრუნებულა მონასტრის ეზოში, სანამ უკანასკნელი კაცი არ გაეცალა იქაურობას. როცა მობრუნდა, უკან გაბრეულ გარბანელის მეტი არავინ იდგა.

— ხომ გაიგონე, რა თქვეს დაბელებმა იმ შენ ქავთარ ქუაბელზე, ძმავო გაბრეულ, მონახე და ჩემი სახელით უთხარი, ამაღამე გაეცალოს აქაურობას.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, მამაო სერაპიონ, თუ რამ ცოდვია ამ საქმეში, მე ვიღებ ჩემს თავზე და ყველაფერს ისე მოვაგვარებ, როგორც საქირთა.

სერაპიონი გარბანელს გაეცალა და ეგვიტერისაკენ წავიდა. ამაღამ მაინც არ დაეძინებოდა და ჯობდა ღამე ლოცვა-ვედრებაში გაეტარებინა. ბნელი სულში უძვრებოდა, ბოლოდროინდელი უსიამოვნებანი და უწესობანი ტვინს უმღვრევდა, გზას უმრუდებდა და ეს გზა იქითგან მიემართებოდა, სადაც უსიხარულო დღეები იღებს სათავეს.

იმ დღიდან ორი კვირა გავიდა და სერაპიონმა ძლივს დააღწია უგუნებობას თავი. მორწმუნე კაცისათვის ჰმუნვა ისეთივე ცოდვა იყო, როგორც უგუნლოდ ლოცვა ან ზერელედ წირვა. სხვები თუ არა, ღმერთი ხომ ხედავდა, რა მოშხამული დადიოდა, უხალისოდ წებებოდა და დგებოდა. ბერს რომ მზის ამოსვლა არ უხარია, ის ბერი შენდობისა და ღვთის წყალობის ღირსი არაა. ამიტომ არ გაუხდია ორი კვირის მანძილზე ჩოხა, არ შეუდგამს ფეხი სატრაპეზოში, მთელი დღეები მონასტრის ირგვლივ დახეტიალობდა და ტყის ნაცოფით იკვებებოდა. მონასტრის მამული თვალს ახარებდა, შენდებოდა, მშვენიდებოდა, ზერები და ხეხილის ბაღები უკვე მსხმოიარენი იყვნენ, მწვანედ ბინებებდა ბალჩაბოსტნებიც, მრავლდებოდა ფუტკარი, სანთელი იმდენი ჰქონდათ, რომ სამცხის ეპისკოპოსსაც უნაწილებდნენ. როცა ყველაფერი დასრულდებოდა და საბოლოო სახეს მიიღებდა, მონასტერი სამასიოდ ბერ-მონაზონს დაიტევდა და გამოკვებავდა, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ტაძრის აშენება იყო და არა მამულის მო-

ვლა-პატრონობა. მიმულს სხვებიც მოუვლიდნენ. ტაძრის აშენებელი კი მის გარდა არავინ ჩანდა. შეიძლება ამიტომაც ეშხამებოდა გუნება, ამიტომაც ჩლუნგდებოდა და ცოდავდა. ტაძარი მარტო ბერ-მონაზვნების სამლოცველო კი არ იქნებოდა, არამედ ცისკენ ზეალმართული სხივიც, სამცხეს რომ ღმერთთან დააკავშირებდა და ჩაუქრობელ კელაპტარივით იკაშკაშებდა. მაგრამ ახლა ეს კელაპტარი ძლივს ბეუტავდა, ხრჩოლავდა, მკვარტლით იფარებოდა და თუ ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდებოდა ასე, შეიძლება მთლად ჩამქრალიყო. ეს კი მონასტრისათვისაც მომავლდინებელი იქნებოდა და მისთვისაც. ამიტომაც იდგა მძიმე არჩევანის წინ, ამიტომაც უნდა ელონა ყველაფერი, ეს მბეუტავი კელაპტარი რომ არ ჩამქრალიყო, ამიტომაც უნდა ამოეფხიკა გულიდან ეპვი, უგუეგლო მერყეობა, ჭოკმანი და გადაედგა ის ნაბიჯი, მისგან რომ საქმე მოითხოვდა და არა სულის ცხონებაზე ფიქრი. მართალია, ამით მის ცოდვებს კიდევ ერთი დიდი ცოდვა მოემატებოდა, მაგრამ ის, ვისაც მხრებზე ტაძარი აღგას, მეტისმეტად შორს არ უნდა იყურებოდეს.

როცა ირიტრათა, როცა გარედან შემოჭრილმა სინათლემ ბნელი შუაზე გააბო, სერაპიონი უკვე ფეხზე იყო და გრძნობდა, ამოივსო ის სიცარიელე, გამოქვაბულივით რომ ედგა მკერდში, უკან დაიხიეს ავმა სულებმა, აღარ შხამავდნენ, აღარ ჭიჭინდნენ უმოწყალოდ, ისევ შეიკრა, გამთლიანდა ის უხილავი ძაფი, მას რომ მონასტერთან და ტაძართან აკავშირებდა. მან არ იცოდა, რა მოხდა, მოეჩვენა თუ ესიზმრა, მაგრამ წუხელ გაჩირაღდნებულ ტაძარში წირავდა, საკმევლის სუნით ისე იყლინებოდა ყველაფერი, თითქოს ეს სურნელება მარადიული სამყაროდან მოედინებოდა და როცა თვალი გაახილა, იგრძნო, რომ განიკურნა უგუნურებისაგან, დააღწია თავი ჭმუნვასა და უგუნებობას. შეიძლება ამას იმანაც შეუწყუ ხელი, რომ გუშინ ამბავი მოუტანეს, იოანე უკვე შეუდგა მონასტრის

მშენებლობას და ზანაველების პატივისცემა და სიყვარული დაიწყო. ეს კი იმას ნიშნავდა, მთი მონასტრობის ნაყოფი მრავლდებოდა, იტოტებოდა, სივრცეს ისაკუთრებდა, მონასტრის კი დროზე მეტად სივრცე სჭირდებოდა, რადგან წარმავლობა ნაკლებად ხელყოფს იმას, რაც სივრცეშია განფენილი, რასაც ქერი აღგას თავზე და გალავნითაა შემოზღუდული. ეს იოანესაც ისევე კარგად ესმოდა, როგორც მას და არ შეეუბნებოდა სიძნელეებს და გაჭირვებას, არ მიატოვებდა საქმეს შუა გზაზე, არ უღალატებდა ღმერთსა და ეკლესიას. იგი მართლაც ღვთის რჩეულია და ყველაზე ადრე და უკეთ ეს ესნა ცივნარისძემ იგრძნო თავისი ქალური ალღოთი და გუმანით — განაგრძობდა სერაპიონი ფიქრს, ესნა სულიან-ხორციანად მიწიერი არსებაა, მიწაზე ეძებს რჩეულსა და ქველს და რადგან არჩევანი იოანეზე შეაჩერა, ეტყობა შინაგანმა ხმამ უკარნახა, რომ იოანე სხვებისაგან გამორჩეული და სხვებზე მეტად ქველია.

სერაპიონმა ხატის წინ მუხლი მოიყარა და ლოცვას შეუდგა. ღმერთს მადლობას სწირავდა, ბნელი ჭურღმულიდან რომ გამოიყვანა, ეშმაკეული რომ ჩამოაცილა და ისევ აზიარა სინათლესა და სიხარულს, რაც უფრო დიდხანს და მხურვალედ ლოცულობდა, მით უფრო მშვილდებოდა, მით უფრო უბრუნდებოდა საკუთარ თავს და როცა ფეხზე წამოდგა, ჩოხა ვაისწორა და წვერზე ხელი ჩამოისვა, იგრძნო, რომ თავის ციხე-დარბაზში, თავის სამფლობელოში იმყოფებოდა და ახლა მის გამჭრილობაზე, ჭკუაზე და ნებაზე იყო დამოკიდებული, აყვავდებოდა ეს სამფლობელო თუ დაიქცეოდა, ჩირაღდანივით აბრიალდებოდა თუ მბეუტავ კელაპტარივით ჩაჭრებოდა.

სერაპიონი მონასტრის ეზოში ჩაივიდა და ეგვეტრისაკენ აპირებდა წასვლას, სადაც დილის წირვა უნდა ჩაეტარებინა, როცა ზურგზე ხელმედაწყობილ შუარტყელელს მოჰკრა თვალი. ხუროთმოძღვარი ტაძრის წინ დადიო-

და, და გამომეტყველებაზე ეტყობოდა, ვილაცას ლანძღავდა და ავინებდა გუნებაში, გამორიცხული არ იყო, მონასტრის წინამძღვარსა და მთელ ამ მხარეს. სერაპიონს ცოტათი შეებრაღა კიდევ იგი, შუარტყელელი იმ კაცს ჰგავდა, ვისაც ყველაზე გემრიელი ლუქმა პირიდან გამოაიკალეს და მშრალზე დატოვეს. ამიტომაც არ შეუცვლია გამომეტყველება, როცა შუარტყელელ მიუახლოვდა და ჯიქურად უთხრა.

— მაშო სერაპიონ, ტაძარი მარტო წირვა-ლოცვით არ აშენდება. სადამდე უნდა ვეყაროთ უქმად?

— შენ რა უფრო გაშინებს, შვილო ჩემო, უქმად ყოფნა თუ მოახლოვებულის სიბერე?

— ამას რატომ მეკითხებით, მაშო?

— შენც რომ ჩემსავით გწამდეს და ჩემდენს ლოცულობდე, შიში არც შენს გულს გაეკარებოდა.

— შიში აქ რა შუაშია, მაშო?

— იმ შუაშია, რომ შიშობ, ვაი თუ ტაძრის აშენება ვერ მოვასწროო და ამის გამო ისე გვიბღვერ, თითქოს დამნაშავენი ჩვენ ვიყოთ.

— ასეც რომ იყოს, საძრახისი ამაში რა არის, მაშო?

— არაფერი, შვილო ჩემო, მე მხოლოდ ის მინდა, რომ გწამდეს და ეპვი არ გეპარებოდეს იმაში, ტაძარი უსიკვდილოდ რომ აშენდება.

— რით, მაშო, ქვა ჩვენ არა გვაქვს და დულაბი.

— მალე, შვილო ჩემო, სულ მალე ქვაც გვექნება და დულაბიც.

— ღმერთმა გისმინოთ, მაშო, მაგრამ ეს მალე რამდენ ხანს გაგრძელდება?

— მალე იმას ჰქვია, შვილო ჩემო, რაც დიდხანს არ გრძელდება. ის შენიშვნები თუ შეიტანე სამარეკლოს გეგმაში, მე რომ მივითითე.

— კარგა ხანია, მაშო.

— თუ შეიტანე, ზვალიდან შეგიძლია სამარეკლოს ქვაბულის ამოღება დაიწყო. ამისათვის ის მუშახელიც გეყოფა, მონასტერს რომ შემოაფარა თავი.

— ტაძარი, მაშო?

— არც ტაძარს დააკლდება რამე.

— მადლობა ღმერთს, გაფოჯდე კაცი ლოდინში, — თქვა შუარტყელელმა და მის პირქუშ, ოდნავ გაფერმკრთალებულ სახეზე სიხარულის ღიმილმა გამოჟონა. იგი ავი და ბოროტი კაცი არ იყო, მისი უხეშობა უფრო მორცხვობის, მარტობისა და გულჩათხრობილობისაგან მომდინარეობდა, ვიდრე შულისა და ბოლისაგან. ამას ის საშინელებებიც ემატებოდა, ცხოვრებაში რომ ჰქონდა გამოვლილი. ამიტომაც არ უყვარდა წარსულზე და საკუთარ თავზე ლაპარაკი და მის სულში რომ ვინმეს ხელის ფათურის სურვილი არ გასჩენოდა, არ დაენახა მისი ნამდვილი ბუნება, საქმეს აკვდებოდა და ღრენითა და უხეშობით იცავდა თავს. საქმესა და ურთიერთობაში უაღრესად კეთილსინდისიერი იყო, არც გასამრჯელოს დახარბებია ოდესმე და არც სხვებისთვის დაუკლია ან წაურთმევია რამე. მას შენება, საკუთარი ნახელავისათვის თვალის შევლება უყვარდა და არა აწყობილი, უზრუნველყოფილი ცხოვრება.

— მაშ, ზვალიდან საქმეს ვიწყებთ, მაშო? — ჰკითხა შუარტყელელმა ისე, რომ წარბები არ შეუქმუნხნია.

— ჰო, შვილო ჩემო.

— რაღა ზვალიდან, მაშო, საქმის დაწყება დღესაც შეიძლება.

— არა, შვილო ჩემო, ზვალამდე ყველაფერს გონივრულად აწონ-დაწონი, გაითვალისწინებ იმ წერილმანებსაც, რომელთათვისაც აქამდე ყურადღება არ მიგიქცევია, შეარჩევ ხალხს, წვერს წაუმახავ იმ სამუშაო იარაღს, უქმად დებისაგან რომ დაბლაგვდა და ზვალდილით მშვიდად შეუდგები საქმეს.

— კეთილი, მაშო, იყოს ნება თქვენი, ზვალ კი, რა მიზეზიც არ უნდა გამოჩნდეს, საქმეს მაინც შეუდგებით.

— ასე ქენი, შვილო, ღმერთი იყოს შენი შემწე.

შუარტყელელი ცოცხლად შეტრიალდა და იმ ფარდულისაკენ წავიდა, სადაც სამშენებლო იარაღი ინახებოდა. სერაპიონმა მას თვალი გააყოლა და კიდევ ეროხელ დარწმუნდა, რომ მშენე-

ბლობა საიმედო კაცის ხელში იყო, მიხვდა იმასაც, შუარტყელული რომ აქ მონასტრის ეზოში დაიმარხებოდა, ხოლო მანამდე რომელიმე ქვაზე, შეიძლება ყველაზე მიმალულზე და მიჩქმალულზე მაინც ამოაკვეთინებდა რომელიმე ოსტატს, რომელსაც შეთქმულავით დაუახლოვდებოდა, ტაძარი ააშენა ამან და ამან, ქორონიკონის ამა და ამ წელსო. უეცრად სერაპიონს მთელ სხეულში სითბომ დაუარა და ეს სითბო გარემომაც შეიწოვა. იგი ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მის ზურგს უკან მზე ამოდიოდა, ქვეყანას ნათელი ეფინებოდა — მთები, ხეები, ბუჩქები და ნაგებობები, ქვებიც კი შარავანდელით იმოსებოდნენ და მათი ანარეკლი პირწმინდად ავიწყებდა იმ დღეებს, კმუნეასა და უმოქმედობაში რომ გაატარა, იმ ფიქრებს, დილიდანვე რომ შხამავდა და აჩლუნგებდა, ამოცების იმ გრძნობას, საქმეს რომ ავიწყებდა და უდაბნოსაკენ ექაჩებოდა, ამას მისი ლალი სუნთქვაც ადასტურებდა და ხალისიანი მზერაც. თუმცა მან წინასწარ იცოდა, აღრე თუ გვიან ამგვიანი დილა გათენდებოდა და უეცრად მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას, მონასტრის მშენებლობის საქმეს რომ ადგილიდან დაძრავდა, მაგრამ არ ეგონა ყველაფერი ეს თუ ასე მალე, ასე მოულოდნელად მოხდებოდა. თუმცა იმას, რაც მოულოდნელად ხდებდა, მეტი სიხარული, მეტი სილამე მოაქვს და სერაპიონს მართლაც უხაროდა მის ზურგს უკან რომ მზე ამოდიოდა და კვლავ ცხოვრებასთან რომ იყო დაკავშირებული.

კელიონიდან ბერები ჩგუფ-ჩგუფად გამოდიოდნენ და ეგვტერიასაკენ მიდიოდნენ: მალე დილის წირვა უნდა დაწყებულყო და სერაპიონმაც ეგვტერიასაკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით რომ შემოვარდა დედა ალათია მონასტრის ეზოში და პირდაპირ მისკენ გამოექანა. სერაპიონს გულმა რეჩხი უყო. ალათია იმდენად აღეკვებული და გაფითრებული ჩანდა,

რომ მისი ამ დილით აქ ამორბენა თუ უბედურების მომასწავებელი არა, ამ ხალისიანი დილის წამამწარეული მაინც იქნებოდა. სერაპიონმა შორიდან დაინახა დედა ალათიის დაწვები, ზედა ტუჩი ოფლით დაეკარული ჰქონდა, მაგრამ როცა მასთან მოიბინა და წინ გაუჩერდა, მისი შემარწუნებელი სახის გამომეტყველებამ სერაპიონი დაარწმუნა, რომ რალაც საშინელება მოხდა, რალაც ისეთი, რის მსგავსიც აქამდე მონასტერში არ მომხდარა. სერაპიონი გაფითრდა, ერთი წუთით ენაც კი დაეხა და ხმა მხოლოდ მის შემდეგ ამოიღო, როცა გონს მოეგო.

— რა მოხდა, დედაო ალათია?

— უბედურება მამაო სერაპიონ, დიდი უბედურება.

სერაპიონს ფიქრისა და ვარაუდის თავი არ ჰქონდა, ამიტომაც თვითონაც იგრძნო, რომ ყელიდან უხეში ბგერები ამოხრიალდა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— მოკლეს, მამაო სერაპიონ, როგორც ბატყანს ისე გამოჰრეს ყელი.

სერაპიონმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მის თვალწინ ისევ ჩამოწვა ნისლი და უკუნი, ისევ აბობოქრდნენ ეშმაკეულნი, ისევ შემოერტყნენ ირგვლივ ცოფმორეულნი და დუქმორეულნი. მხრებზე უზარმაზარი სიმბიმი დააწვა და მასთან ერთად მთელი სამყარო მოიხარა ბუქებში. ჯობდა საერთოდ არ გათენებოდა ეს დილა, მაგრამ ახლა, როცა მასთან მოიბინეს და მისგან ელოდნენ შველასა და შემწეობას, უფლება არ ჰქონდა გაქცეოდა ბედუქულ-მართობას და უბედურებას, სხვებისათვის გადაელოცა საკუთარი ტვირთი.

— ვინ მოკლეს, დედაო ალათია? — იკითხა სერაპიონმა ისეთი ხმით, თითქოს იცოდა კიდევ, რა პასუხს მიიღებდა და არც იცოდა.

— ესნა ციხნარისძე, მამაო სერაპიონ.

სერაპიონს უკან აღარ დაუხევია, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გულიდან სისხლმა იფეთქა და კუჭ-ნაწლავში ჩაელვარა. ნუთუ დღევანდელი დილა იმითომ გაუთენდა, რომ ეს ამ-

ბავი გაეგო, ნუთუ ლმერთმა იმიტომ მოაბრუნა ცხოვრებისაკენ, რომ ამგვარი გამოცდა მოეწყო, ნუთუ ესნა იმიტომ მოიყვანა მონასტერში, რომ ძალიებით დაეკლათ და მისი სისხლიც მას დასწროლოდა კისერზე ცოდვად, ნუთუ ყველაფერი უნდა მოისპოს და დასამარდეს, რაც უჩვეულო, ნატიფი და განუმეორებელია, ნუთუ მონასტერს იმიტომ აშენებს, რომ მის ეზოში საფლავები გაუთხაროს იმათ, ვისაც სულიერ მამობას უწევდა, უყვარდა და თანაუგრძნობდა, ნუთუ ცოდვა არ არის ის, რომ საკუთარი ხასიათის უზიარობის გამო ასე უყურადღებოდ მიატოვა ქალი, რომელსაც სასიკვდილო საფრთხე ელოდა და მან ეს წინდაწინვე იცოდა, ნუთუ ზანავეში იმიტომ არ გაუშვა, რომ მისი სიკვდილით იოანესათვის ცდუნება და უსიამოვნება აერიდებინა, ნუთუ წინასწარ არ უნდა სცოდნოდა, რომ მიუხვედრელი და ბეცია და ამ სიბეცეს სისხლისღერა და მსხვერპლი მოპყვებოდა, ქენჯინდა სერაპიონი საკუთარ თავს და მის წინ რომ დედა აღათია იდგა, მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა ღრუბლის ქულამ მზე დაჩრდილა.

— როდის მოხდა ეს ამბავი, დედაო აღათია?

— წუხელ, მამაო სერაპიონ.

— თქვენ როდის გაიგეთ?

— ამ დღით, მამაო.

— საკუთარი თვლით ნახე?

— ნეტა თვალები დამესებოდა და ეს საშინელება არ მენახა, მამაო.

სერაპიონი ისე გავიდა მონასტრიდან, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. ასე შეძრული და დამწუხრებული არასოდეს ყოფილა. მიდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვით სიკვდილს უნდა შეყროდა. ახალგათენებული დღე დაბნელდა, ჩაქვესკნელდა. ანდა რად უნდოდა სინათლე, ის, რასაც მისი თვალები დაინახავდნენ, მხოლოდ თავზარდამცემი და შემამრწუნებელი იქნებოდა. სერაპიონი საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ უთეთრდებოდა წვერი, როგორ ემატებოდა ხანი, ფეხსაც კი ისე ადგამდა, თითქოს მუხლუ-

ბში ძალა აკლდებოდა. რა მშვიდი, რა ნათელი ცხოვრებით ცხოვრობდა მანამდე, სანამ ნეტარ მიქაელს ანგელოზი არ გამოეცხადა და არ აუწყა, სამცხეში მონასტერი უნდა ააშენოთ და ამ საქმის აღსრულება მამა სერაპიონს უნდა დაავალოთო. მაშინ მის ირგვლივ არაფერი ხდებოდა ისეთი, გულსაკლავი და დამამწუხრებელი რომ ყოფილიყო, მისი პირიდან მხოლოდ ღვთის სადიდებელი სიტყვები ამოდიოდა და არა ოხვრა და კვნესა, მისი თვალები მხოლოდ ცას, ხატსა და ანგელოზებს ხედავდნენ და არა სისხლსა და თელგამს. მისი შენაძენი მხოლოდ ღვწილი და სიქველე იყო და არა ცოდვა და ბიწიერება, მისი სულის სამცხის პერიოვით მსუბუქი იყო და არა ტყვიასავით დამძიმებული და ახლა ამას ისეთი ჭრილობა მიემატა, რომელიც სიკვდილამდე არ მოშუშდებო.

სერაპიონმა ისე ჩაუარა დერეფანში გამოცვნილ, გაფითრებულ მონაზვნებს, რომ მზერა არავისზე შეუჩერებია, მაგრამ მათი სახის გამომეტყველების მიხედვით მაინც მიხვდა, რომელი იყო ესნა ცივანარისძის სენაკი. ერთხანს ისე იდგა კარის წინ, თითქოს ვერ გადაეწყვიტა შეეღო კარი თუ უკან გაბრუნებულყო, ხელები უკანკალებდა, მუხლები ეკვეთებოდა, ერჩივნა დაბრმავებულიყო და არ დაენახა ყელგამოღარული ანგელოზი, მაგრამ მონასტრის წინამძღვარი იგი იყო, მისი განკარგულების გარეშე ჩხირსაც ვერ გადააბრუნებდნენ, ყველა მას უმზერდა. მას ელოდებოდნენ და სერაპიონმა ისე შეალო სენაკის კარი, თითქოს ვილაცამ ძალა დაატანაო. ერთი წამით დაბრმავდა, თვალის ჩინი წაერთვა, ზოლო როცა კვლავ დაუბრუნდა მხედველობა, სიკვდილივით გაფითრდა და ისე გაშრა, თითქოს მთელი სხეული სისხლისაგან დაეცალა. ესნას საწოლიდან თავი გაღმოვარდნოდა, მისი გიშრისფერი თმა იატაკზე დაფენილიყო, თეთრი კვართი მხოლოდ გულთან და მარცხენა მხართან ჰქონდა სისხლით დასერილი, ბასრი დახით გამოჭრილი ყელიდან სისხლი აღარ

ჟონაედა, მაგრამ იქ, სადაც მისი თმა ეფინა, სისხლის დიდი გუბე იდგა, იმხელა გუბე, რომ სერაპიონს გაუტყვირდა კიდევ, ამ შოლტივით ქალის სხეულში ამდენი სისხლი როგორ იდგა. სახე ისეთივე თეთრი და მშვენიერი ჰქონდა. როგორც ყოველთვის, ეს სიმშვენიერე სიკვდილსაც კი ვერ დაეჩრდილა. ეტყობა წყეული ავაზაკი მძინარეს დააღვა თავზე, თმებით მოქაჩა, თავი უკან გადაუწია და სანამ ესნა გონს მოვიდოდა, დანა ყელში გამოუსვა, გაიფიქრა სერაპიონმა და იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა, წაქცევას აღარაფერი უკლდა და თუ ღროზე არ გავიდოდა სენაკიდან, შემდეგ ხელით გასატანი შეიქნებოდა. მუხლი რომ არ მოეცოდა, კარს ჩაებლაუჭა და როცა დერეფანში გავიდა, კედელს მიეყრდნო. დედა ალათიამ წყალი მოუბრუნინა; სერაპიონმა მცირედი მოსვა და როცა თავბრუსხვევამ გაუარა, იქვე გაჩერებულ დედა ალათიას უთხრა:

— გააპატიოსნეთ ცხედარი და სუდარაში გაახვიეთ. ხვალ მონასტრის ეზოში გადაეასვენებთ, წესს ავუგებთ და იქვე მონასტრის ეზოშივე დაკრძალავთ.

— კი მაგრამ, მამაო სერაპიონ... უნდოდა რაღაც ეთქვა დედა ალათიას, მაგრამ სერაპიონმა ხელით შეაჩერა.

— გააკეთეთ ის, რაც გითხარით, დედაო ალათია, დანარჩენი თქვენი საქმე არაა.

სერაპიონს ესნა ცივნარისძის მონასტრის ეზოში დაკრძალვა დაუფიქრებლად, თავისთავად მოუვიდა აზრად და მიხვდა, რომ ამით ყოველგვარ წესსა და კანონს არღვევდა. ჯერ ერთი ესნას წარსულის გამო, ცოდვილად და უზნეო ქალად თვლიდნენ, გარდა ამისა, არც ეკლესიასთან ჰქონდა რამე საერთო, მონაზვნადაც კი არ იყო აღკვეცილი, მეორეც, ქალის მამათა მონასტერში დაკრძალვა დაუშვებელი მკრებელობა იყო, მაგრამ ახლა მას სხვაგვარად მო-

ქცევა არც შეეძლო და არც უნდოდა. იმდენი უფლება და ძალა კი ჰქონდა, წინაც რომ აღდგომოდნენ, მაინც უცნაურისი გაეტანა, ხოლო ეკლესიის კანონების ამ ერთ დარღვევას თავის თავზე ღებულობდა. ხვალამდე ესნას მოკვლის ამბავს ვერც ეპისკოპოსი ვაიგებდა და ვერც სინოდამდე მიადწევდა ხმა, შემდეგ კი შეიძლება იგი დაესაჯათ, მაგრამ მიცვალებულს არავითარ შემთხვევაში არ ამოთხრიდნენ და სხვაგან არ გადაასვენებდნენ. ასე დარჩებოდა ესნა ცივნარისძე სამუდამოდ მონასტრის ეზოში.

მეორე დღეს ცა დილიდანვე მოიღრუბლა, ხოლო როცა ესნა ცივნარისძის ცხედარი მონასტრის ეზოში ამოასვენეს და ეგეტერში დაასვენეს, კოკისპირულად გაწვიმდა. ისე ელავდა და ქუხდა, რომ დროდადრო მთელი ეგეტერი ზანზარებდა. სერაპიონმა თვით აუგო წესი მიცვალებულს, ორი საათი ავედრებდა ღმერთს ესნა ცივნარისძის სულს, უამრავი სანთელი და საკმეველი დაიწვა, მიცვალებულთა მოსახსენიებელი მრავალი კონდაკი წაიკითხა და ივალობა, მაგრამ გარეთ მაინც კოკისპირულად წვიმდა და როცა ესნას სუდარაში გახვეული ცხედარი ახალგათხრილ საფლავთან მიასვენეს, საფლავში მუხლამდე მღვრიე წყალი იდგა. ამ მღვრიე წყალში ჩაუშვეს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი ქალის ცხედარი და სველი მიწა მიიყარეს. სერაპიონი ისე გასცილდა იქაურობას, თითქოს ესნასთან ერთად მისი სხეულის რაღაც ნაწილიც დამარხეს და იმ მიწის სიცივესა და სინესტეს, ესნას რომ მიიყარეს, ცხადად, შემაზრზენად გრძნობდა. ამიტომ ძლივს მილასლასდა სენაკამდე, ხატის წინ მუხლი მოიყარა და მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. ლოცულობდა მანამდე, სანამ არ წაიქცა და ბნელს არ მიენდო.

ნაწილი მესამე

საქართველო
საზოგადოებრივი

თავი პირველი

სერაპიონი ისე გააწამა უძილობამ და უემურმა სიზმრებმა, რომ დაღამებას უფრთხოდა და როცა არ ლოცულობდა, სენაკში ველარ ჩერდებოდა. როგორც კი ირიტაჟებდა, მონასტრის ეზოში ჩადიოდა, დამძიმებულ თავს წყაროს ცივი წყლით იგრილებდა და შემდეგ მღვიმის მახლობლად მორჩე ჩამომჯდარი შზის ამოსვლას ელოდებოდა. მღვიმის თაღოვანი თავი უკვე მოეპირკეთებინათ თეთრი ქვით, მხოლოდ გვერდებსლა სჭირდებოდა ბოლომდე მოჩარჩოება. ხეივნებს ის სახე მიეღო, საბოლოოდ რომ უნდა ჰქონოდა, სამრეკლოს ქვაბული ბოლომდე ამოეღოთ, ახლა მხოლოდ ქვა და კირი იყო მოსაზიდი, მაგრამ როგორც კი სერაპიონი იმ ღღეს გაიხსენებდა, როცა ქავთარ ქვაბელმა ფუთა შემოაგდო ტაძრის სარკმელში, მაშინვე ესნა ცივნარისძე დაუდგებოდა თვალწინ და მისი მეხიერება იჩრდილებოდა, ბნელდებოდა. ვერაფერი ვერ ეპატიებინა საეუთარი თავისათვის, რომ ვერ იცნო ის ავაზაკი, ესნა რომ აცლუნა და დალუპა. მკვლელი მონასტერში შემოეპარა, აქაურობის ასავალ-დასავალი ხუთი თითით შეისწავლა, ისიც კი იცოდა, რომელ სენაკში ეძინა ესნას და მან ვერაფერი დაინახა, ისე დაბრმავდა და დაჩლუნგდა, რომ ვერ იცნო კაცი, რომელიც გზაში თავს დაესხა და მოკვლას უპირებდა. საეუთარი თვალით მაინც არ ენახა. რა ძნელი დასაკავშირებელი იყო ერთმანეთთან ის ამბავი, რომ ესნას შემცდენელი, ევლოგიის მომტანი და მკვლელი ერთი კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ როცა კაცს გონება დაუბნელდება, როცა დაყრუვდება და დაბრმავდება, მისი საშველი აღარაა. იგი ვერც საფრთხეს ხედავს და ვერც უბედურების მოახლოებას გრძნობს. მისი მიუხევედრელობისა და სიბეცის გამო ჩაჭრა თბილი, ოქრო-

ში განზანილი მზერა, მიწა დაეყარა მოქნილ, თეთრ, ალერსიან ხელებს, წავიდა ამქვეყნიდან არსება, ვისი მოსვლაც საკვირველი იყო, ვისაც ამ ბინძურ დედამიწაზე ცხოვრება არ ეკადრებოდა, წავიდა უთქმელად, ცოდვების მოუწანიებლად და მის წასვლაში მას არანაკლები ბრალი მიუძღოდა, ვიდრე მკვლელს.

მზე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ ცის აღმოსავლეთი კიდეური უკვე იღებებოდა წითლად. მალე შზის სწორი, ელვარე, უწყვეტი სხივები უხმოდ მოეფინებოდა ყველაფერს, ოქროს შხეფებად დაიღვრებოდა და სიციხადეს მიანიჭებდა იმასაც კი, რაც აქამდე ბუნდოვანი იყო. ჩამუქებული მთები და ბორცვები ოდნავ შეირხეოდნენ, გადაიღებებოდნენ და შემდეგ მათი ფერი და ნათელი ხეობებში ჩაიღვრებოდა. სერაპიონს უყვარდა შზის ამოსვლის ყურება, თვალის მიდევნება იმ ფერისცვალებისათვის, ყოველდღე რომ ერთნაირი იყო და განსხვავებულიც, დროის ბრუნვასაც რომ ცხადყოფდა და სიცოცხლის უსასრულობასაც. ამ დროს მას არც ისე ბნელი და დახლართული ეჩვენებოდა ის საქმეები, მონასტრის მშენებლობასთან რომ იყო დაკავშირებული და მისგან გამოხსნასა და გადაჭრას მოითხოვდა. ეს საქმეები რომ არა, ასე მაგრად ვერაფერი მიაჯაჭვავდა მოწას, ვერაფერი შებოჰავდა, შებორკავდა და აცლუნებდა. მაგრამ ზოგი საქმე ისეთი იყო, რა მზრიდანაც არ უნდა მიდგომოდი, სულწაუწყმედლად მაინც ვერ გაართმევდი თავს. სწორედ ეს ამწუნებდა და აბერებდა უდროოდ. უეცრად ქვეყანა ისე შეტრიალდებოდა და ისეთი სახით დაენახებოდა, თითქოს გამოცვალესო, სიციხადეს კარგავდა და იღუმცალელებასა და მოულოდნელობას იძენდა. მოულოდნელად კი ბევრი რამ დაატყდა თავს ისეთი, რის გათვალის-

წინებაც ან ვერ შეძლო, ანდა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ის, რომ მონასტრის ეზოში ესნას დამარხვის გამო, მონასტერშიც და მონასტრის გარეთაც ერთი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ატყდა, მისთვის მოულოდნელი არ იყო, არც ის, ეს ამბავი რომ უკვე სამცხის ეპისკოპოსმაც იცოდა და პარეზის მონასტრის წინამძღვარმაც, მაგრამ იმგვარი სიმკაცრით, როგორცაც საკუთარი მენსიერება სჯიდა სერაპიონს, ვერც ეპისკოპოსი დასჯიდა, ვერც პარეზის მონასტრის წინამძღვარი და ვერც მიწერილი ცხოვრების უგუნურობა.

მონასტრის ეზოში ჯერ არავე ჩანდა, შუარტყელელიც კი არა, რომელიც ყველაზე ადრე დგებოდა და ოსტატებს, ხუროებსა და მიწის მუშებს სწორედ იქ ზედებოდა, სადაც საქმე იყო დაწყებული ან დასაწყები. ამომავალი მზის სხივებს მონასტრის ეზოში ჯერ არაფერი ირეკლავდა ძლიერად, ცხადად, გარდა ტაძრის ჩაღისფერი პერახვისა და ისიც ნაწილობრივ, რადგან კედლებს ხარაჩოები ერტყა ირგვლივ. შარავანდედი ტაძარს მხოლოდ მაშინ დაადგებოდა თავზე, როცა გუმბათი დაამშვენებდა და გადაიხურებოდა. სწორედ ამ დღეს ელოდა სერაპიონი და სანამ ეს დღე დადგებოდა, დროის მიღმა ცხოვრობდა. დრო მისთვის იმით იზოშებოდა, დაინახავდა თუ არა ყოველივე ამას საკუთარი თვალით და არა დროის თავის ნებაზე ტრიალით.

სერაპიონს არ გაკვირვებია, ამ დღი უთენია რომ მისკენ მომავალი გაბრიელ გარბანელი დაინახა. ისიც იცოდა, რა შორსაც არ უნდა დაეჭირა თავი იმ საქმისაგან, ქავთარ ქუაბელის ეგლოგისთან რომ იყო დაკავშირებული, მაინც ვერსად გაეჭიკვოდა. დადგა ის წუთი, როცა რაღაც უნდა გადაწყვეტილიყო, უნდა გარკვეულიყო, რა იღო იმ ფუთათი და თუ მართლა დიდი ვახში, რა მოეხერხებინა მისთვის, ისევე დაეშარბათ, ქერივ-ობლებისათვის და ღარიბ-ღატაკებისათვის დაერიგებინათ თუ საქმეში გამოყენებინათ. მხოლოდ ეს იყო, როცა გაბრიელ გარბანელს დაი-

ნახავდა, თავი იმ შეთქმულებებს მოხაწილედ მიაჩნდა, ესნა ციკვარისმე არამისხვერპლა და გუნება ეშხამებოდა. მაგრამ მას სხვა ვალი აწვა მხრებზე, სხვა ნიშნით იყო დადალული და მართლაც რომ წაეწყვიდა სული, ღმერთსა და ეკლესიას მაინც ვერ უღალატებდა. სამცხეს მონასტრები, ეკლესიები, სულიერი მამები სჭირდებოდა და რა განსაცდელის წინაშეც არ უნდა აღმოჩენილიყო, რა მძიმე და სისხლიანიც არ უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი სიხათლისაგან მიმავალი გზა, მას არც უკახ დახვევის უფლება ჰქონდა და არც თავის შებრალებისა ან დაზოგვისა.

— რასა იქმთ, მამაო სერაპიონ? — მოიკითხა გარბანელმა სერაპიონი.

— ვარ ღვთის შემწეობით, მამაო გაბრიელ.

— მე როგორც გატყობთ, გულისჯავრი ჯერ კიდევ არ გადაჯერიათ, მამაო სერაპიონ, მაგრამ ჯობს ჩვენი განსჯა ღმერთს მივანდოთ და ჩვენ ჩვენს მიწიერ საქმეებს მივხედოთ. ის, ვიხც ერთი გარკვეული მიზნისაგან ისწრაფვის, ვერ შეძლებს ამ მძიმე გზაზე ყველაფრის დანახვას და გათვალისწინებას. ადამიანს რომ ეს შეეძლოს, ადამიანიც აღარ იქნებოდა. შეიძლება ჩვენ სწორედ ჩვენი სიბნელე და უშეცრება გვეხმარება, რაღაც დავინახოთ და მოვისაზროთ იქ, სადაც თავის წამდვილ სახეს არაფერი და არავინ გვიძხვლს. იმან, რაც მოხდა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ არსებობს სიკვდილი და ცდა ამ სიკვდილის დამარცხებისა, რაც ისეთი რამის შექმნაში გამოიხატება, საუკუნეებს რომ გაუძლებს.

— სიკვდილიც არის და სიკვდილიც, მამაო გაბრიელ.

— ადამიანის ვნებებს ჩვენ ზღვარს ვერ დაუღებთ, მამაო სერაპიონ, და ღმერთმა ნუ ქნას, ეს რომ ასე მოხდეს. მაშინ ხომ ცხოვრება ჩაკვდება და ჩაუქმურდება. ეტყობა იმ კაცს ისე უყვარდა ის ქალი, სულ ერთია ავაზაკი იყო იგი თუ მონანიე ცოდვილი, რომ უმისოდ ცხოვრება არ შეეძლო და ერთი საკუთარი ხელით მოეკლა, ვიდრე სა-

მუდამოდ დაეკარგა ან სხვისთვის დაეთმო. ასეთი რამ ავაზაკს კი არა, ისეთ კაცსაც კი მოუშოქმედებია, შამაო, წმინდანად რომ მოჰქონდა თავი.

— თუ ყველაფერი ეს იცოდი, რატომ ღროზე არ მითხარი, ძმაო გაბრიელ?

— ნეტა მართლა მცოდნოდა, შამაო სერაპიონ. იქნებ ის უბედური მეხსნა როგორმე. კი ვატყობდი, რაღაც რომ აწუხებდა, საკუთარ ობტში რომ იხარშებოდა, თვალბო რომ ავად უელავდა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი ასეთ საშინელ რამეს თუ აპირებდა. ყველაფერი ეს მე მხოლოდ მაშინ დავაყვშირე ერთმანეთთან, როცა უკვე გვიან იყო. იმ კაცს სხვა საფიქრელი არ ჰქონდა, მამაო და ამიტომ გვაჯობა, მოგვატყუა, მოგვალორა.

სერაპიონს ცოტათი აღიზიანებდა, გარბანელი რომ ამდენს ლაპარაკობდა, მაგრამ მის გულწრფელობაში და კეთილგანწყობაში ეტყვი არ ეპარებოდა. მთავარი ის კი არ იყო, ღროზე მიუხვდნენ თუ არა განზრახვას იმ ავაზაკს, არამედ ის, რომ მთელ ამ საშინელ ამბავში მათაც მიუძღოდათ ცოდვა ღმერთის წინაშე და ამ ცოდვის სიძვირის პირადად იგი სიკვდილამდე ვერ მოშორებდა. ესნა მანამდე არ გაქრებოდა მისი მეხსიერებიდან, სანამ თვით შეხსიერება არ ჩაქრებოდა და გააცატყვრდებოდა. შეიძლება მისი ცოდვების გზით სიარული ამით არ დამთავრებულიყო, ვინ იცის, რას უშზადებდნენ კიდევ ეშმაკუთნი, რით უშზალავებდნენ და დაამდაბლებდნენ, რა მანქანებით დააყრუებდნენ და დააბრმავებდნენ, სად დაუგებდნენ ისეთ მახეს, რომელსაც თავს ტყავგადაუყვლეფვლად და სისხლდაუღვრვლად ვერ დააღწევ, მაგრამ მას არც თავიდან ჰქონდა წარმოდგენა, რა მოჰყვებოდა პირველად გადადგმულ ნაბიჯს და არც ახლა იცოდა, რას უშზადებდა ბედისწერა და რადგან მისი ხვედრი ის იყო, რომ ერთხელ დაწყებული საქმე კიდევ და კიდევ თავიდან დაეწყო, რადგან მისი მოღვაწეობა შემთხვევით ამბებზე იყო

დამოკიდებული და არა ცხოვრების მკვეთრ, სასურველი მიზართულებით გარდაქმნაზე, რადგან აშენებდა ძველს და არა სახლს ან თავშესაფარს, ამიტომ უსიტყვოდ უნდა მიეღო ის პირობები, რასაც ცხოვრება და წუთისოფლის წაღმა-უქულმა ტრიალი სთავაზობდა.

— ვიცი, ძმაო გაბრიელ, სისხლი რომ სცხია იმ განძს, იმ კაცის შველელმა რომ მოგვიგდო, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვემალოთ თავს და ერთმანეთს, მაინც ვერსად დავემალებით, — უთხრა სერაპიონმა გარბანელს და შეეცადა მოეშალა ის კედელი, მას რომ ამ მუყაითი და ღვთისმოსავი კაცისაგან თიშავდა.

— მაგას რატომ ამბობ, მამაო სერაპიონ, ის ღრაჰკანები, ჩემი თვლით რომ ვნახე, თლილი და წმინდა ოქროსგანაა მოჭრილი ბიზანტიელთა პირველი მეფეების ღროს და არავითარი სისხლი არ აცხია.

— სულ ერთია, ძმაო გაბრიელ, ოქრო სად და ვის მიერაც არ უნდა იყოს მოჭრილი, სისხლი მაინც სცხია.

— მაგრამ არა იმის, ვისაც თქვენ გულისხმობთ, მამაო სერაპიონ. ოქრო ძველია და ეტყობა რომ კაცის ხელი დიდი ხანია არ შეხებია, არც გაცვეთილია და არც კიდებდაზიანებული.

— შენ ახლაც ფიქრობ, ძმაო გაბრიელ, რომ იმ ავაზაკმა მართლა შიავხო განძს?

— ახლაც დარწმუნებული ვარ, ძმაო. ამის საბუთი ისაა, რომ შეუძლებელია ამდენი ოქროს ფული არაბების მიერ გადაბუგულ და გაძარცულ სამცხეში ვინმეს შერჩენოდა და მისთვის ავაზაკს წაერთმია. ისიც გამორიცხულია, რომ ყველა გაძარცულს ადრე მოჭრილი, ერთი წონისა და ღირებულების ფული ჰქონოდა ჯიბეში ან უბეში, თანაც ისეთი ღრაჰკანები, ახლა რომ ხმარებაში იშვიათადაა. ეს კი იმის დამადასტურებელია, მამაო, რომ ღრაჰკანები ან არაბების შემოსევამდე მიწაში დაფლული ან შემოსევის ღროს.

— მაინც რამდენია, ძმაო გაბრიელ?

— სამასზე მეტი ძველი, წმინდა ოქროს დრაჰანია.

— ყველა ოქროსია?

— ყველა, მამაო.

ამ ცნობამ სერაპიონი კიდევ გააკვირვა და კიდევ ჩააფიქრა. ეს მართლაც დიდძალი განძი, დიდი სიმდიდრე იყო. ოქროს ფული და ისიც ბიზანტიური, ისე ცოტა იყო ხმარებაში, რომ ქვეთარ ქუაბელს მთელი საუკუნე რომ ეავაზაკა და ემეკობრა, ამდენ ოქროს და თანაც ერთი წონისა და ღირებულებისას, მაინც ვერ მოუყრიდა თავს. შეიძლება გაბრიელ გარბანელი მართლაც ამბობდა, შეიძლება ეს ვახში მართლაც არაბების შემოსევის დროს დაფლა მიწაში ბიზანტიის კარის ყოფილმა მოხელემ ან დიდგვარმა, მაგრამ სერაპიონს მაინც ეთანადებოდა გული, არ უნდოდა წმინდა ტაძარი საეპქო სახსრებით აეშენებინა. ბედის უკუღმართობა, თორემ რაღა მაინცდამაინც ის ავაზაკი წააწყდა განძს, იმ კაცის ხელში აღმოჩნდა სიმდიდრე, ვინც სისხლი დაღვარა, ვინც ის არსება გამოასალმა წუთისოფელს, ვისი შშვენიერი სახე ტაძრის კედელზე უნდა გამოესახა, რაღა იმას მოატანინა ევლოგია, დაწყველილი და ჯოჯობეთის კერძი რომ იყო. სერაპიონს ისიც აკვირვებდა, რატომ შემოწირა ამდენი ოქრო უღვთო და უმოწყალო კაცმა მონასტერს, რატომ პირადი მიზნებისათვის არ გამოიყენა. იგი ხომ ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი იქნებოდა საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. იცხოვრებდა დიდკაცურად, ფუფუნებით, გააზნაურდებოდა, წარსულის ლაქას ჩამოირეცხდა. რამდენი ავაზაკი, კაცის მკვლეელი და მძარცველი გამხდარა აზნაური და კეთილშობილი, რამდენს მიუღწევია ამ გზით დიდებისათვის. ქვეთარ ქუაბელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, ძალ-ღონე, ქუა და გამჭრიახობა არ აკლდა და თუ მოინდომებდა, ამ სიმდიდრის წყალობით გავლენასაც მოიპოვებდა და ხელისუფლებასაც.

— იმ ავაზაკს შენ ჩემზე უკეთ იც-

ნობდი, ძმაო გაბრიელ, როგორ გგონია, რატომ მოგვიგდო ამდენი ოქრო ხელგაშლილად.

— ოქრო მან იმ დროს მოგვიგდო, მამაო, როცა ალარაფერში სჭირდებოდა.

— ამით ალბათ იმის თქმა გიხდა, ძმაო გაბრიელ, რომ როცა განძი მოგვიგდო, ესნა ცივნარისძის მოკვლა მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. უძისოდ კი აღარც ოქრო სჭირდებოდა და აღარც გამწარებული სიცოცხლე.

— მართლაც ბრძანებთ, მამაო.

— კი მაგრამ, იგი ხომ ურწმუნო კაცი იყო, მკვლელი და ავაზაკი, ჩვენც ვძულდით ალბათ და რაღა მონასტერს მოართვა განძი?

— რაც არ უნდა ურწმუნო და ბოროტი იყოს კაცი, ღვთის ან ზენაარის შიში მაინც ბუდობს მასში, მამაო. და ეს უკვე რწმენა თუ არა, რწმენის ჩინასახი მაინცაა. იგი არც სწავლული მყავდა და არც ფილოსოფოსი, შეგნებულად რომ უარეყო ღმერთი, ამიტომ ჰოკმანსა და მერყეობას ასე ადვილად თავს ვერ დააღწევდა. ერთხელ შე თვითონ შევესწარი, ღმერთს რომ რაღაცას ეხვეწებოდა და ლოცულობდა, გარდა ამისა, არ შეიძლება მასზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა იმ დიდ, ღვთის სასურველ საქმეს, რასაც ჩვენ აქ ვეწევი.

— მე მაინც არ მესმის, ძმაო გაბრიელ, როგორ შეიძლება ეკლესიის მიმართ ქველმოქმედების გრძნობა გასჩენოდა იმას, ვინც ადამიანის მოსაკლავად ემზადებოდა?

— ბევრი რამ არც მე მესმის, მამაო, მაგრამ განძი რომ მოიტანა, ჩვენ ეს ორივემ ჩვენი თვლით ვნახეთ. რაც არ უნდა იყოს, იგი მაინც სამცხის მკვიდრია, არ შეიძლება ცოტათი მაინც არ უყვარდეს მშობლიური მხარე, არ სურდეს მისი აღორძინება და გაძლიერება, არ ესმოდეს მონასტრის მნიშვნელობა და როცა სასოწარკვეთილებამდე მივიდა, როცა გადაწყვიტა იმ უბედურის მოკვლა, როცა პირადად მას განძი ალარაფერში სჭირდებოდა, ჩვენზე უკე-

თესი შემკვიდრე ვერაინ იშოვა. შეიძლება ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მონასტერს შემოაფარა თავი და იცოდა, გიორგი ჩორჩანელის სიკვდილის შემდეგ რა მძიმე დღეში ჩაეკვივდით.

— დაილოცოს შენი სახელი, ღმერთო, — წამოიძახა სერაპიონმა და შუარტყელელს მოჰკრა თვალი, რომელიც ტყავის წინსაფრის სწორებით კელიონიდან გამოვიდა. მალე ბერ-მონაზვნებიც დაიძრებოდნენ ეგვიპტისაკენ და დაიწყებოდა დილის წირვა. გუშინ ორ ბერი გააძევა ეგვიპტიდან, რადგან ერთმანეთს რალაცას ეჩურჩულებოდნენ და იცინოდნენ. მონასტერში რომ სათანადო წესრიგი არ სუფევდა, ამას ქათარ ქუაბელის მონასტერში შემოპარვაც აღასტურებდა და ზოგიერთ ბერის საქციელიც. ამას წინათ ერთი იქამდეც კი მივიდა, რომ მეორეს წვერში სწვდა. შეიძლება გუშინ ის ორი ბერი იმის გამო იცინოდა, რომ მან ესა ცივარისძე მონასტრის ეზოში დამარბა. ეჭვი და უნდობლობა მისთვის უცხო იყო, მაგრამ ზოგჯერ ეჭვი მაინც გაკრავდა კლანქს, განაყარო შხამით იცნებოდა და გულ-მუცელს წვავდა. ამ წვას განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, როცა მითქმა-მოთქმის მიზეზი თვითონ იყო. ამიტომაც ერიდებოდა ყოველთვის მკლარი ნაბიჯის გადადგმას, ისეთი რამის თქმას ან ჩადენას, წინ რომ დახედებოდა, მაგრამ ესა ცივარისძის მონასტრის ეზოში დამარბვა მკლარი ნაბიჯი კი არ იყო, არამედ შეგნებული გადაწყვეტილება. მას წარმოდგებაც კი არ შეეძლო იმისა, რომ ეს მშვენიერი ქალი სადღაც მონასტრის გარეთ, ხის ძირას, მიწაში ჩაეფლოთ გამოუგლოვებლად და წესის აუგებლად და მცირე ხნის შემდეგ მისი საფლავი საშუადაოდ მისცემოდა დავიწყებას. იმ დღეს, წესს რომ უგებდა, ხელი ისე უკანკალებდა, რომ სანთლის ცხელი ნალენთი ხელზე ელგნთებოდა და ამ კანკალს ზოგჯერ ახლაც გრძნობდა. დღეს ეს მაშინ იგრძნო, როცა გაბრიელ გარბანელს მოჰკრა თვალი.

— როგორ ფიქრობ, ძმავო გაბრიელ, რას უნდა მოხმარდეს ეს სწორება?

— ამას რა ფიქრი უნდა, ძმავო, ცხადია ტაძრის მშენებლობას.

— მერედა, არ წაბილწავს ტაძარს?

— უკეთესს რას მოხმარდება, ძმავო. ეგ ოქრო ნაძარცვედ რომ იყოს, მაინც ხალხის საკუთრებაა და არ ჯობია ხალხის საკუთრება ისევე სახალხო საქმეს და გაპარტახებული ქვეყნის აღშავლებას მოხმარდეს. ამ საქმეში გახგების ხელი ურევია, ძმავო, და ხელს ნუ ვკრავთ იმას, რაც შალლით გვეძლევა.

— ავაზაკისა და კაცის მკვლელის ხელით?

— სწორედ ამიტომ გითხარით, ძმავო, ამ საქმეში განგების ხელი ურევია-მეთქი. ზომ შეიძლებოდა ეს ოქრო უკეთურ, ღეთისთვის არასასურველ საქმეს მოხმარებოდა, მაგრამ ღმერთმა ეს არ ისურვა და ამიერიდან კეთილ, ღეთისასაღრველ საქმეს მოხმარდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ გახგებამ სწორედ მაშინ მოგვიძღვნა ეს გახში, როცა არავითარი სხვა სახსარი არ გაგვაჩნია. შინააშლილობა სამცხეში ასე ადვილად არ ცხრება, მანამდე შეიძლება წლებიც გავიდეს და ისიც კი ჩამოგვენგრეს თავზე, რაც დიდი ჭაპახწყვეტილი ავაშენეთ.

— ტაძრის ბოლომდე აგებას თუ ეყოფა ეგ ოქრო, ძმავო გაბრიელ?

— ტაძრის ბოლომდე აგებას შეიძლება არ იყოს, ძმავო, მაგრამ კედლებს გუმბათამდე ავიყვანთ და გუმბათის საფუძველს მოვაშხადებთ.

— სამრეკლოსა და ზარებს რაღა ეყოფა?

— ავაშენებთ, ძმავო, სამრეკლოსაც ავაშენებთ და ზარებსაც ჩამოვასახებთ.

— ზარების ჩამომსხმელ ოსტატს თუ იცნობ ვინმეს, ძმავო გაბრიელ?

— ვიცნობ, ძმავო, როცა დრო მოვა, მე თვითონ გადავალ შიდა ქართლში და იქიდან გადმოვიყვან.

გაბრიელ გარბანელისათვის ყველაფერი, რაც სერაპიონს აფიქრებდა და ბიწიერების შემოტევად მიაჩნდა, ცხადი და გასაგები იყო, მის გონებას არა-

ფერი აბნევედა, საღ აზრს ვერაფერი ამრუდებდა და სერაპიონს ცოტათი შეშურდა კიდევ მისი. გაბრიელი შორწმუნე კაცი იყო, სიბერეში ბერადაც კი აღიკვეცა, სახლ-კარი მიატოვა და მონასტერში გადმოსახლდა, მაგრამ მონასტერში გაზრდილი არ იყო და ბევრ რამეს სხვა თვალთ უყურებდა, სხვა კუთხიდან უდგებოდა. მას ცოვდა მცდარი ნაბიჯის გადადგმა კი არ ძიარჩნდა, არამედ ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება. ამიტომაც ჰქონდა ყოველი სიტყვა წინასწარ მოფიქრებული და გააზრებული. იგი არა მარტო ხელობით, მოწოდებითაც მშენებელი იყო, ქვა, კირი და ხის მასალა უყვარდა, როცა საქმე არ ჰქონდა, თვითონ იგონებდა და კაცის ხელით შექმნილი სილამაზე უფრო დიდ სიხარულს გვირავდა, ვიდრე ზნეობრივი ცხოვრებით ცხოვრება. ამიტომ ისეთი სულიერი მოთხოვნებიც ალაგმავდა, ადამიანისათვის რომ სიხარული და ტკობა მოაქვს, ხელოვნებისათვის საზიანოდ არ მიაჩნდა. სერაპიონისათვის ნივთი, თუ იგი ღვთის ნიშნით იყო შიროცხებული, თავისთავად იყო სასწაულებრივი, გარბანელისათვის კი მხოლოდ შან შემდეგ, რაც მას კაცის ხელი შეეხებოდა. ზოგჯერ სერაპიონსაც ეწვეოდა ხოლმე ამგვარი ცდუნება, ერჩივნა თვითონ შეექმნა ის, რაც მოსწონდა, ვიდრე ცხოვრებაში ეძებნა, მაგრამ სინამდვილე მისთვის ესა თუ ის საგანი, ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში კი არ იყო, არამედ მთელი სამყარო და იგი იმიტომ იღწეოდა ამ ქვეყანაზე, რომ ღვთის მიერ შექმნილ ვრცელ სამყაროში მარადიული არსებობა დაემკვიდრებინა.

— ძმაო გაბრიელ, ერთი თხოვნა მაქვს და იმედია უარს არ მეტყვი. შენ უკეთ ერკვევი სამშენებლო მასალის ავ-კარგიანობაში, თვით მასალისა და მის მოსაპოვებლად დახარჯული შრომის ფასიც უკეთ იცი და ამიტომ უმჯობესია ის ოქრო შენთან დარჩეს და ისე გამოიყენე, როგორც საჭიროდ მიიჩნის. მხოლოდ შეარტყელს შეუ-

თანხმდი წინასწარ, როდეს რა სჭირდება და რა რაოდენობით სთხოვს სერაპიონმა გარბანელს და თავისთვის გაიფიქრა, ამ კაცს თავისი მფარველი ანგელოზი მამასავით დასტრიალებს თავს, ყოველგვარ უსიამოვნებას, უგუნურებას და უბედურებას არიდებსო.

— მე საღ შევინახო ამდენი ოქრო, მამაო?

— შენზე უკეთ მას ვერავინ შეინახავს, ძმაო გაბრიელ.

— დახედეთ მაინც, მამაო.

— არა, ძმაო ჩემო, შენ ხელბედნიერი კაცი ხარ და იმას, რასაც შენი ხელი შეეხო, სხვისი აღარ უნდა შეეხოს, რაც შეეხება შენს გარჯასა და ღვაწლს, ამას ღმერთიც დაგიფასებს და შთამომავლობაც.

— დიდად გმადლობთ ნდობისა და პატივისათვის, მამაო, დღეს მე გახარებული იმითა ვარ, რომ ჩვენს უქმად ყოფნას ბოლო მოეღება.

— ღმერთმა ჯანი და სიმხნევე მოგცეს, ძმაო გაბრიელ, — დალოცა სერაპიონმა გარბანელი, ფეხზე წამოდგა და ეგვიტისაკენ წავიდა. შეარტყელული სამრეკლოს ქვაბულის პირას ცალ მუხლზე დაჩოქილიყო და შევირილით რაღაცას ზომავდა. ბერ-მონაზვნებს უკვე მოეყარათ თავი ეგვიტერში. ცა მოქმენდილი იყო, მზე უკვე ამოდოდა. მონასტრის ეზო თავის ვალანითა და შემოწერილობით ცისკენ მომზირალ თვალს ჰგავდა. სერაპიონს გულმუცელი აღარ ეწეოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს სხვა სიკეთესთან ერთად სახსრების ტკივილიც დასჩემდა. განსაკუთრებით მაშინ სტკიოდა სახსრები, როცა უგუნებოდ იყო, ან რაიმე უსიამოვნება შეემთხვეოდა. ერთხელ, როცა ლოცვა მოათავა და ფეხზე წამოდგომა სცადა, ტკივილისაგან ისევ მუხლებზე დაეცა. უსიერმა ტყემ, ნესტიანმა ჰაერმა და ძარღვების წიწვია-გლეჯამ თავისი ქნა. მაგრამ მას ტკივილი ისე არ აწუხებდა, როგორც ის, რომ სახსრების ტკივილს ან სხვა სენს, ზოგჯერ თავის ქალას რომ ხდიდა, ლოგინზე

არ მიეჭაქვა დიდი ხნით. მისი ავად-
მყოფობა ძვირად უჯდებოდა თვით მასაც
და მონასტერსაც. მან ეს არაერთ-
ხელ და ორჯერ გამოსცადა. მისი
შრომის უნარი, ჭანჭრთელობა და მო-
უღლელობა თავდები იყო იმისა, რომ
ყველაფერს ეშველებოდა, თავი მოე-
ბმებოდა, ისევე გაჩაღდებოდა მუშაობა,
გაქცეულები და გადახვეწილები მობ-
რუნდებოდნენ, გაცოცხლდებოდა ჩა-
შვდარი ცხოვრება. დასაქმებულს
ეცოდინებოდა, რა ეკეთებინა, ოსტატს
— რა როგორ გაეთალა და მოეჩუქურ-
თებინა, კირითხუროსა და კალატოზს
როგორ ამოევესო და მოეპირკეთებინა
კედლები. მოქანდაკეს — რა როგორ
გამოექანდაკებინა და რა აზრი ჩააქსო-
ვა მასში, მხატვარს — როგორ გამო-
ეყენებინა სივრცე, რა ფერის საღება-
ვებით გაემდიდრებინა ნახატი, შუარ-
ტყელეს — როგორ დაეფუძნებინა
მაღალყელიანი გუმბათი საგულდაგუ-
ლოდ მომზადებულ ოთხკუთხა საფუ-
ძველზე, თვითონ კი მუდამ იმის
ცდამი იქნებოდა, ყველაფერი დაენა-
ხა, ყველაფერი ცოდნოდა, ყველას
შრომა, კირ-ვარამი და სატყეიარი გაე-
ზიარებინა, თავიც დაეჯერებინა და სხე-
ვიც, რომ დრო არს „აწ უკუ მშვიდო-
ბასა შეეუღღეთ და აღშენებასა ერთ-
ერთისა“ და დღევანდელი ქადაგება
სწორედ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული.

გაბრიელ გარბანელი გამრჯე, საქმი-
სა და შრომის მოყვარე კაცი იყო და
ის იმედები, სერაპიონი რომ მასზე
ამყარებდა, ათმაგად გაუმართლდა. მო-
ნასტრის ეზოში კვლავ დახვავდა გასა-
თლელი ქვა და ღორღი, კვლავ აივსო
ორმოები გამომწვარი კირით, ისევე და-
დგა ფიჭვის სუნი, მორებსა და დახერ-
ხილ ფიცრებს რომ ასდიოდა. მტკრით
იფარებოდა ყველაფერი, მწვანე ბა-
ლაზიკ კი და ეს თხელი, ნაცრისფერი
ფენა იმის ნიშანი იყო, რომ სამუშაო
ყველას თავსაყრელად ჰქონდა და ყვე-
ლაფერს, რაც ითლებოდა და იზილუ-
ბოდა, მტკრის ბული ასდიოდა. რო-

გორც კი გავრცელდა ხმა, მონასტერი
შრომაში ფულად გასამრჯელოდ იძლე-
ვო, ხალხი ისევე მოაწყდა მშენებლო-
ბას, მოდიოდნენ ახლადდაოსტატე-
ბულნიც და ოსტატობაში გაქაღარავე-
ბულნიც, დაბა, სადაც მშენებლები
ცხოვრობდნენ, კიდევ უფრო გაიზარ-
და, აყაყანდა და გაბინძურდა. ერთის
მაგივრად რამდენიმე მოფარდული და
საგლაზაკო გაიხსნა, იმატა მემფთვრა-
ობამ, ადგილობრივ მკვიდრთა და შე-
მოხიზნულთა შორის კინკლაობამ,
ჩხუბმა და აყალ-მყალმა. მაგრამ ეს
ხდებოდა დაბაში, მშენებლობაზე კი
ყველა საქმით იყო დაკავებული და
ჩხუბისა და აყალ-მყალისათვის არა-
ვის ეცალა. მძიმე შრომა ძალ-ღონის
გამოზოგვას მოითხოვდა, ნახელავი კი
ყურადღებას. ასეც რომ არ ყოფილ-
ყო, ერთად შრომა მათ უფრო ააზ-
როვებდა, ვიდრე თოშავდა, საქმე ერთ-
მანეთისათვის მხარის მიცემას მოი-
თხოვდა, მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ,
რაც გარედან არ ჩანდა, მაგრამ იგრძნო-
ბოდა. თითოეული მათგანი, ერთმანეთ-
თან შეუთანხმებლად ხედებოდა, რომ ის,
რაც მათი ხელიდან გამოვიდოდა, შემ-
დეგ თითოთ საჩვენებელი და მისაბაძი
იქნებოდა და ამით უკვდავების მცი-
რელი ნაწილი მათაც ერგებოდათ. გარ-
და ამისა, უმეტესობას ამხელა ნაგე-
ბობა არც აღშენებია და არც თვალით
უნახავს და ეს მათზე შთაბეჭდილებას
ახდენდა, თითოეულ მათგანს საკუთარ
შესაძლებლობაში და ოსტატობაში არ-
წმუნებდა, ქვეყნის აღმშენებლობის
მონაწილედ ხდიდა. შუარტყელელი გა-
ხალისდა, გაახალგაზრდავდა, თმა არ
ამოსვლია, თორემ ცოტათი გაღამაზდა
კიდევ. გათენებიდან დაღამებამდე ან
ხარაჩოებზე იყო, ანდა სახელოსნოებ-
ში ტრიალებდა და ყველაფერს თვალ-
ყურს ადევნებდა, ყველგან ასწრებდა.
თუ სადმე საქმე გაპირდებოდა, მანა-
მდე არ მოისვენებდა, სანამ ისეთ ხე-
რას არ მოიგონებდა, საქმეს რომ გააი-
ოლებდა და ადგილიდან დაძრავდა.
მტრად მხოლოდ ბუნების ორ მოვლე-

ნას თვლიდა — დღის სიმოკლეს და თოვლიანი ზამთრის სიმკაცრეს. ზამთრის მოახლოებას ისე ელოდა, როგორც მის სამფლობელოში უცხო მხეცის შემოჭრას. შუარტყელელს წლები ემატებოდა, ეჩქარებოდა, მაგრამ საქმეში არ ჩქაროდა, ერთ ქვეს არ აიტანდა ხარაჩოზე ისე, რომ არ შეემოწმებინა და თანხმობა არ მიეცა: იცნობდა ყველას, იცოდა ვინ როგორი ოსტატი იყო და რა უფრო ხელეწიფებოდა. თუ ეცალა, არც შრომას თაკილობდა, სხვებთან ერთად ეზიდებოდა მორებს, ეწეოდა თოკს, თავის ადგილას სვამდა ბალაყარს. შემდეგ კი, როცა ხარაჩობები დაცარიელდებოდა, იმდღევანდელ ნამუშევარს ამოწმებდა, ზომავდა და ნიშნავდა. მთელ ამ ფერხულში სერაპიონიც იყო ჩაბმული და ყოველი წარმატება — თაღების შეკვრა და გაქეჩა, საპირების მოჩარჩობა ან ბრჭყენების გამართვა ბავშვივით ახარებდა. ხშირად ვერც კი გრძნობდა, როგორ გადიოდა დღე, როგორ იკიდებდა ფეხს დედამიწაზე ჩრდილი და სიბუნე. კედლები ისე ამალდნენ, რომ ხარაჩოებიდან უკვე მთელი ხეობა ჩანდა, ის ადგილიც, სადაც ერთ დროს თავის ტბა იყო და ისიც, თუ სად ერთვოდა ქვაბლიანს შენაკადი. თვალწინ იშლებოდა მონასტრის მამულიც, მოჩანდა მონასტრის გალავნის მიღმა აგებული კელიონი, საჭინბო, მარანი, წისქვილი, ზვრები და ბალ-ბოსტნები. მონასტრის მამულის გარშემო დაბებიც კი გაჩნდა, მომრავლდა ხალხი, იმატა ნათლობამ და ქვარისწერამ, შენდებოდა ახალი ბაზილიკები, გუმბათიანი ეკლესიები. ტაძარი აღარ აწვა მხრებზე იმ ტვირთივით, რომლისთვისაც ვერაფერი მოგიხერხებია, აღარ ხრიდა წელში, აღარ უბნელებდა გონებას. იზრდებოდა კედლები, მალდებოდა ხარაჩოები და სივრცე ისე იშლებოდა მის თვალწინ, როგორც ნელ-ნელა გაშლილი მარათ. იყო დრო, როცა ეს სივრცე საერთოდ არ არსებობდა, არავის არ ეკუთვნოდა, ახლა კი არა მარ-

ტო არსებობდა, დამოუკიდებელიც კი იყო და მონასტრისაც დამოუკიდებლობას ანიჭებდა.

სერაპიონი წირვიდან წირვამდე მეტ წილ დროს მონასტრის ეზოში ან მონასტრის მამულში ატარებდა და ისე შეეჩვია გარე-გარე ხეტიალს, მდაბიო ადამიანებთან გამოსაუბრებას, სიღუბე-კიკუასთან, სნეულელებთან და სიბეჩავასთან სიახლოვეს, რომ წიგნსაცავშიც კი იშვიათად შეიხედავდა. თუმცა ახლა წიგნსაცავი მარტო მას აღარ ეკუთვნოდა, წერა-კითხვის მცოდნე და განათლებულმა ბერებმა, რომლებიც უკვე ასაკში შესულნი ან სიბერეს მიტანებულნი იყვნენ და მძიმე შრომისათვის აღარ ვარგოდნენ, წიგნების თარგმანსა და გადაწერას მოჰკიდეს ხელი და როგორც მათი ხელწერა, ასევე ნათარგმანევი დღითი დღე უმჯობესდებოდა, და მათი შრომა, მათი ყოველდღიური საქმიანობა წიგნსაცავს აცოცხლებდა და ამდიდრებდა. გადასაწერ და სათარგმნელ წიგნებს უმეტეს შემთხვევაში ან სხვა მონასტრებისა და ეკლესიებისაგან თხოულობდნენ, ანდა თვითონ იძენდნენ ქართველი და ბერძენი ეპიგრაფებისა და კერძო პირებისაგან. პერგამენტის გამოყვანა და დამზადება კი თავად ისწავლეს, იგი მხოლოდ ტყავის შესყიდვაში ეხმარებოდა მათ. თუმცა ახლო-მალო დაბებში საკონელი ბევრი ჰყავდათ, ხბოც ხშირად იცვლებოდა და ისინი, ვისაც წიგნის ფასი ესმოდა, ხბოს ტყავს უსასყიდლოდ სწირავდნენ მონასტერს. ასე რომ, მწიგნობარ, ბერებს სამუშაოც ბევრი ჰქონდათ და არც პერგამენტის ნაკლებობა უშლიდათ ხელს მოღვაწეობაში. ითარგმნებოდა ლოცვანი და კურთხევანი, დავითნი და საგალობლები, ერთ-ერთმა მათგანმა, მამა თეოფილემ კი ამას წინათ ხელი მოჰკიდა იოანე ოქროპირის თხზულებათა თარგმანს და სერაპიონი მოუთმენლად ელოდა, როდის წაიკითხავდა ამ თხზულებებს ქართულ ენაზე, და არა მარტო იოანე ოქროპირს, მას უნდოდა ეკლუ-

სიის ყველა დიდი მამის თხზულებები ქართველ კაცს ქართულ ენაზე ეკითხა და მისი ამ სურვილის განხორციელება მხოლოდ მონასტერში მოღვაწე ბერებს შეეძლოთ. ამიტომ მისთვის მონასტერი მხოლოდ დედამიწის ცასთან დამაკავშირებელი საგანი კი არ იყო, არამედ თვით დედამიწაზე უკეთურებისა და უმეცრების აღმომფხვრელი კერაც, იმ ვიწრო ბილიკის გამკაფავი, არაერთხელ რომ გაეუდაბურებინათ ველურ ურდოებს და კვლავ და კვლავ აღუღგენია ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას. ბილიკი რომ იკვალებოდა, ამას ჭერჭერობით მხოლოდ რამდენიმე კაცი ხედავდა, მაგრამ მალე ბილიკი მონასტრიდან გარეთ გავიდოდა, განშტოვდებოდა, დაბეხსა და ციხე-დარბაზებს მისწვდებოდა და ამ გაუნათლებელ და გაუქულმართებულ მხარეს წაღმა შემოაბრუნებდა, ვატყუარებულებს ადამიანებად აქცევდა. სწორედ ეს უმაგრებდა სერაპიონს ზურგს და აკაყვებდა სულიერადაც და ხორციელადაც. მართალია საკუთარი სახე დამდგარ წყალში თუ დაუნახავს ბუნდოვნად, მაგრამ დაუნახავდაც იცოდა, როგორ გამოიყურებოდა. თმა და წვერი რომ თითქმის გაუთეთრდა, ამას საკუთარი თვალითაც ხედავდა, იცოდა, ისიც, სად რა ნაოკი მოემატა სახეზე და რა ფერი ედო. ამ რამდენიმე თვის წინათ ყბები ჩაცვენილი ჰქონდა, მზერა აჭრილი და დამძიმებული, მაშინაც კი მღუმარეს ჰვავდა, როცა ლაპარაკობდა, საკუთარ თავსაც ემაღლებოდა და სხვებსაც, განდგომა, უდაბნოში გასვლა მოენატრა, მაგრამ მისი ბედი ისე იყო დაკავშირებული მონასტერთან და ტაძრის მშენებლობასთან, იმდენი ბნელი ძალა ემტერებოდა როგორც ერთის არსებობას, ასევე მეორის კურთხევას, იმდენი უშმაკეული იყო ჩასაფრებული ბნელ ჭურღმულში, რომ მას არ შეეძლო გაქცეოდა, განდგომოდა იმას, რაც მისგან შეელას, შემწეობას და ჭრით დაცვას მოითხოვდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტაძრის კედლებმა ზრდა და-

იწყო, ყბები ოდნავ ამოეკსო, მუხლი გაუმეგრდა, ფერზე მოვიდა, და ცხუმედილივით აღარ ეძებდა ისეთ უცნაურად ადგილს, სადაც მარტოობაში აღმოხდებოდა სული.

შემოდგომის ჩამოცხრალი მზის ბეუტვა ცხადყოფდა, რომ ზამთარი კარზე იყო მომდგარი. მონასტრის ეზოში ქვით დატვირთული ურმები შემოვიდნენ, მძიმედ, კრიალით შემობრუნდნენ და იმ ფარდულებისაკენ წავიდნენ, სადაც ქვას თლიდნენ. ადგილობრივი მკვიდრნი ქვას თავიანთი ურმებით ეზიდებოდნენ მშენებლობაზე და ურძებშიც გასამრჩელოს ღებულობდნენ. ხარაჩობიდან ჩამოსული სერაპიონი დაელოდა ურმების დაცლას და რადგან მონასტრის ეზოში საქმე არაფერი ჰქონდა, ურმებს გაჰყვა უკან, მაგრამ სანამ ეზოდან გავიდოდა, კელიონისაკენ კოქლობით მიმავალ მორჩილს, აღფეხს მოჰკრა თვალი. რა დაემართა, ნეტა სად მოტეხეს ფეხი, გაიფიქრა სერაპიონმა და მორჩილის დანახვა არ ესიაშოვნა, არც ის იყო მოსაწონი, რომ კოქლობდა და არც ის, ამ დროს რომ კელიონისაკენ მიდიოდა. იგი ერთი წლის წინათ მოვიდა მონასტერში, გარეგნულად უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, როცა ჰკითხეს რა გინდაო, მუხლი მოიყარა და იხეწებოდა, თქვენს ძმობაში მიმიღეთ, ბერად აღმკვეცეთ და შესაძლებლობა მომეცით ღმერთს ვემსახუროო. ეცვა საკმაოდ მოხდენილად, თავი დინჯად, თავმდაბლად ეჭირა, მისი სიტყვებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ მიწიერი ყოფა მისთვის აუტანელი ტანჯვა იყო და შეეზას მხოლოდ სულიერ ცხოვრებასა და ღვთის სამსახურში ეძებდა. სწორედ ამიტომ მიატოვა მშობლები, სისხლით ნათესავები და მონასტერს მიაშურა. ნაჯფი და ნაშიმშილარი რომ არ იყო, სერაპიონმა იმთავითვე შეატყო, არც სითამამე აკლდა და არც კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირდა, წვრილი აზნაური თუ არა, შეძლებული ოჯახის შვი-

ლი მაინც უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ირწმუნა სერაპიონმა მისი სიტყვები, ამიტომაც არ ჰკრა ხელი. მაგრამ ერთი რამ მაინც არ მოეწონა — იყო მასში რაღაც ისეთი, რაც პატივმოყვარეობის გაღვივებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე თვითგვემას. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, ალფეზს უკვე მორჩილობა ეცოტავებოდა და ბერად აღკვეცას მოითხოვდა. ერთხელ სერაპიონი ეგვიპტეში მარტო მოიხელთა და პირდაპირ მოითხოვა, დროა ბერად აღმკვეცოთო. სერაპიონმა უარი უთხრა და საკმაოდ მკვახე სიტყვები აკადრა. ის დღე იყო და ის დღე, დაიწყო მონასტერში მითქმა-მოთქმა, განაწყენებულთა სერაპიონის წინააღმდეგ ამხედრება, ასეთი კი არა ერთი და ორი იყო. უხამსი, ხმების გავრცელება, მისი ღვაწლისა და განათლების დაკნინება, ბოლო დროს კი მორჩილმა მთლად აიშვა თავი, მონასტერში ზომ არაფერს აკეთებდა, მაგრამ იმასაც ბედავდა, რომ მთელი ღამე იკარგებოდა და ზოგჯერ მეორე ან მესამე დღეს ბრუნდებოდა უკახ. ახლაც დაკარგული იყო, მისი კოჰლობა მხოლოდ უკეთურ საქმესთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული და სერაპიონი გრძობდა, რომ მისი მონასტრიდან გაძევება მოუწყევდა. მაგრამ ჭერჭერობით თავს მხოლოდ იმიტომ იკავებდა, მარტო ალფეზი არ იყო გასაძევებელი მონასტრიდან და უნდოდა ყველა ის უღირსი, მონასტრის ცხოვრებაში რომ უწყესრიგობა და სიბილწე შემოჰქონდათ, ერთბაშად განეთესა ზარზმოდან.

სერაპიონი დაღმართს დაუყვავა, მდინარის პირას გავიდა და წისქვილისაკენ აიღო გეზი. წისქვილი კარგა ხნის აშენებული იყო, მაგრამ აქამდე საფუკავი არ ყოფნიდა. ამას წინათ გაბრიელ გარბანელმა მონასტრისათვის პური და ქერი შეისყიდა, ურმებით ამოზიდა მონასტერში, მარაგის დიდი ნაწილი ბედელში დააბინავა, ნაწილი კი წისქვილში ჩაიტანა და მეწისქვილეს დასაფუკავად დაუტოვა. მეწისქვილე

შუახნის კაცი იყო, ტლანქი და აუჩქარებელი, თუ არაფერს ჰკითხავდნენ არც არაფერს გეტყოდა. სერაპიონს საკითხავი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ თვალს შეავლებდა, როგორ იფქვებოდა მარცვლეული, როგორ ივსებოდა ტომრები მათი სარჩო-საბადებლით და უკან გამობრუნდებოდა. წინასწარ არავინ იცოდა, როგორი ზამთარი დადგებოდა, ზოგჯერ სამცხეში იმხელა თოვლს დებდა, რომ დაბიდან დაბამდე მხოლოდ თხილამურებით თუ მიადწევდა კაცი და ამიტომ აღარ უნდოდათ ისევე ეშინებოდათ და ევაგლახათ, როგორც წინა წლებში შიმშილობდნენ და ვაგლახობდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს პური და ქერი მაინც ჰქონოდათ სამყოფად. შეიძლება ამის მიზეზი, აქეთ რომ გამოსწია, იმდენად წისქვილის მონახულება არ იყო, რამდენადაც სურვილი, რომ მცირე ხნით მაინც გამოყოფოდა ყოფიერების გამაბრუებელ დინებას, ეფიქრა არა მარტო საკუთარ თავზე და იმაზე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, არამედ იმაზეც, მისი შინაგანი სამყარო მარტო ღმერთისათვის არის განხნილი თუ იმათთვისაც, ვინც რწმენით, კეთილსინდისიერად ეხმარება მონასტრის მშენებლობას.

იყო მონასტერში კიდევ ერთი ბერი, სახელად კალინიკე, რომელიც მუდამ წუწუნებდა, თავს იბეჩავებდა, ყველას ხელებში შეჰყურებდა, ჩემზე მეტი ხომ არ ერგო რამეო. სხვას რომ მთელი დღე ემუშავა და მას მხოლოდ სანოვავე შეეზიდა სატრაპეზოში, მაინც მწარედ ბუზღუნებდა — მჩაგრავენ, მონასავით მამუშავებენ, აბუჩად მიგდებენ და დამციინან, ესაა ძმობა, ესაა თანასწორუფლებიანობაო. დაცინვით შეიძლება მართლაც დასცინოდნენ ზოგიერთები, შეიძლება მასაც ის უნდოდა, რომ დაეცინათ და საბუზღუნო და თავის დასაბეჩავებელი მიზეზი არ გამოლოდა, მაგრამ სერაპიონისათვის მთავარი მაინც ის იყო, რომ მონასტერში დროდადრო რაღაც იკარგებოდა, ძირითადად ის უმნიშვნელო ნივ-

თები, ბერების პირად საკუთრებას რომ წარმოადგენდა და სერაპიონს ეპვი რატომღაც კალინიკზე ჰქონდა. მონასტერში სხვა არავინ იყო ისეთი, იმას რომ იკადრებდა, რასაც კალინიკი, რომელსაც თვალი ყოველთვის სხვისი ნიეთის, სხვისი ლუქმისაკენ ეპირა. მართალია, სერაპიონს ხელში ჯერ არავითარი მამხილებელი საბუთი არ ეპირა, არავის შეუსწრია იგი ხელმრუდობაში, მაგრამ მაინც გუმანით გრძნობდა, რომ კალინიკი იმდენად მცონარე და ბეჩაივი კაცი არ იყო, რამდენადაც უბადრუკი, ფრთხილი და ეშმაკი, რომელსაც ღმერთი იმიტომ სწამდა და იმიტომ ეგუებოდა მონასტრულ ცხოვრებას, რომ მისთვის ეს ხელსაყრელი იყო. მონასტერში უშიშრად, უშრომელად, უზრუნველად ცხოვრობდა, ხანდახან იმის საშუალებაც ეძლეოდა, რომ ხელისათვის რაღაც ისეთი გაეყოლებინა, წმიდა ნიეთად რომ ითვლებოდა და შემდეგ ჩუმად გაეყიდა. ამის მეტი რა უნდოდა უბერი და უბატრონო კაცს. სერაპიონმა იცოდა, კალინიკეს გამოტეხვა რომ ძნელი საქმე არ იყო ორიოდ ხმამაღალი, მკაცრი სიტყვა, დასჯა კი არა, მხოლოდ დამუქრება და თუ კალინიკე გუდას თავს მოხსნიდა, მერე ვერავინ შეაჩერებდა, მონანიებთა და პატიების თხოვნით თავს მოაბეზრებდა ყველას, მაგრამ სერაპიონს არ უნდოდა უსაბუთოდ დაედო მისთვის ბრალი, სხვებისათვის დაექვევებისა და ზედმეტი ლაპარაკის უფლება მიეცა, ხოლო კალინიკე რომ სიგლახეს არ მოიშლიდა და ამ სიგლახეზე ბოლოს მაინც წაასწრებდა ვინმე, ამაში ეპვი არ ეპარებოდა.

ხეებს შორის, რომლებიც უკვე გაძარცულიყვნენ, მზის სხივები ირიბად იჭრებოდა და იმ შიშველ ტოტებს, აღრე რომ მწვანით იმოსებოდნენ და ახლა მიწისფერი ედოთ, უფრო ამწუხრებდა, ვიდრე ათბობდა. შავ ფერს მუხის, კაკლისა და წიფლის ტოტები მანამდე ვერ მოიშორებდნენ, სანამ თო-

ვლით არ დაიფარებოდნენ, ან გზა ფხულზე კვლავ არ შეიმოსებოდნენ, იმ ხავერდოვანი სიმწვანის, სხვებს რომ ახარებს და გულს ახალისებს. სერაპიონს ერჩია, ახლა რომ აღრეული გაზაფხული ყოფილიყო და არა გვიანი შემოდგომა, ამით ბევრ უსიამოვნებას ასცდებოდა და არაფრის გადადება და გადავადება არ დასჭირდებოდა, გაზაფხული რომ დადგებოდეს, თავს არ წამოყოფდნენ ის მოჩვენებები. წარსულიდან რომ იჭრებოდნენ ღღევანდლობაში, არც მონასტრის ცხოვრება გართულდებოდა ისე, ზამთრობით რომ რთულდებოდა, მაგრამ ვინ დაარღვევს იმ მარადიულ კანონს, სამყაროს წრებრუნვას რომ უდევს საფუძვლად, ვინ გამოსტაცებს დროს თუნდაც ერთ წამს. სერაპიონის მეხსიერებაში ერთმანეთს ცვლიდა იმათი სახეები, ვისი სულიერი მამობა და წინამძღვრობა მას კაცისგანაც ჰქონდა დავალებული და ღმერთისგანაც. ყოველი მარცხი, რომელსაც იგი ამ გზაზე იწვნევდა, რითაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული, პირადად მისი მარცხიც იქნებოდა, ყოველი ცოდვა, რომელსაც მონასტერში ჩაიდენდნენ — მისი ცოდვაც. სულიერი ძმების საქციელის შეფასებაში რომ არ შემცდარიყო და ტყუილუბრალოდ არ დაედო ბრალი ვინმესათვის, ცდილობდა ყოველი უსაფუძვლო ეპვი გულიდან ამოეგდო, უსამართლოდ არავინ მოექულებინა და გაეკიცხა, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთი ბერი და ერთი მორჩილი ისე იქცეოდნენ, რომ ძალაუნებურად იპყრობდნენ ყურადღებას, თვითონვე იგდებდნენ თავს საექვო მდგომარეობაში. ბერს რომანოზი ერქვა, ოცდაათ წელს მიტანებული კაცი იქნებოდა, გრძელი პირისახე, ღრმად ჩამჭდარი შავი თვალები და ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რაღაცა დაკარგა და ვერ უბოვნიო. მორჩილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ქერა, თხელი წვერი ჰქონდა, ისეთი წყნარი, თავჩაქინდრული სიარული იცოდა, თითქოს მუდამ ფიქრში იყო წასული

და სანამ რომანოზს დაუახლოვდებოდა, იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა ვინმეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი დაახლოვდნენ, ცდილობდნენ ყველგან ერთმანეთის გვერდით ყოფილიყვნენ — სატრაპეზოშიც, ეგვიტრშიც და სამუშაოზეც. მათ ურთიერთობაში გაჩნდა რაღაც ისეთი, რაც არც მამაშვილურ დამოკიდებულებას ჰგავდა და არც ძმურს. ისინი იმაზე მეტად იყვნენ დაახლოებულნი, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა. სერაპიონს შეიძლება ყველაფერი ეს მათ ახირობად მიეჩნია, მაგრამ ერთხელ წირვის დროს, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით იყვნენ დაჩოქილნი და სერაპიონი ქადაგებდა, საკუთარი თვალით დაინახა, რა სიფრთხილით წაიღეს ხელი ერთმანეთისაკენ და როგორი ალერსით მოუქიერეს. თვალი ორივეს იმწამსვე დაებინდა. სერაპიონი ერთი წამით შეცბა, შეუოვნდა, მაგრამ მისი შეცბუნება ყველასათვის თვალში საცემი რომ არ ყოფილიყო, მათ მზერა მოარიდა და ქადაგება განაგრძო. სწორედ იმ დღიდან ჩასახლდა მის გულში ექვი, იმ დღიდან უყურებდა ორივეს სხვა თვალით. ყველაფერი, ყველაფერი და მამათმავლობას მონასტერში ცოცხალი თავით არ დაუშვებდა. ეს ისეთი უწმინდური სენი იყო, დროზე აღმოფხვრასა და ამოძირკვას რომ მოითხოვდა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ბერისა და მორჩილის მხილება, ვიღაც უნდა წასწრებოდა მათ აღვირახსნილობას. ერთი სიტყვით, სერაპიონს ვიღაც უნდა მიეჩინა მათთვის და სწორედ ეს აბრკოლებდა საქმეს. თავად ამას ვერ იკადრებდა, არც ის უნდოდა, ეს საძრახისი საქმე ისეთი კაცისათვის დაევალებინა, ვინც შორს იდგა ყოველგვარი უწმინდურობისაგან, არც ისეთი კაცის გამოყენება უჭდებოდა ჰკუაში, ამ ამბავს, რომ იმ დღესვე მოჰყვნდა ქვეყანას, ხოლო ისეთი კაცი, მონასტრის სახელსაც რომ გაუფრთხილდებოდა და არც ქვეყანას ააყაყანებდა, ჭერ-ჭერობით ვერ შეერჩია. თუ

მისი ექვი დადასტურდებოდა და ეს ალბათ ასეც მოხდებოდა, იგი მათ აიძულებდა ისე წასულიყვნენ მონასტრიდან, რომ არც თავი გაეთახსირებინათ და არც მონასტერი.

უეცრად სერაპიონმა წვერზე ხელი ჩამოისვა და ისე ანგარიშმიუცემლად შეჩერდა, თითქოს ალარც კი იცოდა, რისთვის გამოვიდა მონასტრიდან და სად მიდიოდა. უსიამო ფიქრებმა გუნება მოუშხამა, ხოლო იმის წარმოდგენამ, რომ მონასტერში გავრცელებული ბიწიერებისა და უქეთურების შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რაც თვითონ დაინახა და შეამჩნია — დააფრთხო და შეაშფოთა. მის ყურამდე მხოლოდ ისეთი ამბები აღწევდა, რისი დამალვაც არაფრით არ შეიძლებოდა. მას მხოლოდ ისეთ საქმეში რევდნენ, უმისოდ რომ არ გადაწყდებოდა, დანარჩენს კი იგი თვითონ უნდა მიმხვდარიყო, თვითონ უნდა ეძია და ჭვცლია, ვინ რა სულთერი იყო, რისთვის მოვიდა მონასტერში, რა ეღო გუნებაში, რისკენ იყო მიდრეკილი და ჩუმად, თავისთვის, რას საქმიანობდა, რით ირთობდა თავს, რით იოკებდა ხორციელ ვინს. მას კი ყოველივე ამის გამოსაძიებლად არც დრო ჰქონდა, არც მიკვლევის ალღო და არც ის კაცი იყო, ვინც მოყვასს სულში ჩაუძვრებოდა და მის სიმშვიდეს ააფორიიქებდა. არა და მისგან რომ დამალული არაფერი ჰქონოდათ, არც ამდენი ბიწიერება იჩენდა თავს. სერაპიონს ამაზე აღრე არ უფიქრია, მაგრამ ახლა უეცრად გაუელვა აზრმა, რომ თუ მონასტერში ვინმეს რამეს უმაღავდნენ და თვალს უხვევდნენ, უპირველეს ყოვლისა მას, თუ ვინმეს მოტყუება და მოლორება საჭიროდ მიაჩნდათ, — ცხადია, მისი, რადგან ისინი, ვინც რამეს აშავებდა და არღვევდა, ერთმანეთს უფრო ენდობოდნენ, ვიდრე წინამძღვარს. მონასტერში წესრიგის დამყარების ერთადერთი სწორი გზა დამბეზღებლობისა და მსტოვრობის შემოღება იქნებოდა, სერაპიონი ახლა დარწმუნებული იყო, რომ მიქაელს მსტოვ-

რები და დამბეზღებლები მონასტერ-
შიც დაუდიოდნენ და მონასტრის გა-
რეთაც, მაგრამ ჭერჭერობით ამგვარი
ღონისძიების შემოღება იქ, სადაც ყვე-
ლა ერთმანეთის ძმა და მეგობარი უნდა
ყოფილიყო, უკადრის საქმედ, ურწმუნ-
ო კაცის უნდობლობად მიაჩნდა და
უეცრად ამ მომშხამველი აზრებით
გაოგნებული ისე შემობრუნდა უკან,
ისეთი სწრაფი ნაბიჯით აუყვა აღმართს,
თითქოს უმისოდ მონასტრის ეშმაკები
დაებატრონებოდნენ.

იმ წელს თოვლი უფრო ადრე მოვი-
და, ვიდრე ელოდნენ. მიწა, ხეები, ბუ-
ჩქები ერთ ღამეში გადაათეთრა, რა-
საც მეორე დღით შუარტყელელის
ბუზღუნი და ლანძღვა-გინება მოჰყვა.
როცა სერაპიონი მონასტრის ეზოში
ჩავიდა, ბილიკი კელიონიდან ტაძარ-
მდე უკვე გაკვალული იყო. შუარტყე-
ლელი ტაძრის კარიბჭესთან იდგა და
ხან ტაძარში შეიხედავდა, ხანაც ხარა-
ჩოებს შეავლებდა თვალს. ალბათ იმა-
ზე ფიქრობდა, საიდან დაეწყოთ თოვ-
ლის გამოტეხვა თუ გადახვეტა — ტაძ-
რის ქვით მოფენილი იატაკიდან თუ ხა-
რაჩოებიდან. სანამ მუშები მოვიდოდ-
ნენ, შუარტყელელს ყველაფერი ვათ-
ვლილი და გაანგარიშებული უნდა ჰქო-
ნოდა. ზამთრობით, მით უმეტეს მაშინ,
როცა ყინვებს დაიჭერდა, შუარტყელე-
ლი კედლებისა და ბურჯების წყობას
ერიდებოდა, ხალხს უფრო სახელოსნო-
ებში და ფარდულეებში ამუშავებდა —
ქვას ათლევინებდა, რკინას აკედინებ-
და, მორებს ახერხინებდა, ჩუქურთმას
აჭრევინებდა, იმარაგებდა ყველაფერ
იმას, რაც მომავალ გაზაფხულზე დას-
კირდებოდა. თუ საქმე ისე წარიმართე-
ბოდა, როგორც ახლა მიდოდა, ორ წე-
ლიწადში ტაძარი გუმბათის დასაფუძნე-
ბლად მზად იქნებოდა. ნელ-ნელა, მაგ-
რამ უკვე ცხადად იკვეთებოდა ტაძრის
მოცულობა და სიმაღლე, ბურჯებისა
და თაღების მოხაზულობა, საკურთხე-
ვლისა, საღიაკვნოსა და სამკვეთლოს
განლაგება, თვალნათლივ გამოჩნდა

ისიც, თუ როგორ დამოკლდა გრძლივი
ღერძი და გუმბათი საკურთხეველს და
უახლოვდა. შენდებოდა სხვაგვარი, გა-
მორჩეული ტაძარი, ღვთის ისეთი სახ-
ლი, ქართული ხუროთმოძღვრებისათ-
ვის აქამდე რომ უცხო იყო. მის სანა-
ხავად, მისი გეგმის გადასაღებად ზარ-
ზმაში ამოვიდოდნენ ეკლესიის დიდი
მამები, მთავრები, ხუროთმოძღვრები,
არც ის იყო გამორიცხული, ხელმწი-
ფეც რომ მობრძანებულიყო. სერაპიო-
ნიმა ტაძრის გეგმა თითქმის ზეპირად
იკოდა, ყოველი ხაზი მის გონებაშიც
ისევე იყო გავლებული, როგორც გრა-
ფილზე, ყოველი ჩუქურთმა ისე ამო-
კვეთილი, როგორც ქვაზე. ამიტომ
უკვე წარმოდგენითაც კი შეეძლო დაე-
ნახა, როგორი იქნებოდა დამთავრებუ-
ლი ტაძარი, მაგრამ ტაძრის ბოლომდე
აშენება ჭერ კიდევ არ ნიშნავდა მის
დამთავრებას. ყველაზე ძნელი წარმო-
სადგენი სწორედ ის იყო, თუ როგორ
მოიხატებოდა ტაძრის ბურჯები, კედ-
ლები, გუმბათი, ვისი ხელი და ვისი
ფერები დაამშვენებდა, გაათბობდა და
ამეტყველებდა ტაძრის შიდა მხარეს,
ვინ იქნებოდა ის კაცი, ამ დიდსა და
მძიმე საქმეს რომ მოჰკიდებდა ხელს
— ქართველი თუ უცხოელი, ჩვეუ-
ლებრივი ოსტატი თუ „ზეგარდმო ნი-
კით ცხებული“ მხატვარი. ტაძრის
მშენებლობა რომ უსასრულოდ აღარ
გაჰიანურდებოდა, ამაში სერაპიონი
დარწმუნებული იყო, მაგრამ მის მო-
ხატვას შეიძლება მართლაც ველარ მო-
სწრებოდა, ვერ დაენახა კედელზე გა-
მოხატული ესნა ციფნარისძის ანგელო-
ზისებრი სახე, რომლის აღწერა და მხა-
ტრისთვის დაკვეთა მხოლოდ მას შე-
ეძლო, რადგან ეს საიდუმლოება მისი
ნაფიქრი და ნალოლიავები იყო. ამი-
ტომაც წყდებოდა გული წინასწარ.
ტაძრის მოხატვას, ცხადია, ვერც შუარ-
ტყელელი მოესწრებოდა, მაგრამ შუარ-
ტყელელს საქმის ეს მხარე ან სულ
არ აინტერესებდა, ანდა ნაკლებად. მის-
თვის ყველაფერი მაშინ დამთავრდებო-
და, როცა ტაძარს გუმბათი დაედგმებო-

და, გუმბათზე ჭვარი აღიმართებოდა და საბოლოოდ გადაიხურებოდა. ამის შემდეგ მას ზარზეში საქმე არაფერი ექნებოდა, თუ არსად წვაილოდა, მრეცლის რიგითი წიფერი იქნებოდა მხოლოდ და მისი ნაღვეაწი და ნაამაგარი მასვე განუდგებოდა. ტაძარი იმასაც კი არ შეიმჩნევდა, კაცის ხელით რომაა ნაგები და დამშვენებული და შეიძლება შუარტყელელისათვის სწორედ მისი ნახელავის განდგომას მოელო ბოლო.

სერაპიონი შუარტყელელის მიერ გაკვალულ ბილიკს გაჰყვა და ერთხანს ფაფუკი სითეთრის მეტს ვერაფერს ხედავდა. თოვლს ჭერ ვერ მოესწრო გაქუჭყინება, ისეთი იღო, როგორც დედამიწაზე გადაფენილი გადაქათქათებული სუფრა და ამ გაუწყობელ, სუსხიან სუფრას ახალი თოვლის სუნი უდიოდა. სანამ სერაპიონი ტაძრამდე მივიდოდა, შუარტყელელმა ხარაჩოებს შემოუარა და ისევ კარიბჭესთან დახვდა. თავზე ყაბალაზი ჰქონდა წაქრული, ტანზე ცხერის ტყაბუკი ეცვა, მაღალი და გამწყრალი, მეჭოგეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხუროთმოძღვარს. მხოლოდ თვალეში ედგა ის კმუნვა, ფიქრს შიჩვეულ ადამიანს რომ უდგება ხოლმე. სერაპიონი მის გვერდით გაჩერდა და ისე შეიხედა დათოვლილ ტაძარში, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ შუარტყელელი იხედებოდა. ტაძრის იატაკი თეთრად ჭათქათებდა და უსწორმასწორო მხოლოდ იქ იყო, სადაც ნაგავი და სამშენებლო მასალის ნარჩენები ეყარა.

— დილა მშვიდობისა, შვილო ჩემო.
— მიესალმა სერაპიონი შუარტყელელს, — არ მეგონა, ასე ადრე თუ დაგვიზამთრდებოდა.

— ამ თოვლს სადამომდე გავგვით და გავზიდავთ, მამაო, მაგრამ თუ დიდთოვლობა და ყინვები დაიწყო, კარგა ხანს მოვცდებით. ვერც ჭვას მოვტეხთ და ამოვზიდავთ და ვერც გამოშწვარ კირსა და ღორღს.

— რადგან სხვა არაფერი გვაბრკოლებს, შვილო ჩემო უამინდობას, როგორმე გავუძლებთ.

— უამინდობაც არის და უამინდობაც, მამაო.

— რაღა ამ ზამთარში დაიქცევა ქვეყანა.

— დაქცევით არ დაიქცევა, მამაო, მაგრამ არ მიყვარს ზამთარი, არ მიყვარს უქმად გდება და ლოდინი. სანამ ზამთარი ჩათავდება, მე ჩემი დამემართება.

— ჩვენ ყველას ჩვენი გვემართება; შვილო ჩემო, და ამიტომაც ვლოცულობთ და ვადიდებთ ღმერთს. იმხელა საქმის ბოლომდე მიყვანა, ჩვენ რომ წამოვიწყეთ, დიდი განსაცდელია ბერიისთვისაც და ერისკაცისთვისაც და ამიტომ ჩვენ არა მარტო მოთმინება გვმართებს, არამედ რწმენაც და იმის გათვალისწინებაც, რომ ამ საქმეში ვერავინ შეგვეცლის და მას შემდეგ, რაც ტაძრის მშენებლობა დაიწყო, ჩვენი სიკოცხლე იმდენად ფასობს, რამდენადაც იგი შენდება და მშვენდება.

— მიზანი ჩვენ ერთი გვაქვს, მამაო, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ საქმეში თქვენ რწმენის სიმტკიცეს ანიჭებთ უპირატესობას, მე კი იძულებული ვარ ჭვის სიმტკიცეს გავუწიო ანგარიში.

— უღვთოდ არ არსებობს არც ჭვა და არც მისი სიმტკიცე, შვილო ჩემო.

— შეიძლება, მამაო, მაგრამ აი, ამ ბურჯების სიმტკიცე, ყელიანი გუმბათის სიმძიმეს რომ უნდა გაუძლოს, ჭვამ უნდა იტვირთოს და არა რწმენამ.

— ჭვა მხოლოდ მასალაა, შვილო ჩემო, თავისთავად მას არავითარი ფასი არა აქვს, ჭვა მხოლოდ მაშინ ცოცხლდება და მაშინ ხდება ფასეული, როცა ადამიანს მასში თავისი რწმენა, სული და ოსტატობა შეაქვს.

— თქვენ ეს ერთხელ უკვე მითხარი, მამაო

— რადგან ვიმეორებ, ან მე ვერ მოთქვამს კარგად, ანდა შენ არ მოგისმენია გულისყურით.

შუარტყელელმა ისეთი სახე მიიღო, სერაპიონი მიხვდა, ხუროთმოძღვარმა რომ გულში ხელი ჩაიჭინა. ამ კაცს

სიტყვის თქმა და მოსმენა მძიმე შრომაზე მეტად ეზარებოდა. და ეს იმით კი არ მოსდიოდა, მეტისმეტად თავდაჯერებული ან იმდენად ურწმუნო იყო, რომ არავის აზრი არ აინტერესებდა, არამედ იმის გამო, რომ ღმერთთან, რწმენასთან, ეკლესიასთან და მის დანიშნულებასთან დაკავშირებული მსჯელობა იმ ადამიანების საქმედ მიაჩნდა, ვინც საღვთისმეტყველო წიგნებს კითხულობს, ხალხს მოძღვრავს, სულიერ მამობას უწევს, რასთანაც პირადად მას არავითარი საქმე არ ჰქონდა და ცოტათი ეწინააღმდეგებოდა ისეთ სფეროში შეჭრისა, სადაც ყველაფერი ასაწონ-დასაწონი იყო, ყოველი შეცდომა, აზრის არა ისე გამოთქმა, როგორც ამას ორთოდოქსალური რელიგიური მოძღვრება მოითხოვდა, მართო შეცდომად კი არა, ცოდვადაც ითვლებოდა. ბუნებით შუარტყელელი ღვთისმოსვი კაცი კი იყო, მაგრამ არა ღვთისმამობის და ეს შიში რომ დაეძლია, საქმეს აკედებოდა.

— მე აქ იმისთვის კი არ დაგხვდით, მამაო, რომ თქვენთან დავა და განწყობებული მსჯელობა დამეწყო, რაც საერთოდ შეუძლებელია და მით უმეტეს თქვენთან. მე მინდა ვიცოდე, რამდენი ზარის დაკიდებას აპირებთ სამრევლოზე და რა სიმძიმის იქნება ეგ ზარები. ყველაფერი ამას წინასწარ უნდა გაანგარიშება და საკიდრებს მათი სიმძიმის მიხედვით გამართვა, — უთხრა შუარტყელელმა სერაპიონს ისე, თითქოს წინამძღვარმა მათი უსიტყვო შეთანხმება დაარღვია.

— წინასწარ რა უნდა ვითხრა, შვილო ჩემო. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ლითონს მოვეუყრიოთ თავს და იმ ოსტატს, რომელსაც ამ საქმეს მივანდობთ, რამხელა ზარების ჩამოსხმა შეეძლება.

— რამდენადაც მე თქვენი ამბავი ვიცი, მამაო, სრულიად უღროო დროს ისეთ რაღაცას მომთხოვთ, რაც აქამდე კაციშვილს არ გაუგონია და ამით

ტომ მინდა ამ საკომპანო საქმეში დროულად შევთანხმდეთ.

— შენ, შვილო ჩემო, არა მართო ჩემზე მეტი სამრევლოები ვნახავს, ალბათ ავიშენებია კიდევ. ამიტომ უკეთ უნდა იცოდე, როგორი სამრევლო უნდა აშენდეს ზარზმაში და რა სიმძიმეს უნდა გაუძლოს.

— ამგვარი ტაძარი მე ჯერ არც მინახავს და არც ამიშენებია, მამაო. სიმძიმით იგი ყველა იმ ტაძარს აღემატება, მე რომ ან მინახავს ან ამიშენებია. აქედან გამომდინარე, სამრევლო ტაძრის შესაფერისი უნდა იყოს, მასავით მაღალი, მსუბუქი და მტკიცე. ეს კი ბევრი რამის შეცვლას და სხვა საშუალებებით, სხვაგვარი წყობით აშენებას მოითხოვს. ამიტომაც მინდა ვიცოდე, რა სიმძიმეს უნდა გაუძლოს სამრევლოს გუმბათმა. მე მგონი დამეთანხმებით იმაში, რაკი ტაძრის გუმბათი ყელიანი, სამრევლოს გუმბათიც ყელიანი უნდა იყოს.

— უდავოდ, შვილო ჩემო.

— ჰოდა, ამიტომაც გეკითხებით, როგორ მოვიქცე?

— ამაზე ჩვენ კიდევ ვიმსჯელებთ, რადგან საქმე არ ითმენს, წინასწარ გავარკვევ, რამდენი ლითონის შესყიდვა შეგვიძლია, რამდენს შემოგვეწირავენ უსასყიდლოდ, რა ხელეწილება და რა არა იმ ოსტატს, ზარების ჩამოსახსმელად რომ ვიწვევთ და როცა ყველაფერი გვეცოდინება, ადვილად შევთანხმდებით, როგორი უნდა იყოს სამრევლო და რამდენი ზარის სიმძიმეს გაუძლოს. თუ სხვა რამემ არ დაგვაბრკოლა, ჩვენ ერთმანეთს არ დავაბრკოლებთ, შვილო ჩემო. ახლა კი მე წირვისთვის უნდა მოვემზადო, შენ კი შენს საქმეს მიხედვით და ზამთარს მოსისხარ მტრად ნუ გადაეკიდები. — უთხრა სერაპიონმა შუარტყელელს და ახლა თვითონ გაეცალა ბილიკი ტაძრიდან ეგვტერამდე. თოვლი წყლით გაქლენთილიყო და დამძიმებულიყო, ფეხი ისე ეფლობოდა თოვლში, როგორც ქობიან ნიადაგში და ღრმა, სველ კვალს

ტოვებდა. ზამთრის მზე, ბურუსიან ცის კიდურს რომ მოსდგომოდა, კრძალვით ამოდიოდა და როცა მისი ფერმკრთალი სხივები თოვლზე აირეკლა, სერაპიონმა ერთი წამით თვალები დახუჭა.

როცა წირვა დამთავრდა და სერაპიონი ეგვიპტიდან გამოვიდა. ტაძრის მშენებლობაზე მუშაობა უკვე გაჩაღებულიყო. ხეებზე ჩხარტვები შემომსხდარიყვნენ. ხარაჩოებიდან და კედლებიდან ჩამოფერთხილი თოვლი ალაგ-ალაგ ბორცვებად დაზვიინულიყო, თოვლი ტაძრიდანაც გამოჰქონდათ ხელსაზიდრებით და იმ ხევში ყრიდნენ, რომელსაც სამშენებლო მასალის ნარჩენებით ავსებდნენ. სანამ აფხვიერებული თოვლი ხარაჩოებიდან მიწამდე დაეშვებოდა, ცივად და მრავალფერად ბრწყინავდა. წუხანდელ თოვლს ჰაერი გაეწმინდა, დაენესტიანებინა, ტაძარი სინათლეში, სითეთრეში იღვავდა და მიუხედავად იმისა, რომ დაუმთავრებელი იყო, მაინც იმედითა და სიდიადით ბრწყინავდა. მის აღნაგობაში უკვე იგრძნობოდა უჩვეულო სახიერება. სერაპიონს მხოლოდ იმის ეშინოდა, თოვლზე ვინმეს ფეხი არ დასცდნოდა და ხარაჩოდან არ ჩამოვარდნილიყო. მუშაობდნენ ხალისიანად, მზე და თოვლი ისეთ განწყობას ქმნიდა, თავს რომ გავიწყებს და შრომას გიადვილებს. სერაპიონის სმენამდე მუშების სიცილი, ხმამაღალი გადალაპარაკება და ხან უხეში, ხანაც უხამსი სიტყვები აღწევდა. აღარც შუარტყელელი ჩანდა გამწყარალი იმის გამო, რომ ზამთარი კარზე იყო მომდგარი და პირველი თოვლი მოვიდა. ისე იძლეოდა განკარგულებებს, თითქოს თოვლისაგან კი არ წმენდდა ტაძარს, არამედ პერანგს აცმევდა. საერთო განწყობილება სერაპიონსაც გადაედო და თავს უფრო ახალგაზრდად, უფრო ჯანსაღად გრძნობდა. არც თავის ტკივილი აწუხებდა და არც სახსრების. ის კი არადა, ხარაჩოებზე ასვლა და სხვებთან ერთად წამუშავე-

ბაც კი მოუნდა, მაგრამ ამ დღეს მონასტრის ეზოში შემოვიდა. მისი ხუცესი და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. დაბაში, სადაც მშენებლები ცხოვრობდნენ, ერთი ძველი, პატარა, ნახევრად დანგრეული ბაზილიკა იდგა. ვიორგი მაწყვერელმა ეს ბაზილიკა ადგილობრივ მკვიდრთ ალაღვენინა, ჯვრით დაამშენა და დაბელებს რომ ნათელა, ჯვრისწერა და მიცვალებულისათვის წესის აგება გაადვილებოდათ, თადეოზ ხუცესი დაბა ქოქინეთის მღვდლად დაადგინა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა და ხუცესი არაერთხელ სტუმრებია მონასტერს. ამიტომაც არ გაკვირვებია სერაპიონს მისი დანახვა. ხუცესს თმა და წვერი ვათეთრებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ მკვირცხლად დადიოდა და სიბერის არაფერი ეტყობოდა. ხმა კი ისეთი ძლიერი და გაუბზარავი ჰქონდა. ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. იგი რომ მონასტერში არ იყო გაზრდილი, ლაპარაკზეც ეტყობოდა და ქცევაზეც. ზოგჯერ ისეთივე გაუთლელი და როყო ჩანდა, როგორც მისი მრევლი. სერაპიონმა ისიც იცოდა, თადეოზი რომ წირვა-ლოცვის წესებს მტკიცედა არ იცავდა, დაბელებთან ისე იყო გამინაურებული, რომ მათთან ერთად მემთვრალეობდა, მაგრამ ბუნებით სათნო, კეთილი კაცი იყო და ურიგოს არაფერს ჩადიოდა.

— გამარჯობათ, მამაო სერაპიონ, დაბაში ისეთი ამბავი მოხდა, რომ გამწინვარებულთა ასალაგმავიდ მარტომ ვერაფერი გააწყვე. თქვენი შიში დარიდი იმთავით კი აქვთ, ვისაც კაცის კვლა არაფერად უღირს და იმედია დამეხმარებით, დაბაში გამოწყევით, — უთხრა თადეოზ ხუცესმა სერაპიონს და ანაფორის კალთებიდან თოვლი ჩამოიფერთხა.

— რა მოხდა ასეთი, მამაო თადეოზ?

— ვილაც კაცი შეიპყრეს, ცემით სული ამოხადეს, შემდეგ კი ხეზე ჩამოკიდეს და ჩამოაბრჩვეს. ახლა ჰკილია ის უბედური ხეზე და შიშისაგან ვერავინ მიჰპარებია. მეც კი დამემუქ-

რნენ, ცხედრის ჩამოსხნა და დამარხვა არ გაბედო. სანამ ქრისტიანი კაცი ხეზე ჰკიდია, ეკლესიაშიც კი ვერ შემიდგია ფეხი, მამაო სერაპიონ.

— რა იცი, რომ ქრისტიანია?

— შეკრდზე ჭვარი ჰკიდია, მამაო სერაპიონ და სწორედ ამან შემზარა.

— ვინაა ჩამომხრჩვალი, მამაო თადეოზ?

— არ ვიცი, დღემდე არსად მინახავს. დაბელები ამბობენ შეუბრალებელი, ცოფიანი ავაზაკია და არაერთხელ გაგვამწარაო.

— როცა შეიპყრეს, მარტო იყო ის ავაზაკი?

— მარტო, მამაო სერაპიონ.

— უბრძოლველად დანებდა დაბელებს?

— საკვირველიც ეგ არის რომ უბრძოლველად, მამაო სერაპიონ.

— სად შეიპყრეს?

— დაბის განაპირას.

— როდის?

— ამ დღით, მამაო სერაპიონ.

გიორგი ჩორჩანელის სიკვდილის შემდეგ სამცხეში ავაზაკები კიდევ უფრო მომრავლდნენ, გაკადნიერდნენ და დღისითაც კი დათარეშობდნენ, მაგრამ სერაპიონი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ის ავაზაკი, ამ დღით რომ ჩამოახრჩვეს, ჭავთარ ქუაბელი იყო. სხვას ასე ადვილად, ასე უბრძოლველად ხელში ვერ ჩაიგდებდნენ, სხვა ურაზმოდ არც მოადგებოდა დაბას და სერაპიონი ამას იმით ხსნიდა, რომ ჭავთარ ქუაბელს რომელიმე დაბელის გაძარცვა კი არ უნდოდა, არამედ უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ამოძრავებდა. შეიძლება სხვა, მართლა ნაძარცვი განძი ჰქონდა დაბაში ჩაფლული, ან შეიძლება ციენარისძიანთ სახლში რაღაც დარჩა ისეთი, უსიკვდილოდ რომ სჭირდებოდა. ისიც დასაშვებია იყო, რომ ბოლო დროს იგი ან თვითონ ჩამოსცილდა რაზმს ანდა რაზმმა ჩამოიცილა და ახლა მარტო დახეტიალობდა ქოქინეთის ირგვლივ. არც ის იყო გამორიცხული, რომ იმ დანის და-

რტყმით, ესნა ციენარისძე რომ გამოასალმა წუთისოფელს, თვითონაც სასიკვდილოდ დაიკოდა თავი, ან შეიძლება ტყეში გდებით დაავადდა და არა თუ ბრძოლის ხელის შემართვის ძალაც კი აღარ ჰქონდა, მაგრამ სერაპიონი გრძნობდა, რომ მისი მსჯელობა მთლად დამაჯერებელი არ იყო. იგი ცოტათი მაინც ერკვეოდა ადამიანებში, იცნობდა ჭავთარ ქუაბელს და იმ კაცად მიანხნდა, ვისაც ან უნდა შეებრძოლო ახ დამორჩილდე, მისი მსგავსნი სხვა ურთიერთობას არ ცნობენ, ვერ ეგუებიან და სწორედ ამიტომ უკვირდა სერაპიონს, როგორ მოხდა, რომ ეს ფრთხილი, მალეასა და ჩასაფრებაში გამოცდილი კაცი, ასე ცხვარივით ჩაუვარდა დაბელებს ხელში. მაგრამ ისიც ხომ დასაშვებია იყო, რომ ესნა ციენარისძის მოკვლის შემდეგ ჭავთარ ქუაბელი მოტყდა, დაბეჩავდა, დაგლახავდა და ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ერჩია. შეიძლება სწორედ ამისთვის მოაშურა ქოქინეთს.

— რა ამბავია დაბაში, მამაო თადეოზ, ისევ ბობოქრობს ხალხი?

— ამ დღით მხეცებს ჰკავდნენ, მამაო სერაპიონ, მაგრამ მას შემდეგ კი დრო გავიდა და შეიძლება უკვე დაცხრნენ, დამწიფდნენ.

— დაბაში არავინ მოიძებნება ისეთი, ჩამოხრჩობილს რომ საფლავი გაუუთხაროს?

— ვეჭვობ, მამაო სერაპიონ, ვინმემ რომ გაბედოს და საფლავის გათხრა ითავოს.

— დამელოდეთ, ახლავე მოვალ, მამაო თადეოზ, — უპასუხა სერაპიონმა ხუცესს და კელიონისაკენ გაემართა. თადეოზმა ტაძარს შეავლო თვალი და ხარაჩოების სიმაღლემ გააკვირვა. როცა სერაპიონი უკან მობრუნდა, თან წერაჭეებით და ნიჩბებით შეიარაღებული ერთი ბერი და სამი მორჩილი მოჰყვა. მკვლელობა, ეტყობა მას შემდეგ მოხდა, როცა მშენებლები მონასტრისაკენ წამოვიდნენ, ეს ამბავი სერაპიონს ხუცესის მო-

სვლამდე ეკონდინებოდა და ამიტომ ამ დანაშაულს ადგილობრივ მკვიდრთ აბრალებდა და არა შემოხიზნებულთ.

როცა ისინი დაბისაყენ მიმავალ გზას დაადგნენ, თოვლმა დნობა დაიწყო, აქა-იქ სველი მიწა გამოჩნდა. სერაპიონს ისეთი ბედი ჰქონდა, არ შეიძლებოდა ის დღე არ მოშხამოდა, როცა კარგ გუნებაზე იყო. ქვეთარ ქუაბელი რომ უკეთეს ხვედრს არ იმსახურებდა, ამას დასაბუთება არ უნდოდა, მოკვდა ისე, როგორც უნდა მომკვდარიყო და შეიძლება ამგვარ სიკვდილს თვითონვე ეაწრაფოდა, მაგრამ ამ კაცისმკვლელობა მონასტერს დაუფასებელი სამსახური გაუწია, დიდი განძი შემოსწირა მაშინ, როცა არსაიდან არავითარი სახსარი არ ჩანდა და თუ ახლა ტამარი შენდებოდა და საბოლოო სახეს იძენდა, ამაში მასაც მიუძღოდა წილი. ასე აღმოჩნდა ერთ პიროვნებაში გაერთიანებული მკვლეელი და ქველმოქმედი. დამთრგუნველი მხოლოდ ის იყო, მას არაფერი არ შეეძლო ამ პიროვნების ორად გახლეჩა, ერთის უარყოფა და მეორის მიღება. ასეც რომ არ ყოფილიყო, მას, როგორც ბერს და მწყემსს, არ ჰქონდა იმის უფლება, რომ ქრისტიანი კაცი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის და რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა ჩადენილი, წესის აუგებლად და დაუმარხავად დაეტოვებინა.

ზამთრის პირი რომ არ ყოფილიყო, დაბა ალბათ დაცარიელებული იქნებოდა, მაგრამ სერაპიონი დაბელებს, როგორც ადგილობრივ მკვიდრთ, ასევე შემოხიზნულთ, იცნობდა და რაკი მოსახლენი მოხდა, მათი შიში აღარ ჰქონდა. მათ უკვე დაიკმაყოფილეს სისხლის დაღვრის, დანაშაულის ჩადენის მოთხოვნილება და ახლა ალბათ მონანიების გუნებაზე უფრო იყვნენ, ვიდრე შფოთისა და ამბოხისა. შეამბოხე ამ დაბაში სულ სამი-ოთხი კაცი თუ იქნებოდა, დანარჩენები კი მათ ნებას ემორჩილებოდნენ, რადგან იმ

წუთში სხვა მბრძანებლები არ ჰყავდათ. ამიტომაც იყო გატრუნული დაბა, ამიტომაც არ შეიძლებოდა ისინი, ვისაც ხელზე სისხლი ეცხო. ლობეს მხოლოდ ძალები და დედაკაცები აწყდებოდნენ და სერაპიონი მათი გამომეტყველების მიხედვით ხვდებოდა, საით უნდა აეღო გეზი. ერთმა მამაკაცმა ეზოდან გამოსვლა და მათთვის გზის გადაჭრა მოინდომა, მაგრამ როცა სერაპიონის მხერგს წააწყდა, ისევე ეზოში შებრუნდა. დაბის ერთადერთი გამგებელი და მმართველი ახლა სერაპიონი იყო, მას უნდა აელაგმა ძალადობა და თავნებობა და ამიტომ ვერავინ გამოიღებდა ხელს, ვერავინ აღუდგებოდა წინ. დაბაში წესრიგი უნდა აღდგენილიყო. ცოდვილნი ცოდვებისაგან უნდა განწყვენილიყვნენ, ამის საწინააღმდეგო არც დაბელთა უმრავლესობას ჰქონდა რამე და სერაპიონს ძალას სწორედ ის მატებდა, რაც დაბელებს თრგუნავდა.

დაბის ბოლოს მუხის დიდი ხე იდგა. მისი ფოთლების შრიალი ზღვის დღევას ჰგავდა, ხე იმდენად დიდი და ღონიერი იყო, რომ მისი არდანახვა, არ შემჩნევა არაფრით არ შეიძლებოდა. სერაპიონმა სწორედ მისკენ აიღო გეზი. მუხის ქვედა ტოტზე რომ კაცი ეკიდა, შორიდანვე შენიშნა. ირგვლივ არავინ ჩანდა, მხოლოდ ყვავები ჩხაოდნენ მოშორებით და იმ წამს ელოდნენ, როცა მშორი მათი კერძი გახდებოდა. სერაპიონი გზიდან გადავიდა და მუხას მიუახლოვდა. დანარჩენები უკან მიჰყვნენ. მუხის ქვეშ თოვლი არ იყო, მაგრამ ბალახი მაინც სველი იყო. სერაპიონმა მხოლოდ მაშინ შეხედა ჩამომხრჩვალს, როცა თავისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა. მიუხედავად იმისა, რომ ჩამომხრჩვალს სახე დაეყვილი და დასაბიჩრებელი ჰქონდა, მან მაინც იცნო ქვეთარ ქუაბელი, იცნო წარბების მოხაზულობით და იმ მძიმე გამომეტყველებით, კრილობებიდან და დაეყვილობებიდან

რომ გამოსკვიოდა. თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. დაფლეთილი ტანსაცმელი ჩამოძენძოდა, სველი თმა ცალ მხარეს ჩამოშლოდა, წვერი მოზრდოდა. მუხაზე იგი ისე ეკიდა, როგორც მოტეხილი, გამხმარი და გაშაყებული ტოტი, რომლისთვისაც აღარც სიტყვას ჰქონდა აზრი და აღარც ლოცვას. მისი აღგილი ახლა შიშაში იყო და სერაპიონიც სწორედ იმიტომ ამოვიდა აქ, რომ ცხედარი მიწისათვის მიეზარებინა.

მთებიდან ძლიერმა ნიავემა დაუბერა და ჩამომხრჩვალს ჩამოშლილი თმა შეურხია. საყოყმანო და სავარაუდო აქ უკვე აღარაფერი იყო. ხეზე მკვდარი კაცი ეკიდა და დამარხვის მეტს არაფერს თხოულობდა. სერაპიონმა ჭიბიდან გასაშლელი დანა ამოიღო, ერთ-ერთ მორჩილს შეაჩეჩა ხელში და ხეზე აგზავნა. მორჩილმა ანაფორა გაიხადა, ხეზე აცოცდა, იმ ტოტზე გაწვა რომელზედაც ჩამომხრჩვალს ეკიდა და თოკის გადაჭრას შეუდგა. დაბიდან მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა. სანამ მორჩილი თოკს გადაჭრიდა, სერაპიონმა მუხისაგან მო-

შორებით საფლავისათვის აღგილი შერჩია, დანარჩენები იხმო და საფლავის გათხრა დაავალა. ახმატრდნენწენრაქები და ნიჩბები. მიწა სველი და შავი იყო, ბელტ-ბელტად იჭრებოდა და ოდნავ ორთქლავდა. ცხედარი ისეთი ძალით დაენარცხა მიწას, რომ სერაპიონი შეეკრთა. არ ეგონა ამხელა ხმას თუ გამოსცემდა მკვდარი კაცის მიწაზე დაცემა. იგი ცხედარს მხოლოდ მაშინ მიუახლოვდა, როცა მორჩილმა პირალმა გადმოაბრუნა და ყელზე შერჩენილი თოკი შეეჭრა. მიწაზე გაშხლართული მკვდარი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე ხეზე ჩამოკიდებული. სახე თითქოს დაუმშვიდდა, დაეწმინდა, მხოლოდ ახლა შეეხამა და შეენივთა მარადისობას. სერაპიონმა და იმ მორჩილმა თოკი რომ შეეჭრა, დაფლეთილი ტანსაცმელი დანით შემოაჭრეს, სუდარაში გაახვიეს, გათხრილ საფლავში ჩაუშვეს და როცა მიწა მიაყარეს, მუხის ტოტები ქარმა ისე ძლიერად შეარხია, რომ ყვითელი ფოთლები ახალმიწამიყრილ საფლავს დააცვივდა.

□ გაგრძელება იქნება □

შოთა შავოშვიძე

მრავალსახეობა ბელეტრისტიკისა

(შტრიხები თენგივ ბუაჩიძის შემოქმედებითი კორტაჟისათვის)

წერილში მკითხველი ვერ შეხვდება კრიტიკულ გამოკვლევას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა იგი მრავალმხრივ საინტერესო მწერლის, თენგივ ბუაჩიძის ლიტერატურულ მოღვაწეობას ეძღვნება. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ სრულყოფილად გაეანალიზოთ მისი ცალკეული ნაწარმოებები, წარმოვანივთ ამ შემოქმედლის სპეციფიკური თავისებურებანი. ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია — თენგივ ბუაჩიძის შემოქმედებითი პორტრეტის მოხაზვა, მისი პროზისა და ესეისათვის დამახასიათებელი შტრიხების მინიშნება.

თენგივ ბუაჩიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი მწერლობაში მეცნიერებიდან მოვიდა. თავდაპირველად მკითხველში ამ ფაქტმა ერთგვარი გაყვირებაც კი გამოიწვია, რადგან საყოველთაო საზოგადოებრივი აზრის მიხედვით ლიტერატურათმცოდნეობის ასპარეზზე დანიშნულია საპატიო ადგილი როგორც ნიჭიერმა და ერთდირებულმა მკვლევარმა, საემარისა იოკვას, რომ იგი ასევე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, როგორც დღეიწინა ნაწილი სრულიყო მონაგრაფიებისა და ცალკე წიგნებზე არის გამოცემული. მის ნაუფიერ მეცნიერულ მოღვაწეობაზე შეტყუებულნი: ორ ტომად დასტამბული ლიტერატურული წერილები, წიგნები — „ლიტერატურული ურთიერთობათა ისტორიიდან“, „წარსული და თანამედროვეობა“ და მრავალი სხვა რომლებშიც განხილულია ქართული, რუსული, უკრაინული და ბელორუსული ლიტერატურის, აგრეთვე მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. უთუოდ საუურადღებოა მისი გამოკვლევები ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, თ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, მ. შოლოხოვისა და სხვა მწერლების შემოქმედებაზე დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს,

რომ თენგივ ბუაჩიძის ძირითადი მეცნიერული ნაშრომების მოკლე ჩამოთვლაც კი მიგვანიშნებს ავტორის დიპლომატიკურ, განსწავლულობაზე; ინტერესთა ფართო წრეზე.

შარბალია, თენგივ ბუაჩიძის ნაშრომები წმინდა მეცნიერული ხასიათისაა, მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება მათთან არ შევნიშნოთ პირადულის, სუბიექტურის მძლავრი ნაკადი, ლიტერატურული მოვლენები თუ ფაქტები თენგივ ბუაჩიძისათვის ზნორად ბიჭის მიძვეშია საკუთარი წარმოდგენების ასაგებად. ნაწარმოებების ანალიზის დროს პერსონაჟთა ქცევისა და მოქმედების ჩვენებასთან ერთად იგი ცდილობს შემოქმედის, როგორც პირადების, სულის სიღრმეში ჩაგვახედოს, გადმოგვცეს არა იმდენად ნაწარმოების შინაარსი სათანადო შეფასებებით, არ, ვთქვათ, მწერლის ბიოგრაფია, რამდენადღაც ამ წინობრივი საწყისებისა და იდეების გააზრება და ახსნა, რომლებიც ავტორს ასულდგმულბენ. მეცნიერული თემების ამგვარმა ინტერპრეტაციამ, უსიქლოგოური ანალიზისაგან სწრაფვამ. ალბათ, ერთგვარად განსაზღვრა თენგივ ბუაჩიძის ინტერესების გადაბრა მხატვრული შემოქმედებისაკენ.

მკითხველის ყურადღება ჯერ კიდევ თენგივ ბუაჩიძის ადრინდელმა მოთხრობებმა მიიქცია ეთიკურ-მორალური პრობლემების აქცენტირებით, ადამიანის სულში წყდომის უნარით. თვით მშენიაც კი, როდესაც იგი თავის ნაწარმოებში ბუნებას ხტავს, ცდილობს წინობრივი ხასიათების შემოხაზვას. ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობის საკითხს ყველა თვითმყოფადი შემოქმედი თავისებურად წყვეტს და თენგივ ბუაჩიძისა საკუთარი თვალთახედვა აქვს გამოწვევებული.

ამ მხრივ დამახასიათებელია მისი მოთხრობა „უარცაულა“, სადაც მკაცრი ბუნებისა და ადა-

მიანის ორთაბრძოლა მხატვრული დამაჩრებლობით არის გადმოცემული. მოზრობის ფაბულა, ერთი შეხედვით, შესაძლოა მარტავად მოკვეთილად. ფრონტიდან შევხედვით წამოღული გარისკავი წამთარში მოვუღალ მოაზე, ფარცალაზე აღის ოჯახისათვის კარტოფლის ჩამოსახად. დიდი ვაჭირვებით, არადაამიანური წვალებით ამას შეძლებს, მაგრამ იმავე ღამეს მატარებელი კვლავ ფრონტზე მიემგზავრება. რის თქმა უნდა ავტორს? მთავარი აზრი, რომელიც ომის პერიოდსა და მის შემდეგ მიხსნა წამოაყენებდას ვადავებს, ის არის, რომ ომით გამოწვეული ტრავმა მარტო ფრონტული ცხოვრებისათვის როდი იყო დამახასიათებელი, ზურგშიც არაწყლებ იგარბნობდა მისი მსახურალი ხელი.

მოდლოველი და მისისხანე ფარცალა, სასტიკი წამთარი, მხოლოდ მკაცრ ბუნებას როდი განსახიერებს, რომელსაც ადამიანი ებრძვის და აშარტებს. ეს არის მსოფლიო დრამის, კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის გამოძახილი და მას ზოგადადამიანური მნიშვნელობა ენიჭება.

ბუნების აღწერა მწერლისათვის თვითმზანს არ წარმოადგენს და იგი არც მხოლოდ სიტუაციის ხელშეხანებად, რელიეფურად გამოხატვის საშუალებად გვევლინება და არც მარტოდენ ფონის ფუნქციას ასრულებს. მოციუნვან კიდევ ერთ მავალიანს, რომელიც კვლავ მიჯანუშნებს, რომ თენგიზ ბუაჩიძის ნაწარმოებებში ბუნებას ემოციურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვისთან ერთად დრმა სიმბოლიკაც ახასიათებს. ამ მხრივ რომანის „ჭა ბავშვობისაკენ“ ყურადღებას აუბრუნებს წვილის ეპიზოდს, რომლის სათარუა „მთვლიანარ სიმი“. აქ იმდენად გაშვებულია სტიქიის, კოკისპირული წვიმისა და სეტყვის გულშეზარალი კეცა-ქუხილის, ნიაღვრებადქცეული ქუჩების აღწერა არ იწვევს ინტერესს და არც, ვთქვათ ადამიანების რეაქცია, რამდენადაც ის ქვეტექსტის, რაც მოაწმინდის ერთ უბანში გათამაშებულ მინილარში შეიძლება ამოკითხოთ. მეტწილად კარო, რომლის სარდაფშიც წყალი შევარდება, შეტრწუნებული და დახეული, დათონს დაშარბით ცოდვლის ძლივს გადაარჩენს დაშარბისათვის. შემდეგ სარდაფიდან წულის ამოსატყუავად სახანძრო რაში გამოჩნდება. ამასობაში გამოიღარებს კიდევ, მზე გამოანათებს და კარო თავისი თბილისური ფარგონით უკვე მხიარულად და ვატყებით უყვება მესანძრებს წიდანდელ აშავს. მართალია, ამით თითქმის მწერალი გვეუბნება, რომ კაცის უბედურება წარმოადგენს და დროებითაა, მაგრამ, ამავე დროს, ბიჭის რეალიკით — „რა უცნაურობაა?“ — გავლენიანობებს, რომ ერთი ილი ასახსნელი ადამიანის სულიერი შეტამორღოვნები და განწყობილებაა რადიკალური მონაცვლეობა. ეპიკური მწერლის მრავალმნიშვნელოვანი რეფერენტი მთავრდება: „მოაწმინდის უბანში კვლავ ცხელია“. რაც იმავე მტკიცებებს, რომ ცხოვრება გრძელდება, უსამოყვანებებსა და დრამატულ სიტუაციებს დაეყრდნობის მორტალი ნიჭი.

თითოეულ მწერალს საკუთარი შემოქმედებითი, ინდივიდუალური მეთოდი გააჩნია, რაც გარკვეულწილად იმითაცაა განპირობებული, თუ როგორ ესმის მას თავისი ნაწარმოების მოქმედ პირთა ხასიათები. შემოქმედებითი მეთოდი კი ის ლეგისის ქადაგია, რომლითაც ამა თუ იმ მწერლის ფსიქოლოგიური სიღრმე გამოიხატება. ავიღოთ თუნდაც დიალოგისა და აღწერის ხერხები. ზოგი შემოქმედებელი პირველს ანიჭებს უპირატესობას, ზოგი კი მეორეს. თენგიზ ბუაჩიძე რომანში ორივეს უაღრესად ზომიერად იყენებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც ამას მხატვრული ნაწარმოების ბუნება და თხრობის ლოგიკური განვითარება მოითხოვს. ერთდროულად, ვთქვათ, მწერალს სურს, გვიჩვენოს კრთი ადამიანის გავლენა მეორეზე, შემოხაზოს ხასიათის ნათანები სხვებთან ურთიერთობაში — დიალოგს მიმართავს. ხოლო როდესაც სურს, დაჯანახოს, გარემოს, საგნებისა და მოვლენების შემოქმედებით ადამიანი როგორ შინაგან მტკარარტოვებს განიცდის — მონოლოგს ანიჭებს უპირატესობას. ზოგჯერ კი ეს დიალოგები და მონოლოგები გაწვევებულია შესაქმნულად — მოულოდნელი, სტილისტიკური ხერხით — დღიურებიდან და პირად მიწერილიდან ფრაგმენტების ჩართვით. ეს უცანსეული ლირიკული გადახვევის იერს დებულობს, მაგრამ, ამასთანავე, ორგანულად ერწყმის თხრობას, ხელს უწყობს სიუჟეტის დინამიკურ განვითარებას. ასევე ორიგინალურად მიგვიჩინა რომანის მრავალ წრეულ-წრეულ თავებად კინემატოგრაფის მსგავს პატარა კადრებად დაწარმოება. აქ მწერალი ცდილობს იდეებისა და გარქმობების მოწაიკით ერთი მთლიანი სურათი დახატოს, თითოეულ ფრაგმენტში ზუსტად ის დეტალი შემოხაზოს, რომელიც მის მიერ წარმოსახული მხატვრული პანოს აუცილებელ შემადგენელ ელემენტად იქცევა. ისე, რომ ამით ნაწარმოების მთლიანობასა და მარტოეულიობას არ დაარღვევს. თენგიზ ბუაჩიძის რომანის კითხვისას ეს ცალკეული დეტალები პირობების განსაყურებელი ყურადღების არეალში გვადება, რაც განპირობებს მის ცნობიერებაში, ძალდაუბანებლად და ბუნებრივად, ერთიანი სიუჟეტური ქარგის რეკონსტრუქციას.

იპოლიტ ტენი მითითებებს, რომ ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების შინაგანი ლირიკული განვითარება განიზომება იმით, თუ რამდენად დოკუმენტურია იგი ცხოვრებისეული სმართლის გამოხატვის თვალსაზრისით. თენგიზ ბუაჩიძის მონაცვლეობა ეპიკური მწერლის მრავალმნიშვნელოვანი რეფერენტი მთავრდება: „მოაწმინდის უბანში კვლავ ცხელია“. რაც იმავე მტკიცებებს, რომ ცხოვრება გრძელდება, უსამოყვანებებსა და დრამატულ სიტუაციებს დაეყრდნობის მორტალი ნიჭი.

ჩიქ არ ღალატობს ამ პარციის და ისე მძაფრად და შიამბუქდვად გვიხატავს რომანის დადებით და უარყოფით გმირებს, რომ მკითხველი არა მარტო აღიქვამს, მაგალითად, კეთილშობილ და-თო მონადარასა და ვაქნოლი მელაროვის, სი-მონ ვახვახიას, ურთიერთსაწინააღმდეგო პო-ღუსებზე უოყნას, არამედ იმასაც ხედება, რომ ისინი ურთიერთგამომრიცხველ სხვადასხვა მო-რალურ განზომილებებში არიან მოქცეულნი. ავტორი თითქოს გვეუბნება, რომ ზოგერთი ადამიანის არასრულფასოვნება ისევე ბუნებ-რივია, როგორც კრისტალის წახნაგების უს-წარობა, — შეიძლება აღფრთობა გამოვთქ-ვათ ასეთი გეომეტრიული ასიმეტრიის მი-მართო? და იგი, თუმცა თავდაპირველად და დაარსებულად, პირველი თვითონვე გამოთ-ქვას ამ აღფრთობას.

ეს განსაკუთრებით მძაფრად მონადარების ოჯახის ტრავმაში იგრძნობა. დათოს მამა უღანაშაულად დაიხაჯა. ოჯახი თითქმის განა-დგურდა, მაგრამ ვარემამ და ტრადიციებმა, საწინააღმდეგო და სიკეთემ, რაც იქ სუფუფვდა, თა-ვისი ნაყოფი გამოიღო — უსამართლობის მსხვერპლის შვილი, მიუხედავად იმისა, რომ მორალურად ტრავმირებული იყო, მაინც კე-თილშობილ ადამიანად აღიზარდა და როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი გამიჭრულად დიდიუბა ფრონტზე. აქედან მწერლის შეგონება — სად, უმანკო ფესვებზე არ შეიძლება ქანსადი და წმინდა ნერვი არ ამოვიდეს, ხოლო ობიექტ-ღიისა და მეშინის ოჯახში შეიძლება უნაყოფი და სულით მახინჯი ნაშთი აღიზარდოს, რად-განაც ვარემო ჰქმნის ადამიანს. თენგიზ ბუა-ჩიძის რომანის გმირები უადრესად თანამედ-როვე ადამიანები არიან. ავტორი ხაზს უსვამს მათ შინაგან სწრაფვას სულიერი, ზეგობრივი სრულყოფისაკენ. თავის მხრივ, თვით საზოგა-დოების წინაშეც ისახება ვარემოელი ამოცანა — ადამიანურად გადაწყვიტოს ადამიანთა ცხო-ვრება. უთუოდ საუურადღებოა მწერლის სურ-ვილი წარმავალ მოკლენათა ქაოსის მიღმა გა-რესამყაროსა და ადამიანის მარადიული და გა-ნუყოფელი მთლიანობა დაეკანახოს.

თენგიზ ბუაჩიძე თანმიმდევრულად აუაღი-ბებს თავის პოლიციას ზეგობრივი სიკეთისა და ბოროტებისადმი, ცდილობს გაარკვიოს, რო-გორ წარმოიშობებიან იდებმა, როგორ ვითარ-დებიან ისინი და რა ურთიერთობაში იმყოფე-ბიან ერთმანეთთან, გვიჩვენოს, როგორ მივყა-ვართ გრძნობებს შთაბეჭდილებათა და მსჭე-ღობათა ფართო ნაკადისაკენ, როგორ იცე-ღება კაცის გული და გონება, საით მიდის ცხოვრება. ხოლო ცხოვრება კი, როგორც ამას უკანასკნელი მოთხრობა „აღსარება“ გვეუბნე-ბა, საკმაოდ რთულია და აღსავსეა წინააღმდე-გობებით, პარადოქსებითა და ალოგიკურობით. მწერალი მხატვრულ სიმართლეს არ ღალა-

ტობს, არ მალავს ამ წინააღმდეგობებს, არ აღსაზნებს სინამდვილეს, მხატვრული ახახვისა და შემეცნების საგნად აქცევს მათ. დე, რაც მთავარია, ცდილობს ჩაწედოს მათ წარმოშობა მიზეზებს, რათა მომავალში ჭეშმარიტებამ უფრო თამამად და თავისუფლად გაეკვალოს გზა.

ამ მოთხრობაში, მართალია, ერთ ღროს დე-ვნილი, ცრუმეცნიერებად მონათლული გენე-ტიკა საბოლოოდ აღიარებას პოულობს, სიმა-რთულ იმარჯვებს, მაგრამ მწერალი, ამავე ღროს, გულისტყვილით მიუთითებს ამ ზი-ანზე, რაც, ერთი მხრივ, ასეთმა ვოლუნტარის-ტულმა აქცია მოუტანა მეცნიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებას და მორალ-ურად დაორჭუნა პატრიოტი ადამიანები. მკით-ხველი ხედება, რომ სანდრო სორდიას დრამა იშვენიად შინი პირადი ცხოვრების კატასტრო-ფით არ იყო განსირობებული, რამდენადაც სხვა მიზეზებით, მათ შორის მეცნიერული ჭეშ-მარიტებისათვის უთანასწორო ბრძოლით. ამსა-თანვე მწერალი ერთგვარ ფსიქოლოგიურ პა-რადოქსსაც ვეთავაზობს. სანდრო სორდია, რომელიც სულიერად მთლიანი, ურკვევი ბუნე-ბის, იდეისადმი ერთგულების განსახიერებმა, თავის ღრმზე წინ აღუდგა საყოფარ კლასისა და ოჯახს — ვაჭრის შვილი წითელი კომისხა გახდა, მისთვის უცხო იყო რაიმე დამოხმა დიდი მიზნის მიღწევის გზაზე, მეცნიერულ საქმიანობაშიც ასეთივე უკომპრომიზო — თა-ვისი შეხედულებების ერთგული დარჩა ბო-ლომდე. რა მნიშვნე ახეთი ადამიანი მარცხს გა-ნიცდის. რა რომ? ამ კითხვებზე ამოწურავი ვა-სუბის ვაცემა ძნელია. თუმცა თვით ნაწარმოე-ბი მიგვაჩვენებს, რომ ნებისმიერი ჭეშმარი-ტების ზეიმი უმსხვერპლოდ წარმოუდგენელია, რომ ხშირად სიტყვი ადამიანების ტრავმულ ბედზე იგება სიმართლის კოშკი. ამასთან, ცხა-დაა, რომ მხოლოდ ერთგულებით ბრძოლა მეც-ნიერულ სინდისიერებისათვის საქმეს ვერ შეე-ღიის, რომ თავის მხრივ საზოგადოებაც უნდა უფროხილდებოდეს ადამიანს, რადგან ამის გა-რეშე არ არსებობს პროგრესი, არ არსებობს წინსვლა. ვარდა ამისა, განსაჯავლისწინებელია ისიც, რომ პიროვნების სულიერ დრამას უფ-რო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ეს ერთი შე-ხედვით გვეჩვენება. მწერალი ამავე პირდაპირ აბათრებს გვეუბნება, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ სულიერი დრამის ერთ-ღი მიზეზი შეიძლება იყოს ფანატურიად განწ-უობილი ადამიანის ბედის ფატალურობა, ტრა-გიკულობის რაღაც გენეტური გარდუვალობა.

თენგიზ ბუაჩიძის მოთხრობა „აღსარება“ სა-უურადღებოა კომპოზიციური თავისებურები-თაც, რის თაობაზეც პარტიაში უკვე გამოთქვა აზრი და მას აღარ გავიშორებთ. მხოლოდ ვი-ტუვით, რომ თხრობის ორბუნაინობა, — რო-

დესაც ეპო სორდია სანდროს თავდადასავლის გადმოცემისას ამავე დროს საკუთარ თავზედაც გვესაუბრება, — შკოხველს საშუალებას აძლევს შეადაროს ორი ძმის ბედი და გამოიტანოს დასკვნა, რომელი მათგანის სახეა უფრო ძლიერი. არც ის არის შემთხვევითი, რომ თენგიზ ბუაჩიძის ეს მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. რადგან მწერალს კარგად ესმის პირველი პირით თხრობის თავისებურებანი.

პირველი თავისებურება ის გახლავთ, რომ ავტორი ერთგვარად დაზღვეულია მოსალოდნელი შენიშვნასაგან, თუ რატომ ვვამლევს სიტუაციებისა და ხასიათების შეფასების ერთერთ შესაძლო და, არა, ვთქვათ, ოპტიმალურ ვარიანტს. ამით მწერალი თითქოს მოგვანიშნავს, რომ თითოეული ჩვენთანაა თავის ვარშემო ბედებს არა იმდენად სამყაროს საერთოდ, რამდენადაც საკუთარ სამყაროს, საკუთარი შეგრძნებებით აღქმულ სინამდვილეს, რის შესაძლებლობას მას გონება, ტემპერამენტი და ინტელექტუალური დონე აძლევს. ეპო სორდიაც თავისი სამრევლოდან უფურცებს ცხოვრებას და ამიტომ, შესაძლოა, მისი აზრები ყოველთვის არ იუოს მისაღებო და ვასაზიარებელი...

მეორე თავისებურებაა მწერლის უნარი, გარკვეულად შეზღუდოს დროსა და სივრცეში ამბის მოხრობელი, რათა მისი დამოკიდებულება გარესსამყაროსადმი ილუზორული არ გახდეს და ამით ნაწარმოებს სინამდვილის ასახვის მართებული პოზიციის თვალსაზრისით ზიანი არ მოუტანოს. დამეთანხმებით, პირველი პირით თხრობა საქმიად რთული ხელსაწყოა, რასაც თენგიზ ბუაჩიძემ, ჩვენი აზრით, წარმატებით გაართვა თავი.

დასასრულ, შევნიშნებთ თენგიზ ბუაჩიძის წვლილზე ქართული ესეისტიკის განვითარებაში, რადგან მშობლიური ლიტერატურა მიაჩნა და მიაჩნ განებივრებული არ არის ამ ენაწიის ნაწარმოებებით.

ესეის, მოგვხსენებათ, საქმიად შიდადრი იხტორიან გააჩნია. მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა როგორც საზღვარგარეთულ, ისე სამამულლო ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ ამჭრად ჩვენ გვიინტერესებს არა ამ ენაწიის ისტორიული ასპექტი, რამდენადაც მისი თანამედროვე სახე, ის თავისებურებანი, რაც უკანასკნელ პერიოდში შეიძინა და რაც დამახასიათებელია თენგიზ ბუაჩიძის ესეისტიკისათვისაც.

სავთლისმშო ფაქტია, რომ ესეიმ დროთა განმავლობაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. კერძოდ, თხრობის ლაკონურობამ, აფორისტულობამ, ეპოქის სპიტიზირატო საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებამ თანდათან ხელი შეუწყო იმას, რომ წმინდა ლიტერატურული ასპარეზიდან თურნალისტიკაშიც გადაინაცვლა, ე. ი. პუბლიცისტური თეორიება შეიძინა. ამიტომ აუცილებელია თანამედროვე

ესეის ანალიზისას ლიტერატურულ-მხატვრულ კოლიზიებს წარმოჩენასთან ერთად მისი მუბლიცისტიკის პოზიციებიდან გაზრტვებაც.

თენგიზ ბუაჩიძის ესეები კლასიკურად ერთო შეხედვით თავისუფალი, უსისტემო ფიქრებისა და დაკვირვებების ერთობლიობის შთაბეჭდილებას სტოვებენ. მათ თითქოს ერთმანეთთან რამე ხელშეხსებები კავშირი არ გააჩნიათ და შესთხვევითი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი. მაგრამ მიუხედავად ასეთი კალეიდოსკოპური ფორმისა, მწერალი ერთი თემიდან მეორეზე ისე თავისუფლად, ისეთი უშუალობით გადადის, რომ შკოხველი ვეღარ გრძნობს კომპოზიციის მოჭვენებით ქაოტურობას. აქ, ჩვენი აზრით, ვადაშწვეტებს როლს ასრულებს ავტორისული პოზიციის სიმყარე, მისი მოქალაქეობრიობა, მორალურ-ესთეტიკურ ფასეულობათა სოციალური თვალთახედვით განჭვტება, რაც ესეების შორის ურთიერთკავშირის განაპირობებს.

ძირითადად თენგიზ ბუაჩიძის ესეის აგებულება დაახლოებით ასე შეიქლება წარმოვიდგინოთ: 1. შესავალი (რამე თენისის, აზრის წამოყენება); 2. ექსპოზიციონი (შესავალში) დასრული საკითხის ინდვიდუალური, სუბიექტური ინტერპრეტაცია; 3. კულმინაცია; 4. ფინალი. ამ სქემაში თითოეულ ნაწილს თავისი ფუნქცია გააჩნია, რითაც შიილწევა ამა თუ იმ პირობების მხატვრული და მსოფლმხედველობრივი გააზრება.

თბილისის ობსერვატორიის დირექტორი ინიშნებოდა მეცნიერებათა აკადემიის მიერ პულკოვოს მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის წარდგინებით. მეცნიერ თანამშრომლებს ობსერვატორიის დირექტორი ნიშნავდა და შემდგომ შეფინანსებას ამტკიცებდა. კადრების შერჩევის ეს ბიუროკრატიული გზა არ იძლეოდა საშუალებას ობსერვატორიის ადგილობრივი ძალებით შევსებისა. აქამდე ობსერვატორიას არცერთი ქართველი მეცნიერი თანამშრომელი არ ჰყოლია. უკიდრედ ამის მიუხედავად, ობსერვატორიის არსებობამ თბი-

ლისი აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს გეოფიზიკურ ცენტრად და იგი ვახუშტაშვილსა და კავკასიაში სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ჩამოყალიბებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დროს ზოგიერთი თანამშრომლის არმისია გაწვევისა და მომარაგების თანდათანობით გაუარესების გამო, ობსერვატორიის მუშაობა კვეთილებდა. რევოლუციების წლებში ზოგიერთი განყოფილება საერთოდ იხურება, უმეტესობა ნორმალურად ვერ მუშაობს.

პროფ. ვ. გლანციის დირექტორობამ 1897 წლიდან ბევრი სიყვით მოიტანა ობსერვატორიას, მაგრამ 1917 წელს იგი ტოვებს თბილისს და სამშობლოში — ვარშავაში — გადადის სამუშაოდ. პულკოვოს მთავარ ობსერვატორიაში აღზრდილი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ბენაშვილი სწორედ რომ კანონზომიერი, პირველი ქართველი დირექტორი იყო ობსერვატორიისა. მოვლენები ისე წარიმართა, რომ მალე დადგა ხაიხოხი თბილისის ობსერვატორიის უნივერსიტეტის გამგებლობაში გადამოცემისა.

1919 წლის 19 მარტს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და საქურნალო ფაკულტეტის სხდომაშ, პროფ. პ. მელიქიშვილისა და ან. ბენაშვილის მოხსენებათა საფუძველზე, დაადგინა: „ეთხოვოს განათლების სამინისტროს, რათა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს“.

1919 წლის 20 მარტს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადასტურა ფაკულტეტის დადგენილება და თავის მხრივ დაადგინა: „ეთხოვოს განათლების სამინისტროს განკარგულება მოხადონოს, რათა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით, გადაეცეს თბილისის უნივერსიტეტს“. ასე, საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია თბილისის უნივერსიტეტს დაუკვებდებარა. ამან დადებითი როლი შეასრულა არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში, არამედ ფართო შესაძლებლობები შეექმნა ამ დარგებში სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკას. საქმე ის იყო, რომ ამიერიდან თბილისის უნივერსიტეტო, ობსერვატორიის გზით, მთელი რაგი სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის გამგებელი გადდა.

„საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება“ ივანე ჭავჭავაძის ხელითაა დაწერილი 1919 წელს, ობსერვატორიის მიზანი და დანიშნულება დებულების პირველ პუნქტშივეა განსაზღვრული: „ფიზიკური ობსერვატორიის მიზანი და დანიშნულებაა საქართველოს შესწავლა მეტეოროლოგიურისა, მაგნიტურ, სეისმური და საზოგადო ფიზიკურ მოვლენათა თვალსაზრისით. ამასთანავე მის მოვალეობას შეადგენს შედლებისადავარად სახელმწიფო, საეროობა და საზო-

გადობრივ დაწესებულებებისათვის საჭირო სა-
მეცნიერო ცნობების მიწოდება პრაქტიკული
საყიფისების გადასაჭრელად"

ობსერვატორიას ექვემდებარებოდა კარსნის
მაგნიტური სადგური და უველა მებტეოროლო-
გიური სადგური, რომლებიც საქართველოს
რესპუბლიკის საზღვრებში არსებობდა. ობსერ-
ვატორია სახალხო განათლების სამინისტროს
უწყებაში ითვლებოდა და უკველმზრივ ექვემ-
დებარებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტს.

ობსერვატორიის დირექტორს სამათემატიკო-
საბუნებისმეტყველო ფაქულტეტი ირჩევდა და
პროფესორთა საბჭო ამტკიცებდა. დროებითი
დებულებით დეტალურად იყო განსაზღვრული,
რომ „დირექტორის მოვალეობა ობსერვატო-
რიისა და მის ექვემდებარე დაწესებულებათა
სამეცნიეროსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას
საზოგადო ხელმძღვანელობა გაუწიოს და მოე-
მივს მოქმედებას ხელი შეუწუოს“. ობსერვა-
ტორიისა და სადგურთა უველა მოსახსურეს
დირექტორი იწვევდა. მხოლოდ ვანყოფალება-
თა გამოცემა, სამათემატიკო-საბუნებისმეტყვე-
ლო ფაქულტეტის წარდგინებით, პროფესორთა
საბჭოს მიერ უნდა უკეთილყო დატკიცებული.

მარტო საქმიად მდიდარი მატერიალური ბა-
ზა კი არ გადმოვიდა უნივერსიტეტის ხელში
ობსერვატორიის დაქვემდებარებით, არამედ
რამდენიმე გამოცდილი თანამშრომელიც სწო-
რედ პ. ოფ. ა. ბენაშვილის დირექტორობის
დროს გახდნენ უნივერსიტეტის დირექტორ-მას-
წავლებლები.

1928 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ.
ა. ბენაშვილი საქართველოს ფიზიკურ ობსერ-
ვატორიას. ამ დროს ხელახლა შეიქმნა სიეს-
შური ვანყოფილება: 1921-1922 წლებში კვლავ
დაიწყო „წლიური მებტეოროლოგიური ბიულე-
ტენის“ გამოცემა, 1928 წელს გამოვიდა
1921-1928 წლების სიესშური ბიულეტენები.
გაიზარდა მებტეოროლოგიური სადგურების რი-
ცხვი, გაიხსნა სინოპტიკური ვანყოფილება.

უნივერსიტეტის პირველი — სიბრძნისმეტ-
ყველების ფაქულტეტი იფუალისწინებდა სამა-
თემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგებ-
საც. მაგრამ მოვლენების განვითარებამ შესაძ-
ლებელი გახადა უნივერსიტეტის არსებობის
შეორე სემესტრიდან ცალკე სამათემატიკო-სა-
ბუნებისმეტყველო ფაქულტეტის შექმნის სა-
კითხი დამდგარიყო.

1918 წლის 19 ივლისს ივანე ჯავახიშვილი
თავის მოხსენებაში განათლების სამინისტროსა-
დმი აღნიშნავდა, რომ „ისეთი ფაქულტეტიც
კი, როგორც სამათემატიკო-საბუნებისმეტყვე-
ლოა, ქართველ-მეცნიერთა საქმიო რიცხვით
თითქმის სრულებით უზრუნველყოფილია“.

მხოლოდ მათი მოწვევაა აუცილებელი რუსე-
თის სხვადასხვა უნივერსიტეტებში დაწესებული

ქეტრე მელაიშვილი და ანდრია ბენაშვილი
თავიდანვე უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ,
მათ შილე ანდრია რაზმაძეც შემოუერთდა და
ერთიანი ძალით გაიშალა მუშაობა ახალი ფა-
ქულტეტისათვის. საქმე მარტო სამათემატიკო-
საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის შექმნით
არ დამთავრებულა: იმის გამო, რომ სამედიცი-
ნო ფაქულტეტის პირველ კურსზე ზოგადი სა-
ბუნებისმეტყველო საგნები იკითხებოდა, გადა-
წყდა ვაერთიანებული საბუნებისმეტყველო-
სამათემატიკო და სამკურნალო ფაქულტეტის
შექმნა. ეს კი 1918 წლის შემოდგომაზევე
მოსდა. ანე რომ, უნივერსიტეტის არსებობის
პირველ კალენდარულ წელს შეიქმნა უველა
მუშაობარული ფაქულტეტის წინამორბედი —
სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტი, აგრეთ-
ვე, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სა-
მედიცინო ფაქულტეტი. სწორედ უნივერსიტე-
ტის არსებობის მეორე სემესტრიდან იწყება
ლექციების ქართულად კითხვა ანტრონომიას
და გეოდეზიაში.

უდალესი პასუხისმგებლობით ეპერობოდა
პროფესორი ანდრია ბენაშვილი ქართულად
ლექციების კითხვას. ეს, საერთოდ, ზომ სრუ-
ლიად ახალი საქმე იყო. მაგრამ მას ზელს
იხივ უწყობდა, რომ რუსულ უმაღლეს სკოლა-
ში ლექციების კითხვის მდიდარი გამოცდილე-
ბა ჰქონდა.

თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-
საბუნებისმეტყველო ფაქულტეტი არა მარტო
უითარდება და ფართოვდება როგორც ფუნდა-
მენტული კვების მოვარო კერა რესპუბლიკა-
ში, არამედ იგი ხდება საუფრეველი ქერ აგრო-
ნომიული და შემდეგ პოლიტექნიკური ფაქულ-
ტეტების შექმნისა. ანდრია ბენაშვილი სამივე
ამ ფაქულტეტის სათავეებთან მდგომი ერთ-ერთ-
თ უველაველ აქტიური პროფესორია და სხვა-
დასხვა დროს სამივე ფაქულტეტის დეკანი.

1919 წლის 13 ოქტომბრიდან პროფ. ან. ბე-
ნაშვილს დაევალა სამათემატიკო-საბუნების-
მეტყველო ფაქულტეტის დეკანობა.

ანდრია ბენაშვილი, როგორც დეკანი, თავ-
მკლომარებოდა პროფესორთა საბჭოს 1919
წლის 17 დეკემბრის სხდომას, რომელზედაც
თბილისის უნივერსიტეტის რექტორად არჩიეს
ივანე ჯავახიშვილი, მიუხედავად ამ უანასკენ-
ლის წინააღმდეგობისა.

1921 წლის 30 სექტემბერს აგრონომიული
ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველ
სხდომას, რექტორის დავალებით, მიესალმა სა-
მათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის
დეკანი პროფ. ან. ბენაშვილი და დამს-
წრეთ მიულოცა ეს სასიხარულო დღე. რა-
საკვირველია, ამით არ ამოწურულა მისი
როლი აგრონომიული ცოდნის ამ კერის მი-

მართ. იგი ამ ფაქტობრივად გეოდეზიის სწავლების დაწყებას საქართველოში.

პროფ. ან. ბენაშვილი ყველა იმ წინასწარი მოსაზრებელი საორგანიზაციო დონისძიების აქტიური მონაწილეა, რომელმაც შესაძლებელი გახდა 1932 წლის იანვრიდან თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაქულტეტის გახსნა. უმაღლესი ტექნიკური განათლების სარბიელზე იგი ვარდაცვალებამდე მოღვაწეობდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა კადრების აღზრდაში.

გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი, როგორც თბილისის სამხედრო სასწავლებლის, (რომელიც მალე ახსრება) უფროსი, ცდილობს სასწავლებლის ქონება გადაეცეს უნივერსიტეტს. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1918 წლის 21 იანვარს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივანე ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „რადგან სამხედრო სასწავლებელი და ბევრი სხვა დაწესებულებანი იყვნენ, ზოგები უნდა იყოს მიღებული, რომ უნივერსიტეტს გადაეცეს მათი ქონება.“ ამისათვის უნდა აღჭურვილიყო შეამდგომლობა სადაც ჯერ იყო. სწორედ ან. ბენაშვილის მეცადინეობით შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტთან ასტრონომიული კაბინეტი ძვირად ღირებულების მოწყობილობით ისე, რომ მასზე ერთი კაპიტი არ დახარჯულა.

ან. ბენაშვილის, როგორც ამიერკავკასიის არმიის შტაბის სალიკვიდაციო განყოფილების უფროსის აქტიური მონაწილეობით გადმოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უყოფი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი წიგნიანი ფონდი. 1919 წლის აგვისტოში აღნიშნული ბიბლიოთეკიდან უნივერსიტეტმა მიიღო 5.799 ტომი, უშთავრესად ძველი გეოგრაფიული, პოლიტიკური, საისტორიო და უწყებრივი ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე.

ან. ბენაშვილის, როგორც დიდი სამხედრო სპეციალისტის, მაღალმა ავტორიტეტმა სარგებლობა მოუტანა ტოპოგრაფიის განვითარებას საქართველოში. იგი ზომ 1918 წლიდან არმიის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ხელმძღვანელობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომაც, 1922 წლამდე, პროფ. ან. ბენაშვილი აგრძელებდა წითელი არმიის ტოპოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელობას. სწორედ ამ ფროს დაწინაურდნენ შემდგომ გამორჩენილი ქართველი სპეციალისტები — ვ. ჭავჭავაძე, თ. რუსიშვილი.

კ. იორდანიშვილი, გრ. ზუნჯავა, მ. ჭავჭავაძე და სხვ. მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ტოპოგრაფიული განყოფილება ახორციელებდა არა მარტო გეოდეზიურ და ტოპოგრაფიულ, არამედ კარტოგრაფიულ სამუშაოებსაც. ასევე მნიშვნელოვანია ან. ბენაშვილის

დამსახურება ქართველ კარტოგრაფებში.

გენერალ-ლეიტენანტი

ან. ბენაშვილი იყო ინიციატორი იმისა, რომ სწორედ ქართული უნივერსიტეტი გამხდარიყო ტოპოგრაფიულ-კარტოგრაფიულ სამუშაოთა კვლევის მთავარი ცენტრი არსებულ ეპოქაში. ნიშანდობლივია ამ მხრივ უმაღლესი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილას პროფ. ივ. ჭავჭავაძის 1922 წლის 15 იანვრის მიმართვა საქართველოს რევკომისადმი.

მიმართული აღნიშნულია, რომ მოისმინა რა პროფ. ან. ბენაშვილის მოხსენება, სამხედრო კომისარიატის ტოპოგრაფიული განყოფილების კავკასიის ცალკე დაშლის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ, მიუთითა ამ ფაქტის მიზანშეუწონლობაზე. პროფ. ან. ბენაშვილის მოხსენების მხედველი დაწერილ ამ დოკუმენტში ისიცაა ნახევრები თუ როგორ უნდა განვითარებულიყო თბილისის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ეს ფაქტისად პრაქტიკული ღარგები. წარდგინებამა დაწერილობითაა დასასაბუთებელი ის ამოცანები, რაც საქართველოს ტოპოგრაფიული განყოფილების წინაშე იდგა, სახელდობრ: რუკების დამზადება ქარისათვის, აგეგმვა და დაკვლევა იმ რაიონებისა, რომლებიც აქამდე ტოპოგრაფიულად შესწავლილი არ იყო (მაგ., აღმოსავლეთ საქართველო). სკოლებიანათვის გეოგრაფიული რუკების შედგენა და გამოცემა, რესპუბლიკისათვის ახლო მომავალში აუცილებლად საჭირო დიდ კადასტრული აგეგმვის შესრულება და სხვ. საქართველოს ფიზიკური ოსტერვატორიის მეცნიერული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტოპოგრაფიული განყოფილების მეცნიერულ მუშაობასთან და თუ ტოპოგრაფიული განყოფილება ჩვენს ხელში არ იქნა, სრულებით შეუძლებელი იქნება უნივერსიტეტში გეოდეზისტებისა და ასტრონომების მოწოდება.

იქვე აღნიშნულია, რომ უყოფად საუფრადდებოა მიმდინარე გეოგრაფიული ხასიათის სამუშაოები, რომლებიც ამჟამად და უახლოეს მომავალში უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. სახელდობრ, უკვე დაბეჭდილი და გამოცემული დღემამანის ნახევარსფეროები, დაშრადებულია დასაბეჭდად დედამიწის ხუთი ნაწილის საკლასო რუკები, საქართველოს დიდი კედლის რუკა, საქართველოს მცირე რუკა, გეოგრაფიული ატლასი და სხვ. დასაზრადებელი და გამოსაცემი ქართულ ენაზე საქართველოს ყველა მასშტაბის რუკები, რაც დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. დასაზრადებელია მრავალი სხვადასხვა ისტორიული, გეოლოგიური, გეოფიზიკური და სხვა დანიშნულების რუკები. სამეცნიერო საბჭოს სთხოვდა საქართველოს რევკომს, „დაუფრუნებლად განკარგულიყო ვასცეს ტოპოგრაფიული

განყოფილებას საქართველოსთვის უკან დასაბრუნებლად, რათა შემდეგში ეს განყოფილება გადაეცემოდ იქნას იმ გეოგრაფიული ინსტიტუტისათვის, რომელიც ავლავებელი საქართველოს მიხედვით უნდა ახლო მომავალში დაარსებული იქნას უნივერსიტეტთან, ან დამოუკიდებლად. განათლების სახალხო კომისარიატის უწყებლო ბელმძღვანელობის ქვეშ. სწორედ პროფ. ან. ბენაშვილი იყო ერთერთი ინიციატორი, რომ საქართველოში შექმნილიყო გეოგრაფიული ინსტიტუტი. სადაც იმუშავებდნენ ასტრონომიის, გეოდეზიის, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის სპეციალისტები.

პროფ. ან. ბენაშვილი, უნივერსიტეტის სხვა პატრონ პროფესორებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კულტურულ რევოლუციაში, რაც შარდი ძალით ვითარდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე.

1921 წლის 1 ნოემბერს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო. მისი თავმჯდომარე იყო განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელიძე, „დეკლარირებული თავმჯდომარე“ უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჭავჭავაძე. საბჭოში შედიოდა 21 წევრი. შეიქმნა ხალი სექცია: სამეცნიერო-პოლიტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური. ამ უკანასკნელ სექციას პროფ. ან. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა.

საბჭომ უდიდესი მუშაობა გასწია ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის, უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების მოწოდების, პედაგოგიის ახალი და სრულყოფილი მეთოდებისა და ხერხების შემუშავებაში.

პროფ. ან. ბენაშვილი უმაღლესი სკოლას პედაგოგიის შესანიშნავი სპეციალისტი იყო. რუსულ და ქართულ უმაღლეს სკოლებში ოთხთვიურწლიანი საღებავი გამოცდილება თავის გამოხატულებას პოულობს ქართულად გამოცემულ მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში — სფერულ ასტრონომიასა და სფერულ ტოპოგრაფიაში, უმაღლეს გეოდეზიასა და ტოპოგრაფიაში. არსებითად ეს ხომ მეცნიერების ამ დარგების პირველი ამბტყველება იყო ქართულ ენაზე.

პროფ. ან. ბენაშვილის დახვეწილი ქართული წერა და მბტყველება საინჟინო იყო. ამასვე თხოვდა იგი თავის მსმენელებსაცან.

ბუნებისმეტყველებასა და ტექნიკაში ახალი ქართული მეცნიერული ენის სათავეებთან იღვა პროფ. ან. ბენაშვილი. ასტრონომიის ზოგადი კურსის სისტემატიკა კითხვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული სამეცნიერო ასტრონომიული ტერმინოლოგიის განვითარებას. იგი მუშაობდა ქართული ასტრონომიული ტერმინების შემუშავებაზე, მოხერხებულად იყენებდა ძველ ქართულ ასტრონომიულ სახელწოდებებსა და ცის მოვლენათა და ობიექტების ხალხურ სახელებს. მან შემოიტანა და შეკრდა დანერგა გარკვეულ მეტყველებაში ტერმინები, ბენაშვილი, პირისპირადგომა და მრავალი სხვა, რომლებიც ხალხურ ლექსიკას ეკუთვნოდა (ნ. მაღარიძე, ასტრონომიული მეცნიერება უნივერსიტეტში, გავითი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1938, 21 ევნიცი).

სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის მიღწევებით მასების განათლებისათვის დიდად სასარგებლო იყო 1929 წელს პროფ. ან. ბენაშვილს მიერ შედგენილი ტექნიკური პარობითი ნიშნუბისა და დამწერლობის ნიშნუბის აღმოჩენა.

სოციალისტური აღმშენებლობის წლებში პროფ. ანდრია ბენაშვილს მრავალ ადგილას იწვევდნენ კონსულტაციებისათვის, მის რეკომენდაციებს უცვლელით დიდ ანგარიშს უწევდნენ. მას მიმართავდნენ სხვა რესპუბლიკების დაინტერესებული ორგანიზაციებიც.

ეს ის დროა, როცა თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ხდება, რესპუბლიკაში მრავალი დარგობრივი სასწავლო ინსტიტუტი იქმნება. ამ ინსტიტუტებისათვის სწორედ პროფესორი ანდრია ბენაშვილი იყო შეუცვლელი და ერთადერთი სპეციალისტი იმ პერიოდში. სწორედ 1932 წელსვე სწორდება ეს შეცვლა. პროფ. ან. ბენაშვილს ასტრონომიასა და გეოდეზიის პროფესორად და კათედრის გამგედ იწვევენ ახალშექმნილ დარგობრივ ინსტიტუტებში, როგორც იყო იმ დროს სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, მელორიატული, ტრანსპორტის ინჟინერთა, სამოა-მეტალურგული, დაბოლოს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტო, რომელმაც შემდგომ შეიერთა უმეტესობა ზემოდასაბელებული ინსტიტუტებისა. 1938 წლიდან, დაარსებიდანვე, იგი მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხილო შემდეგ 1938 წ. სოციალიზმდე, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

შეუდარებელი ლექტორი, მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მდგომი პროფესორი უცვლად სასურველი კანდიდატურა იყო კათედრის გაგვისა, მაგრამ სიყვარულითა და რწმენით შთაგონებული თავდაუზოგავი პედაგოგიური მოღვაწეობა ზოგჯერ რთულდებოდა იმით, რომ იგი უკომპრომისო, სიმართლის ქაქურ მოქმედი პიროვნება იყო, რაც მის გარშემო მომღუბრებს ადვილად მტრულდებოდა, მაგრამ მოძულე, მტერი მას არ ჰყოლია.

პროფ. ან. ბენაშვილი, უცვლელგვარი ნიღბის გარეშე, მართალი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა; უცვლასა და თითოეულის მიმართ ერთნაირად მაღალი პრინციპუბისა და ღირსების მტარებელი.

ესევე როგორც საკუთარი თავის, სხვების მიმართაც უაღრესად მომთხოვნი პიროვნება იყო ან. ბენაშვილი, თუმცა უცვლელით ობიექ-

ტურობის ფარგლებში. მის, როგორც პროფესორ-გამომცემლის შესახებ მთელი ლეგენდები დარჩა. იგი უფრო შექმნილი სტუდენტობის, რომელიც ჩვეულებრივ დადგარებით აფასებენ თავიანთ ცოდნას.

მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა ასეთი მოკონება დაავითარა: — ინსტიტუტში რომ ვიყავი, გეოდეზიას ანდრია ბენაშვილი (პროფესორი) გვეუბნებოდა. იგი მკაცრი პედაგოგი იყო და საგნის კარგად ცოდნას მოითხოვდა. გამოცდაზე რომ მივედი, ჩამკრა, მოკვამადე და მეორედ მივედი, ისევ ჩამკრა. მეწყინა; მაგრამ რას ვაყარებოდი. მესამედ მივედი, წერტილმანებში შემიღავა, კვლავ არ მოეწონა ჩემი მომზადება და მესამედ ჩამკრა.

ძალიან გაებრაზდი. მან შემატყო წყნა და ზიზზი:

— სხვა ტომისა რომ ყოფილიყავი, აქამდე გაგიშვებდი, მაგრამ რადგან ქართველი ხარ მეტს ვთხოვ... ქართველმა კაცმა, ჩემმა შეგარდმა, ჩემი საგანი ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს... ამიტომ ვახსოვლებ, ათქერ რომ მოხვიდე გამოცდაზე, ხანამ ზედმიწევნით არ გექნება საგანი ათვისებული, ათქერეე ჩამკრიო.

რას ვეტყოდი. ნაწუნი ვიყავი, მაგრამ ეს რომ მოხრა, გულში მაინც სიამე და სიამაყე ვაგრძენი, ბოლოს მაინც ჩავაბარე. შესანიშნავად ვიცოდი, მაგრამ ფრიადი მაინც არ დამიწერა. უკეთესად უნდა გცოდნოდით.

პროფესორ ანდრია ბენაშვილს როგორც მკვლევარს, ლექტორს, ხელმძღვანელს, გამოცემელს სწორად ახასიათებდა 1937 წლის 22 მარტს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მიერ გაყვანილი ოციციკლიური დახასიათება: „თავისი საქმის დიდი მკოდენ, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს კათედრის წევრთა და სტუდენტთა შორის, აქვს თავისი სახელმძღვანელოები გეოდეზიაში. კათედრაზე მუშაობას უაღრესად აქტიურად უძღვება. ლექციებზე დასწრება უაღრესად აკურატულია.“

გამოცემაზე მკაცრი მოთხოვნების გამო, ზოგჯერ ადგილი მქონდა ცალკეულ გაუგებრობებს ზოგიერთი სტუდენტის მიმართ, მაგრამ პროფესორის მოთხოვნა ყოველთვის სამართლიანი იყო (ლევან ასათიანი, უბის წიგნაკიანი „მნათობი“, 1968, № 8, გვ. 132); ამ აზრს მთლიანად ეთანხმება აგრონომიული ფაკულტეტის მაშინდელი პირველი კურსის სტუდენტი, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგი დურშიშვილი. იგი იგონებს: „ჩვენ გამოწვევითი გვექონდა, რომ ვინერად-ლენინურიც მხოლოდ რამდენიმე ლექციას მოვსტუმრადით და შემდეგ ჩვენს სავალდებულო საგნებს მივსვდებოდით. ბატონმა ანდრიაიმ ისე „შეგვტყუა“ თავის სამყაროში, რომ არც ერთი ლექცია არ გაგვიცდენია. პრაქტიკულები უკლებლად

დაამუშავეთ და ნაცვლად იმისა, რომ 8 სემესტრის მოსმენის შემდეგ ჩავუბნებოდა: „შეორე სემესტრის ბოლოს ჩავაბარეთ.“

გამოცემაზე „სამი სტუდენტი მოკვდიოთ. წინასწარ ვიცოდით, რომ პროფესორი გამოცდების დროს არავის არ აჩქარებდა, თითოეულ სტუდენტს შეეძლო ახდენი დრო დაეხარჯა პასუხების მოსამზადებლად, ნახაზების შესასრულებლად, რამდენიც მოესურვებოდა. თვითონაც მეტად მშვიდად. ნეგობრულად იცუვოდა გამოცდებზე მოსულ სტუდენტებს. სტუდენტის მომზადების გამოსამზადებლად უკეთესი პირობების შექმნა ძნელი წარმოსადგენი იყო. მოაღწია ჩემი გამოცდების დრომ და ბატონ ანდრიათან პირისპირ აღმოვჩნდი. ნახაზებს მდებანს ათვლიერებდა, სავალდებულო ნახაზებს სახაზავი რეზულის 10-მდე ფურცელი დასჭირდა. იმ დროს მე მხოლოდ ერთი ფურტი მქონდა: გადახვანდა თუ არა ბატონი ანდრია ხელს უღუშებზე. სტუდენტები „ამტიკიცდენენ“ თუ გამოცდების დროს უღუაშებზე ხელი გადახვანდა, მაშინ ყველაფერი რიგზეა, და თუ არა, საქმე დაღუპულიყო, როგორც იქნა თავი მაღლა აწია, თვალეებში შემომახიდა, [გაიღიმა... უღუაშებზე ხელი არ გადაუხვამს, მაგრამ სამივე სტუდენტის ცოდნა ფრიალზე უღუაშა. კარგებამდე მოვაცილდა, სადნისადმი პატივისცემისათვის მადლობა გადაგიხიდა.“ (სეოგი დურშიშვიდი, „ზოგი რამ წარსულიდან“, 1985 წ., გვ. 41—42).

ივანე ჯავახიშვილსა და ანდრია ბენაშვილს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ.

ივანე ჯავახიშვილი არა ერთხელ სიამაყით აღნიშნავდა ქართველ პროფესორზე ანდრია ბენაშვილზე, რომ მან ბუნებისმეტყველების რთულ დარგში წარმოაჩინა ჩვენი ხალხის ნიჭიერება.

ანდრია ბენაშვილს კი საქაროდ არახდროს არ გამოუხატავს ის სიყვარული, რაც მას ქართველი ხალხის დიდი შვილის მიმართ მქონდა. სამაგიეროდ, მას შემდეგ, როცა ივანე ჯავახიშვილი გამოავისუფლებს რეპტორობიდან და უკვე იწყებდა მისი სრულიად გაუმართლებელი ლანძღვა-გინება, ანდრია ბენაშვილი აუცილებლად თვლის გულმხურვალე წერილი მისწეროს ივანე ჯავახიშვილს.

ჩვენ უცვლელად ვაქვეყნებთ (პირველად) ანდრია ბენაშვილის ორ წერილს. ერთი 1927 წლის 27 იანვარსა დაწერილია. „დედად პატივცემულ ბატონო ივანე, დღევანდელ დღეს მე როგორც საქართველოს მოქალაქე და უნივერსიტეტის მოღვაწე, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მოვალეობა ჩვენი დიდებული ტაძრის დაარსების 10 წლისთავი და გისურვოთ დღეგრძელობა, რათა გეღობროს ნახვა ჩვენი უნივერსიტეტისა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც თვედ მუდამ ოცნებობდით.“

თქვენი დეაწლის სამშობლოსა და უნივერსიტეტის წინაშე დაფასება ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სახელი უნივერსიტეტის სახელთან განუყოფლად არის შეკავშირებული და, სანამ არსებობს საქართველო და ქართველი ხალხი, იქნება ცოცხალი უნივერსიტეტი და მასთან ერთად თქვენი სახელიც: თქვენ შეუქმენით ისეთი კანდიდატი, რომელიც უნათებს ჩვენს სამშობლოს ყველა კუთხეს და რომლისკენ მიმართულია ქართველი ხალხის თვალი და გული. მოგიძღვნით უღრმეს საღამოს და კვლავ ვისურვებთ ქანობიერებას და დღეგრძელობას ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტისა და საქართველოს კეთილდღეობისათვის.

თქვენი მარადის პატივისმცემელი
ა. ბენაშვილი“.

ერთი წლის შემდეგ აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი. ჩვეულებრივ სიტუაქიური ანდრია ბენაშვილი თავის ბარათში აუცილებლობად თვლის გულმხურვალედ აღნიშნოს ივანე ჭავჭავაძის დამსახურება. სხვების მიერ ეს იმ დროს მთელი სისრულით როდი ეთმებოდა. 1928 წლის 8 თებერვალს ანდრია ბენაშვილი სწერდა:

„დღეად პატივცემული და ძვირფასო ბატონო ივანე,

დღევანდელ დღეს მოგილოცავთ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების ათი წლისთავს და სულით და გულით ვისურვებთ ქანობიერებასა და დღეგრძელობას, რათა მოგვეცეთ საშუალება განახორციელოთ ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტისა და სამშობლოსათვის ყოველივე ის, რაც თქვენი სიცოცხლის ოცნებას შეადგენს.

უცნაურ პირობებში ზეიმობს ჩვენი კვება უნივერსიტეტის დიდ დღესასწაულს. თქვენ დაუფასებელი დეაწლი და ამჟამ მიიღებთ დატრედილულა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანებოდეთ, რომ დღევანდელ დღეს ყველა შეგნებულ და პატიოსანი ქართველის თვალი და გული თქვენსკენ არის მიმართული, აღსავე უღრმესი პატივისცემით და მადლობით.

საქართველო თავის დღეში არ დაივიწყებს იმ უსაზღვრო სიკეთეს, რომელიც თქვენ დასდეთ დღეებულო ტაძრის შექმნით, თქვენი სახელი, ბრწყინვალე შარავანდედით მოხილი, მარადის უნივერსიტეტის შუბლზე წარუბოცლად იქნება აღზევებული და, თვით ელვარე კანდიდატი, მუდამ უჩვენებს საქართველოს ახალ თაობას კუმარით გზას, რომელიც მიიყვანს ჩვენს სამშობლოს ბედნიერების საშუაროში.

გილოცავთ წერილის საშუალებით; არ მინდა შეგაწუხოთ პირადი მოსვლით. ჩემი ოქახიც მოგიძღვნით თქვენ უღრმეს პატივისცემას და გულითად მილოცვას უნივერსიტეტის ამ ბედნიერ დღეს.

ვთხოვთ ვადასცეთ თქვენს საყვარელ ოქახს ჩემი უღრმესი პატივისცემა და გულწრფელი მილოცვა.

მარად თქვენი პატივისმცემელი და უოველი ბედნიერების მოსურნე

ა. ბენაშვილი.“

პროფესორი ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს, სოხუში, მისმა მოწაფეებმა მანქანელების ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. იგი ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.



იზმარ კვიციანი

უპიტი აკაკის პოეზიაში

აკაკის ლირიაში გამოირჩევა ლექსები, სადაც ზოგჯერ საგანგებო დაკვირვება გვეხვევს იმის განსაკვეთად, საუფარელ ქალს მიმართავს პოეტი თუ ქალად წარმოსახულ სამშობლოს. ერთ-ერთი ასეთია საყოველთაოდ ცნობილი „სატრფოს“ (II, 285), მაგრამ ამ ლექსში მაინც იგრძნობა მეორე პლანი, არის სრულიად გარკვეული მინიშნებები (მაგალითად, ტყვეობაში მყოფ ნესტან-დარეჯანთან შედარება), რაც გვაფიქრებინებს, რომ პოეტი დაბეჩავებულ სამშობლოს მიმართავს.

ამ უნებურად გვაგონდება მისივე ცნობილი მუხამბაზის („აღმართ-აღმართ...“) სტრიქონები:

„მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვის არი?
— ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით
ძინიარით.“
(I, 225).

გასაოცარია სინადავე, სიტყვიერი მასალის გარეგნული უბრალოება და ფრაზის ციფხლოვანი მოქნილობა, ერთი წერტილისკენ რომ მი-აქანებს სათქმელს, გარშემო ეხვევა მთავარ საფიქრალს:

მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა ერთგული,
შენთვის სულ დგმულს,
შენგანვე,
შენთვის მიიგვრს ეს გული.

ამდევრ განწიორებული „შენ“, „შენი“, „შენთვის“, „შენგანვე...“ პოეტის უსაზღვრო ერთგულებას გამოხატავს, გავმცნოს, რომ სატრფოს დასახსნელად, გადასარჩენად სიცოცხლის გაწირვაც არაფრად უღირს.

აკაკის პოეტური ოსტატობის ბრწყინვალე გამოვლენება ამ ლექსის მეორე სტროფი,

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

თვალთმაქცი მტრის ზედში ჩავარდნილი სატრფოს გაფრთხილებად რომ გაისმის:

მეგულები ციხეში,
ცხრალტულში მჭდომარე,
შეთვისებას გვირგვინს
გაიძვერა მოსუვარე!

კონტრასტის უნივერსალური ზერბი, რასაც უველაზე ხშირად იუენებს აკაკი, ამ მწვერვალს აღწევს — ორი ანსოლუტურად საპირისპირო ცნება ერთ სხეულადაა შეკრული („გაიძვერა მოსუვარე“), ერთ აზრს გამოხატავს. „გაიძვერა“ გვიხსნის მტრის ნამდვილ ბუნებას, ფარდას ხდის მის შიშვენებით ზრუნვას, ფარისველურ ჭოროსუფლობას (სხვათა შორის, ამ კონტრასტში თითქოსდა უწინარი სიტყვა „შეთვისება“ მოსმობას, გადაგვარებას ნიშნავს) და რამდენად იგებს საბე, რომ ამ ეპითეტთან შინაარსობრივად სრულიად შეუთავსებელი „მოსუვარე“ არის შეწყველებული. თუ რანიირი მოსუვარე და კეთილისმყოფელია ეს პირივინება, მომდევნო სტროფში მისი საქციელიდან ჩანს, რაზედაც ცოტა ჭეშმით ვიტყვი:

ამგვარი ეპითეტო („გაიძვერა მოსუვარე“). იგივე ოქსიმორონი, მოულოდნელობის გამო, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და პოეტისგან განსაკუთრებულ ოსტატობას და სიფროხოილეს მოიხიფებს; მისი ზედლოცურად შექმნა ვერ მოიტანს სასურველ ნაყოფს, იგი მხატვრული აუცილებლობით უნდა იყოს გაჩენილი და მთავარ ჩანაფიქრს ემორჩილებოდეს. შემთხვევითი როდია, რომ სპეციფიკური ოქსიმორონს იშვიათ ეპითეტობა რიგს მაკეთვინებენ და ამ ჭეშმითც ცალკე გამოყოფენ — განკერძოებულ მოვლენად მიიჩნევენ:

„იშვიათ ეპითეტობა შორის მნიშვნელოვანი აღვითა უყვია დაპირისპირებულ ცნებათა შეწყველებებს (ოქსიმორონებს). სიტყვათა ალოგიური შეერთება ფსიქოლოგიურ იფიქტს

ქმნის, მკითხველის ყურადღებას იქცევს, აძლიერებს საზის გამომხატველობას. ამგვარ ეპითეტთა ფუნქციები ანტიოეზის გამოყენების მსგავსია". (ჯ. გორბაჩევიჩი, ე. ხაბლო).

ამ ტიპის ანტიოეზების გამოყენება დადასტურებულია ჩერ კიდევ მომეროსის ეპოსში განსაკუთრებით საინტერესოა „ოდისეას“ მეცხრე ეპიკოდი, სადაც გამოყვანულში შემწვევდრულ რადისევის, მოწოდებული ღვინის სანაცვლოდ დაუნდობელი ციკლოპი პოლიფემე „სამაგიერო სარქუარს“ პირდება. ჩვენს მიერ აღჩვევ დამოწმებულ ტრაქტატში („სტილი შესახეს“) ანტიოეზი ხანის ესთეტიკოსა დემეტროსის ამ ეპიკოდის სხენებულ დეტალზე ამახველებს ყურადღებას; იგი საგანგებოდ ჩერდება მეტყველების დახვეწილ სტილზე, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად მიანჩია ამაღლებული, საზეიმო ზუმრობა და დასქენს, რომ „ამგვარ კეთილშობილ და ამაღლებულ ზუმრობებს შინადად მიმართავს მომეროსი, როცა სურს იყოს უფრო მძლავრი და გამომხატველი, იგი ზუმრობს და იმავდროულად თავზარს სცემს. გეგონება, პირველმა მან მოიგონა საშინელი ზუმრობა. ასეთია, შავალითად, სიტყვა „სარქუარი“, ციკლოპისთანა საზარელი არსების პირით ნათქვამი: „ჩერ ყველა შენს მეგობარს შევემ და ბოლოს შენ, ჩემო არტინ. აჰ, ჩემი სარქუარი“. (თარგმანი ზ. კე. ნაძისა და თ. ჩხენკელისა).

არაფერია ისე შემწავი — არც ვაშშმად ოდისევის ორი ამხანაგის შექმა, არც შემოსახველიზე აყულებული ღოდო, არც კიტი — როგორც ეს ზუმრობა.

ამ „საშინელ ზუმრობაში“ ძნელი არ არის ოქსიმორონის ამოცნობა. ბოლოს (სხვა თანამგვარების მერე) შექმას ზღაპრული ციკლოპი „სარქუარს“ აჩქვევს. სხეებზე ადრე შექამ ადამიანს თუ ოდნავ მოგვიანებით, საბოლოოდ ერთია (ის კი არა, უარესიცაა, როცა შებეურებს სხვათა წამებას და იცი — ბოლოს შენც იგივე გეღის) და როცა ამას „სარქუარს“ დაარქვევ, მართლაც თავზარდაცემი, „საშინელი ზუმრობა“ გამოდის.

ასეთსავე კონტრასტზე აგებული, ოქსიმორონის ტიპის „საშინელი ზუმრობები“ იღლი დასაძებნია აკაცი წერეთლის პოეზიაში.

გვახსენდება პოეტის ერთი ცნობილი ალტერატიული ხასიათის ღექში „სოფლურა“ (II, 142), რომელიც თითქოს იმაზე დაწერილი, თუ როგორ აფრთხობენ სოფლებში წინაღობის მოსატაცებლად შემოჩვეულ ქობს.

ამ ღექსის ალტერატიულობაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი ცენზურას აუკრძალავს, როცა 1884 წელს „დროებაში“ დასაბუბლად იყო აცულობილი (II, 479).

ჩვენთვის ამაშიად საყურადღებოა მტაცებლი-

სადმი მიმართვა, გარეგნულად თავზარ ფორმაში რომ არის მოქცეული: **არქონული**
გვიწოდებენ
ზემი თოფი ტყვიას გვიწოდებენ,
და გიკოცნის კვდამო.

კონტრასტი აშკარაა; სასიკვდილოდ გაბოლილი ტყვია გამოყვანილია, როგორც ძვენი, სარქუარი. ასევე ირონიულია მომღვენო ფრაზა: „დაგოცნის კვდამო“. ცხადია, ამ „საშინელ ზუმრობაში“ კუფის რა დაკოცნასაც გულისხმობს თოფის პატრონი; „დაგოცნის“ აქ ნიშნავს „გაიგვირბიტავს“, რაც პირდაპირ არ არის ნათქვამი და ალბათ ამიტომაც იტყვიტაკაციდებით მტრია.

კონტრასტზე აგებული „საშინელი ზუმრობა“ ამ მავალითში, მართალია, ზმენების („გოდენის“, „დაგოცნის“) მეოხებითაა განხორციელებული, მაგრამ სხვაგან აკაცი საშისოდ ტიპიურ ოქსიმორონს მიმართავს — ეპითეტზე გადაქვს ძირითადი დატვირთვა, მასში აშუავენებს მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებას, მიგვიანიშნებს მის ნამდვილ არსზე. ასეთია, მავალითად, ერთ-ერთი გამოყვანა (გამოყვანებე აკაცის საყვარელი თანრია), რომელიც საყვობის მოლოდინში ჩასატრებულ ობობას გვიხატავს:

არც იცის ფრენა, არც ზტომა,
დაკოცავს ძალის ძლობითა,
პერში სახლ-კარს იკეთებს,
შინა ზის წლიდან წლობითა
და სტუმარს ეღის სიამით,
ნაძრახბი მასპინძლობითა.
(III, 137).

აქ ერთადერთი სიტყვა, ეპითეტო („ნაძრახბი“) ხსნის გამოყვანში გამოყვანილ ობობას ბორბტბუნებას. მასპინძლობა, როგორც წესი, სტუმრის ღირსეულ დახვედრას ითვალისწინებს და როცა მასთან ასეთი სარწმინო სიტყვაა დაკავშირებული, ცხადია, თუ რანაირ მასპინძლობადაც გვაქვს საქმე. მანამდე ნახსენებ „სტუმარსაც“ არა აქვს ჩვეულებრივი გაგება — იგი ნიშნავს მსხვერპლს, ობობას მიერ დაბლართულ ქსელში რომ უნდა გაებას და იქვე მკოვოს აღსასრული. ობობა „სტუმარს“ მართლაც „ეღის სიამით“, მაგრამ ესეც სხვაგვარი სიამაა — ერთი სული აქვს როდის გამოწუნის მცდურბადეში მოხვედრილ ზუსა თუ პეველას. ოქსიმორონი „ნაძრახბი მასპინძლობა“ ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია, თუ რა შრავალმხრივად და ოსტატურად იმარტევის აკაცი კონტრასტზე დაფუძნებულ თავის უსაყვარდეს ხერხს.

ოქსიმორონის გამოყენების ზედოვენებას აკაცი წინამორბედთაგან ძალზე მარტვედ, ვირტუოზულად ფლობს დავით გურამიშვილი. ღვეკთა ტყვეობიდან გაპარული, შამხნარებში მო-

ზეთაღელ დაეთით ტყის უმწიფარი ხილით იმ-
რუნებს სულს და შეუღარებელი ირონიით ამ-
ბობს:

ათი დღის მშვიტის მომერ თვა
სადილი საკვებ ბუ რია,
მოუწყვარი კერძები და შევებე შე
კოწახურია...

ირონიას, მწარე დამილს ამფარებს ზმინს
ზრდლობიანი ფარმა — „მომერთვა“, რასაც
მოსდევს ასევე ირონიით შეფერილი „სადილი
საკვებურია“. ამ ეპითეტის („საკვებურია“) ნა-
მდელი მნიშვნელობა ზუსტდება მომდევნო
სტრიქონში, როცა ვიკებთ, თუ როგორი „სა-
დლის“ ამარა დარჩენილა კბილმკვეთილი და
ღონემიზილი პოეტა.

აქვე გვიჩვენა გავაღვლოთ ერთი პარალელი,
რაც, ფოქრობით, არ იქნება საფუძვლად მოკ-
ლებული. მიუხედავად იმისა, რომ შარდ ბოდ-
ღერს ლექსის ფარმა გაფრთხილებული ჰქონდა,
იგი ფრანგული სიმბოლიზმის აღიარებული
მეტრი და თავიანთ მრწამსით უპირისპირდებოდა
რეალიზმის ესოტერას, ხოლო აკაცის მოვლ-
მხედველობა, შემოქმედებითი შეთხრობა პირწი-
ნდად რეალისტურია, ამ ორი პოეტის მხატვ-
რულ აზროვნებაში, გამოსახვის ზერზების შერ-
ჩევაში შეინიშნება წვდვირთი საერთო მომენ-
ტი, რაზედაც ჩვენ საქიარებისა მიხედვით
ვიტყვი.

ცნობილია, მაგალითად, ბოდღერის ძალზე
მკვეთრად გამოვლენილი მიდრეკილება კონტ-
რასტული ხატებისადმი; მის მიერ ცხოვრები-
ნეულ წინააღმდეგობათა მძაფრი აღქმა, დამი-
რისხარებულ მოვლენათა თუ თვისებათა ერთ
ხატში დანახვის უნარი.

რადა თქმა უნდა, გამორჩეულ მხატვრულ
ფუნქციას ანიჭებდა ბოდღერი იშვიათი ეპი-
თეტის იხეთ სახედაც, როგორცაა ოქსიმორო-
ნი. ამას საგანგებოდ აღნიშნავენ:

„შეუშვებო ანტიოფეა (ოქსიმორონი)... ბო-
დღერის ზროტესკის ერთ-ერთი ყველაზე ტი-
პური გამოვლენებაა. იგი ათვალხანიანობის
მხატვრული აზროვნების თავისებურებებს, რა-
საც წარმართავს მძაფრი დამირისპირებანი, თი-
ქვინის პარადოქსები, ცხოვრების დაბატულ მო-
თქმის „აბსურდის ლოკისა“, მის შერწყმულ
წინააღმდეგობებს რომ ემყარება.“ (გ. ნოღმანი).

ცალკეულ შემთხვევებში, როცა კონკრეტული
მხატვრული პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი,
ბოდღერი უარს როდი ამბობდა ასახვის რეა-
ლისტურ პირინციებზე, ჩვეული ოსტატობით
იუმრებდა „რეალისტური ექსპრესიის ზერზებს“.
(გ. ორაგვილიძე).

შემთხვევითი არც ის არის, რომ „ბორტე-
ბის ყვაილების“ შერაც განყოფილების ცნო-
ბილი ლექსი „პარისის სურათები“ მინერულია

„რეალიზმის ნამდვილ მანიფესტად ფრანგულ
პოეზიაში.“ (იქვე).

საერთოდ, ცნობილია „ამაჰ ტენენის მღერისა“
მიმართ ბოდღერის ზოლი და ამდენადვე და-
ტკათა და უპოვართადმი დიდი აღაშინური თა-
ნაგრძნობა, რაც ახარეთ ლექსში გამოსკვივის.
ბოდღერისათვის, საფრანგეთის 1848 წლის
რევოლუციის აქტორი მონაწილესათვის, უყო-
ყმანოდ მისაღები იყო აკაც წერეთლის საბრ-
ძოლო მოწოდებასათი მძაფრი სტრიქონები,
დამირისპირებულ კლასთა შეურაცხებელ წინა-
აღმდეგობას რომ გამოხატავს:

პატრიოსან ღარიბს რით სკობს
გამდვილ რებული იუდა.

ბოდღერის „ბორტების ყვაილების“ შედ-
გეილობასა და ლექსიკონზე საგანგებო დაკვი-
რებებში, გამოწვეულია თმა ფილოლოგიურმა ანა-
ლიზმა ფრანგი მკვლევარი პ. ვირო დარწმუნა,
რომ პოეტის ყოველი ლექსი დამირისპირებათა
ფონზე აღიქმება (აქ — იქ, უფსრული (ქო-
ჭობეთი) — ლაფარდი (სამოთხე), ყოველ მა-
თაგანში ძეგს ასეთი სტილისტური ოპონიციები.
(წ. ზოვანსკია).

აკაცისული „გაიძვრა მოყვარე“ თავში შე-
ცრად მოხული სინტაგმა არ არის. ხანგრძლივი
დაკვირებისა და ფიქრის ნაყოფია. ეს შეწყ-
ვილება ღრმად არის ჩაჭედილი პოეტის გონე-
ბაში და გარკვეული მოვლენისადმი მის ზოლს
გამოხატავს.

ამ ოქსიმორონის თავდაპირველი ვარიანტი
გამოყენებულა უფრო ადრე დაწერილ, ასევე
აღგორბულ ლექსში („ნაძალადევი სატრფოს“,
II, 158), სადაც პერსონიფიკირებული, ღამაჰ
ქალად გააზრებული სამომლო დაურობებლად
ეუბნება თავის დამონებებს:

ვერ მომიბილა, ცრუ მოყვარე,
ვერც ერთ, ვერც თვალადობით...
შევიპყრებართ, როგორც მთვარე
გველუშასა ძალდობით...

ბოლო ორი სტრიქონი აშკარად ეზიანება
რუსთაველის ცნობილ შეტაფორას, როცა ფრი-
დონი და ავთანდილი ერთმანეთის პირისპირ
დამდგარ — ომგადაბდილ ტარიელსა და ქაქე-
თის ციხიდან დახსნილ ნესტანს დიანახავენ
(„ნახებს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე
გველუსა“).

ადრე დამოწმებული ლექსიდან („სატრფოს“)
ვიცით, რომ პოეტს ქალი კვლავ ნესტანიით
დატყვევებული, „ცხაკლიტულში მქდომარე“
მთაულება (საგულისხმოა, რომ ამავე ლექსშიც
ჩამოთვლილია „ვეფხისტყაოსნის“ გმირები —
ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი — ტანჭული
ტყვე ქალის, იგივე ნესტანის დასახსნელად რომ
მიეშურებან): „ნაძალადევი საქმროცი“ იგივე
ტყვე ქალი იხებებს იმავე „ცხაკლიტულს“.

რომელსაც დაწვრივ მოვლის („...შენს ცხრა-კლიტულს მოვლად დაწვრივს ჩემი ბედის“).

თვით ოქსიმორონის არსი, როგორც უკვე ვნახეთ, კონტრადიქტორად გვიან დაწერილ ლექსში („სატრფოს“) იკვირე დარჩა — „ცრუს“ შეინაცვლა „გაიძვრა“, მაგრამ ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებამ მხატვრული ეფექტი დიდად გააძლიერა — უფრო თვალსაჩინო გახადა მტრის მკაცრული ბუნება, მისი უაღბლო აღერის ნამდვილი მიზეზი.

ამ ლექსის შემდეგ სტროფში, ხსენებულ ოქსიმორონს რომ მოსდევს, დაუნდობლად გამოშვლებული მოქალაქის სახე, ნაჩვენებია, თუ როგორ ოინახაობს „გაიძვრა“ მოყვარე“:

ტბილად გაქმევეს, ტბილს გასქევეს,
შეზაფხულს ბანგიოთა,
დედის ხმაზედ გიმღერებს
დედინაცვლის ჩანგიოთა

ცხადია, რა დანიშნულებაც გააჩნია ამ ტბილსავე, „შეზაფხულს ბანგიოთა“ — მხვერპლად უნდა მოაჩინოს, გონება წაართვას, მის სულსა და სხეულს დაეპატრონოს.

„დედის ხმაზედ“ სიმღერაც აუკარა თვალსაქცობა. აქ პირდაპირაა მითითებული ძირი, ფეხვი, ემპირიული საყრავი („დედინაცვლის ჩანგი“), რაზედაც სრულდება ეს მაცდურებელი გალობა.

დედისა და დედინაცვლის დაპირისპირება ჩვენს წარმოსახვაში აცოცხლებს ზღაპრებიდან ცნობილი ბოროტი დედინაცვლის სახეს და „გაიძვრა“ მოყვარის“ ბნელ წრახეხვასაც ბოლომდე ააშკარავებს.

ასეთი უოველმზრავი შემზადების შემდეგ პოეტი ერთხელ კიდევ შეახსენებს ძვირფას არსებას, რომ ცდუნებას არ აძუებს, სიღიზიანე არ დაეარგოს („გაუფრთხილდი ნუ გჭირა მავის ტბილი ნაინა...“); ამხნევებს, გულს უმაჯრებს და რწმენას უნერგავს, რომ ტყვეობას თავს დააღწევს, რის დასტურადაც „ნესტანდარტანის მავალით“ მოაქვს.

შენიღბული მტრის მხილვას აკავი არაერთხელ უბრუნდება. ამავე სულისკეთების სხვა ლექსში („ჩემს შეგობარს“, II, 299) მოყვითის ნიღბს ამოფარებული დღეშანი კიდევ უფრო მეტი პირდაპირობით აჩის მხილბეული:

მტრისა, მოყვრულად მოსვლასა,
ვერდილო ვარდის მფენარსა...
მყუდარი ძალი სქობია
მიმპარავს, ჩუმაღ მკებენარსა.

აუკარა და ფარული მტრის პარაღილად „მყუდარი“ და „მომპარავი“ ძალის მოხმობა მეტ სიმჭიდროვეს, თვალსაჩინობას ანიჭებს პოეტის სათქმელს — „მოყვრულად მოსული მტრის“ და „ჩუმაღ მკებენარს ძალი“ საერთო ნიშნით არიან წარმოდგენილი, ერთმანეთის მონა-

თესავე, ფარულ ბოროტებას განასახიერებენ.

ამ ლექსშიც ეპითეტია ძირითადი [მტრის] მისი მეოხებით სდება ფარისცემის მტრის [მტრად] ვალმზრავი ღვაწლისათება. საამისოდ აუცილებელი შეფასებისათვის განსაკუთრებით მოსახერხებელია რთული ეპითეტები, რაც პირველ, ჩვენს მიერ მოტანილ სტროფში უხვად არის გამოყენებული („მოყვრულად მოსულსა“, „ვარდის მფენარსა“, „ჩუმაღ მყუდარსა...“).

აკავი ასე გულდაგულ იმიტომ ხსენის თავის სათქმელს, ურთავს იოლად ვასაგებ, მახვილონივრულ ქარაგმებს, რომ მისმა ქვეყანამ ავის და კარგის გარჩევა მოახერხოს, „მოყვრულად მოსულა“ მტერი იყენს და თუ ეს ვერ შესწლო, საქმე სანაწებლად გაუზდება:

ვაი მას, ვინსაც მაცდური
წმინდა მფარველი მგონია...

უოველივე ამას როცა თვალს გავადევნებთ, უფრო მეტ აზრს იძენს მრალაღვის განმეორებულად, დაფინებით ნათქვამი ურყვევი მრწამსი:

მაქებარი ვარ ერთგული
და მგომბი ქვეყნის მტერისა...
(„პოეტის პროგრამა“, II, 401).

ეპითეტის ერთ-ერთი შთავაზი დანიშნულება საგნის თუ მოვლენის შეფასება და ამიტომაც, როცა საშობლოს გულგრილობისა და უმადურობის გამოხატვა უნდა, ერთ ლექსში („სასოწარკვეთა“, II, 289) აკავი ისევ და ისევ ეპითეტს იშველიებს; ეპითეტის კონტრასტულ ძალზეა დადგობილი პოეტის ეს მწარე შემახილი:

პეი, საშობლოვ, სხვეებისთვის
დედაე,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო.

შესაძლოა „დედინაცვალს“, რომელიც ლექსის ავტორის მიმართ თავისთავად უკვე ეპითეტია, არც პირდებოდეს სხვა, მისი უკეთურობის ხაზგასასმელი ეპითეტი („ავი“), მაგრამ აკავი მიგანიშნებს დედინაცვლის იმ გაგებაზე, ჩვენს უბიბლიტიუარებაში, სხვადასხვა ლიგენდება და ზღაპრებში რომ გვაქვს და ამ პერსონაჟს ბოროტ არსებად წარმოვიდგინო.

მხოლოდ აკავისთანა დიდ აღმანიებს შესწევთ ძალა და უფლებაც აქვთ, ახე გაიცნონ საშობლო პოეტი ამფადვენებს წლობით დუბარულ გულისტკივილს, ჩამოთვლის აურაცხელ ტანჯვასა და განსაცუდელს, თავისმა ერმა მსხვერპლად შეწირული სიცოცხლის სანაცვლოდ რომ არგუნა. ეს არ არის გაბოროტებული კაცის წყევლა-კრულვა; აკავი იცის, საპარის კარამდე რომ უნდა უერთგულოს თავის ქვეყანას და ცოდვაც მოუტვოს, სიკეთე უსურვოს იმისა და მიუხედავად, ამავე დაუფასდა თუ არა. თუმცა პატიება სულაც არ ნიშნავს დანაშაულის

შეღამაზება-შემსუბუქებას და გამოთხოვებს მღელვარე წუთებში პოეტის უველაფერს თავის სახელს არქმევს:

მწიფლობით, ჩემო დედინაცვალო,
ჩემთან პირზეაო ჩემო სამშობლო!
შენდობილ იყო ჩემგან ამიერ
და ღმერთმა მოგვეს კეთილი ბოლო!

საერთოდ, დიდი პიროვნების დანახვა, მისი დეაწლის სიცოცხლეში დაფახება ადამიანებს უჭირთ. ეს ხენი რომელიმე ერთი ერთი კუთვნილება არ არის, ზოგადი მოვლენაა. ამ აზრის უტყუარ დადასტურებად გამოდგება ესპანური ბაროკოს სახელგანთქმული წარმომადგენლის ხალთაზარ გრასიანის ერთი გამოჩნთვაში, ასე რომ მოგვაგონებს აქაიხ ლექსში გამოხატულ გულისწყრომას:

„დედასამშობლო ზოგჯერ თვით გამოჩენილ ადამიანებსაც დედინაცვლობას უწევს“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიუხედავად თავისი არისტოკრატიული წარმოშობისა, აკაკის უკვლავის ენაწლებოდა მშრომელი ხალხის მუცლადუღებში, თანადგომისა და სიუფარულს არ აკლებდა პატიოსან, დარბ გლეხობას, რის გამოც მტრულად უუარებდნენ მისივე წოდების წარმომადგენელნი. პოეტის ამ სულისკვეთებას მრავალ დოკუმენტური მასალა ადასტურებს. აკაკისთან ერთად სოფელ სავანეში გაზრდილი გლეხი აბელ სადუნაშვილი პირდაპირ ამბობს: „აკაკი თავადიშვილებს უველას სძულდა, რომ გლეხის მხარეზე იყო, გლეხი ებრალებოდა, იმას დაადგეს ნათელი“. (იხ. ლიტერატურის პეტაიანე, 8-4, თბილისი, 1942, გვ. 22).

გლესკაცისადმი აკაკის დიდი სიუფარული იგრძნობა ცნობილ ლექსში „იმერული ნანინა“ (I, 129). იგი ბატონუშობის გადავარდნის დროს, 1844 წელს არის დაწერალი და მიძღვნაც შეხაფერისი აქვს: „უჭაღვნი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს“. შთიღს ლექსში იმის უღრმესი რწმენა ჩადებულა, რომ ახალშობილებს უყეთესი მერმისი ექნებათ („მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო...“).

„იმერულ ნანინას“ თავიდანვე მარჯვედ შეჩაჩეული, საკმაოდ იშვიათი ეპითეტა აქლევს ტონს; მასში ჩანს პოეტის აღერსიანი კილო და მზარუნველობა მაწია, უმწყო არსებისადმი, დედის მკერდს რომ მიხუტებია:

გაკვეთული გლეხის შვილო, შენ
პაწაწინაო,
აგრე ტპილად, უღარდელად
რამ დაგაძინაო?

ეს ეპითეტა („გაკვეთული“) შეიძლება ხილამაზით არ იქცეოდეს უფრადღებას, მაგრამ მკვეთრად ეტყობა აკაკისეული ბედუნერა; მისი გაგონებისას შეუბუჭბლაკი, უსუსური ბარტყი დაგვიდგება თვალწინ. ამავე დროს ხაზი ესმება

თვით ოქაბის დუბჰირ მდგომარეობას, უცხადი ხდება, რომ ბავშვის მამა ჰველი ბატონისგან გაფცქვნილი და გატყავებული, არაფრის მქონე გლეხია. მომხიბლავია პოეტის დიმილიანი გაკვარვებაც, „ტპილად, უღარდელად“ მძინარს რომ ხედღავს ხილატკეში დაბადებულ ჩვილს.

თავიდან პოეტი იმტომ დაბგალობს პაწინას, რომ მას მწიფი ძილი მქონდეს. ძილშივე აცნობს ამ ცხოვრების ავ-კარგს, შეგონებებს აქლევს და ბედნიერ მომავალსაც უქაღდის. აქ თავისი უმადლესი მნიშვნელობითაა დატვირთული სიტყვა — ეპითეტა „თავისუფალი“:

გაიზრდები, გენაცვალა,
თავის უფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაიტებს
ვალაო.

ლექსი ხალხური ივენანის მამავა გაწყობილი და ბოლომდე გაყოლებული ცნობილი რეფრენიც („ივენანა, ვარდო-ნანა, ივენანინაო“) ხალხურ პოეზიასთან, უკველვეე ხალხურთან აკაკის უმჭიდროეს კავშირზე მტყუველებს.

ეს არ არის ჩვეულებრივი, ბავშვისთვის ძილის მოსაგერელი სიმღერა. პოეტის მიზანი ხულ სხვაა; იგი ეწრაფვის აკანშივე ჩაუნერგოს ყრმას ძალმომრეობასთან ბრძოლის სურვილი, დაანახოს ირგვლივ გამუფებული უსამართლობა.

ლექსის დასასრულს აღერსიანი კილო კიდევ უფრო მომხიბლავია და გულში ჩაწვილობია. მიმართვა კვლავ ეპითეტთა მოქნილობასა და ხატოვანებას ეტყარება:

პაწაწინა იადონო და ვარდის
კობაო,
ლღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?
და, თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მამ, ნუ ჰძინავს, გყოლიძე, იკან ქვეყნასი
შენც შეიტყვე ამ სოფლის ციურ
გამოკაცხაო,

ივენანა, ვარდო-ნანა, ივენანინაო!
„პაწაწინა იადონი“, „ვარდის კონა“ ტრადიციული მტაფორებია (საფუქვლად ორივეს შედარება უღევს); პირველი მათგანი ძირითადად სწენასთან არის დაკავშირებული — ჩვილის ძღერტული მგალობელ ფრინველს აგრნებს პოეტს, ხოლო მეორე ხატი უფრო ვიწუადურია, სათუთად შეგვეული, ლოყბაწითლებული მძინარე ყრმა „ვარდის კონად“ არის წარმოსახული. ამ მტაფორებს არ ექნებოდა სიბხლის ეფატი, ის ძალა და მიწიდეველობა, თვითოულ მათგანს ზუსტად მიგნებული ეპითეტა რომ არ ეთთვოღევს.

აკაკი თავისი უსაყარლები კონტრასტის ბერსი ამ ლექსშივე მარჯვედ გამოიყენა — ძილი მავიჯრად, რისთვისაც ეს სიმღერაა შექმნილი, იგი გაღვიძებას, გამოღვიწლებას თბრვს მჭეფ-

ცოტრ-ექსპრესიული ლექსია მწერალს საშუალებას აძლევს ყოველმხრივ დაახასიათოს ადამიანი, რის დროსაც დახატავი გმირებისადმი წარმოჩენილია ავტორის დამოკიდებულება, შეიძლება იკვებს მის სიმათიას ან ანტი-მათიას". (იქვე).

საგულისხმოა, რომ მლიქვნელი და გააძვერა პირიყენების აღმნიშვნელი ეპითეტო „კუდ-ქიციანა“ აკაქის ლექსიკაში შტაკიდდა დაწვეი-დრებული. ილიას მსგავსად, აკაქისაც ბლომად უწერია სულმოკლე თანამედროვეთა გასაკიცხი „გამოყანები“. ეს სიტყვა ერთ-ერთ მათგანში ვხვდებით:

კუ დქი ცინა, ფეხთამლოკ,
ბობოლების ფინიას,
ესთქეთ, რომ კაცის არ გრცხენიას
ლეღისაც არ გეშინიას? (II, 421).

აკაქის სატირა აქ შეუფარავი და დაუნდობელია, პირდაპირ ურტყამს მიწანში. ბუნებრივია, რომ გამოყანებში ეპითეტები უხვად არის. ამას ფეიფი უნარის სპეციფიკა — მინიშნებები მოითხოვს.

აკაკი არც გამოყანებში ივიწეებს თავის ნაკვად იარაღს, კონტრასტის ეფექტურ ბერძნს ჩენლია, იმაზე სასტიკად ამბილო ვითომ ერთ-გული და მოჩვენებთად საქმიანი არაკაცი, ვიდრე ეს ამ გამოყანაშია:

ურისთან შეათაია,
ქრისტიანთან კვირიას!
საქმით დაბლა მოქეშევეშე,
სიტყვით მალლა ყვირიას.
(II 423).

დღედაღამ საშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალ პოეტს ნაკლებად აწუხებდა ის ამბავი, რომ რომელიმე კეთილდღეობას დახარბებული კარიერისტი „გამოყანებში“ თავის თავს იცნობდა.

აკაქის შრავლად მოეპოვება აღფრთოვანი ხასიათის ლექსები, სადაც ესა თუ ის ცხოველია დახატული, ვადმოცემულია მისი გარეგნობა და ჩვევები. სამისოდ ყველაზე მარჯვე და გამოსაღვი ეპითეტია და პოეტიც უხვად მოხდენილად იყენებს გამოხატვის ამ ეფექტურ ბერძნს.

ერთ ასეთ ლექსში („დათვი და მელა“, II, 113) თავგასული, ტყეში გალაღობული დათვის გარეგნობას ვეცნობით:

დიდსა დათვისა დითუნასა,
პირმყრალსა და ტორიანსა,
უკუდოსა, ბაჩჭველიანსა,
უზარმაზარ მმტორიანსა...

აქ ჩამოთვლილ ეპითეტთა ერთი ნაწილი, ეტყობა. მუარად იქდა პოეტის ცნობიერებაში, რადგან მოგვეხანებთ დაწერილ ასეთივე ტიპის

ლექსში („დათვი“, II, 216) კეთილდღობით: „უკუდო და თავსოცრა, ბუნჭველენუნუნ პირმყრალსა“ ხაში ეპითეტო, როგორც ვხედავთ, შეორდება, დამატებულია ერთი ახალი („თავსოცრა“), რაც უსტიმ შტარბენით ავსებს დათვის გარეგნობას.

ეპითეტთა შერჩევასი აშკარად იგრძნობა ავტორის ანტიმათია, რასაც უმდგომ ლექსის შინაარსიც ადასტურებს; მოძალადე დათვის, ვინც შიშის ზარს სცემს ტყის ნადირებს, ერთი „გატყუელი კუდა-მელა“ ოინს გაუკეთებს, თავზე მოწადირებს დაუენებს და მოაკვლევინებს. ამით ავტორს ამის თქმა უნდა, რომ ვისაც ძალასთან ერთად ტყუა და გაჭირახობა არ გააჩნია, თავს იოლად წააგებს. ლექსი ასე თავდება:

თურმე ტყელი ვოფილა
უხერხულად დიდი ძალა.

სხვაგან, როცა მეღიის გაძვერობისა და ეშ-მაყური იერის ჩვენება სურს, აკაკი კვლავ ეპითეტებს მოუხმობს და მისი ფრაზა ჩვეულ სისხარტეს, მოქნილობას იძენს, მიწანი მდღე-ულია:

ეშმაკია, კუდუროა,
უურცქვეტიანა და
კუდგარძელა,
ყველგან, როგორც შინაური,
დაცუნულებს ზელა-ნელა.
(III, 133).

ამ ლექსს სათაური („მელია“) სულაც რომ არ მქონდეს მიწერილი, იმდენად შეტყუელი, სახიერი და უსტიკა ეპითეტები, ისეთი სიცხადითაა ვადმოცემული მოძრაობა, წამეიხვედს თვალწინ უმალ ეს ცხოველი დაუდგება.

ეპითეტთა გამოყენების მხრივ ძალზე საინტერესოა ცნობილი აღფრთოვანი ლექსი „ზარაბუნა და ფუტკარი“ (II, 127), სადაც ყოველად უსარგებლო სოკო შარს დებს, ემაქტება უამრავი სიყეთის მომტან ფუტკარს, თავს იქებს, როგორც გულშოფავი, უწყინარი შხრომელი, ხოლო ნამდვილ შემოქმედს ყოველნაირად ამიერებს და ცილს სწამებს. ეს შეხლა-შეშობლა, ძირითადად, ეპითეტთა გამომსახველობით ხარაბუნა დანდობილი. ერთზევე ვადასულია ზარაბუნა სეტყვასებით აყრის ფუტკარს უსათფ-ვლო ლანძვლა-გინებას:

ბჭუილანსა, ტყუილანსა,
შხამიანსა, მკებენარსაო,
ვინ არ გიენობს უსაქმურსა
მფრინავს მოუსვენარსაო?!

ფუტკარის პასუხიც არანაკლებ დაუნდობელია, მაგრამ იგი მოამეტრეს მწარე სიმათილეს ეუბნება, პირში მიახლას, რომ ქვეყანაზე „ნებვის ჭიად“ არის გაჩენილი, შეახსენებს, რომ მთი-

ლი მისი საქმიანობა ფუნის მოკუნდავება და გორება და ამასვე პირადი საქართველისათვის აკეთებს:

ის ხომ შენი საზრდო არის?
შენს მეტს არვის არვიო!
შენ აკეთებ... შენვე ჰზიდავ...
საკეთი პირადი ბარგაო!

სარაბუნის სახით აკაის გამოყავს მეთავენე ადამიანი, ვინც მხოლოდ მუცლის ამოყრავაზე ფიქრობს, ქვეყნის განსაკირი არაფრად ენაღვლებს. ამ თავისებაზე ყურადღება რომ გამოახვილოს, აკაცი სხვადასხვა ფორმით აზიტომ ამერობებს კუთვნილებით ნაცვალსახებს (შენი, შენი, შენი, შენი...). ზოლო სტრაქონის განსაზღვრებაც („საკუთარი“) არ არის ნამდვილი ეპითეტი; იგი მთავანისშენს, რომ „საკუთარი ბარგის“ მთრეველის შრომა მოგვინებთია, „არავის არგია“.

ამავე პასუხში ფუტკარი თავის თავსაც იხასიათებს „შეცვის მუშა მუცხიანი“, არ ვარ მხოლოდ სამიწეო“, მაგრამ ეს ხელაც არ არის ბაქოება. აქ იგულისხმება ამ იშვიათი მწერის ძვირფასი თავისება — „ქვეყნის თაფლი, ზეცას — ხანთელი“ დაუშნადობს.

ფუტკარი აკაის, როგორც ვიცი, დაუზარელი გარჯის, კონკრეტულად კი პოეტის სიმბოლოდ მყავს გამოყვანილი და ამ შემთხვევაშიც ასეა.

ამ ლექსით აკაცი თავისებურად უსწორდება მისდამი მტრულად განწყობილ წვრილფეხს ადამიანებს, შურისა და ბოროტების მთესველთ, პოეტის ღვაწლის გახიზნაობებს და მიჩქმალვას რომ ცდილობდნენ.

ჩვენ არაერთხელ მოვიხილა იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ სისადავებსა და ზომიერებას იჩენს აკაცი წერეთელი ეპითეტთა შერჩევასა, მაგრამ მიუხედავად ამ ეპითეტთა ჩვეულებრიობისა, არასოდეს არ აყარება პოეტის გამორჩეული ზედწერა. გავისვენოთ პოეტის „თოთხივე ერისთავის“ ერთი ადგილი, როცა სამხაჯაროზე დაბარებული მსოფიანი ადამიანი შეფხსა და მთელ საქართველოს თავის მტკიცე გადამწვეტილებას ამცნობს ხერო ცხოვრების მიტოვებაზე. ვმირის დაუფიქრარი პორტრეტი ისეა მოხაზული, პოეტი არც ერთ ნაძალადე ან უჩვეულ სიტყვას არ იყენებს. თორნიეს სიბარბისად და რაინდული შესაბუნობა, შინაგანი სიწმინდე და სისპეტაკე მომპირინედ, სპარტადა გადმოცემული, უბრალო ეპითეტთა თანმიმდევრულ რიგზე ნაწილდება:

ახოვანი, მშვენიერი,
თეთრწვერა და თეთრთმიანი
წინ წამოდგა სსაუბროდ
მოწიწებით ტკბილშიანი.

ძნელი საფიქრებელია რომ ეს სათნოების განსაზღვრება ქველური მისთვის წარსულში

მტენვარე მემობარი იყო და ახლაც, საქართველის შემთხვევაში ისევ ლომივით ეკვეთება შტორს.

აქვე გვიანდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველის ერისთავის“ მოქნილობა და დინამიკობა მტკიცე წილად არის დამოკიდებული მალალი და დაბალი შიარით დაწერილი მონაცვეთების პერიოდულ მონაცვლეობაზე. პოემის პოლოფონურობას დიდად აძლიერებს და თბრობას ეპიურ სილინჯეს აძლევს აგრეთვე ათმარცვლიანი ლექსით გაწეობილი თავები. აქაც ძალზე თავისებურად ვლინდება აკაის პოეტური ზელოვნება და ამ მხრივ ეს პოემა საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი.

ქური“ ერთი და იგივე პირი რომ არაა, ეს უდნიშნულის გარდა, ჩანს შემდეგითაც: როგორც ითქვა, პირველი მათგანი პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ მიხედვით იყო პეტრეს პაპადღეს მხრიდან, ხოლო „ფრიად სარწმუნო ბაქური“ (—ბაქურ თრდატის ძე) არის პეტრეს ბიძა — დედის ძმა. ეს ფაქტი არა მარტო გამოირკვევა „ფრიად სარწმუნო ბაქურისა“ და „დიდი ბაქურის“ იგივეობას, არამედ ვაბეჭდებებს კიდევ თუ ქართული წყაროს რომელიმე მეფე იგულისხმება „დიდი ბაქური“: იგი შირიანის შვილიშვილი, მისი უშუალო მემკვიდრე ბაქურ რევის ძეა, რომელიც მართლა პაპად ერგება პეტრეს დედის ხაზით. უფრო ზუსტად არის პაპის ძმა.

„პეტრე იბერის ცხოვრების“ „დიდი ბაქური“ რომ შირიანის უშუალო მემკვიდრე ბაქურია, ამას მხარს უჭერს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობაც იმის შესახებ, რომ „უმრავლესი კავკასიანნი“ სწორედ მან მოაქცია. უცხოელთა თვალში ამის გამო (ე. ი. იმის გამო, რომ ღოცვითი მნიშვნელობის ფაქტადან ქრისტიანთა შინაგანად მეთევითის სპარსეთსა და ბიზანტიასთან ბაქურ რევის ძის ურთიერთობის ხასიათიც: ეს ბაქური გარკვეული მიზნების განსაზოციებლად, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, „ერაზა სპარსთა“, მცარს თავისი დინასტიური საქმეების მოგვარებას მარტო ირანელთა მხარდაჭერით როდი ფიქრობდა, ამ საქმეში ბიზანტიასაც რთავდა: „მეფობა „განუტკიცებია „შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისათა და სპარსთა მეფისა“. ამგვარი პოლიტიკური გარკება დამახასიათებელი იყო სწორედ „დიდი ბაქურისათვის“. სპარსეთის ბანაკში მომხდარ ზეოთადწერილ ინციდენტთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს გ. გოწალიშვილი: „ამ ეპიზოდში განსაკუთრებით საუურადღებოა ბაქურის ორტკოფული (ხაზი ჩვენთა, მ. ჩ.) მდგომარეობა“.

ამრიგად, „დიდი ბაქური“ სრულიად განსხვავებული ზედწერის სახელმწიფო მოღვაწე, ვიდრე მისი ძმისშვილი „ფრიად სარწმუნო ბაქური“. არაა გამოირკვეული, რომ ამ უკანასკნელს სახელი სწორედ სახელმწიფო ბიძის საპატივსაცემოდ შეარქვეს. ეს მთა უფრო საფიქრალაა, რომ მის დასაც — პეტრე იბერის დედის — ბაქურდუბტი ერქვა.

ბაქურ თრდატის ძის — „ფრიად სარწმუნო ბაქურის“ მიერ გატარებული ორი ღონისძიების — ქართლის ციხეთა გამაგრებისა და ტერიტორიების შემოღობვის შესახებ უკვე ითქვა. ეს ღონისძიებანი გვიჩვენებენ, რომ უცხოეთში სპარსულ ბრძოლაში ნაცად, დიბლო-

მატიასა და მეცნიერებაში დახელოვნებული უფლებსწული გონიერი და წინდახედული მეფე დაეცა.

„ამან აღაშენა ეკლესიაა ბოლნისის“, გვამცნობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ბაკური თრდატის ძის კიდევ ერთი დასახურების შესახებ. ეს ფაქტი ავტორს „იმიერ ვახუშტისა“ და „არშანის განახლებაზე“ უწინარესად აქვს აღნიშნული. როგორც ითქვა, ბაკური ერთნაირად „ბრწყინავდა სხეულითა და სულით“ და, საერო მოღვაწეობის მიუხედავად, ყოველთვის იყო მორწმუნე და ხაზგასმულად თავუანისმცემელი კულტურისა. ამიტომ განაკვირი რაღია, რომ თავის მმართველობის დასაწყისშივე მიჰყო ხელი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას, რომელიც ხელოვნების ნიმუშსაც წარმოადგენს.

მაგრამ მართო ეს არ უნდა იყოს ბაკურის ამგვარი ქმედების მიზეზი, მიზეზი იმისა, რომ ქართლისათვის დიდი საგარეო საფრთხის პირობებში მან პირველ რიგში ეკლესიის მშენებლობა განაზრახა. დაუფიქრებლად: ბაკურმა თავისი სულიერი ბრწყინვალეობის დემონსტრირების აღვლად ქართლის სამეფოს განაპირა მხარე — გუგარეთი აირჩია. გარკვეული ისტორიული პირობების გამო ეს მხარე ადრე-ფეოდალურ ხანაში სხვა ქართული პროვინციებისაგან ერთგვარად განკერძოებული იყო. ბაკურის დროს იგი, მართლდა, ქართლის სამეფოს ნაწილს შეადგენდა, მაგრამ მისი სიკვდილიდან სულ მცირე ხნის შემდეგ აქაურმა პიტახშიმა არშუშამ სეპარატისტული ნაბიჯების აშკარა გადადგმა დაიწყო.

ბაკურს არ შეიძლებოდა არ განეჭვრიტა ახლო მომავლის საფრთხის პერსპექტივა. ამიტომ მის მიერ ქვემო ქართლში წამოწყებული მშენებლობა მართლაც სულიერ მოთხოვნებზეა დასაყრდენი და გულგულად დახედილი ზარკი არ არის: „ეკლესიაა ბოლნისის“ ხაზს უხვამდა მცხეთელი მეფის პოლიტიკურ უფლებას გუგარეთზე.

ამგვარად, ბოლნისის სიონის მშენებლობა არ ვარდება ბაკურ თრდატის ძის მმართველობის საერთო სტილიდან, პირიქით, იგი ამ მმართველობის ლოკატორი რგოლია და განახორციელებს ბაკურის პიროვნულ მართმისას — საეროდ და სასულიეროდ ინტერესთა სრულყოფილ შეარწყმას.

„შეფთოა ცხოვრება“ მშენებლობას ბოლნისის ფარსმანს მიაწერს. მაგრამ ეს ცნობა არ ეწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას, როგორც ითქვა, ფარსმანი ბაკურის მომდევნო მეფეა და გამოირცხული არაა, რომ გარკვეული სამუშაოები ბოლნისის სიონთან დაკავშირებით მის დროსაც მომდინარეობდა. მაგრამ ბოლნისის ტაძრის მშენებლობა რომ ბაკურის მოღვაწე-

ობის შედეგი იყო არსებითად და „არც ფარსმანის დამოუკიდებელი დონისთვის“ მიაწერს მშენებლებს აღნიშნულ შეფთოა ზეობის ხანგრძლიობას: ბაკური შეფთოდა სულ ცოტა 14 წელი მაინც (იგი გამოეფა არაუგვიანეს 402 წლისა და გარდაიცვალა არაუადრეს 418 წლისა); ფარსმანის მეფობა, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, მისი მომდევნო მმართველობის მთელი მმართველობის და არჩილის მეფობის პირველ ხანებთან ერთად, შეადგენს სულ 5 წელს, ე. ი. საკუთრივ მასზე 2 წელი თუ მოდის. ლეონტი მროველი საგანგებოდ განახავს კიდევ, რომ ფარსმანი „მცირედ-თამ შეფთოდა და მოკლდა“. ამგვარად, ბოლნისის მშენებლობა ფარსმანის დროს ბაკურის პოლიტიკის ინერციაა მხოლოდ. ფარსმანმა, ჩანს, ფორმალურად დაასრულა ის, რაც მისმა წინამორბედმა წამოიწყო და განახორციელა არსებითად.

ყოველივე აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ბოლნისში ეკლესიის მშენებლობა ოციან წლებს არ გადასცილებია.

ჩვენ ვაკვირდებოდით „ფრიალ სარწმუნო ბაკურის“ ცხოვრების ოთხ ათეულ წელს. თუ წყაროებში პირველად გამოჩენის დროისათვის, ე. ი. 878 წელს ბაკური 17 წლის მაინც იყო, იგი 60 წელს შიტანებული გარდაიცვალა.

ბაკურ თრდატის ძეს შემევიდრე არ დაჩრენია. ამაზე მეტყველებს ის, რომ მის შემდეგ გამოეფა მისი მამისაშვილი ფარსმანი („დის წული თრდატისი“).

ბაკურის მერე მძიმე ვითარება ექმნება ქართლში. სულ რამდენიმე წელიწადში გარდაიცვლება ფარსმანი და მისი მომდევნო მმართველი ტატილ ადის ბაკურის ღრმადობუცებული ბაჟა არჩილი, ხოლო ბაკურის დისწულს — 12 წლის მურვანოსს — პეტრე იბერს — მძევლად აუზავნიან ბიზანტიაში (822 წ.). არჩილი ქვეყანას მართავს პეტრეს მამასთან ერთად. ამგვარად, ვარაზ-ბაკური კვლავ „დგება მეფედ“, აქერად საკუთარი ძის მოლოდინში.

არჩილიცა და ვარაზ-ბაკურიც ორივე სუსტი ხელისუფალია: აქტიურდებიან აზნაურები, სპარსეთა გავლენა ძლიერდება. არჩილს შეუძლები არ შეუხვს. ვარაზ-ბაკურის ერთადერთი ძე კი პეტრეა. მაგრამ პეტრე სამშობლოში არ ბრუნდება: არამჭვენიური ზრუნვით მოცულს, მას ბიზანსივით ეკლესიის მშენებლობის ციხეთა განახლებასთან შეთავსება არ შეუძლია. მართლაც ძნელია. ამიტომაც ასე მრავლისმთქმელი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ს ლაკონური ცნობა: „და მისა შემდეგ მოად შეფთოდა ბაკური, ძქუ თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაა ბოლნისის და იმიერ განვიდა და განაახლნა არშანის სპარსთა შიშისათჳს“.



„ამაზს რად პრჩიოთ სხვისასა“

ახლაბანს გამოვიდა ხალხური პოეზიის კრებული „ლექსო არ დაიკარგები“, რომლის ანოტაცია გვაუწყებს, რომ „კრებულში თავმოყრილია ის საუკეთესო ქმნილებები ხალხური შემოქმედებისა, უფრო საქართველოს მთიანეთისა, რაც ჩვენმა ისტორიამ დღემდე შემოინახა“.

კრებულის რედაქტორ-შემდგენელია ცნობილი დიალექტოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ალ. კინჭარაული, ჰყავს გამოჩენილ მწერალთა და მეცნიერთა სარედაქციო კოლეგია.

შიღაბრი მასალა, კვალიფიციური რედაქტორ-შემდგენელი და სრულიად ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგია თავისთავად იმის წინაპირობაა, რომ საქმე უნდა გვექონდეს საინტერესო გამოცემასთან, რომ მკითხველმა, ერთხელაც არის, მიიღოს უნაკლო პოპულარული გამოცემა ხალხური პოეტური შედეგებისა.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გასულ წელს დაამთავრა ხალხური პოეზიის თორმეტომეულის აკადემიური გამოცემა, რამაც მსურველებს ხელი შეუწყო შეედგინათ სხვადასხვა სახის პოპულარული კრებულები. თემატური თუ ღარგობრივი კრებულების გამოცემა კარგი საქმეა, მით უმეტეს მისასაღმებელა საერთო ქართული პოეზიის რჩეული კრებულის გამოცემა, რადგან ჩვენი კულტურული საგანძურის პოპულარიზაციასთან გვაქვს საქმე, მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ხდება ნიჭიერ წინაპართა სიბრძნე და ოსტატობა.

მაგრამ ეს ის სურვილებია, რომლებსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივად თუ პასუხობს სარედაქციო კრებული.

ცნობილი ფოლკლორულ ნაწარმოებთა სხვადასხვა სახის კრებულები, მაგრამ ძირითადად სამი სახის გამოცემა ტრადიციული. ესენია: მეცნიერული, პოპულარული და საზავგო.

სარედაქციო კრებული საზავგოდ ვერ ჩაითვლება იმ მართივი მიზეზის გამო, რომ ტექსტების ნაწილი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეროტიკულია ანდა ისეა არქაული დიალექტით დაშლიებული, რომ მათი შინაარსი ბავშვებისთვის კი არა, დიდებისთვისაც გაუგებარია.

წიგნი ვერც მეცნიერული გამოცემის მოთ-

ხოვნებს აკმაყოფილებს. ალ. კინჭარაულის წინასიტყვაობაში ორჯერ არის ციტირებული ფრედერაო გარსია ლორკა(?), მაგრამ ნახსენებია კი არ არიან ქართული ფოლკლორის მოამბენი.

ევროპაში ფოლკლორის შეკრებასა და შესწავლას სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა მოჰყიდეს ხელი. ისინი ყოველთვის მოიხსენიებია, როდესაც მათ მიერ შეკრებილი მასალები ქვეყნდება, საქართველოში კი ეს საქმე ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა ეთავეს. სწორედ ისინი — ილია, ავაკი, ვაჟა, ავრთვერ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი იყვნენ არა მარტო შემკრებნი ქართული ხალხური პოეტური საგანძურისა, არამედ მისი პირველი შემფასებელიც. მათი შეხედულებანი ქართულ ხალხურ პოეზიაზე იმდენად სწორი და ფუნქციონალური, რომ მისი გვერდის ავლა და მიჩქმალვა ყოვლად გაუმართლებლად გვეჩვენება. სამწუხაროდ, წინასიტყვაობაში კრინიკი არ არის დამჩრული იმაზე, რომ ამ კრებულში შესული ოცამდე ტექსტი ილია ჭავჭავაძის მიერ არის ჩაწერილი და გამოქვეყნებული. ჭავევი არაფერია თქმული იმ ამავზე, რაც ავ. წერეთელმა დასალო ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოცემის საქმეს; მკითხველს უთუოდ დაანტერესებს იმის ცოდნა, რომ კრებულში შესული მასალების ნაწილი ალ. ყაზბეგის, ი. ვაგებაშვილისა თუ ვაჟა-ფშაველას მიერ არის შეკრებილი და გამოქვეყნებული. ერთი სიტყვით, არსად არიან მოხსენებულნი ის ფოლკლორისტი მოღვაწე-მამულიშვილები, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამ მასალებში შეკრებას შეაღიეს და ზოგი მათგანი (ბ. უმიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი და სხვ.) გამოცემას ვერც მოესწორა.

წიგნს დართული აქვს ლექსიკონი, მოსალოდნელი იყო, რომ ის სანიშნო იქნებოდა, ვინაიდან პარტიკულური რედაქტორ-შემდგენელი ამ დარგში შეშაობს. სამწუხაროდ, განმარტებული სიტყვებს არც კონტექსტი ახლავს და არც გვერდების მითითება. ცხადია, ამის გამო არც იმის გაგება ხერხდება, თუ რამდენად სწორია ეს განმარტებანი. ლექსიკონში შეტანილი არ არის მრავალი ისეთი სიტყვა, რომლის განმარტებაც აუცილებელი იყო (მაგ. ამანათი გვ. 65; ბულქი. გვ. 73, დავარი გვ. 94, ვისურში, გვ. 97; ლაშვი გვ. 100, თარაქმა, გვ. 104, შინ-

ში, გვ. 105, ბელსომა გვ. 148 და ა. შ.), თორემ ზახუა რომ პაპის ნიშნავს საქართველოში ამის განმარტება ვის სჭირდება.

საუკეთესო ქმნილებათა შერჩევისას შემდგენლის წინაშე ვარდებულად დგება ერთი პრობლემა: რომ უკიდურესი სიფრთხილე მოეთხოვება, რომ თავისი სტილიტური გემოვნება და ესთეტიკური დონე ფართო მკითხველს არ მოახვიოს თავს. მან უდავოდ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს მდიდარი ზეპირსიტყვიერი საგანძური ჭერ კიდევ მაშინაა შექმნილი, როდესაც კუთხვებს საქმიად განსხვავებული წესჩვეულებები და აქედან გამომდინარე განსხვავებული ეთიკური თუ ესთეტიკური ნორმები გააჩნდათ, ამიტომ საუკეთესოთა შერჩევა ან კუთხვთა ფარგლებში უნდა მოხდეს სათანადო შენიშვნა-კომენტარების აუცილებელი დაკრძოვით, როგორც ეს ავად აქ. შანიშემ ვაკეთო, ანდა შეირჩეს ისეთი ტექსტები, რომლებიც ყველა კუთხვში ერთნაირად პოპულარული და ყველასათვის გასაგებია.

წიგნის ანოტაციაში წერია, რომ ეს საუკეთესო ქმნილებანი „უფრო საქართველოს მითითებასა“. აქ ნახვარი სიტყვა — „უფრო“, სამწუხაროდ საქმის არსს ვერ გამოხატავს — საქმე იმაში ვახლავთ, რომ წიგნში ვერაღებ გვხვდება ისეთი ტექსტები, რომლებშიც ზნობად გაუგებარია არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები და წინადადებები, არამედ ნაწარმოების მთელი შინაარსი, რადგან იგი ვიწრო კუთხურ, უკვე დღიწივებულ წესჩვეულებას ასახავს და შექმნილია არაქველ დიალექტზე, რედაქტორ-შემდგენელს, სამწუხაროდ, ეს ვერ გაუთვალისწინებია და წიგნი დიალექტოლოგიური მასალების კრებულს უფრო ჰგავს, ვიდრე ქართული ხალხური პოეზიის რჩეულს. ამას გამოუწვევია ისიც, რომ კუთხურ გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონს ცამებრ გავრდი უპირავეს და მინც ნახვარადც ვერ ამოწურავენ განსაზღვრულ სიტყვათა რაოდენობა.

კრებულში წარმოდგენილი ტექსტების დიდი ნაწილი ავადმყოფი გამოცემის ძირითადი ტექსტები ან მათი ვარიანტებია. ვხვდებით მრავალ ისეთი ტექსტს, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ოსტერ და ხუთჯერ გამოიცა. რედაქტორ-შემდგენელს ეს მოაქვს სერაპიონ ზარზმელის ციტატა: „მარგალიტნი და თულნი პატიოსანნი მომოგაბნულ რა იყენ თანაღრვით მიწასა არა ესრეთ ბრწყინავენ“. ეს მარგალიტნი და თულნი სრულიად არ იყენენ მომოგაბნულნი და მიწას არეულნი. შემდგენელმა მათი უმეტესობა გადმოიღო გამოცემიდან, სადაც ვეღვაწური წესრიგშია; მითითებულია მოქმედიც, ჩაწერიც, ჩაწერის დროცა და ადგილიც. დართული აქვს ვარიანტები, შენიშვნა-კომენტარები და გაუგებარ სიტყვათა განმარტებანიც.

კრებულს არ გააჩნია არც ექვეწმურებულება არც თემატური კლასიფიკაცია. უკვე მოხუცდევს, მკითხველი ვერ გაიგებს. ვინა შეიძლება ჩვენს დროში იმაზე დავა, რომ ტექსტები თემატურად უნდა დალაგდეს, დასათაურდეს და სარჩევშიც ასე იქნას გათანაო?

ტექსტებს პასპორტი არ გააჩნია, არ არის აღნიშნული მოქმედი და ჩაწერი. ის კი არა, წყაროებიც არ არის მითითებული. ვინა კრებულს ღირსება არ ამდღებოდა იმით, რომ სარჩევში მაინც მოეხსენებინა ჩაწერებამდ ილია, ავად, თუ ვაჟ?

ტექსტების უდიდესი ნაწილი რაკი-და მრავალჯის გამოცემულია, ცხადია, რედაქტორების კალმის ქვეშ გატარებულც არის, მაგრამ ამ სრულიად რაფინირებულ ტექსტებს ახალ გამოცემაში მაინც განუდღია ცვლილებები. ასოც წლის წინათ ილ. ჰაქვიანამ პირველმა ჩაწერა ცნობილი პატრიარქული ლექსი „ვერ გაიგითა, ქართულნი“. მისი გამოქვეყნების შემდეგ დიდი ილია ორჯერ შეეხო ამ ქმნილებას და მას ერის გულიდან ამოხუთილი კენესა უწოდა („ივერია“, 1889, № 253). ამის შემდეგ ტექსტი მრავალჯის გამოქვეყნდა და არ, ამ კრებულშიც შევიდა, მაგრამ შევიდა არა ისე, როგორც ილიამ ჩაიწერა, არამედ შეცვლილი სახით. ილიას ტექსტში ვრცელ II ამბობს: „მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჭეთ, მივძრენ და მოვძრენ ზღვანი, უხლად იმასა გრცხვენოდესო, ვის გერტათ ჩემი ზალია“. ახალ გამოცემაში ეს ტაქვები აღარ არის და მათ ნაცვლად ლაზარაკია იმაზე, რომ მეფეს მუხრანში ცხვრები ჰყოლია და ვაი თუ მათ ვინმე დაეპატრონოსო.

ნეთუ ძნელი იყო იმის მიხედვარა, რომ ამ ვარიანტში „ცხვრებიანი“ ტაქვი კონტამინაცია და მოქმელმა იგი აქ რომელიც შეცვარის ლექსიდან ჩაერთო? მთავარი კი ის არის, რომ კრებულში შეტანილ ვარიანტს დაკრული აქვს ის შინაარსი და იდეა, რისთვისაც ის ილიას მოსწონდა.

ავ. წერეთელმა ერთ-ერთი სატარგილო ლექსი შესახებ აღნიშნა, რომ ამ ლექსს („ხოზლდში ჩავედ“) „ართოდ დღევანდელი მკლანელი და მათ რიცხვში მე, თქვენი უმოჩილესი მონა, თვით რუსთაველიც კი მოაწერდა შეტარებულად ხელს“ (თხ. ტ. 6, 1953, გვ. 501).

სარტყენიო კრებულში ეს ლექსიც მოხვედრილია (გვ. 264), მაგრამ მოხვედრილია მისი დასაწყისი და დაბოლოება კი რატომღაც აღარა. ჩანს, სხვა მოქმელიდან, ან სხვა კრებულადანც რომ აეღოთ ეს ლექსი, მისი გაკლავით მაღალი მშატყული ღირსებების და ვაშო, ჩვენის აზრით, უპირატესობა მაინც ავადს ვარიანტისათვის უნდა მივუნიჭებინა.

მთის ყველა კუთხვში ერთნაირად პოპულარულია სუფთელი („თსურია“) სიმღერა „ქუ-

რადი და გულადი*. იგი პირველად ვაჟა-ფშაველამ ჩაიწერა და გამაჟივენი 1896 წელს (თხზ. ტ. 5, გვ. 142, 1961). მისი ხეყურული ვარიანტი კი აკად. აკ. შანიძემ ამ სახით დაბეჭდა:

არშის თავს ვეფხვი დაეკოდე,
სამყერ საოპრად მეტია.
პურადი კაცი მამაცზე
სამის გაფრენით მეტია. (გვ. 201).

სიმღერა, შაირის მკვახსად, პარალელიზმის პრინციპით არის აგებული. ალიტერაცია და ომონიმური რითმიკი, სტროფის ტექნიკური დასვეწრობა და ნათელი შინაარსი მის ფართოდ გაფრცხვას უწყობდა ხელს. საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ლეონიძემ იგი პოემაში გამოიყენა.

ვაჟა-ფშაველასა და აკ. შანიძის მოპოვებული ტექსტების ნაკვალად ალ. ჭინჭარაულს თავისი ვარიანტი მოუწოდებია მკითხველისთვის:

კილდის თავს ჭორი დაეკოდე,
სამყერ საქენად მეტია,
ვეფხვსა აღმართზე გვაქვით,
შაგრამ ვერ შამამეწია;
პურადი კაცი გულადზე
სამი გაფრენით მეტია. (გვ. 91).

აქ არ გამოვიდებთ თავს იმაზე თუ რომელი რომელზე უეფთესია და რომლის შეტანა აჯობებდა კრებულში, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ დაჯგოფი იტყვიან ძლიერ არსებებზე (მტერი, მხეცი), ხოლო ფრინველის მიმართ ნახშირი ეს სიტყვა არავის ვაუტონია. ამის გარდა კენა შეუძლია იმას, რასაც (და ვისაც) კიბილემ აქვს. ფრინველმა შაგ. ჭორამ, თუნდაც ქათამმა მკობნით არაბუნებრივად გვეჩვენებდა.

ქართული პოეზიისათვის არადამახასიათებელია მომდევნო სტრიქონებიც («ვეფხვსა აღმართზე გვაქვით, შაგრამ ვერ შამამეწია») ქართულ თქმულებას-სიმღერებში ტრიბუტი მოტივია ვეფხვისა და მოყმის შეპირისპირება, თანაბართა შებრძოლება. სწორედ ამით იხატება ვაჟაყვის მოყმობა, თორემ შერკინებლადან გაქვედის ხომ არ შეაქებდნენ.

კრებულში არა მარტო ვაჟა-ფშაველას, არამედ მისი ძმის, ცნობილი შემკრების თ. რაზიკაშვილის ვარიანტსაც განუცდია ცვლილება.

ჩემო ჩარჯალო, ბატარაო,
ოქროს შიბითა მოზოშილო.
(რაზიკაშვილი. გვ. 88).

ჩემო ჩარჯალო ცოტინაო,
ამრეშუმის საბლით მოზოშილო.
(ალექსო, არ დაიქარგები*. გვ. 65).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის წყარო უცნობია, დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას,

რომ მთიბურის მეტრისა და „ვეფხვსა აღმართზე“ ხელოვნრად დარღვევის შემთხვევაში მჭიდრო პოეზიისათვის ნამდვილად უცხო მოვლენაა.

შეგდგენელს ასევე ჩვენს მიერ ჩაწერილი საკმაოდ ბევრი ლექსი გამოუყენებია, მხედველობაში გვაქვს დღევანდელი სახალხო მოქმედება ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, სასურველი იყო მათი გვარების მოხსენიება.

ასევე უნდა მოხსენიებულიყვნენ სვანურ ლექსების თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე გადმოთარგმნილი.

ხალხური პოეზია ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს სიმართლით ასახავს, ამიტომ უწოდებდა მის დიდი აკაკი ერის ცხოვრების სარკეს და როდესაც კრებულს ვადგენთ, ეს ქვეშაირებება ისე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი სინამდვილის სურათს სწორად იძლეოდეს.

კრებულში ცოლქმრული ურთიერთობის თემაზე შექმნილი 30 ლექსია შეტანილი. უკლებლივ ყველა მათგანი მუდღეოთა ნეგატიურ ურთიერთობას ასახავს, ცოლი დაწუხებულა იმით, რომ ქმარი ნახშირივით შავი, ან ბებერი ჰყავს, ანდა „კოსტური გასწვრილებია, მოეგავს ჭიკაძელსა“, ამიტომაც ხელს უქნევს გამკლელ-გამომკლულს, მოდი, ჩემი ქმარი შინ არ არისო. ცოლები ღმერთს შესახებვე ქმარის სიკვდილს, ყანაში წასულ ქმარს უმართლო მხალს უგზავნიან, ხოლო კეროს კი სანაქებო სუფრას უშლიან. აცე ქმრები რჩებოან ცოლების ვალში, რაც გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც სხვაზე უკირავს თვალი. ერთი სიტყვით, შორს წაგვიყვანს ყველა ნეგატიურ მოტივთა ჩამოთვლა, რაც ამ არჩეულ ქმნილებებშია* ასახული (იხ. გვ. 108-116). ნუთუ მთელს ქართულ ხალხურ პოეზიაში ვერ მოინახებთ თუნდაც ორიოდ ისეთი ლექსი, რომელშიც ქანსალი ცოლქმრული ურთიერთობა იქნებოდა ასახული?!

კრებულში ბევრი მძარე ლექსია შეტანილი; აი, ერთი მათგანი:

არ მოგწონეარა, ქიალი, არ მოგიდისა
სულ-ღული?
მოდო, მამაწყვენი გულზედა წყლიანი
ტრკივით ძუძუნია. (გვ. 240).

გადავხედოთ ქართულ სატრფილო პოეზიას, რა სათუთი გრძნობებით ლაპარაკობდნენ ამ საგანზე მეღვთისებები, შეყვარებულის მყერდს აღარებენ სურნელოვან იას, გაუშლელ ვარდს, სეფის კვარებს, სურნელოვან ვაშლებს, ოქროს კალმებებს... ასე რომ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა ნიშნის მიხედვით იქნა შერჩეული იგი. როგორც ზემოთაც ითქვა, კრებულში შე-

ტანილი ისეთი არქაული ტექსტები, რომელთა შინაარსი ახლა თვით მთელი ახალგაზრდებისათვისაც გაუგებარია. ავიღოთ ასეთი მთობური ლექსი:

ალარ კრის ამანათის ცელიო,
ამანათობა მოსწყენიაო;
აისრევე ამანათის ქოლსაო
დღდათ ფერობა მოსწყენიაო.

მკითხველთა უმრავლესობისათვის გაუგებარია, თუ რაზეა აქ ლაპარაკი, რადგან ამანათობის ძველი წესი, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ეს ტექსტი თავისი ვარიანტებითა და შენიშვნა-კომენტარებით აკადემიური გამოცემის მეათე ტომში გამოაქვეყნა მკვლევარმა ფ. ხანდუკელმა და ისიც მშვენიერად ახსნა, თუ რას ნიშნავს ამანათი და ამანათობა. აქ კი იგი განუმარტავია.

ან თუნდაც ეს:
კინა ნახნა შინშთა შვილინი
ერთად შწოლნი, მძინარენი?
— მზემა ნახა, მზე დაბნელდა,
წყალნი დადგეს მდინარენი. (გვ. 105).

რიგითი მკითხველი ვერც ამ ლექსის შინაარსს გაიგებს. უნდა განმარტებულყო, რომ შინშები ამათა შვილებს ჰქვია და დართოდა კომენტარი, რომ ფშურთი ადამიანს მიხედვით, შინშთა შვილებს ერთად წოლა („წაწლობა“) ისეთი ცოდვია, რომ მისი მნახველი მზე დაბნელდება და მდინარენი გადგებინა.

კრებულში ასეთი ლექსია:
აფშოური შავი ჩხა
ყვილით დაქარგულიაო,
თავი დიდი, ფეხი დიდი
ჭვეა სულ დაქარგულიაო. (გვ. 281).

მოგეშათ იმას, რომ ამ ლექსის ფორმა არ ბრწყინავს, მაგრამ შინაარსი რომაა ბუნდოვანი? აფშო სოფელია ფშავში. იქაურ მებღაქსეს რუსა ვარდანაშვილს პარტნიორები კაფიობის დაროს დასცილოდნენ — დიდი თავი გაქვსო. („თავდიდი“ აფშოელაო, შენა აქ მოხვე, რუსაო“) ეს მხოლოდ იქაურმა კაცმა შეიძლება იცოდეს, მაგრამ რა გაიგონ სტეფანმა, რას ნიშნავს „აფშოური“ და რაზეა აქ ლაპარაკი?

სწორედ ასეთ ლექსებზე წერდა ვაჟა-ფშაველა: „ბეურს, სამწუხაროდ, შინაარსით არ ესმისთ ფშურთის ლექსისა და იუმორის ღირსების თუ ნაკლებეანების გაგებას როგორ მოვთხოვთ?“ (თხზ. ტ. 5, 1961, გვ. 148). დიდი პოეტი ამგვარ ლექსებს ყოველთვის ურთავდა შესაბამის შენიშვნა-კომენტარებს და ისე აქვეყნებდა, აქ კი ისინი მოხსნილი აქვს და არც ჩამწერი იხსენიება.

სამწუხაროდ, კრებულში ძალიან ბევრეტი ტერულად სუსტი და მკითხველსთვის უგებარი ტექსტია „საუკეთესო კმნილუბად“ გამოცხადებული, მათზე მეტად აღარ შეგზარდებით, რადგან მკითხველი მათ ისევე მიაგნებს. რედაქტორ-შემდგენელი ზნორად გვერდს უვლის ცნობილ ტრადიციულ ვარიანტებს და მათ ნაცვლად არასრულ თუ თავბოლო მოკვეცილ ტექსტს სთავაზობს მკითხველს.

ავიღოთ ისტორიულ თქმულებაზე შექმნილი პოპულარული ლექსი — „თამარ მეფემ ამამენა“. აკადემიურ გამოცემაში მითითებულია ამ ლექსის წყაროც, ვარიანტებიც, ისიც, რომ მისი პირველი ვარიანტი, თითქმის, ერთი საუკუნის წინათ ჩვენწერიათ, ხოლო ძირითადი ტექსტი კი იქ ამ სახით არის გამოქვეყნებული:

ბოღაეის წმინდა გიორგი
ვაბრძინივარ უღრანს ტყეში,
თამარ მეფემ ამამენა
სისხლს წემის წინას წელსა,
არავციდან ქვა მოზიდეს,
ტულოთ მიაწვდიდნენ ტელსა.
(ტ. 11, გვ. 16).

ბოღაეის წმინდა გიორგი არავის მარცხენა მხარეს, მთებში, მართლაც უღრან ტყეში მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ბოღაეს არს მონასტერი გუმბათიანი, დიდშენი შეუნიერს ადგილს და აწ კარიელი“ (ქართ. სტ. ტ. 4, 1973, გვ. 534). ლექსში რომ სწორედ ამ მონასტერზეა ლაპარაკი, ამას მისი მე-5 სტრიქონიც ადასტურებს („არავციდან ქვა მოზიდეს“). ეს ლექსი ასე შეიტანა მის მიერ შედგენილ კრებულში ბ. ხარაიელმა (გვ. 72). ალ. კინჭარაულს კი ამ ლექსისთვის დასაწყისი ორი სტრიქონი ჩამოუცილებია (გვ. 25).

არაერთხელ წავეციობავს ალ. კინჭარაულის სამართლიანი გულისწყრომა იმის გამო, რომ ამა თუ იმ შემდგენელს კრებულში რომელიმე პოეტის ლექსის გახალხურებული ვარიანტი შეუტანია, მით უფრო იყო მოსალოდნელი, რომ თვითონ არ უნდა დამართოდა ეს. აღარაფერს ვამბობთ იმ ლექსებზე, რომლებშიც ხალხს რაღაც შეუცვლია, თავისებურად გადაუმუშავებია, გაუხალხურებია (ასეც ვარიანტებს ავადმყოფი გამოცემის რედაქცია იწუნებდა, რის სასტიკ მოწინააღმდეგედ გამოდიოდა ალ. კინჭარაული). მაგრამ კრებულში შეტანილი ტექსტი რომ სიტყვა-სიტყვით ემთხვევა კლასიკოსისას, ეს კი თქმად ღირს.

წიგნის 61-ე გვერდზე გამოქვეყნებულია უსათაურო ლექსი:

ვაზო, შეილიეთ ნაზარდო...
მოკვედები მე შენს ძირშია;
შენით ვარ მხნე და გულდი,
იმედო ვასაქირშია.

ეს ტაგები რ. ერისთავს ეკუთვნის (რჩეული ლექსები, 1928, გვ. 61). მისი შეცვლილი, გაბალერებული ვარიანტები ჩაწერილია კაბეტში (სუფრული სიმღერა); იმერეთში (სამშბინი თოხნური სიმღერა); ტექსტის აკადემიური გამოცემის შენიშვნებში მოცემულია მითითება: „შეადარეთ რ. ერისთავის „მევენახის სიმღერას“, აქ კი არავითარი შენიშვნა არ ახლავს და თანაც უკველგვარი ცვლილების გარეშე ემთხვევა პოეტის ტექსტს.

რ. ერისთავისაა მეორე ლექსიც (გვ. 94) „აღზვეამს წავალ მარილზე“ (იქვე, გვ. 40).

ი. დავითაშვილისაა უსათაუროდ შეტანილი („გლუხსა ვინ მისცემს“) გვ. 116.

ალ. ყაზბეგისაა (გვ. 228) „მოხვევის სიმღერა“ (იხ. 1949, 111, გვ. 191)...

პოეზიის ამ „რჩეულ კრებულში“, როგორც ლექსი ისეა შეტანილი საქვეყნოდ ცნობილი ზღაპარი „რწყილი და კიანველა“. ეს ზღაპარი, იმ მახათა, როგორითაც დღესა გვაქვს ი. გოგებაშვილმა ხალხური ზღაპრიდან დამუშავა სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანის მიზნით, აუდაგოგური თვალსაზრისით გეზარბა მისი შენაარსი, ცვლილებები შეიტანა პერსონაჟებში, დახვეწა ენა, გამართა და განაწესა ჩართული ლექსის სტრიქონები. იმ, რას წერდა ამის შესახებ დიდი პედაგოგი: „სახალხო ზღაპარი, „რწყილი და კიანველა“ ჩვენ გავიგონეთ სოფელ ვარაიში... სახალხო რედაქციამ მას ასეთი სათაური აქვს: ტილი და რწყილი. ტილი ისეთი სახიზლარი სულდგმულია, რომ ამ სიმპატიურს ზღაპარს ანტიპატიურ ელფერს სდებდა და სწორედ ამის გამო ტილი შეეცალეთ კიანველაზე... ფრიად საჭიროა, რომ სახალხო ნაწარმოების კრებულში ეს შეტად თავისებური ზღაპარი იბეჭდებოდეს ისე, როგორც ეს ხალხშია დარჩენილი: „ტილი და რწყილი“ (იხ. ტ. II, 1940, გვ. 492 — ხაზგასმია ჩვენია).

ი. გოგებაშვილი თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნება ბრძანდებოდა და თავის შიერ ძირებულად დამუშავებული ზეპირსიტყვიერი მასალები სახელმძღვანელოებში თავისი სახე-

ლით არ შექონდა. ასე რომ, ზღაპარს „რწყილი და კიანველა“ იმ სახით, როგორცაა კრებული შეტანილი, ხალხური არ არის. მით უმეტეს არ არის იგი ლექსი.

აქ ბოლოდ მნიშვნელოვან ხარვეზებზე ვაკმახველით ვურადლება, წიგნს რედაქტორ-შემდგენლის გარდა სარედაქციო კოლეგიაც ჰყავს ზეთი კაცის შემადგენლობით, საცა სამართალია, ისინიც კობა მეტად უნდა გარჯილიყენენ რათა მკითხველს მართლა მიეღოს ჩვენი სულკრთხელ შემოქმედ წინაპართა „საუკეთესო ქმნილებების კრებული“, როგორც ეს ანოტაციაში წერია;

მრავალსაუკუნოვანი ეროვნული საუნჯის რჩეულის გამოცემა ფრიად მნიშვნელოვანი საბუთია და მისი შედგენა ერთი პიროვნების იდეურ-ესთეტიკურ გემოვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ამ ბოლო წლებში ხალხური პოეზიის რამდენიმე სხვადასხვა სახის კრებული გამოვიდა, მათ შორის არის კარგებიც, მაგრამ სრული და უნაყოფო, თითქმის, არცერთი არ არის. დრო კი დიდი ხანია დადგა, რომ სათანადო ორგანიზებმა (და არა მოხალისე შემდგენელ-გამომცემლებმა) შექმნან ნამდვილად მუშა კოლეგია, რომლის შერჩეულ ნიმუშებსაც მკითხველი გაიგებს და მოიწონებს.

ფოლკლორისტიკა მსოფლიო მეცნიერებაა, აბიტომაც როდესაც ამ დარგში ზელს გავურჩევთ, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა გვექონდეს მოქმე თუ უცხო ხალხთა გამოცდილება და სტანდარტები. ამ თვალსაზრისით კი ეს გამოცემა, სამწუხაროდ, ვერ დგას სასურველ დონეზე. იგი ვერ აკმაყოფილებს მრავალათასიანი მკითხველის მოთხოვნას.

კრებული რომ ასე ჰიპოზარად ეტლისებში არ მოწადებულობო და მასალებს კომპენდენტური რეცენზენტის ზელთ გაველო, ალბათ, ჩვენც გაეთავისუფლებოდი ამ შენიშვნების სიჭრილ გამოტანისაგან.

დავით გოგობაძე

წიგნი ლეჩხუმის ეთნოგრაფიაზე*

კრებული „ლეჩხუმი“ აგრძელებს იმ კარგ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი არცთუ შორეულ წარსულში ჩაეყარა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს წლების მანძილზე სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილი ექსპედიციები, რომელთა მიზანია საქართველოს რეგიონალური

შესწავლა, ეთნოგრაფიული მასალის კომპლექსური მოძიება, გამოვლენება და ავტორთა ნაზრების საზოგადოებისათვის გაცნობა.

დღეს, ისე როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყოფაში შემორჩენილ სიძველეთა მოძიებას, ხალხში გაბნეული მარგალიტების მოკრფას; საშურიც ეს საქმე, რადგანაც არაერთგზის თქმულა და დაწე-

* ლეჩხუმი, „მეცნიერება“, 1985 წ.

როლა, რომ თაობები მიდიან, თავიანთი მდიდარი ცოდნა-გამოცდილებით. დღევანდელ ურბანისტულ ეპოქაში, გვირგვინი თუ არ გვირგვინია, მხოლოდ წარსულის რეალიზების ფრაგმენტული, ემპირიული ცოდნაა რჩება შთამომავლობას, მრავალი მათგანი კი სამუდამოდ იყარება.

ლენინში, როგორც საქართველოს მრავალი ეთნოგრაფი, საერთო ქართულის, ზოგად ქართული ბუნების გარდა განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიუანსებით გამოირჩევა. ყოფილ საქმიანობასა და სულიერ სამყაროში, რწმენა-წარმოდგენებში მოცემული განუმეორებელი ელფერი თა და ხიბლით, სიღრმეში ჩაბუდებული თავისთავადობით ხასიათდება. მათი გამოშვებება კი საქართველოში დაუცვლებელია. სწორედ ეს იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ 1979-80 წლებში გამოსცემულ ელენტი ორი ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტორიულ მუზეუმებთან დაქვემდებარებული გიორგი ჯალაბაძე) მთავარი მიზანი.

კრულის წინასიტყვაობაში (ავტორი გიორგი ჯალაბაძე) განხილულია ექსპედიციის მიზანი, საქმიანობა, განაღებულელია მისი ძირითადი შედეგები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ლენინში მიმდინარე მიგრაციული პროცესების თავისებურებაზე, მის მიმართულებაზე. კონკრეტული მავალითების საფუძველზე აღნიშნულია, რომ ძირითადად ქუთაისი და წყალტუბო ლენინში მიგრაციების ადგილსამყოფელი. მოსახლეობის აღწერის მასალებს მიხედვით ნათლად ჩანს ლენინში მცხოვრებთა კლება. 1979 წელს 1926 წელთან შედარებით ცაგერის რაიონის მოსახლეობა ერთი მესამედით შემცირდა. აქვე ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის შემცირების გამოწვევებზე მიზეზებზე და მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია ადგილზე მოსახლეობის დამატებისათვის.

ცალკე ადგილი აქვს დამოუკიდებელი ლენინში გავრცელებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მიმოხილვას.

ქართული ხალხის საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ დარგს ეხება გიორგი ჯალაბაძისავე ნაშრომი — „მევენახეობა-მეღვინეობა ლენინში“. უხვი ეთნოგრაფიული მასალის შექმნა განხილულია ვაზის დარგვის, გასხლის, ფორმირების, მოვლისა და მოსავლის აღების საშუალებები, ღვინის დაყენების ტექნოლოგია, აღნიშნულ დარგთან დაკავშირებული ეკრამიკული პერკელი, მარნის ტიპები. სხვადასხვა მასალისა და სათანადო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე დამოწმებულია ვაზის 98 ჯიშის, ეს სულ რაღაც 755,4 ჯადრატული კილომეტრის მქონე ფართობის რეგისტრირება. საფუძვლების მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა გლეხების ნალოიაგები, სახელა-

დაც მოფერებოთ შერჩეული კლასიკური და ადრანსური, ალენი და ალენსაწარმოები, გორაკისა და დონდლაბი, კანისტონი, კანსენა, მეჭურთვული მსხვილფეხა, ოცხანური საფერავი, ყრანისფეხა, შავისხიბი, წითელი-კინწა, ცხენისძებე, ღვინურა, ხიხვი და სხვა. ჯიშთა ასეთ მრავალფეროვნებას და დაწინაურებულ დარგს შესაბამისი ეკრამიკული წარმოების ბაზაუ გააჩნდა. აქამდე ლენინში ცნობილი იყო ორი ეკრამიკული ცენტრი, ამიერიდან კი ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დადასტურებულია ოთხი ასეთი ცენტრის არსებობა: საირაჟი, ოფიტარა, ზუბი და ქულაბი.

საქართველოს ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ცენტრში, მისთვის თუ ვენახის ფართობის პირობით ერთდროულად „ახალი“ ყოფილა გიორგი ჯალაბაძის აღნიშნული ერთდროული დადასტურებული აქვს ლენინში და ამისთან დაკავშირებით სემეციური მომკვლევი შემოაქვს XVIII საუკუნის შესაბამისი ისტორიული საბუთი. ეთნოგრაფიულმა მასალამ გერ დაადგინა, თუ რა ფართობის მომკვლევი უნდა ყოფილიყო „ახარის ადგილი“, მაგრამ ამავე დროს ქართლისა და ხევსურული მასალის გათვალისწინებით ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ლენინში „ახარის ადგილი“, დაახლოებით, ერთი დღიურა მიწის ფართობის ტოლფასი უნდა ყოფილიყო.

მიძიებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, მისი ლიტერატურულ მონაცემებთან შეჯერებითა და ანალიზით ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლენინში მევენახეობა-მეღვინეობის თვითმყოფად მიგრირაონს წარმოადგენს, სადაც ცალკეული სოფლებისა და ხეობების ბუნებრივ პირობებთან შესაბამისად გამოიყენეს ვაზის ადგილობრივი ჯიშები და გამოშვებულ იქნა ღვინის დაყენების ორიგინალური მეთოდები.

საწარმოო ყოფის საინტერესო საკითხებს შეეხება თამარ გელაძის სტატია „კოლქეტიური შრომის ფორმები ლენინში“. კოლქეტიური შრომა, შრომის მარტივი კომპერაცია მრავალის საშუალოთა ციკლის სტადიაზეა ვინაშე უძველესი დროიდან მომდინარეობს. ასეთივე შეამხანაგება საოჯახო ყოფის ზოგიერთ სფეროშიც არის ცნობილი. ამჟერად ავტორის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეზინდერობისთან, კერძოდ კი ხორბლისა და სიმინდის მოყვანასთან დაკავშირებული კოლქეტიური შრომის ფორმები. საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ და კავკასიის ხალხებიდან მოტანილი პარალელებით, მიძიებული ეთნოგრაფიული მასალისა და მათი სათანადო ლიტერატურულ მონაცემებთან შეპირისპირებით ავტორი ლენინში შრომით გავრთიანებათა კლასიფიკაციის იძლევა, კერძოდ, გამოყოფს ოთხ ფორმას.

როგორც ირკვევა, შრომითი გავრთიანების

ერთ-ერთ მარტივ ფორმას წარმოადგენდა უმადიანო ოქახის, ქვირე-ობლებისა და უხარო ოქახისადმი დახმარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. დახმარება საკუთარი იარაღით, ხშირად საკუთარი საგზლით. ინიციატივა ამ შემთხვევაში სოფლის თვაკაცებისაგან მოდიოდა. სპეციფიკური ტერმინი არ ჩანს. ავტორის ცნობით, ზოგიერთ სოფელში დახმარების ამგვარ სახეს ნადავ ეწოდებოდა (გურიაში — „შემწეობა“, 'სამეგრელოში — „შენწეობა“, ვერწო-თიანეთში — „სამადლო“, შესხეთში — „სანიჭობა“).

ფართოდ ყოფილა გავრცელებული ლეჩხუმში ოქახის მიწვევით და გამასპინძლებით ანაზღაურების გარეშე, შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა — „ნადი“, რასაც მიმართავდნენ მძიმე და სასწრაფო სამუშაოების დროს; მაგალითად, ახოს აღებისას. აგრეთვე პირველი თხანისა და სიმინდისა და პურის მოსავლის აღების დროს. გავრცელებული ყოფილა ისეთი შრომითი შეამხანაგებაც, რომელიც ითვალისწინებდა დახარჯული შრომის ტოლფას შრომით ანაზღაურებას — ამ დროს ერთმანეთთან თანაბარი რაოდენობის დღეებს მუშაობდნენ. ლეჩხუმში ხუნის დროს ამგვარი ურთიერთდახმარებას „შეზიარება“ რქმევია. აქ უკვე გათვალისწინებული იყო გამწვევი ძალის გავრთიანებით ერთურობის მიწების მოხვნა.

ელდარ ნადირაძის ნაშრომი „ქვითხურობა ლეჩხუმში“ მატერიალური კულტურის შეტად საინტერესო და მნიშვნელოვან დარჯ შევება, ამავე დროს იგი საინტერესოა სულერი კულტურის ვასათვალისწინებლადაც.

როგორც ავტორი მითითებს, ლეჩხუმური ქვითხურობა აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არ ვახმდარა;

ველეზე დამიებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დასტურდება ქვის შოტევის ორი წესი — რკინისა და ხის სოლებით (უფრო არქაული) და აფეთქებით. ქვითხურობის ძირითადი ყერები ყოფილა ნაყურაღე, საირმე და ოყურში; საბადოები — ლეგნა, ქალა, ტეერი, შინაწყარო, სამაჭრე, ქვაწითელი, კობალა, კლდეშა და სხვ. ამავე დროს ავტორის სტატიაში განხილული აქვს ქვის დამუშავების, ბუხრების მშენებლობის, საფლავისა და წისკვილის ქვის დამუშავების, ნაწილობრივ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების დამზადების ტრადიციები. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ბუხრის შესანაწესაი ნიმუშების გამოვლენა; ბუხრის მოჩუქურთმებაში დომინირებს საქართველოში და მთელს კავკასიაში ესოდენ გავრცელებული და ღრმა აზრობრივი დატვირთვის მქონე სიკოცხლის ხის მოტივი. გასაზიარებელია ავტორის საინტერესო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბუხარზე გამოსახუ-

ლი ზოგიერთი სიმბოლური ნიშანი სათავეს უნდა იღებდეს კერისა და დედაბოძის შემქმელობის უძველესი ტრადიციებიდან.

საინტერესოა აგრეთვე სტატიის ის ნაწილი, რომელიც საფლავის ქვებს შეეხება და სადაც ავტორი იძლევა მათ ტიპოლოგიას: ეს არის საფლავის ლოლები, ობელისკები, ანუ შეუუღალ დაფენებული მატურები, ქანდაკებანი და ქვის ვერები.

ნაშრომის დასასრულს ელდარ ნადირაძე იღნიშნავს, რომ ლეჩხუმის ეთნოგრაფიულ კუთხეში მოძიებული მასალები, რომლებიც ქვის დამუშავების ხალხურ წესებს ეხება, იმის დამაჭრებელ საფუძველს იძლევა, რომ ქვითხურობა მიხნეულ იქნეს შინაძირველობის ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ დარგად, რომელიც გარკვეულად მოქმედებდა კუთხის სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე. და მართლაც, სტატიის გაცნობის შედეგად შეითხველი დარწმუნდება იმაში, რომ ქვის დამუშავების კულტურა ლეჩხუმში, როგორც საშოქალაქო და საეკლესიო ნაგებობათა, ასევე ყოფითი, სამეურნეო საგნების დამზადების საქმეში ზოგად დონეზე მდგარა და წარმოადგენს ამ დარგის განვითარების ზოგადქართული მაგისტრალური ხაზის ორგანულ შემადგენელ ნაწილს.

ფიქრული ნაწარმის ღებვის ხალხურ წესებს შეეხება ლეილა მოლოდინის ნაშრომი. ღებვის ხალხური ტექნოლოგია, უძველესი დროიდან მომდინარე, განსაკუთრებით ინტენსიურად XIX საუკუნის II ნახევარამდე გამოიყენებოდა, ზოლო იაფი სინთეზური საღებავების შემოსვლამ საფუძველი მოუშალა ბუნებრივი საღებავების სარგებლობას. თუმცა ლეჩხუმის შედარებით იზოლაციის გამო, როგორც გამოკვლევამ ადასტურა, მაინც შემონახულა მცენარეული და აზოარგანული საღებავების დამზადება-გამოყენების რეცეპტურა, ღებვის ტექნიკისა და ხერხების, ფერბა სპექტრისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ცოდნა.

ღებვის ობიექტს წარმოადგენდა ან უამე შეღებილი ნართით იქსოვებოდა, როგორც ერთფეროვანი (შალი, ხამი — ბამბის ცალღე და ორფე ქსოვილი, კანაფის ტილო, აბრეშუმის დარია), ისე შერეული ქსოვლები (შალბრეშუმში, ხაშშალა, — ბამბა და შალი ერთად, ხამბრეშუმში — ბამბანარევი აბრეშუმში, კვდბრეშუმში — აბრეშუმნარევი კანაფი) და, რა თქმა უნდა, ფერადი ნართისაგან დამზადებული ადგილობრივი ფარდებები.

როგორც ავტორმა დაამოწმა, ჩოხის, ყაბალახის, ქალის ყაბის და საერთოდ ტანსაცმლის ქსოვილის ფერთა სპექტრს, ზოგად ქართულის მსგავსად, აქაც, ლეჩხუმშიც, შედარებით უფრო მუქი, თავშეკავებული ფერები — შავი, ყავისფერი, კისონი (შავი და თეთრი მატყლის შერევით მიღებული ფერი) ქმნიან. ზოლო ფარ-

დავისათვის, ზეწარისათვის, ლიბის პირისათვის უფრო ნათელი და ხასხასა ფერები — წითელი, ყვითელი, მწვანე და სხვ. გამოიყენება. ჩამოთვლილი ფერების გამის მიღება კი ხდებოდა ადგილობრივი ფლორის მეოხებით, კერძოდ, ამისათვის იყენებდნენ კაჯალს, ჭიაფერას, ანწლს, თრბლს, წალიკას, ჭინჭარს, ენდროს, თბიყურას და სხვ. იმის წარმოსადგენად, თუ როდენ დახვეწილ, ტექნოლოგიურად რთულ და საინტერესო პროცესთან ვეაქვს საქმე, მოვიყვანო სტატიაში წარმოდგენილი შრავალი გამოვლენილი ზერხიდან მხოლოდ ერთს. ყვეოთელი ფერის მისაღებ ერთ-ერთ საშუალებას თრბილი წარმოსადგენდა (ლენხუშური საბელ-წოდებით კაპარი). კაპარის ტრატებს კანს გააყლიდნენ, ქვაბში ჩაჭრიდნენ, ერთ ფუთთან ქვაბს ნახევრად ამოავსებდნენ, წყალს დაასამდნენ და დასაბობად დადგამდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ქვაბს ცეცხლზე შემოდგამდნენ, დიდხანს ხარშავდნენ და შემდეგ წვეს გად-წურავდნენ. შესაღებ მასალას ქვაბში გამოხარ-შული კაპარის ტრატებს შორის მოაქცევდნენ, შაბითა და შარლით ან არყითა და შარლით შეზავებულ კაპარის წვეს დასასამდნენ. თუ ამგვარად შემზადებულ წვეს ეანვის რკინე-საც ჩააყოლებდნენ, მაშინ უფრო გამძლე ყვი-თელ ფერს მიიღებდნენ. რაც დიდხანს აღუ-ლებდნენ, მით უფრო მექ ყვითელს ღებულობ-დნენ. ცეცხლიდან გადმოდგმისას საშლებროს ქვაბშივე დატოვებდნენ, შიგვე ამოაციებდნენ და მერე ციე წყალში გარეცხავდნენ.

თრბლის ვარდა ლენხუშუში ყვითელ საღუ-ბავის მისაღებად მცენარეულ ნედლეულს მიე-ყვითება „ბეოლა“, ყვითელი უვავილი და ეაშლის ქერქა.

ტრადიციული ლენხუშური ჩაკმულობა ნა-ლები ორიგინალურობით ხასიაღება იმის გა-მოსობით, რომ იმეორებდა მუზობელი კუთხე-ების — სენანეთის, იმერეთის, სამეგრელოს მო-სახლეობის ტრადიციებს ამ სფეროში. მოხე-დავად ამისა, ცილა ბეზარაშვილის მიერ გა-მოვლენილია რიგი საინტერესო მონაცემები, როგორც ტერმინოლოგიის, ასევე კოსტუმის ზოგირით ელემენტების გაფორმებასა და საშო-სელთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. მი-ღებული შედეგები წარმოდგენილია სარეცენ-ზიო კრებულში შითავსებულ წერტილში „ჩაუ-მულობა ლენხუშუში“. პირველ რიგში ავტორის მიერ განხილულია მასალა, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული შინამრეწველურ „სუფთა“ და „შერეულ“ ქსო-ვილურ პროდუქტებზე, რომლისგანაც მამაკა-ცის ტანსაცმელი XX საუკუნეშიც იყვრებოდა.

ამასთან უცნაური მღგომარეობა იქმნებოდა ლენხუშუში აბრეშუმთან დამოკიდებულებებში. საქართველოში აბრეშუმის ინტენსიურად გან-ვითარების პარალელურად ლენხუშუში, რო-

გორც ავტორი აღნიშნავს, მებაგრეშუმეობის გაავრცელების საწინააღმდეგო ეკონომიკური პო-ლიტიკის ადგილი, რის შესახებაც მოგვიხსენებს როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ასევე გა-სული საუკუნის პერიოდული პრესა. თითქოს აბრეშუმის ჭიის მოყვანა იწყებდა ხატების განაწილებას, რასაც თავის მხრივ უამინდობა მოყვებოდა. სოფელ ორხვას მასალით, აბრე-შუმის ჭიის მოშენება მიცვალებულის გულის წყრომას იწყებდა, ამიტომ საკუთრბი არ გა-კეთდებოდა იმ ოჯახში და სხვ. ყოველ შემთხ-ვევაში, თუ რა იყო ამ ტაბუირების ტენშარიტი მიზეზი, სიადან მომდინარეობდა ასეთი რწმე-ნა, დასადგენია, შით უმეტეს იქვე, რაქაშიც ყოფილა მსგავსი აკრძალვა დადასტურებული

ქართული ხალხის სულიერი სამყაროს უტ-ველესი დროიდან მომდინარე სფეროს შევხე-ბა შიხა მკალათიას ნაშრომი — „წყლის ელ-ტის გადმონათობი ლენხუშუში“. შეკრებულ იქნა უხვი და საინტერესო მასალა. სირთულეს ისიც წარმოსადგენდა, რომ შესაბამის გადმო-ცემებს სხვადასხვა დროს შექმნილი და დამა-ტრებული დანაშრეები გააჩნია. ხშირად ჩვენს გვერდით, ცოცხალ ყოფიში ფუნქციონირებს (მეურნეობის დარგები, სხვადასხვა თქმულებე-ბი, მიცვალებულის ელტი, საქორწინო და სხვა საწესწვეულები რიტუალები) შეფარული სახით და შესაბამისად მისი გამოვლენა დიდ დაკვირვებას მოითხოვს. მით უფრო აღსანიშ-ნავია, რომ ავტორმა ეს საფუძვლიანად მოა-ხერხა და უხვი ლენხუშური მასალა განიხილა სამეგრელოს, სენანეთის, აღმოსავლეთ საქარ-თვლოს მთიანეთის, აგრეთვე ჩრდილო კავკა-სიის ხალხებიდან მოტანილ მასალასთან შებირ-დაპირებით მისი შედგავდაც საყურადღებო დასკვნებათ ჩილებული.

დადგენილ იქნა, რომ დასავლურ ქართულ მონაცემებში წყლის სამყაროსა და ნადირა სამყაროს საერთო ლეოთებები განაგებენ, რო-მელნიც ორივე სამყაროს ატრიბუტებით იყვნენ წარმოდგენილნი. აგრეთვე წყლის სტიქიის გან-მგებლად, ერთი მხრივ, მიცვალებულთა სულე-ბით გვევლინებიან, რომელნიც მოცემულ გა-რემოში დაკონკრეტებულნი არიან ტიციენას და ვაიენას სახით, რომელთაც გველშაბი მოკლეს და, მერე მხრივ, მაქსიმე აღმსარებლის სახით, რომლისთვისაც ლეგენდას მურის ხილდან მთე-ჩენია საშუღამო ადგილი. დაწერილებით არის განხილული ზემალის შითის საკულტო მნიშე-ნელობა და დღესასწაული „ზეამლობა“. გად-მოცემათა მიხედვით, სწორედ ამ შითის კლდეში ცხოვრობდა დარ-ავდრის გამგებელი გველე-შაბი, რომელიც წყლის სტიქიის განმგებლადაც გვევლინება.

ამავე დროს ავტორი ასკვნის, რომ ქართუ-ლი ხალხური რწმენები მიწიერ და ციურ წყალს ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს,

რომლის ცირკულაცია მიწიდან ცისკენ და პირველ განუწყვეტელია.

მედია ნაღობის ნაშრომი აგრარული ელტის გადმონათობის შედეგია; აქ, კერძოდ, ერთი კონკრეტული დღესასწაული — თედორება არის განხილული. ამასთან, საერთო შესწავლილია მთლიანად დასავლეთ საქართველოს — იმერეთის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე. აღნიშნული დღესასწაული, ვარიანტული განსხვავებების მიუხედავად, ქმნის ერთ მთლიან სახეს. ავტორი ვადმოგვცემს, რომ თედორების დროს ლოცულობდნენ ვენახის, ნათესების, შუშა საქონლის, ცხენების გამრავლების თაობაზე, უხვ მოსავალზე.

ხალხური მედიცინის საკითხებს შეეხება ლეილა სოსელიას წერილი — „მკურნალობის ხალხური ტრადიციები ლეჩხუმში“. ავტორის მიერ გამოვლენილია სხვადასხვა სახის ნივთები და მედიკამენტები, რომლებიც ცაგერის რაიონის სოფელ გვესოში ჩარკვიანების ოჯახში ინახება. ესენია სამკურნალო ქვები, ხალხური სახელწოდებებით: „გველის რქა“, „თეთრი ქვები“, „ფუფალი“, „ალმასი“, „სალესი ქვა“. ფხენილები — „ჭიისფერი“, „წითელი მიწა“, „რევიანდი“, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის მედიკამენტები. „ნესტარი“ — ფოლადისპირიანი პატარა დასავლეთი დანა სიმსივნის გასაჭრელად, შინის ქურქული თვალის აბაზანებისათვის, კაფი და მისგან ანატეჩი ფირფიტები თვალზე ქირურგიული ჩარევისათვის და სხვ. ნაშრომში, ამავე დროს, გაანალიზებულია იმავე ჩარკვიანების ოჯახში დაცული ხელნაწერი, ერთგვარი რეცეპტურული ცნობარი, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისის დროინდელია და როგორც ავტორი ვარაუდობს, კარაბაღის საფუძველზე უნდა იყოს შედგენილი.

ძირითადად საეკლესიო მასალებზეა აგებული ნელი ქაჯაიას წერილი — „მიცვალებულის ელტი ლეჩხუმში“. ამ ეუბნეში ჯერ კიდევ ჭარბად ყოფილა შემორჩენილი მიცვალებულის ელტიდან დაკავშირებული ძველი წეს-ჩვეულებანი და რიტუალები.

ნაშრომში წარმოდგენილია წეს-ჩვეულებათა მთელი ციკლი: დაკრძალვა, დატრეხვა და სხვ. ლეჩხუმში ლეჩხუმში გაერცელებული ტრადიციები საერთო ქართულია რიგი თავისებურებებით. ამავე დროს ქრისტიანულია რელიგიის ადრეული ფორმების გადმონათობით.

მოძიებულ მასალა მეტად საინტერესოა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მიცვალებულის სულის მოსახსენებელ შესაწირავში ფიგურირებს იხვი. როგორც ირკვევა, ხშირად იგი ცხვარისავე ეკვლიდა. და საერთოდ იგი შორწმუნე ლეჩხუმელისათვის წმინდა ფრინველია. ამავე დროს კრებულის წამასიტყვებამდე აღნიშნულია, რომ საერთოდ საეკლესიო რეგიონის ხალხურ ორნამენტშიც იხვს საკმაოდ დიდი ადგილი ეკვლიდა. იგი გამოყენებულია სასიმინდეების ორნამენტებში და ლეჩხუმურ ფარდაგებშიც, რომლის ერთი ასეთი ეგზემპლარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხალხების ფონდშია დაცული. როგორც ჩანს, ლეჩხუმში ამ ფრინველს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონია მინიჭებული, რაც საქართველოს სხვა ეუბნეებში არ დასტურდება. მეტად საინტერესოდ გვესახება ამ გარემოების მიზეზის გარკვევა.

ამრიგად, როგორც დავრწმუნდით, კრებულის თემატიკა მეტად მნიშვნელოვანი და შრავლ-ფეროვანია. ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. დაინტერესებს როგორც სპეცილისტებს, ასევე ფართო საზოგადოებასაც. მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით შეინიშნება დაინტერესება, წინაპრების დანატოვარი ამ უზარმაზარი სიმდიდრის გაცნობისადმი. ინტერესი ანალოგიური კრებულებისადმი ძალიან დიდია. ისინი წიგნის მალაზიის თაროებიდან უეტრად ქრება. ასე რომ, იმ ათასობასმა ეგზემპლარმა, რა ტირაჟითაც არის დაბეჭდილი კრებული „ლეჩხუმში“, ოდნავადაც ვერ დაკმაყოფილა მოთხოვნილება მასზე.

ნოზარ ზრუბაშვილი.

● რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● **ბელოუსიანი:** რედაქტორის — 98-55-11,

პ/შგ. შიშინის — 98-55-13, განყოფილებების —

98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გაღივცა ისაწყობად 20. 03. 86 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 28. 04. 86 წ. ანაწყობის ზომა
7¹/₂ X 12, ჭალადის ფორმატი 70X108, ფუ-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბაბი 16,5წ.

უე 04623, ტირაჟი 32.000. შკე. 737. საქარო-
ველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა,

618/76

3360 80 333.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ